გიორგი დიმიტროვი

ბიოგრაფიული ნარკვევი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1988

63.3(4) (09)
ბ 512

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან
არსებული ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის ინსტიტუტი

ავტორები:

ვესელინ ჰაჯინიკოლოვი, დავით ელაზარი, დობრინ მიჩევი, ლიუბომირ პანაიოტოვი, პეტრა რადენკოვა

წიგნი მდიდარი დოკუმენტური მასალის საფუძველზე აცოცხლებს მუშათა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ბულგარელი რევოლუციონერის, მტკიცე მარქსისტ-ლენინელის, საბჭოთა ქვეყნის დიდი მეგობრის — გიორგი დიმიტროვის სახეს.

განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კომისია:

დავით ელაზარი (მთავარი რედაქტორი), ვესელინ ჰაჯინიკოლოვი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლიუბომირ პანაიოტოვი, ნედიუ ნედევი.

მთარგმნელი ბ. სალიაშვილი

©პოლიტიზდატი, 1972
© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

0901010000
Г ——————
М 608(06)88
ISBN 5—511—00032—9

ᲡᲐᲥᲔᲗ-2000
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲐᲙᲐᲓ. ᲡᲡᲠ Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ
ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲯ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑ.
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წინასიტყვაობა

სახელი გიორგი დიმიტროვისა — კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწისა — კარგადაა ცნობილი მთელ მსოფლიოში. გავა საუკუნეები, მაგრამ მისი სახელი მუდამ დარჩება მუშათა კლასის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სიმბოლოდ, სიმბოლოდ რევოლუციური შეუპოვრობისა და შეუვალი სიმტკიცისა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ფაშისტური ბარბაროსობის, ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბულგარელი ხალხი სამართლიანად ამაყობს, რომ მან მსოფლიოს მისცა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. დიმიტროვის სახელთანაა დაკავშირებული ბულგარეთის რევოლუციური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, ბულგარეთის ახალი ისტორიის მატიანის ნათელი ფურცლები. მისი ხელმძღვანელობით ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ უზრუნველყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, შექმნა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო.

გიორგი დიმიტროვი იყო ერთ-ერთი ნიჭიერი და პოპულარული ხელმძღვანელი მუშათა კლასისა, რომელიც განმტკიცდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მსოფლიო მასშტაბით გადასვლისა და ლენინური იდეების გამარჯვების ეპოქაში.

მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისადმი გ. დიმიტროვის შემოქმედებითი მიდგომა, მისი წვლილი რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აღმავლობის საქმეში მეორე მსოფლიო ომის წინ და მის მსვლელობაში, შეურიგებელი ბრძოლა სექტანტობისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, უსაზღვრო ჰუმანიზმი ამჟამადაც წარმოადგენს ნათელ მაგალითს ყველა კომუნისტისათვის. მისმა თეორიულმა წვლილმა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავებაში, როგორიცაა ერთიანი სახალხო და ეროვნული ფრონტი, დემოკრატიისათვის ბრძოლის შეხამება სოციალიზმისათვის ბრძოლასთან, მუშათა და გლეხთა კავშირი, პროლეტარიატის ეროვნულ და ინტერნაციონალურ მოვალეობათა ერთიანობა, საბჭოთა კავშირის როლი მსოფლიო რევოლუცი-

ურ მოძრაობაში, ყოველ ქვეყანაში კომუნისტური პარტიის გადამწყვეტ ეროვნულ ფაქტორად გარდაქმნა — მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს გ. დიმიტროვის თავდადებას ლაიფციგში. მან ჰიტლერელებს, რომელთაც შეთითხნეს პროვოკაციული პროცესი გერმანიის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ, მიაყენა პირველი გამანადგურებელი მორალურ-პოლიტიკური დარტყმა, რამაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებრიობაზე. დიმიტროვმა გამოააშკარავა ფაშიზმის დანაშაულებრივი სახე, გააშიშვლა მისი ანტისახალხო და ანტიჰუმანური არსი. მან თვალნათლივ დაანახვა კაცობრიობას ის საფრთხე, რაც მას ემუქრებოდა. ამასთანავე, ნათელყო გზები და საშუალებანი ფაშიზმის განადგურებისა, მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა, რომელსაც იგი ამზადებდა. ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ის დახასიათება, რომელიც ფაშიზმს მისცეს კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და დიმიტროვმა; მან სისრულეში მოიყვანა მონოპოლისტური ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული წრეების კაცთმოძულე დიქტატურის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სათავეში ჩაუდგა რა კომინტერნს, დიმიტროვმა, ფაშიზმისა და ომის საფრთხის მკვეთრად ზრდის პერიოდში, განსაკუთრებული როლი შეასრულა ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის ჩამოყალიბებაში. ეს სტრატეგია და ტაქტიკა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძვირფასი შენაძენი იყო.

იმ წლებში, როდესაც წყდებოდა რიგი ქვეყნებისა და ხალხების ბედი, დიმიტროვი, რომელიც ლენინური პარტიის გეზს მიჰყვებოდა, კომუნისტური მოძრაობის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად სათავეში ჩაუდგა ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლას საბჭოთა კავშირის დაცვისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების გამარჯვებისათვის. დიდია მისი დამსახურება კომუნისტური პარტიების განმტკიცებისა და წრთობის, ცალკეულ ქვეყნებში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორად მათი გადაქცევის საქმეში, მასებთან მათი კავშირის გაფართოებაში, სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლის ან მასთან მისვლის კონკრეტული გზების განსაზღვრაში. დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა გ. დიმიტროვის გამონათქვამებს ანტიიმპერიალისტური ფრონტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე, აგრეთვე მსოფლიო ისტორიული წარმატებებისა და საბჭოთა კავშირის გამარჯვებების შემდეგ წარმოქმნილ კლასობრივ ძალთა თანაფარდობის მისეულ

ლრმა ანალიზს. კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწენი ხშირად მიმართავენ დიმიტროვის იდეურ მემკვიდრეობას და მიჰყვებიან მის მაგალითს სოციალიზმის გამარჯვების კონკრეტული გზების დასახვის საქმეში.

გ. დიმიტროვი სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსია. მან გამოავლინა შესანიშნავი უნარი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონკრეტული პირობებისადმი შემოქმედებითად მიეყენებინა მარქსიზმ-ლენინიზმი და საბჭოთა კავშირის მდიდარი გამოცდილება, ამავე დროს შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი მეცნიერული კომუნიზმის შემდგომი განვითარების საქმეში. მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დიმიტროვის მიერ დახასიათებული 9 სექტემბრის რევოლუცია, როგორც ფორმით სახალხო-დემოკრატიული და შინაარსით სოციალისტური. აქტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე მის სამეცნიერო არგუმენტაციას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური საზოგადოების აშენების გზებისა და ფორმების საკითხებზე, სოციალისტურ რელსებზე ერთპიროვნული სოფლის მეურნეობის გადაყვანის შესაძლებლობებზე მიწის წინასწარი ნაციონალიზაციის გარეშე.

გ. დიმიტროვი, სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის დაუცხრომელი ქომაგი, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მოუწოდებდა მშრომელებს ნაციონალიზმისა და ანტისოვეტიზმის, როგორც მუშათა მოძრაობის უბოროტესი მტრების, წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი შეურიგებელი იყო ეროვნული თავისებურებების გადაჭარბებით შეფასებისადმი, იმისადმი, რომ გაეტარებინათ ცალკეული ნაციონალური რაზმების გამოყოფისა და იზოლაციის პოლიტიკა საერთო ინტერნაციონალური ბრძოლისაგან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. დიმიტროვი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა სოციალისტური რევოლუციის ზოგადი კანონზომიერებებისა და საბჭოთა კავშირის ისტორიული გამოცდილების როლს.

გ. დიმიტროვი, თანმიმდევარი ინტერნაციონალისტი, მთელი ცხოვრების მანძილზე ჭეშმარიტი პატრიოტის მაგალითი იყო, რომელმაც მთელი თავისი ძალები მიუძღვნა კაპიტალიზმისა და ფაშიზმისაგან სამშობლოს განთავისუფლებას, სოციალისტური საზოგადოების აშენებას ბულგარეთში.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა დღესაც საზრდოობს დი-

მიტროვის იდეებით. იგი უნარიანად ახამებდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს მგზნებარე პატრიოტიზმთან და დიდი სიმპათიით, პატივისცემით იყო გამსჭვალული გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მიმართ. დღესაც აქსიომასავით ეღერს საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები დიმიტროვისა, რომ დამოკიდებულება სკკ პარტიასთან, სსრ კავშირთან არის ის ჭეშმარიტი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ვინ არის პროლეტარიატის განმათავისუფლებელი საქმის მტერი და ვინ მოყვარე, ვინ არის ომის ჭეშმარიტი მოწინააღმდეგე.

გ. დიმიტროვმა ლაიფციგში ფაშისტურ სასამართლოზე დაიცვა ბულგარელი ხალხის ეროვნული პატიოსნება და ამით ხელი შეუწყო იმას, რომ პატარა ბულგარეთი, მისი გმირული მრავალსაუკუნოვანი ისტორია ცნობილი გამხდარიყო მსოფლიოს ყველა კუთხეში. მან ნაცისტურ სასამართლოზე კანონიერი სიამაყით განაცხადა, რომ ის არის შვილი ბულგარეთის მუშათა კლასისა, რომელმაც 1923 წელს მოაწყო მსოფლიოში პირველი ანტიფაშისტური შეიარაღებული აჯანყება და არაერთგზის დაამტკიცა თავისი თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი.

გიორგი დიმიტროვი, ახალი ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მარქსიზმ-ლენინიზმისა და მისი შემოქმედებითი განვითარების დიალექტიკური ერთიანობის ჭეშმარიტი ერთგულების ცოცხალი განსახიერებაა. დიმიტროვისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო უჩვეულო სიმამაცე კლასობრივი მტრის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლებში, რომელმაც განსაკუთრებით გააოცა და მოხიბლა მსოფლიო ლაიფციგის პროცესის დროს, არამედ შომავლის მჭვრეტელის თამამი აზრები, რომლებიც ხსნიდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს და მსოფლიო რევოლუციური პროცესის ახალ ტენდენციებს.

უდიდესი რევოლუციური გამოცდილების დაგროვებით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზადებისა და გამარჯვების ეპოქაში მუშათა კლასის ბრძოლათა მოქცევა-უკუქცევის ზეგავლენით, ახალი რევოლუციური ბრძოლების უშუალო ხელმძღვანელობით (რომლებმაც სოციალიზმი აქცია მსოფლიო სისტემად), გ. დიმიტროვი ჩვენ წინაშე წარმოდგა ლენინური ტიპის კომუნისტურ მოღვაწედ. მისი ნათელი ცხოვრება და შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიისა და მის დამქაშთა წინააღმდეგ, მარქსის, ენგელსისა და ლენინის რევოლუციური მოძღვრებისადმი შემოქმედებითი მიდგომა საუკეთესო მაგალითია მთელი მსოფლიოს კომუნისტების მრავალმილიონიანი არმიისათვის.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოდორ ჟივკოვი თავის სტატიაში — „ფასდაუდებელი ეროვნული კაპიტალი" წერდა: „გიორგი დიმიტროვის სახელი ერთ-ერთი იმ უდიდეს სახელთაგანია საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების ანალებში, რომელთაც ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით წარმოთქვამენ კომუნისტები, მშრომელები, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები" [1].

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ღრმად სწამს გიორგი დიმიტროვის ეპოქალური საქმისა, მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით განახორციელეს გენერალური ხაზი, მოხაზული დიმიტროვის მიერ, და მისი ანდერძი: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ 15—20 წლის განმავლობაში უნდა მიაღწიოს იმას, რისთვისაც სხვა ქვეყნებს და ხალხებს დასჭირდებოდა მთელი ასწლეული.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ტ. ჟივკოვის ხელმძღვანელობით არა მხოლოდ დაიცვა გ. დიმიტროვის საქმე ისტორიულ აპრილის პლენუმზე 1956 წელს, არამედ განავითარა მისი იდეები გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში. ამ შემოქმედებითი მოღვაწეობის გვირგვინად იქცა მე-10 ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამა, რომელმაც დაისახა ახალი სტრატეგიული მიზანი — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება.

* * *

ბიოგრაფიული ნარკვევი „გიორგი დიმიტროვი" დაწერილია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1972 წელს გამოცემული სრული ბიოგრაფიისა და უდიდესი დოკუმენტური მასალის საფუძველზე. შენიშვნებში მითითებულია აღნიშნულ გამოცემაში ციტირებული წყაროები და ლიტერატურა.

ბიოგრაფიული ნარკვევი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, ბულგარეთის საზღვრებს გარეთ მყოფ პოლიტიკურ და მეცნიერ მუშაკთათვის, რომელნიც დაინტერესებული არიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შესანიშნავი მოღვაწის, გამოჩენილი ჰუმანისტის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლის — გიორგი დიმიტროვის ცხოვრებითა და საქმით.

---

[1] მოგონებანი გიორგი დიმიტროვზე, ტ. I, სოფია, 1971, გვ. 11 (ბულგარ. ენაზე); გიორგი დიმიტროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, მ., 1972, გვ. 3 (რუსულ ენაზე).

აღნიშნული ბიოგრაფიული ნარკვევი წარმოადგენს ცდას, ნათელყოს პროფესიული რევოლუციონერის, კომინტერნის გენერალური მდივნის, სოციალისტური ბულგარეთის ფუძემდებლის ცხოვრების გზა, ცხადყოს მის შეხედულებათა აქტუალობა დღეისათვის.

გ. დიმიტროვის ბიოგრაფია კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა კაცობრიობის ისტორიაში ოდესმე არსებული ყველაზე პროგრესული კლასის — მუშათა კლასის ცხოვრებისეული ძალისა, რომელიც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს პროლეტარულ რევოლუციას და რომელიც, მსგავსად განმათავისუფლებელი ქარიშხლისა, ვრცელდება მთელს პლანეტაზე, ამკვიდრებს კომუნიზმს.

ბულგარეთის პროლეტარიატის, იმ პერიოდისათვის მისი ყველაზე განათლებული რაზმის — სტამბის მუშათა რიგებში გ. დიმიტროვი შედის 13 წლის ასაკში. იგი მაშინვე ჩაება რევოლუციურ პროფკავშირულ და სოციალისტურ მოძრაობაში. ბულგარეთის რევოლუციური მარქსისტული პარტიის ფუძემდებლის დიმიტრი ბლაგოევისა და მისი თანამებრძოლის გიორგი კირკოვის იდეებზე აღზრდილმა გიორგი დიმიტროვმა მიაღწია მწვერვალს, რომლის მიღწევაც შეეძლო ბულგარეთის მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური ავანგარდის წარმომადგენელს. გ. დიმიტროვი მტკიცედ ითვისებდა მარქსიზმ-ლენინიზმის, კაცობრიობის კულტურის მიღწევებს, კლასობრივი ბრძოლის უდიდეს ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილებას; თავი გამოიჩინა, როგორც თავისი დროის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა და პოპულარულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ. ბრწყინვალე რევოლუციურმა სტრატეგმა, პუბლიცისტმა და პოლემისტმა, მგზნებარე ორატორმა და სახალხო ტრიბუნმა წარუშლელი კვალი დატოვა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში.

მოცემულ ბიოგრაფიულ ნარკვევში დიმიტროვის პიროვნება და საქმე ცნობიერდება მუშათა კლასის წინაშე დაყენებულ კონკრეტულ გარემოებათა და ობიექტურ ამოცანათა განვითარების პროცესში. ავტორები მიისწრაფოდნენ ეჩვენებინათ, თუ როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა დიმიტროვის თეორიული და სტრატეგიული შეხედულებანი, ის განძი, რომელიც მან შესძინა მეცნიერულ კომუნიზმს. დიმიტროვის მითითებანი ერთიანი და სახალხო ფრონტის თაობაზე ვერ იქნება სწორედ გაგებული, თუ თვალს არ გავადევნებთ მის ბრძოლას პროფკავშირული ერთიანობისათვის კლასობრივ საფუძველზე პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, ბრძოლას ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნისათვის 1923 წლის სექტემბრის აჯანყების წინ ბულგარეთში, თუ არ გავითვალისწინებთ

ლენინის ნაწარმოებთა უდიდეს გავლენას, რომელსაც იგი სწავლობდა მთელი ცხოვრების მანძილზე.

ბევრი ახალი დებულება, დამუშავებული და პოპულარიზებული დიმიტროვის მიერ, მხოლოდ მას, ერთს არ მიეკუთვნება. ისინი წარმოადგენენ ასევე კომინტერნის სხვადასხვა ორგანოს აპარატის კოლექტიური აზროვნების ნაყოფს, რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელი მოღვაწეები — კ. გოტვალდი, ხ. დიასი, ვ. კოლაროვი, ი. კოპლენიგი, ო. კუუსინენი, დ. მანუილსკი, ვ. პიკი, გ. პოლიტი, ე. ტელმანი, პ. ტოლიატი, მ. ტორეზი და სხვ. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა რევოლუციური გამოცდილებაც, დაგროვილი ცალკეულ ქვეყნებში. როგორიც იყო, მაგალითად, სახალხო ფრონტის შექმნა საფრანგეთში. შრომის ავტორები მიისწრაფოდნენ, ეჩვენებინათ დიმიტროვის როლი კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი პოზიციების გამომუშავებაში.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორია ტრიუმფალური გამარჯვებების ჯაჭვი როდია. მის მსვლელობაში მონაცვლეობენ რევოლუციური რაზმების მოქცევანი და უკუქცევანი, დამარცხებანი და გამარჯვებანი.

გიორგი დიმიტროვი, ბულგარეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელი, არასდროს ჩქმალავდა თავის შეცდომებს. მის კალამს ეკუთვნის ყველაზე ვრცელი და ზუსტი დახასიათება „შემჭიდროებული“ (тесные) სოციალისტების მარქსისტულ-რევოლუციური პარტიის ღირსებებისა და უარყოფითი მხარეებისა, რომელიც შეიქმნა დ. ბლაგოევისა და მის თანამებრძოლთა მიერ 1891 წელს, პარტიისა, რომელიც განხეთქილების გარეშე შევიდა III ინტერნაციონალის რიგებში, დაიწყო ლენინიზმის იდეური, ტაქტიკური და ორგანიზაციული იარაღის ათვისება, შეიცვალა სახელი და იწოდა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიად. ლაიფციგის პროცესზე და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან დიმიტროვმა სასტიკი კრიტიკით მოიხსენია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად მის მიერ დაშვებული შეცდომა 1923 წლის 9 ივნისს. ამით დიმიტროვმა მოგვცა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ბრწყინვალე მაგალითი.

გაიარა რა პროფესიულ კავშირებში, პარტიულ ორგანიზაციებსა და კომინტერნის ორგანოებში ხელმძღვანელი მუშაკის ყველა საფეხური, დიმიტროვმა შეიძინა უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება. იგი, მაღალზნეობრივი და უკიდურესად მომთხოვნი პიროვნება, თავის გარშემო ქმნიდა ურთიერთნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს:

დიმიტროვს გააჩნდა უნარი რიგით და ხელმძღვანელ მუშაკებში მათი შესაძლებლობისა და ტალანტის თავისუფლად გამოვლენისა.

მუშათა კლასის რიგებიდან გამოსული, მთელი ცხოვრების მანძილზე მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დიმიტროვი თავის პიროვნებაში აერთიანებდა პროლეტარიატისა და ხალხთა მასებისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს. იგი ფლობდა განსაკუთრებულ ინტელექტს, გააჩნდა იშვიათი შრომისმოყვარეობა. სიმტკიცე, ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებები, რითაც წარუშლელ ზემოქმედებას ახდენდა თანამედროვეებზე. მის თანამედროვეთა, საერთაშორისო და ბულგარეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეთა მოგონებებში, რომლებიც დაწერილია მისდამი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით, ხაზგასმულია დიმიტროვის, როგორც ხელმძღვანელისა და პიროვნების, საუკეთესო თვისებები. მოგონებებმა დიდი როლი შეასრულა საყვარელი ბელადის დაუვიწყარი სახის ჩამოყალიბებაშექმნაში.

ნაშრომის მომზადებისას ფართოდ იქნა გამოყენებული დიმიტროვის ნაწარმოებები და წერილები, აგრეთვე სამეცნიერო, პუბლიცისტური, მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურა. ახალი, გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მასალის (ბულგარული, საბჭოთა და სხვა) შესწავლამ გააშუქა ზოგიერთი შედარებით ნაკლებად ცნობილი პერიოდი, ძირითადად 1923 წლის სექტემბრის აჯანყების მომდევნო ათწლეული, დიმიტროვის მოღვაწეობა კომინტერნის გენერალური მდივნის პოსტზე, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის დაშლის შემდეგ მისი როლი სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობა საქმეში.

ავტორთა კოლექტივი: დავით ელაზარი (შესავალი და დასკვნა), უფროსი მეცნიერი მუშაკი დობრინ მიჩევი (I თავი, § 1, 2, და V თავი), პროფესორი ლიუბომირ პანაიოტოვი (I თავი, § 3, 4 და II თავი), მეცნიერი მუშაკი პეტრა რადენკოვა (III თავი) და პროფესორი ვესელინ ჰაჯინიკოლოვი (IV თავი).

თავი პირველი

პროფკავშირული ხელმძღვანელი და მუშათა ტრიბუნი

1. რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი

გიორგი დიმიტროვი დაიბადა 1882 წლის 18 ივნისს, სოფელ კაჩევციში, რადომირის რაიონში. მალე მისი მშობლები გადასახლდნენ ქალაქ რადომირში, ხოლო შემდეგ — სოფიის მიდამოებში. რამდენიმე წლის შემდეგ, ღარიბთა რაიონში — იუჩბურანში, მოლაშქრეთა ქუჩის 66 ნომერში, გაჩნდა პატარა სახლი, რომელშიც დასახლდა დიმიტროვების ოჯახი.

მამა, დიმიტრი მიხაილოვი, დღედაღამ მუშაობდა თავის პაწაწინა საქუდე სახელოსნოში, რომ როგორმე გამოეკვება მრავალრიცხოვანი ოჯახი. არაჩვეულებრივად შრომისმოყვარესა და პატიოსანს, სასტიკად სძულდა ტყუილი და ძალადობა.

დედა, პარაშკევა დოსევა, გაუნათლებელი, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი ქალი იყო. თავის დაუცხრომელ, თავისუფლებისმოყვარე სულს უნერგავდა შვილებს, უღვივებდა სიყვარულს მშრომელი ხალხისადმი და სიძულვილს ტირანიის მიმართ, სიმამაცეს და რწმენას — ხალხის ბედნიერებისათვის საბრძოლველად. სანიმუშო ქალი მტკიცედ იტანდა ცხოვრებისეულ სიდუხჭირეს, იყო ნიადაგ სიცოცხლით სავსე, მხარში ედგა შვილებს მძიმე რევოლუციურ ბრძოლაში.

პარაშკევა და დიმიტრი მიხაილოვების ოჯახში იზრდებოდა ექვსი ვაჟი და ორი ქალიშვილი: გიორგი, კონსტანტინე, ნიკოლა, ლიუბენი, ბორისი, ტოდორი, მაგდალენა და ელენე. კონსტანტინე გახდა ნიჭიერი პროფკავშირული მოღვაწე, სოფიელ მბეჭდავთა საყვარელი პიროვნება. იგი დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა, ბალკანეთის ომში (1912 წ.). ნიკოლა ქმედით მონაწილეობას იღებდა რუს მუშათა ბრძოლაში. როგორც ოდესის ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრი, იგი დაპატიმრებულ იქნა მეფის პოლიციის მიერ და გარდაიცვალა გადასახლებაში, ციმბირში, 1916 წ. მესამე ძმა, ტოდორი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის არალეგალური ორგანიზაციის აქტივისტი, ფაშისტურმა ორგანოებმა დააპატიმრეს და მოკლეს 1925 წლის მარტში ხანგრძლივი, სასტიკი წამების შემდეგ. დებიც

ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კომუნისტურ მოძრაობაში.

ასეთი იყო ეს ბულგარული ოჯახი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე, მრავალი ტანჯვისა და ჩაგვრის გადამტანი. გამოსული ბულგარელი მშრომელი ხალხის წიაღიდან, ოჯახი, რომელმაც სისხლიანი წვლილი შეიტანა სიმართლის, პურისა და თავისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის პროცესში. ამ მებრძოლ, პატრიოტულად განწყობილ ოჯახში იზრდებოდა და ყალიბდებოდა ახალგაზრდა დიმიტროვი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა თავის ძმებსა და დებზე. ჯანსაღმა, შრომითმა ოჯახურმა ატმოსფერომ დადებითად იმოქმედა შთაბეჭდილებიანი ყმაწვილის ხასიათზე, გამოაწრთო იგი. პატარა გიორგი ყოველთვის ეხმარებოდა დედას საქმეში, რაც მის შრომისმოყვარეობასა და მშობლებისადმი პატივისცემაზე მეტყველებდა. ყურადღებიანი იყო ძმებისა და დების მიმართ.

პროგიმნაზიაში სწავლის დროს დიმიტროვი დაავადდა. რის გამოც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ესწრებოდა გაკვეთილებს. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი გულისტკივილით გამოეთხოვა მშობლიურ კლასს. მეცამეტე წელში იყო, როდესაც გადააბიჯა პატარა სტამბის ზღურბლს დედაქალაქში. ამგვარად, ყმაწვილობიდანვე იძულებული გახდა ებრძოლა სიღარიბესთან, დამოუკიდებელი შრომის გზას დასდგომოდა. ამ მომენტიდან მისი აღმზრდელი და მასწავლებელი გახდა მუშათა კლასი. სტამბაში ყმაწვილი იშვიათი სიმტკიცითა და სიყვარულით ეუფლებოდა ასოთამწყობის ხელობას. რამდენიმე თვის შემდეგ შეგირდი თავისუფლად აწყობდა ნებისმიერ ხელნაწერს.

ახალგაზრდა დიმიტროვი მაშინ შევიდა ბულგარეთის მუშათა კლასის რიგებში, როცა ქვეყანაში პირველ ნაბიჯებს დგამდა პროფკავშირული მოძრაობა. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, 1894 წელს სოფიაში შეიქმნა მუშა-ასოთამწყობთა ცენტრალური საბჭო — ბულგარეთში სტამბის მუშათა პირველი პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც იდგა კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე. გ. დიმიტროვის მოღვაწეობის დასაწყისი ბულგარეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში დაკავშირებული იყო სტამბის მუშათა ბრძოლასთან.

შეგირდ-ასოთამწყობის მძიმე ცხოვრება დიმიტროვს ეხმარებოდა სიმტკიცის, თავდაჭერილობის გამომუშავებაში, სიძნელეთა გადალახვაში, აძლიერებდა ბულგარეთის მუშათა კლასის საქმისადმი მის ერთგულებას. გ. დიმიტროვი შეუერთდა საერთო აღშფოთებას, რამაც მოიცვა პროლეტარიატი, შევიდა მუშათა საზოგადოება „ძმობაში", სადაც ხარბად ითვისებდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდებებს ორგანიზაციული ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლისაკენ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სტამბის

მუშათა პირველ გაფიცვებში 1894 წელს, რაც მის პირველ საბრძოლო გამოცდასაც წარმოადგენდა. მან ირწმუნა მუშათა კლასის ძალა, სიმტკიცე და ქედუბრელობა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ბურჟუაზიული ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეკონომიკურ ბრძოლაში აქტიურად ჩაბმული დიმიტროვი ამავე დროს შეუპოვრად აგრძელებს თვითგანვითარებას. წიგნები მისი უსაყვარლესი და ერთგული მეგობრები იყო, მისი მუდმივი თანამგზავრები რთული ემიგრანტული ცხოვრების ჟამს, ჰიტლერული ციხეების ბნელ კამერებში.

ახალ შრომით გარემოცვაში მოზარდმა პირველად გაიგო სინამდვილე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ესესახე, სინამდვილე, რომელსაც ნათელი მოჰფინეს კაცობრიობის დიდმა მოაზროვნეებმა — კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა. ცოდნის წყურვილით აღსავსე ახალგაზრდა გატაცებით კითხულობდა მარქსისტულ წიგნებსა და ბროშურებს. თვითგანვითარების გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი ძილისა და დასვენების უკიდურესად შემცირების ფასად უჯდებოდა დიმიტროვს.

ახალგაზრდა დიმიტროვი დიდი ინტერესით კითხულობდა ბულგარეთში მარქსისტული პარტიის ფუძემდებლის — დიმიტრი ბლაგოევის ნაწარმოებებს: „ჩვენი მოციქულები“ და „ხრისტო ბოტევი“. მარქსისტული პოზიციებით გასხივოსნებული ბულგარეთის რევოლუციური წარსული დაეხმარა დიმიტროვს, ღრმად ჩასწვდომოდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის სოციალურ ფესვებს. მისთვის თანდათანობით ნათელი ხდებოდა მემკვიდრეობითობა, რომელიც არსებობდა ეროვნულ-რევოლუციურ მოძრაობასა (ოტომანური მბრძანებლობის პერიოდში) და მუშათა რევოლუციურ მოძრაობას შორის (1878 წელს ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ).

მწვავე სოციალურ საკითხებზე პასუხის ძიებისას ვ. დიმიტროვი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა რუსული მხატვრული ლიტერატურისადმი. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანმა „რა ვაკეთოთ?“ ამ წიგნმა განსაკუთრებული როლი შეასრულა დიმიტროვის იდეურ-პოლიტიკურ ჩამოყალიბებაში. მრავალი წლის შემდეგაც იგი დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებდა ამ ნაწარმოებს.

ბულგარელი და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეალებზე აღზრდილმა გ. დიმიტროვმა ახალგაზრდა მუშათა ჯგუფთან ერთად შეისწავლა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, კ. მარქსის „კაპიტალის“ პოპულარული გამოცემა,

გ. ვ. პლეხანოვის ნაწარმოები „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“, დ. ბლაგოევის „რა არის სოციალიზმი და აქვს თუ არა მას ნიადაგი ჩვენთან?“ კ.კაუცკის „ერფურტის პროგრამა“ და სხვ. იგი რეგულარულად კითხულობდა ჟურნალ „ნოვო ვრემიას“ და ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკს“, გაეცნო ვ. ი. ლენინის გაზეთ „ისკრაში“ გამოქვეყნებულ სტატიებს. მარქსისტული წიგნებისა და ბროშურების წაკითხვამ კიდევ უფრო გაუღრმავა დიმიტროვს სიყვარული ჩაგრულთა მიმართ. სტამბაში მომქანცველი შრომის შემდეგ ახალგაზრდა მუშა მიიჩქაროდა პარტიულ კლუბში, სადაც მეცადინეობდა მუშათა პირველ საღამოს სკოლაში. იქ იგი ისმენდა პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელების — დ. ბლაგოევის, გ. კირკოვის, გ. გეორგიევისა და სხვათა ლექციებს მარქსამდელი სოციალიზმის, მარქსის ეკონომიკური სწავლების ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის, ბულგარეთის ისტორიისა და სხვათა შესახებ. მოგვიანებით გ. დიმიტროვი ამბობდა: „მე ყველგან და ყოველთვის ვსწავლობდი, ვმუშაობდი სტამბაში და ვსწავლობდი; ვიმყოფებოდი პატიმრობაში — ვსწავლობდი; ლაიფციგის პროცესის დროსაც ვსწავლობდი. ლენინი ამბობდა, რომ უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ“ [1].

მიისწრაფოდა რა მრავალმხრივი განვითარებისაკენ, გ. დიმიტროვი დიდ ინტერესს იჩენდა კულტურის სხვადასხვა სფეროებისადმი. იგი გატაცებული იყო არა მხოლოდ ლიტერატურით, არამედ თეატრით და მუსიკითაც. ხშირად, დამქანცველი სამუშაო დღის ბოლოს, იგი თავის ისედაც მცირე ხელფასს გროშებს აკლებდა, რათა თეატრის ქანდარიდან ესმინა ნიჭიერი მსახიობებისათვის.

მიუხედავად ახალგაზრდობისა, დიმიტროვი შეუპოვრად გამოდიოდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული უსამართლობისა და დემაგოგიის წინააღმდეგ. 1898 წლის 1 მაისის მუშათა დემონსტრაციის გარეკვის შემდეგ, რომელსაც სისხლისღვრა მოჰყვა, ბურჟუაზიულმა პოლიტიკანმა ვასილ რადოსლავოვმა დაწერა სტატია, რომელშიც მუშებს, „უსახლკარონი, ლოთები და ქურდები“ უწოდა. მიუხედავად სამუშაოს დაკარგვის საშიშროებისა, გ. დიმიტროვმა უარი განაცხადა სტატიის ბეჭდვაზე, თუმცა მუშაობდა სტამბაში, რომელიც რადოსლავოვის პარტიას ეკუთვნოდა. სტამბის გაცოფებული პატრონი იძულებული გახდა დაეთმო ასოთამწყობის „თავხედობისათვის“ და ამოეღო შეურაცხმყოფელი გამოთქმები.

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 487 (ბულგარულ ენაზე).

მოგვიანებით გ. დიმიტროვი იგონებდა, რომ როდესაც 1915 წელს მან გაგზავნა სახალხო კრებაში პროტესტი ცენზურის შემოღების გამო, რადოსლავოვმა (რომელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო) უპასუხა, რომ მას არ ჰქონდა პროტესტის უფლება, რამდენადაც ახალგაზრდობაში იგი თავს უფლებას აძლევდა, ესწორებინა მისი სტატიები და კადნიერად გაეწია მათთვის ცენზურა. დიმიტროვმა მშვიდად მიუგო რადოსლავოვს: „ეს სხვადასხვა საკითხია, მაშინ, ისევე როგორც ახლა, მე ვიცავდი და ვიცავ მუშათა კლასის ინტერესებს და ღირსებას. თქვენ კი, მაშინაც და ახლაც, ახშობთ მუშათა კლასის აზრს. თქვენ ახლა ცენზურას იყენებთ იმისათვის, რომ დათრგუნოთ მშრომელები, ისევე როგორც მაშინ გამოიყენეთ თქვენი გაზეთი მუშების სალანძღავად. მე მაშინ ამის წინააღმდეგი ვიყავი და ახლაც იმავეს ვაკეთებ“ [1].

გ. დიმიტროვი ენერგიულად შეუდგა ბულგარეთში პირველი პროფკავშირული ბიბლიოთეკის შექმნისა და პირველი სოციალურ-შრომითი ანკეტის ჩატარების საქმეს, რაც მოიცავდა სოფიის ყველა სტამბას. მისი მონაწილეობით მუშა-მბეჭდავთა საზოგადოებამ მიიღო ღონისძიებანი მუშა-მბეჭდავთა საერთაშორისო კავშირში შესასვლელად.

ატარებდა რა მუშა-მბეჭდავთა შორის საორგანიზაციო და განმანათლებლურ მუშაობას, გ. დიმიტროვი ცხოველ ინტერესს იჩენდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გამართული პოლემიკისადმი „შემჭიდროებულ“ (тесные) და „გაშლილ“ (широкие) სოციალისტებს შორის. რევოლუციური მარქსისტები („შემჭიდროებული“ სოციალისტები), დიმიტროვის მეთაურობით, მტკიცედ გამოვიდნენ ოპორტუნისტთა („გაშლილი“ სოციალისტების) შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბურჟუაზიული პარტიების მიმართ და მოითხოვდნენ, რომ ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მთელი ყურადღება დაეთმო მუშებისათვის — მათი ორგანიზაციისა და მარქსისტული აღზრდისათვის. „გაშლილი“ სოციალისტების ოპორტუნისტული თეორიების საპირისპიროდ წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან „საერთო საქმის“ თაობაზე, მარქსიზმის „ფართო გაგების“ თაობაზე, რევოლუციური მარქსისტები იცავდნენ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ პრინციპებს, პარტიის პროლეტარულ ხასიათსა და მარქსიზმის რევოლუციურ შინაარსს. ისინი იცავდნენ აგრეთვე ბულგარეთის მუშათა კლასის ორგანიზაციულ, იდეურ და ტაქტიკურ საფუძვლებს, დამუშავებულს რიგ პოლემი-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 9, გვ. 438 (ბულგარულ ენაზე).

კურ სტატიებში დიმიტრი ბლაგოევის, გიორგი კირკოვისა და გავრილ გეორგიევის მიერ.

ოპორტუნიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ-მარქსისტულ მიმართულებათა გაცხარებული ბრძოლის დროს რევოლუციურ-მარქსისტული, პროლეტარული პარტიის შექმნისათვის 1902 წლის გაზაფხულზე დიმიტროვი მიიღეს ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად. თავის ზეპირ განცხადებაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, შედის რა პარტიის რიგებში, იგი ღრმად არის დარწმუნებული: მუშათა კლასის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის გზით და არა კლასობრივი კომპრომისით.

ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში შესვლის შემდეგ გ. დიმიტროვი მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით ჩაება ბულგარელი პროლეტარიატის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. სოფიის პარტიული ორგანიზაციის კლუბი მის მეორე სახლად იქცა. ერთდროულად იგი მუშაობას აგრძელებს მუშა-მბეჭდავთა საზოგადოებაშიც, სადაც მკაცრად გამოვიდა საზოგადოების რეფორმიზმის გზაზე დაყენების წინააღმდეგ „გაშლილი" (широкие) სოციალისტების მხრივ.

1903 წლის 23 თებერვალს სოფიის პარტიულ ორგანიზაციაში მოხდა განხეთქილება. ამას შედეგად მოჰყვა გამიჯვნა „ობშჩედელცებთან", რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარეთში მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის, ბულგარეთის მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის.

განხეთქილების წინა და მომდევნო დღეებში გიორგი დიმიტროვი არ იმყოფებოდა სოფიაში. როდესაც შეიტყო ასეთი მნიშვნელოვანი ამბავი (რომ დაიწყო განხეთქილება მბეჭდავთა საზოგადოებაში), იგი სასწრაფოდ დაბრუნდა დედაქალაქში და სხვა „შემჭიდროებულ" (тесные) სოციალისტებთან ერთად საკადრისი პასუხი გასცა საზოგადოებაში შემავალ „გაშლილ" (широкие) სოციალისტებს.

თავის სტატიაში „ოპორტუნიზმი და პროფკავშირები" გ. დიმიტროვმა ამხილა რეფორმისტთა ზრახვები და მაქინაციები მბეჭდავთა საზოგადოებაში და მოუწოდა თავის ამხანაგებს, ექციათ ეს საზოგადოება მებრძოლ, „პროლეტარული სოციალიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებულ"[1] პროფკავშირულ ორგანიზაციად.

უკვე ამ სტატიაში გამოჩნდა გიორგი დიმიტროვის ბრწყინვალე პუბლიცისტური ნიჭი. შემდგომში მან დაწერა ბევრი სტატია, ბრო-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 1, გვ. 2 (ბულგარულ ენაზე).

შურა და სხვა, რომლებშიც მხურვალედ იცავდა „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა შეხედულებებს, ოსტატურად უხსნიდა მუშებს ურთულეს იდეოლოგიურ პრობლემებს.

სამუშაოს დაკარგვის შემდეგ გიორგი დიმიტროვი განიცდიდა მატერიალურ სივიწროვეს, გაუუარესდა ჯანმრთელობაც. სამუშაოს ძებნაში იგი გადავიდა ქ. სამოკოვოში, სადაც „შემჭიდროებულ“ სოციალისტებს დაუკავშირდა და მარქსისტულ იდეებს ავრცელებდა ამერიკული კოლეჯისა და სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებში, რომლებიც ეუფლებოდნენ ზეინკლის ხელობას. ასეთი მოღვაწეობისათვის გიორგი დიმიტროვი დაითხოვეს კოლეჯის სტამბიდან და იგი იძულებული გახდა, კვლავ სოფიაში დაბრუნებულიყო.

ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის სათავეში

1904 წლის გაზაფხულზე „შემჭიდროებული“ სოციალისტების პარტიამ ფართო პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა ქვეყანაში საერთო პროფესიული კავშირების შესაქმნელად. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა მომავალი პროფკავშირული ცენტრის წესდება, რამაც დააჩქარა კავშირების შექმნის პროცესი.

1904 წლის 18—21 ივლისს ქ. პლოვდივში ჩატარდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) XI ყრილობა. ყრილობაზე გიორგი დიმიტროვი არჩეულ იქნა ბეჭდვითი საქმის კომისიის წევრად და მის მუშაობაში ძალზე აქტიური მონაწილეობა მიიღო. გარდა ამისა, დიმიტროვი იყო სოფიის მბეჭდავთა წარმომადგენელი მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა პარტიის ყრილობის შემდეგ. პირველსავე სხდომაზე დიმიტროვი აირჩიეს ერთ-ერთ მდივნად და წესდების პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრად. ყრილობის მუშაობა მნიშვნელოვნად გააადვილა იმ გარემოებამ, რომ პროფკავშირული მოძრაობის ძირითადი და პრინციპული საკითხები პარტიის ყრილობაზე იქნა გადაწყვეტილი. თავის გამოსვლაში დიმიტრი ბლაგოევმა აღნიშნა, რომ „კავშირმა მუშები უნდა გააერთიანოს კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, მიიღოს კლასობრივი ბრძოლის ორივე ფორმა და პირველი ნაბიჯებიდანვე დაამყაროს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი“ [1].

---

[1] „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ“, № 6, 28, VIII, 1904 (ბულგარულ ენაზე).

ეროვ. ბიბლ. გარეკ.
სახ. სახ. რეს.

სერიოზული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოცემული იყო მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ძირითადი პრინციპები. მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის წევრად აირჩიეს 22 წლის გიორგი დიმიტროვიც.

პროფკავშირების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად იგი ენერგიულად ჩაება ბულგარეთში კლასობრივი პროფკავშირული მოძრაობის საქმეში.

1904 წლის 23 აგვისტოს გიორგი დიმიტროვი აირჩიეს სოფიის მუშათა ადგილობრივი საბჭოს მდივნად. იგი სისტემატურად იმყოფებოდა მუშებს შორის, წარმართავდა მათ ბრძოლას ეკონომიკური ინტერესების დაცვისაკენ, ინსტრუქტირებას და ორგანიზაციას უწევდა საჯარო გამოსვლებს, გაფიცვებს და სხვ. მუშათა ადგილობრივი საბჭოს სხვა წევრებთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა ბრძოლას კუსტარების შესახებ არსებული კანონის წინააღმდეგ, გამოდიოდა 1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის დასაცავად.

დიმიტროვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიის ბრძოლაში ანარქისტ-ლიბერალების წვრილბურჟუაზიული ფრაქციის წინააღმდეგ, რომელმაც მისსავე რიგებში იჩინა თავი. ბულგარეთის მუშათა მოძრაობაში თავჩენილმა ამ ახალმა ოპორტუნისტულმა მიმდინარეობამ, რომელიც გამოდიოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის წინააღმდეგ, ენერგიული ფრაქციის საქმიანობა გააჩაღა სოფიისა და პროვინციების პარტიულ ორგანიზაციებში. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) XII ყრილობაზე (1905 წლის ზაფხული) პარტიის ხელმძღვანელებთან დ. ბლაგოევთან. გ. კირკოვთან, გ. გეორგიევთან, ქ. კაბაკჩიევთან და სხვებთან ერთად გიორგი დიმიტროვი მკაცრად გამოვიდა ანარქისტ-ლიბერალ ფრაქციონერთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკა მან მათი დეზორგანიზატორული საქმიანობა რევოლუციურ პროფკავშირულ მოძრაობაში მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის II კონგრესზე (1905 წლის 4—6 აგვისტო).

1905 წლის აგვისტოში დიმიტროვი არჩეულ იქნა სოფიის პარტიული ორგანიზაციის მდივნად და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის საქმისმწარმოებლად, რითაც ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ნდობა გამოუცხადა მას. დიმიტროვის, როგორც აქტიური, მაღალი კლასობრივი მარქსისტული შეგნების პროფკავშირული ხელმძღვანელის, ჩამოყალიბებაზე ნაყოფიერი გავლენა მოახდინეს დ. ბლაგოევმა და განაკუთრებით გ. კირკოვმა, რომელიც მეთაურობდა რევოლუციურ პროფკავშირულ ცენტრს. კირკოვი მამაშვილურად ეხმარებოდა დიმიტროვს რჩევა-

დარიგებებით, მხარს უჭერდა მის წამოწყებებს და ყოველთვის წარმოადგენდა მისთვის მუშათა კლასის საქმისათვის მხურვალე და დაუღალავი მებრძოლის მაგალითს. კირკოვი იყო არა მარტო გამოჩენილი ორატორი, არამედ ადამიანთა სულიერი სამყაროს აღმქმელიც, გააჩნდა ადამიანის შეცნობისა და დაფასების თანდაყოლილი უნარი. კირკოვის ნსგავსად, უდიდესი ენერგიისა და ორგანიზატორული ნიჭის მქონე დიმიტროვი მალე იქცა ხალხის საყვარელ პროფკავშირულ ხელმძღვანელად. იგი გამოირჩეოდა ორატორული ხელოვნებითაც, საუბრობდა გატაცებით, მკაფიოდ, უბრალოდ, რითაც ატყვევებდა აუდიტორიას.

დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მრავალმხრივი მოღვაწეობა გააჩაღა ანარქისტ-ლიბერალთა გასანადგურებლად. თავის გამოსვლებში სოფიასა და პროვინციებში იგი მტკიცედ და არგუმენტირებულად იცავდა პარტიის რიგებისა და რევოლუციური პროფკავშირების იდეურ სიწმინდეს, რითაც თავისი წვლილი შეჰქონდა პარტიისა და მუშათა საერთო სინდიკატური კავშირის წმენდის საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისში ბულგარეთში დაიწყო ახალი ეკონომიკური აღმავლობა. მნიშვნელოვანი პროგრესი იგრძნობოდა მრეწველობის განვითარებაში, საბანკო და სავაჭრო საქმეში. სოფლის მეურნეობაში, სულ უფრო მკვიდრდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, ძლიერდებოდა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ექსპლოატაცია. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა და გააძლიერა საგაფიცვო მოძრაობა.

ბულგარეთში მუშათა მოძრაობის აღმავლობა დაემთხვა რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისს. ამის ნათელი გამოვლინება იყო პერნიკის მეშახტეთა გაფიცვა 1906 წლის 18 ივლისს. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) ცენტრალური კომიტეტის დავალებით, გიორგი დიმიტროვი კირკოვთან ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობდა გაფიცვას. იგი მაშინვე ჩავიდა მეშახტეთა ცენტრში და სათავეში ჩაუდგა საგაფიცვო კომიტეტს. თავისი სიმტკიცით, სიმამაცითა და უსაზღვრო ენთუზიაზმით გ. დიმიტროვი აღაფრთოვანებდა მეშახტეებს და მოუწოდებდა ბრძოლისაკენ სამართლიან მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

მთავრობა ტერორისა და დემაგოგიის გზით შეეცადა ჩაეშალა გაფიცვა. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა გიორგი დიმიტროვიც, მაგრამ ხალხის უსაზღვრო გულისწყრომით დამფრთხალმა მთავრობამ იგი გაათავისუფლა. მალე გ. დიმიტროვი სათავეში ჩაუდგა მუშათა

დელეგაციას, რომელიც გაგზავნეს ვაჭრობის, მრეწველობისა და შრომის სამინისტროში. შემდეგ იგი თავკაცობს პერნიკის მეშახტეთა მხარდასაჭერად გამართულ მასობრივ დემონსტრაციას სოფიაში. მთელ რიგ თავის სტატიებში დიმიტროვმა ამხილა ხელისუფლების ძალადობის ფაქტები გაფიცულთა მიმართ და გამოამზეურა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნამდვილი სახე.

პერნიკის გაფიცვის შედეგად, რომელიც 35 დღეს გრძელდებოდა, მუშებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. გაფიცვა მათთვის და ახალგაზრდა დიმიტროვისათვის ნამდვილ პოლიტიკურ სკოლად იქცა.

1906 წელს, გაცხოველებული პარტიული და პროფკავშირული მუშაობის დროს, დიმიტროვი ეცნობა ლიუბა ივოშევიჩს და ცოლად ირთავს მას. ლიუბა დაიბადა კრაგუევაცში (ახლა იუგოსლავიაშია). პროფკავშირული მოძრაობის აქტიურმა მონაწილემ, ნიჭიერმა პროლეტარულმა პოეტმა და ჟურნალისტმა დიმიტროვთან ერთად გაიარა პროლეტარულ რევოლუციონერთა ნარეკლიანი გზა. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმტკიცითა და გამძლეობით. ლიუბა ივოშევიჩი დიდ ძალასა და ენერგიას ახმარდა გიორგი დიმიტროვის შემოქმედებით ზრდას, ეხმარებოდა მას პარტიის მიერ მიცემულ მნიშვნელოვან ამოცანათა შესრულებაში [1].

1906—1907 წლებში საგაფიცვო მოძრაობის ზრდამ, მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ორგანიზატორულ-პოლიტიკური მოღვაწეობის გაძლიერებამ, აგრეთვე ბურჟუაზიული რეაქციის შემოტევის მოგერიების საჭიროებამ წამოჭრა ბულგარეთში პროფკავშირული მოძრაობის ცენტრალიზაციის საკითხი. თავის სტატიებსა და გამოსვლებში დიმიტროვმა დაასაბუთა ცალკეულ პროფესიათა და საწარმოთა მუშების პროფესიული ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც გააერთიანებდნენ აქა-იქ მიმოფანტულ შერეულ პროფკავშირულ ჯგუფებს და „საშუალებას მოგვცემდნენ მათი ძალების ერთიან, მძლავრ პროფკავშირულ მოძრაობად კონცენტრირებისა“ [2].

გ. დიმიტროვი იდგა „პროგრესისტთა“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში. იგი ამხელდა ბულგარული პროფკავშირული მოძრაობის ამ ახალი მიმდინარეობის წვრილბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ არსს, რომელიც იბრძოდა პროფკავშირების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პარტიის მხრივ. დიმიტროვის ამ

---

[1] იხ. გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 14, გვ. 117 (ბულგარულ ენაზე).
[2] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 1, გვ. 65 (ბულგარულ ენაზე).

მოღვაწეობამ ხელი შეუწყო „პროგრესისტთა“ იზოლირებას მუშათა გარემოსაგან და მათ გაძევებას პარტიის რიგებიდან.

პროფკავშირული მოძრაობის ორგანიზაციისა და ბულგარეთის მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში გიორგი დიმიტროვი სულ უფრო მეტად იჩენდა თავს, როგორც ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწე, ბულგარეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; იგი გამსჭვალული იყო მაღალი მარქსისტული პრინციპებით, მუშათა კლასის ძალისა და მომავლისადმი ღრმა რწმენით, ბურჟუაზიისა და მისი ოპორტუნისტი დამქაშებისადმი შეურიგებლობით, პარტიისადმი თავდადებული ერთგულებით, მხურვალე პროლეტარული ინტერნაციონალიზმით, მტკიცე დისციპლინით, სოციალისტური იდეალებისათვის თავშესაწირად მზადყოფნით; ამასთანავე იგი აქტიურად ითვისებდა მასობრივი მუშაობის მეთოდებს.

1909 წლის 21 ივლისს პარტიის XVI ყრილობამ გიორგი დიმიტროვი აირჩია ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო ორი დღის შემდეგ, მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის VI ყრილობაზე, მას მიანდეს რევოლუციური პროფკავშირების ხელმძღვანელობა. 27 წლის დიმიტროვი, ბულგარეთის მუშათა კლასის საყვარელი პიროვნება და რჩეული, პროფკავშირული კომიტეტის მდივანი-ხაზინადარი ხდება, ამავე დროს — მეშახტეთა კავშირის მდივანი და მუშა-მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური მმართველობის თავმჯდომარე.

ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად დიმიტროვი მნიშვნელოვან დროს უთმობდა პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც. მან დაწერა ბევრი ბროშურა, სტატია, რომლებიც ქვეყნდებოდა თითქმის ყველა პარტიულ თუ პროფკავშირულ გაზეთსა და ჟურნალში. თავის ნაშრომებში იგი სისტემატურად ეხებოდა პროფკავშირული მოძრაობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხებს.

გიორგი დიმიტროვი მრავალი წლის მანძილზე რედაქტორობდა გაზეთ „პეჩატარს“, რომელიც მუშა-მბეჭდავთა კავშირის ორგანოს წარმოადგენდა, მეშახტეთა კავშირის ორგანოს — გაზეთ „რუდნიჩარს“. ერთ დროს იყო აგრეთვე ფოსტის მუშაკთა ორგანოს — „ტელეგრაფონოშჩერსკი რაბოტნიკის“ რედაქტორიც. მისი აქტიური მონაწილეობით მზადდებოდა პარტიული გაზეთის — „რაბოტნიჩესკი ვესტნიკის“ პროფკავშირული სვეტი. დიმიტროვი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა პროფესიული კავშირების ბეჭდვითი ორგანოების მიმართ. ავტორებსა და რედაქტორებს ამ გაზეთებისათვის არჩევდნენ რიგითი მუშებისა და მოსამსახურეებიდან, რომელთაც არ გააჩნდათ პროფესიული ჟურნალისტური გამოცდილება და საჭიროებდნენ მუდმივ მხარდაჭერას. დიმიტროვის წყალობით რევოლუცი-

ურ-პროფკავშირული პრესა ყოველთვის გამოირჩეოდა წაყენებული საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომით, იყო საინტერესო და იდეურად მტკიცე.

1910 წელს დაიბეჭდა გიორგი დიმიტროვის ბროშურა „პროფკავშირული მოძრაობა ბულგარეთში", რომელშიც მან განაზოგადა ბულგარეთის პროლეტარიატის ეკონომიკური ბრძოლის გამოცდილება. იკვლევდა რა ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებას, რომელსაც ოპორტუნისტები ჯიუტად უარყოფდნენ, და ხსნიდა ამ განვითარების ხასიათს, დიმიტროვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რევოლუციურმა პროფკავშირებმა იმიტომ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს, რომ „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტია ატარებდა სწორ პროლეტარულ პოლიტიკას, იცავდა მარქსიზმის რევოლუციურ პრინციპებს. ბროშურა არგუმენტირებულად ხსნიდა „ტესნესოციალისტურ" პროფესიულ ორგანიზაციათა უპირატესობას „ობშჩედელცებთან" შედარებით. იგი ძვირფას სახელმძღვანელოს წარმოადგენდა პროფკავშირული აქტივისათვის.

რევოლუციური პროფკავშირები მხოლოდ თავიანთი წევრების ეკონომიკური მოთხოვნილებების პრობლემათა გადაწყვეტით როლი იყვნენ დაკავებულნი; ისინი განამტკიცებდნენ სოციალისტურ მსოფლმხედველობას, ავითარებდნენ თავის წევრებს პოლიტიკურად, ეხმარებოდნენ მათ მეშჩანური და წვრილბურჟუაზიული ცრურწმენის დაძლევაში. გ. დიმიტროვი აღნიშნავდა: „სიცოცხლისმომსპობი ალკოჰოლიზმისა და უხეში სიბრიყვის ნაცვლად, მუშას უვითარდება ერთგულება მუშათა ორგანიზაციისადმი, პროლეტარული მორალი — არ მოიქცეს ისე, რომ შელახოს მუშათა კლასის ინტერესები და დაუპირისპირდეს სოციალისტურ იდეალს, უვითარდება ცოდნისადმი დაუცხრომელი სწრაფვა, მიდრეკილება მეცნიერებისაკენ, ფართოვდება მისი სულიერი ინტერესები, მისი გულისცემა უერთდება მებრძოლი საერთაშორისო პროლეტარიატის გულისცემას. ერთი სიტყვით, წარმოგვიდგება სრულიად ახალი ადამიანი ყველა თვალსაზრისით—პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი ყალიბდება შეგნებულ პროლეტარად, მებრძოლად" [1].

პროფკავშირებში გაერთიანებული მუშები დანარჩენი მუშებისაგან გამოირჩეოდნენ პოლიტიკური ალღოთი და მაღალი კულტურით. თავიანთი მოქმედებითა და გვერდითმყოფებისადმი დამოკიდებულებით ისინი მაგალითს წარმოადგენენ ამხანაგებისათვის, რითაც განსაკუთრებულ სიძულვილს იწვევდნენ მეწარმეებისა და მათი ლაქიების მხრივ.

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 1, გვ. 350 (ბულგარულ ენაზე).

გიორგი დიმიტროვი, შესანიშნავი ორატორი და მასების ორგანიზატორი, მოგზაურობდა ქვეყანაში, ატარებდა საჯარო კრებებს, ხელს უწყობდა ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებას. მას ხშირად უხდებოდა შეხლა-შემოხლა არა მარტო პოლიციასთან, არამედ „ობშჩედელცების"—ოპორტუნისტების წარმომადგენლებთანაც, რომლებიც მთელი ძალებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ „შემჭიდროებულ" სოციალისტთა მზარდი გავლენა მუშათა მასებზე.

გიორგი დიმიტროვი მაღალ შეფასებას აძლევდა საგაფიცვო ბრძოლას, რომელსაც მუშათა ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან საშუალებად თვლიდა. იგი ხშირად აღნიშნავდა, რომ ეს ბრძოლა ხელს უწყობდა პროლეტარიატის წვრთნას, მისი კლასობრივი და პოლიტიკური შეგნების ზრდას. ბრძოლის პროცესში მუშებს ყველაზე მეტად სჭირდებათ ძლიერი და მებრძოლი პროფკავშირები და პოლიტიკური ორგანიზაციებიო, მიუთითებდა იგი.

გიორგი დიმიტროვი საგაფიცვო ბრძოლების სულისჩამდგმელი იყო. 1909 წელს იგი ათჯერ მაინც ჩავიდა სოფელ კოსტენეცში, სადაც ასანთის ფაბრიკის მუშები უკვე რამდენიმე თვის მანძილზე იყვნენ გაფიცულნი, რათა დაეცვათ საკუთარი უფლება პროფკავშირული ორგანიზაციის თავისუფალი შექმნისა. მომდევნო წელს ამავე მიზეზით ადგენენ საბრძოლველად სპილენძის მაღაროს „პლაკალნიცასა" და რკინიგზის სადგურ ელისეინის სპილენძსადნობი ქარხნის მუშები, მასში დიმიტროვმაც მიიღო მონაწილეობა, რაც მას კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა: ერთ-ერთ კრებაზე გამოსელისას მას ესროლეს და ტყვიამ თავთან გაუზუზუნა. გაფიცულთა მამაცურმა ბრძოლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის საზოგადოებრიობაზე და ფართო გამოხმაურება პოვა საზღვარგარეთ. მემაღაროეთა ბრიუსელის საერთაშორისო კონგრესმა (1910 წლის 26 ივლისი) მიულოცა ბულგარელ მუშებს წარმატება და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის თავმჯდომარე მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს შემადგენლობაში აირჩია.

1910 წლის 16 ნოემბერს ბულგარელმა მბეჭდავებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი პროტესტს უცხადებდნენ სტამბის მეპატრონეებს, რომელთაც სურდათ მუშათა ინტერესების შემბღალავი წესები შემოეღოთ სტამბებში. ამ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს ნეიტრალური და რეფორმისტული პროფკავშირების მომხრეებმაც. შეიქმნა გაერთიანებული საგაფიცვო კომისია. გიორგი დიმიტროვი ხედავდა ყველა მუშის მოქმედების ერთიანობის აუცილებლობას, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა. მან უყოყმანოდ გაუწოდა ხელი „გაშ-

ლილ“ სოციალისტებს, მაგრამ არა ბურჟუაზიასთან „საერთო საქმისათვის“, არამედ მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით. ეს ნაბიჯი იმაზე მეტყველებდა, რომ შესაძლებელი იყო კაპიტალის თავდასხმის კოლექტიური მოგერიება. ამ გამოცდილების გამოყენება დიმიტროვს უნდოდა შემდეგაც, როცა ამუშავებდა ერთიანი შრომითი ფრონტის პრინციპებს.

1911 წლის მაისში რევოლუციური პროფკავშირების მამაცი ხელმძღვანელი სათავეში ჩაუდგა მანიფესტაციას, რომელიც მოაწყვეს პერნიკის გაფიცულმა მეშახტეებმა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა და ცივი ქარიანი ამინდისა, მუშები ფეხით ჩავიდნენ სოფიაში, სადაც აქტიურად გამოხატეს მთავრობის პოლიტიკისადმი უკმაყოფილება. იმავე წელს დიმიტროვი მხარში ამოუდგა ბურგასის გაფიცულ დოკერებს. აქაც, წინა გაფიცვების მსგავსად, პროლეტარიატი შეეჯახა მთავრობის ჯარებს, რომლებიც კაპიტალისტთა ინტერესებს იცავდნენ.

დიმიტროვს მიაჩნდა, რომ, გარდა საგაფიცვო მოძრაობისა, მუშებს თავიანთი მძიმე ხვედრის შემსუბუქება შეეძლოთ პროგრესული კანონმდებლობის შემოღებისათვის ბრძოლით. უმოწყალოდ ექსპლოატირებულ ბულგარელ მუშას არ სწამდა ხვალინდელი დღისა. როცა საწარმოში უბედური შემთხვევები ხდებოდა, მუშას სიკვდილი ერჩივნა შრომისუუნარო სიცოცხლეს. ასეთ დროს მისთვის უკანასკნელ „ნუგეშს“ საფლავი წარმოადგენდა, რაც თავიდან ააცილებდა შვილების შიმშილით სიკვდილის ხილვის საშინელებას. გიორგი დიმიტროვი ამბობდა: „დასახიჩრებული ან შრომისუუნარო მუშისათვის, ქვრივ-ობლებისათვის... არ არსებობდა არავითარი პენსია, მათ არავითარი დახმარებისა და ზრუნვის იმედი არ ჰქონდათ. მათ ერთი გამოსავალი რჩებოდათ — მიეღოთ თემისაგან ნებართვა... მათხოვრობისა!“ [1]

იმ წლებში შრომითი კანონმდებლობისათვის მებრძოლი ბულგარელი მუშების ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო 1905 წელს მიღებული კანონი ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვის შესახებ. ამ კანონის მტრებს კონტროლს უწევდნენ ე. წ. შრომითი კომიტეტები. ადმინისტრაციული სამსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ჩინოვნიკთა გარდა, მასში შედიოდა პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ არჩეული მუშათა წარმომადგენელიც. „შემჭიდროებულმა“ სოციალისტებმა ამ კომიტეტებში გააჩაღეს აქტიური მოღვაწეობა.

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 1, გვ. 474—475 (ბულგარულ ენაზე).

მუშათა კლასის ინტერესების დაცვისათვის კომიტეტის გამოყენების საქმეში დიდი როლი მიუძღოდა გიორგი დიმიტროვსაც.

ზემონახსენებ ბროშურაში „პროფკავშირული მოძრაობა ბულგარეთში“ გიორგი დიმიტროვმა ამხილა „ობშჩედელეცური“ პროფკავშირების ერთ-ერთი მოღვაწე, რომელიც ადრე პოლიციის აგენტი იყო. მისი სახელი არ იყო ნახსენები, მაგრამ მიუხედავად ამისა, „მოღვაწემ“ დიმიტროვს სასამართლოში უჩივლა. როგორც ბულგარულ ხალხურ ანდაზაშია ნათქვამი, „გრძნობდა კატა, ვის ხორცსაც ჭამდა“ — სასამართლომ არ დააყოვნა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მდივნის ერთი თვით საპატიმროში გაგზავნა.

დიმიტროვის თავისუფლების ხელყოფამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშათა მასებში. ამასთან დაკავშირებით 1912 წლის ზაფხულში მრავლად გაიმართა საპროტესტო მიტინგები. პატიმართა მძიმე ყოფა გამოააშკარავა დიმიტროვმა თავის წერილებში „შავი მეჩეთიდან“ (ეს იყო ციხე, რომელიც სძაგდა მთელ პროგრესულ ბულგარეთს). დასკვნით სტრიქონებში მან ხაზგასმით აღნიშნა: „ვერც ციხეები და ვერც დასჯის ყველაზე ბარბაროსული სისტემა ვერ მოსპობს საზოგადოებრივ რევოლუციურ მოძრაობას, როგორადაც გვევლინება პროლეტარიატის მოძრაობა, რომელსაც ღრმა და ხელშეუხებელი ფესვები აქვს გადგმული თვით ცხოვრებაში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში“ [1].

გიორგი დიმიტროვი არა მხოლოდ ბრძნულად ხელმძღვანელობდა რევოლუციურ პროფკავშირებს მწვავე კლასობრივ შეტაკებებში, არა მხოლოდ მოუწოდებდა მის წევრებს და ყველა მუშას სიმამაცესა და სიმტკიცისაკენ, პარტიის საქმისათვის თავდადებული სამსახურისაკენ, არამედ ზრდიდა მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ძმური პროლეტარული სოლიდარობის სულისკვეთებით. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული მისი პირველი ინტერნაციონალური კონტაქტებიც.

პროფკავშირული კომიტეტის მდივანი გ. დიმიტროვი შვეიცის (1909 წ.), გერმანიის (1910 წ.), ბელგიისა და რუმინეთის (1911 წ.) გაფიცულთა დასახმარებლად შეწირულებათა აკრეფის ყველა კამპანიის სულისჩამდგმელი იყო. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე ნორვეგიასა და სერბიაში (1911 წ.) ლოკაუტებისაგან დაზარალებული მუშების დახმარების საქმეს ბულგარეთის პროლეტარიატის მხრივ. ეს დახმარება მცირე იყო, მაგრამ იგი წარმოადგენდა საერთაშორისო სოლიდარობის გამოხატვას ბულგარელი მუშების მხრივ. პროლე-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 2, გვ. 249—267 (ბულგარულ ენაზე).

ტარული ინტერნაციონალიზმი შთააგონებდა მათ კაპიტალისტური უღლის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ პერიოდში გიორგი დიმიტროვმა კავშირი დაამყარა რუს სოციალ-დემოკრატებთან. ეს მან მოახერხა ციმბირში გადასახლებაში მყოფი ძმის — ნიკოლას მეშვეობით. მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის სამდივნომ ციმბირში მყოფი პოლიტიკური პატიმრებისაგან მიიღო ამაღელვებელი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საერთო პოლიტიკური შეხვედულებანი საუკეთესო ნიადაგს ქმნიან იდეური დაახლოებისათვის. არალეგალური გზებით ციმბირელ პატიმრებამდე აღწევდა „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტიული ორგანოს ნომრები. გიორგი დიმიტროვის ინტერნაციონალური კავშირები ყოველწლიურად ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა.

8. ინტერნაციონალური პროლეტარული მოვალეობისადმი ერთგულება

პოლიტიკური მოღვაწეობის პირველსავე წლებში გიორგი დიმიტროვმა თავი გამოიჩინა, როგორც მხურვალე მებრძოლმა ხალხთა შორის (პირველ რიგში — ბალკანეთის ხალხთა შორის) მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში, რომელსაც „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტია აწარმოებდა ბალკანეთის ბურჟუაზიის ნაციონალისტური და დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია თვლიდა, რომ იმ პირობებში ბულგარელი, აგრეთვე სხვა ბალკანელი ხალხის ეროვნული განთავისუფლება და გაერთიანება შესაძლებელი იყო მხოლოდ ბალკანეთის დემოკრატიული ფედერაციის ჩარჩოებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი კონფლიქტების თავიდან აცილება ბალკანეთის ხალხებს შორის და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტრიგებისაგან თავდაცვა.

ამ პერიოდში ბალკანეთის თავზე უკვე გროვდებოდა ომის მრისხანე ღრუბლები. აქ თავი იჩინა რთულ წინააღმდეგობათა მთელმა კომპლექსმა. ჩამორჩენილი, ნახევრად ფეოდალური თურქეთი მწვავე ეროვნული და სოციალური კონფლიქტების კერად იქცა. მაკედონია-ოდრინის რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მაკედონიისა და ოდრინის მხარის (ადრიანოპოლის ვილაიეთის) მოსახლეობა მრავალწლიან თავდადებულ ომს აწარმოებდა თურქეთის მრავალსაუკუნოვანი მონობისაგან თავის დასაღწევად. ამ ბრძოლის ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო ილინდენ-პრეობრაჟენსკოეს აჯანყება (1903 წ.). მდგომარეობა ბალკანეთში რთულდებოდა ახალგაზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოების ხრიკების გამო, რომლებიც დამატებითი სახსრების და ახალი ტერიტორიების, აგრეთვე ეროვნული გაერთია-

ნებისაკენ მიისწრაფოდნენ. ძლიერდებოდა მეტოქეობა მსხვილ იმპერიალისტურ ხელისუფლებათა შორისაც, რომლებიც ერთმანეთს ჰკიდებდნენ ბალკანეთის ხალხებს, აღვივებდნენ მათში შოვინისტურ განწყობილებას.

თურქეთში სოციალური, ეროვნული და რელიგიური წინააღმდეგობები საჭიროებდნენ ეროვნული და სოციალური საკითხების მხოლოდ რევოლუციის გზით გადაჭრას. მაგრამ დემოკრატიული ძალების სისუსტე ბალკანეთის ქვეყნებში და მმართველი ბურჟუაზიული წრეების მისწრაფება ჰეგემონიისაკენ ქმნიდა ომის გარდუვალობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. 1912 წელს ბულგარეთმა, საბერძნეთმა, სერბიამ და ჩერნოგორიამ კავშირი შეკრეს თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ ეს კავშირი არამყარი, არაგულწრფელი იყო.

ბალკანეთზე ომის საშიშროებამ დააჩქარა ბალკანეთის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების დაახლოება, გაძლიერდა კონტაქტები „შემჭიდროებულ“ სოციალისტებსა და სერბიელ სოციალ-დემოკრატებს შორის. ერთ-ერთი შეხვედრის დროს სერბიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა პირდაპირ აღნიშნა, რომ გიორგი დიმიტროვი ძლიერი ფიგურაა და ბულგარეთის საზოგადოებრივმა მოძრაობამ უნდა იამაყოს მისით. გიორგი დიმიტროვი მონაწილეობდა ბალკანეთის I სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაში, რომელიც შედგა 1909 წლის 25—27 დეკემბერს სერბიის დედაქალაქ ბელგრადში. კონფერენციამ ნიღაბი ახადა ბალკანეთის ქვეყნების ბურჟუაზიასა და ძონარქიას, როგორც იმპერიალისტ მტაცებელთა ერთგულ იარაღს. მან სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს მიმართა მოწოდებით ბალკანეთში ეროვნული ანტაგონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბალკანელი ხალხის დაახლოებისა და მეგობრობისათვის.

კონფერენციის შემდეგ გიორგი დიმიტროვი თან ახლდა ბულგარეთის სოციალისტური მოძრაობის ფუძემდებელს დ. ბლაგოევს ქ. კრაგუევაცში ყოფნისას. ისინი დიდი სიხარულით მიიღეს და მათ პატივსაცემად მოიწვიეს ხალხმრავალი კრება. დიმიტროვი იყო ბალკანეთის პროფკავშირულ ორგანიზაციათა მოქმედების გაერთიანების ინიციატორი, რაც შეესაბამებოდა კონფერენციის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებას. 1911 წელს მიღწეულ იქნა თანხმობა მუშათა საერთო სიხდიკატურ კავშირსა და სერბიის პროფკავშირებს შორის კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის თაობაზე.

1912 წელს გიორგი დიმიტროვი იმ დელეგაციის წევრია, რომელიც „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტიამ გაგზავნა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისდამი დაქვემდებარებული

პროფკავშირების ყრილობაზე. ყრილობის მონაწილენი დიმიტროვის მისასალმებელ გამოსვლას მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. ყველა დაეთანხმა მის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ბალკანეთის პროლეტარიატი უნდა გაერთიანდეს და თავისი ქვეყნები აქციონ მიუვალ ზღუდედ იმპერიალისტური ხრიკების წინააღმდეგ. იმ პერიოდში დიმიტროვმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარა რუმინეთის პროფკავშირებთან და სიტყვითაც გამოვიდა რამდენიმე კრებაზე. ამისათვის იგი დააპატიმრეს და გაასახლეს რუმინეთიდან.

ბულგარეთში დაბრუნებისას დიმიტროვმა გამოაქვეყნა „წერილები რუმინეთიდან", რომელშიც მოიტანა საინტერესო მონაცემები ამ ქვეყნის პარტიისა და პროფკავშირების მდგომარეობაზე. მან ბულგარეთის პროგრესულ საზოგადოებას გააცნო რუმინელ მუშათა მოძრაობის ისტორიისა და განვითარების საკითხები.

ბალკანეთის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ბურჟუაზიისა და მონარქიზმის ნაციონალისტურ პოლიტიკას. მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ძალები არ ჰყოფნიდათ შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. 1912 წლის 5 ოქტომბერს ბალკანელმა მოკავშირეებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებანი ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ. ჯარისკაცები ენთუზიაზმით, მთელი მონდომებით იბრძოდნენ, რადგანაც იგი პროგრესულ ხასიათს ატარებდა. ბულგარეთის არმიამ სასახელო გამარჯვებები მოიპოვა ლოზენგრადთან, ლიულე-ბურგასთან, ბუნარ-ხისარომთან, ოდრინთან (ადრიანოპოლთან) და ბულაირომთან. მოკავშირეებმა გაანთავისუფლეს ბალკანეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც მანამდე თურქეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. დაიმსხვრა ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები. განთავისუფლებულ ტერიტორიებს გზა გაეხსნათ კაპიტალისტური განვითარებისაკენ.

მაგრამ მალე მოკავშირეთა შორის გაჩაღდა ტერიტორიული დავა და ურთიერთობა დაიძაბა. კონფლიქტი გარდუვალი ხდებოდა. ბულგარეთისათვის ასეთ რთულ მომენტში „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტია არ ღალატობდა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, პირიქით, უფრო თამამად წამოაყენა მშვიდობისა და ბალკანეთის ფედერაციის ლოზუნგები.

ომმა დეზორგანიზაცია შეიტანა პარტიულ და პროფკავშირულ მუშაობაში. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ჯარში გაიწვიეს. ცენზურამ აკრძალა გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკის" გამოცემა. დიმიტროვმა ყოველი ღონე იხმარა პარტიული ორგანოს გამოცემის განახლებისათვის. მისი ენერგიული საქმიანობის წყალობით რევოლუციური პროფკავშირები წარმატებით

იკრებდნენ ძალებს. თანდათანობით განმტკიცდა კავშირი ცენტრსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის. ჩატარდა პროვინციების პროფკავშირულ ხელმძღვანელ მუშაკთა კრებები. მუშათა საერთო სინდიკალურმა კავშირმა ჯარში გაწვეული და ფრონტზე დაღუპული პარტიისა და პროფკავშირის წევრთა ოჯახების დასახმარებლად დაიწყო თანხების შეგროვება. იმასთან დაკავშირებით, რომ ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირები მძიმე ფდგომარეობაში აღმოჩნდა, გიორგი დიმიტროვმა დახმარებისათვის მიმართა პროფკავშირების საერთაშორისო სამდივნოს. მან სპეციალური მიმართვა გაუგზავნა რუსეთის პროფესიულ კავშირებსაც, რომელიც გამოქვეყნებული იყო ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდაში". რუსეთში, მართლაც, ჩატარდა სახსრების შესაგროვებელი კამპანია ბულგარეთის პროფკავშირთა დასახმარებლად.

გიორგი დიმიტროვი დაუღალავად უხსნიდა მასებს „შემჭიდროებულ" სოციალისტთა შეხედულებებს, ამხელდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების სამარცხვინო საქციელს. იგი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდებს მოუწოდებდა, ბალკანელი ხალხის ბრძოლის მახვილი მიემართათ ბურჟუაზიისა და მონარქიის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ესწრაფოდნენ ტერიტორიათა დაპყრობას და ნახევარკუნძულზე გაბატონებას. გიორგი დიმიტროვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მუშათა ამოცანას სხვათა ინტერესებისათვის სანგარში სიკვდილი კი არ შეადგენდა, არამედ ორგანიზება და დარაზმვა, მზადება გარდუვალი კლასობრივი ბრძოლებისათვის, რომელიც თანდათან მწიფდებოდა ახალ პირობებში. დიმიტროვი წერდა: „ასე მოვემზადებით მთელი ძალებით ამ ერთადერთი განმათავისუფლებელი ომისათვის, რომელიც, ნაცვლად სიკვდილისა და გაკოტრებისა, რაც ახლანდელ სამხედრო ავანტიურებს მოსდევს, მოიტანს სამუდამო მშვიდობას, თავისუფლებას და ბედნიერებას ყველა ხალხისათვის" [1].

პარტიის გაფრთხილება ახდა. 1913 წლის 16 ივნისს იფეთქა ომმა მოკავშირეთა შორის, რომელიც ყველა მებრძოლი სახელმწიფოსათვის უსამართლო და მძარცველური იყო. ამ ომში ბულგარეთმა პირველი ეროვნული კატასტროფა განიცადა. დაიფლითა მაკედონია და ოდრინის მხარე (ადრიანოპოლის ვილაიეთი). ბულგარეთის ტერიტორიას მოგლიჯეს სამხრეთი დობრუჯა. ქვეყანა გაიკვნა ლტოლვილებით მაკედონიიდან, ოდრინის ფრაკიიდან და დობრუჯიდან.

ომი დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა მშვიდობისა და ბალკანეთის ფედერაციისათვის არ შეწყვეტილა. ბალკანელ ხალხს ახალი უბედუ-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 2, გვ. 310 (ბულგარულ ენაზე).

რება ელოდა. „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტიამ კიდევ უფრო მაღლა აღმართა საბრძოლო დროშა. იზრდებოდა მისი გავლენა, მტკიცდებოდა პოზიციები. გიორგი დიმიტროვი იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტიული მოღვაწე, რომელიც ძალას არ იშურებდა ბურჟუაზიისა და მონარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი ხელმძღვანელობით მუშათა საერთო სინდიკალურმა კავშირმა კვლავ დაიკავა ის ადგილი, რომელიც მან ჯერ კიდევ ომამდე მოიპოვა.

პარლამენტის არჩევნების დროს, 1913 წელს, „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტიამ დიდ წარმატებას მიაღწია — მან 18 მანდატი მოიპოვა. პირველად თავის სიცოცხლეში დიმიტროვმა გადააბიჯა სახალხო კრების ზღურბლს. ამ დროიდან მას სისტემატურად ირჩევდნენ დეპუტატად, გარდა გასახლებაში ყოფნის წლებისა. დიმიტროვი პარლამენტის ტრიბუნიდან ამხელდა ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობას და იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს. მისი მკაფიო სიტყვები გულის სიღრმიდან მოედინებოდა, მისი პირით მუშური სიმართლე ლაპარაკობდა.

გიორგი დიმიტროვი არჩეულ იქნა „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფის მდივნად, რომელსაც მეთაურობდა დიმიტრი ბლაგოევი. ჯგუფმა წამოაყენა მოთხოვნილებანი: პასუხისგებაში მიეცათ ეროვნული კატასტროფის დამნაშავენი და ფართო ამნისტია გამოეცხადებინათ ომის დროს გასამართლებული ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. დიმიტროვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში, რომელიც მოეწყო სახალხო კრების გახსნის დღეს. „შემჭიდროებული“ სოციალისტები მეფე ფერდინანდს შეხვდნენ შეძახილებით: „ძირს ბულგარეთის ხალხის მკვლელი!“, „ძირს მონარქიზმი!“ და პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომათა დარბაზი. სიბრაზისაგან აკანკალებულმა მონარქმა ძლივს მოიკრიბა ძალა სამეფო სიტყვის წარმოსათქმელად. ამის შემდეგ, თავისი დანაშაულებრივი მეფობის ბოლომდე, მას პარლამენტში შესვლა აღარ გაუბედავს.

ვასილ როდოსლავოვის რეაქციულმა მთავრობამ, რომელიც რევანშისტულ პოლიტიკას ატარებდა გერმანიისა და ავსტრიის იმპერიალიზმთან კავშირში, ვერ მიიღო ხმათა უმრავლესობა არჩევნებზე და პარლამენტი დაიშალა. ახალ საარჩევნო კამპანიაში მთავრობის ტერორსა და რეპრესიებს ფართო გასაქანი მიეცა. ყველაზე მძვინვარე დარტყმები „შემჭიდროებულ“ სოციალისტებს ხვდათ. ხშირად აპატიმრებდნენ მათ აგიტატორებსა და დეპუტატობის კანდიდატებს, დასცინოდნენ. განსაკუთრებული სიავით დაესხა თავს პოლიცია გიორგი დიმიტროვს. მიუხედავად ამისა, მუშათა მამაცი ტრიბუნი კვლავ განაგრძობდა მგზავრობას ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, სადაც მშრო-

მელთა წინაშე გამოდიოდა აღმაფრთოვანებელი, გამამხნევებელი სიტყვებით.

1914 წლის 8 იანვარს პოლიციამ დაშალა წინასაარჩევნო კრება ქ. ბიალა-სლატინში და დაასმინა დიმიტროვი, როგორც მოსახლეობის ბუნტის წამქეზებელი. 1914 წლის 2 თებერვალს დიმიტროვი დააპატიმრეს ქ. ბერკოვიცში. ქალაქ ვრაცის სასამართლო თანახმა იყო გაეთავისუფლებინა იგი იმ დროისათვის მსხვილი გირაოს — სამი ათასი ლევის გადახდის შემთხვევაში. გარდა ამისა, კიდევ მოსთხოვეს 500 ლევის გადახდა მეორე დასმენისათვის, რომელიც ეკუთვნოდა ლიუტიბროდის ქალაქის თავს. ამ საჩივარში დიმიტროვს ბრალად ედებოდა მეფის პიროვნების შეურაცხყოფა.

მთავრობის დევნამ ვერ შეაშინა დიმიტროვი, ვერ დააქვეითა მისი აქტიურობა საარჩევნო კამპანიაში. იგი თავის მეუღლეს სწერდა: „ვინც ესწრაფვის მშვიდ ცხოვრებას, იგი ვერ იქნება სოციალ-დემოკრატიული მოღვაწე. უსიამოვნებანი ჩვენ ვერ შეგვაშინებს“ [1].

მხოლოდ ტერორისა და ფალსიფიკაციის საშუალებით შეძლო მთავრობამ მიეღწია სასურველი შედეგისათვის საარჩევნო კამპანიაში. „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტიამ მაშინ 11 მანდატის მოპოვება შეძლო, ე. ი. წინანდელთან შედარებით რამდენიმე მანდატით ნაკლები. „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს დიმიტრი ბლაგოევი, ხოლო მდივნად — გიორგი დიმიტროვი.

1914 წლის 30 მაისს სოფიის საოლქო სასამართლოს განჩინებით დიმიტროვი არჩეულ იქნა დედაქალაქის თემის მრჩეველად, მეკავშირეთა ომში დაღუპული პარტიის აქტივისტის — დიმიტრი მონოვის ნაცვლად. 1915 წლის მაისში დიმიტროვს კვლავ მრჩეველად ირჩევენ. ამ პოსტზე მან თავი გამოიჩინა, როგორც ხალხის ინტერესების ნამდვილმა დამცველმა.

იმ პერიოდში „ობშჩედელცები“ მოუწოდებდნენ ორივე პროფკავშირულ ცენტრს, გაერთიანებულიყვნენ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საფუძველზე. ისინი ცდილობდნენ „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტიის ჩამოცილებას შუშათა კლასისაგან, რათა შეუმცირებინათ მისი გავლენა და მნიშვნელობა.

გიორგი დიმიტროვს უდიდესი დამსახურება მიუძღვის პროფკავშირების ერთიანობის საკითხებზე „ობშჩედელცების“ ოპორტუნის-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, წერილები, 1905—1949, სოფია, 1962, გვ. 52 (ბულგარულ ენაზე).

ტულ შეხედულებათა მხილების საკითხში. დიმიტროვი თავის სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბულგარეთის მუშათა კლასის პროფკავშირები უნდა გაერთიანდნენ, გადაიქცნენ ძლიერ და შასობრივ ორგანიზაციად, რათა წარმატებას მიაღწიონ კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თვითონ ყოველთვის მიისწრაფოდა ნეიტრალურ ანუ „ობშჩედელცურ“ პროფკავშირებთან მოქმედების ერთიანობისაკენ მუშათა ინტერესების დაცვის მიზნით. ასე მოიქცა ის 1910 წელს მუშა-მბეჭდავთა გაფიცვის დროს, აგრეთვე 1914 წელს— მუშა-მეთამბაქოეთა გაფიცვისას ქსანტიში, მეთამბაქოეები გაერთიანებული იყვნენ პროფესიული საზოგადოების „დაცვაში“, რომელიც ნეიტრალური იყო, ე. ი. არ უკავშირდებოდა არც მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს, არც ე. წ. თავისუფალ პროფკავშირებს — „ობშჩედელცებს“, 1914 წლის აპრილში საზოგადოებამ გაფიცვა გამოაცხადა კაპიტალისტთა ცდის წინააღმდეგ, დაერღვიათ მუშებთან მოლაპარაკების პირობები, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე იყო დადებული, როცა ქალაქი ოტომანთა იმპერიის უღელქვეშ იმყოფებოდა. მუშათა საერთო სინდიკალურმა კავშირმა ყოველმხრივი დახმარება გაუწია გაფიცულთ და ამით ხელი შეუწყო მათ მიერ ადრე მიღწეულ მონაპოვართა შენარჩუნებას.

იბრძოდა რა ბულგარეთის მუშათა კლასის პროფკავშირული ერთიანობისათვის, გიორგი დიმიტროვი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ეს ერთიანობა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ რევოლუციური სოციალიზმის დროშით. იგი წერდა: „მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის უმთავრესი ამოცანა იყო და არის მთელი ქვეყნის ყველა პროფესიის მუშათა ორგანიზება და ბრძოლაში სრული ერთიანობის მიღწევა, ბულგარეთის პროლეტარიატის გაერთიანება დამოუკიდებელი კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე“...[1]

დიმიტროვს არ გადაუხვევია ამ პოზიციიდან. დამოუკიდებელი კლასობრივი ბრძოლის პოზიცია ითვალისწინებდა არა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, როგორც „ობშჩედელცები“ თვლიდნენ, არამედ მჭიდრო და განუხრელ კავშირს ბულგარეთის პროლეტარიატის რევოლუციურ მარქსისტულ პარტიასთან. ამ კავშირის წყალობით მტკიცდებოდა და ვითარდებოდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირი, მაშინ როცა რეფორმისტულ პროფკავშირებში მიმდინარეობდა მწვავე შინაური ომები, სუსტდებოდა და თანდათანობით კარგავდა გავლენას მუშებზე.

დავამ პროფკავშირების გაერთიანებისათვის „შემჭიდროებულ“

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 154 (ბულგარულ ენაზე).

სოციალისტებსა და „ობშჩედელცებს“ შორის პროფკავშირული ინტერნაციონალიც მოიცვა. ამის საბაბი გახდა საერთაშორისო სამდივნოს უარი ინტერნაციონალში მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მიღების თაობაზე. საერთაშორისო სამდივნოს დებულების თანახმად, პროფკავშირული ინტელიგენციის წევრობა შეეძლო თითოეული ქვეყნიდან მხოლოდ ერთ პროფკავშირულ ცენტრს. ბულგარეთის ორივე პროფესიულ კავშირს რჩევა მიეცა — გაერთიანებულიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობდა ორი პარტია, რომელთაგან თითოეული ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ პროფესიულ კავშირს. ასეთი „რეკომენდაცია“ ხელსაყრელი იყო „ობშჩედელცებისათვის“.

ბულგარეთის პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის საკითხი განხილულ იქნა VII საერთაშორისო პროფკავშირულ კონფერენციაზე ბუდაპეშტში (1911 წლის 27—29 ივლისი). მუშათა საერთო სინდიკალური კავშირიდან ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ვასილ კოლაროვმა და გიორგი დიმიტროვმა.

დიმიტროვმა წაიკითხა მოხსენება გერმანულ ენაზე ბულგარეთში პროფკავშირული მოძრაობის მდგომარეობის შესახებ. მოგვიანებით ეს მოხსენება გამოიცა ბულგარეთში ცალკე ბროშურის სახით. მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მდივანმა უამრავი დამადასტურებელი ფაქტი მოიტანა იმის თაობაზე, რომ თავისუფალი პროფკავშირები ნეიტრალურია მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი ექვემდებარება „გაშლილი“ სოციალისტების პარტიას. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა მათ დაშლას და სისტემატურ წარუმატებლობას. და პირიქით, მუშათა საერთო სინდიკალური კავშირი და მისი სექციები იზრდებოდა, მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მჭიდრო ურთიერთობით. დიმიტროვი აღნიშნავდა: „ეს მჭიდრო და ბუნებრივი კავშირი მუშათა მოძრაობის ორ ფრთას შორის ჩვენს ქვეყანაში ქმნის ყველაზე საიმედო გარანტიას ბულგარეთის პროლეტარიატის პროფკავშირული მოძრაობისა და კლასობრივი ერთიანობის მართებული განვითარებისათვის“ [1].

მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის უპირატესობა იმდენად ნათელი იყო, რომ ეს არ შეეძლოთ არ ეღიარებინათ პროფკავშირული ინტერნაციონალის ლიდერებს, თუმცა ისინი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი ბულგარელი რეფორმისტების მიმართ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ინტერნაციონალიდან „ობშჩედელცების“ პროფესიული კავშირის გარიცხვის თაობაზე; მაგრამ მის მაგივრად მუშათა

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 426 (ბულგარულ ენაზე).

საერთო სინდიკალური კავშირი არ მიუღიათ. ორივე ცენტრს ორგანიზებული გაერთიანებისათვის ბიეცა ორი წლის ვადა. გიორგი დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ცალმხრივია, რამდენადაც არ შეიძლება ორ პროფესიულ კავშირს შორის ტოლობის ნიშნის დასმა, მით უმეტეს რეკომენდაციის მიცემა გაერთიანებისათვის მათი ხასიათის გაუთვალისწინებლად. მაგრამ იგი მაინც თვლიდა, რომ ინტერნაციონალიდან „ობშჩედელცების" გარიცხვას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა „თავისუფალ" პროფკავშირებს ხელიდან გამოეცალათ შესაძლებლობა, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტი გამოეყენებინათ ბულგარელ მუშებზე ზემოქმედებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუდაპეშტის პროფკავშირულ კონფერენციას ბულგარეთის პროფკავშირების გაერთიანების საქმისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. მან ვერ მიუთითა წინაპირობა: რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო გაერთიანება? მისი არათანმიმდევრულობა კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობის საკითხში გამორიცხავდა „შემჭიდროებულ" სოციალისტთა ყოველგვარ თანხმობას „ობშჩედელცებთან". გიორგი დიმიტროვი პარტიულ და პროფკავშირულ პრესაში გამოქვეყნებულ თავის სტატიებში მიუთითებდა, რომ მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ამოცანები არ ეთანხმება „ობშჩედელცების" პროფკავშირულ ცენტრთან გაერთიანების უნაყოფო მოლაპარაკებებს, რასაც რეკომენდაციას უწევდნენ ინტერნაციონალის ლიდერები. „ახლა, ბუდაპეშტის კონფერენციის შემდეგ, ჩვენი ამოცანაა, — წერდა გიორგი დიმიტროვი, — არაორგანიზებულ მუშათა მასებს ბიძგი მივცეთ სრული გაერთიანებისკენ სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ, პროფესიული კავშირების რიგებში" [1].

ბალკანეთის ომების შემდეგ (1912—1913 წწ.) პროფკავშირულმა ინტერნაციონალმა კვლავ მოსთხოვა მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს რეფორმისტულ პროფკავშირებთან გაერთიანება.

ინტერნაციონალმა 70000 მარკა გამოყო ბულგარეთსა და სერბიაში პროფესიული ორგანიზაციების აღსადგენად. ინტერნაციონალის ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ბულგარეთის პროფკავშირები გამოყოფილ თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ ორივე ცენტრი გაერთიანდებოდა. მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ფინანსური მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. რევოლუციურ პროფკავშირებს ესაჭიროებოდათ მატერიალური დახმარება. მაგრამ გიორგი დიმიტროვმა აღნიშნა, რომ ეს გარემოება ვერ აიძულებდა „შემჭიდროებულ" სოციალისტებს დაეთმოთ თავიანთი

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 1, გვ. 491 (ბულგარულ ენაზე).

პოზიციები პროფკავშირების გაერთიანების საკითხში. მან აღნიშნა, რომ, თუ ინტერნაციონალის ლიდერებს გულწრფელად სურდათ დახმარება გაეწიათ ბულგარეთის მუშათა კლასის პროფესიული ორგანიზაციებისათვის, ისინი უნდა დახმარებოდნენ სწორედ მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს, რომელმაც თავისი სიძლიერე და სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა ბალკანეთის ომებში.

რევოლუციური პროფკავშირები გიორგი დიმიტროვის მეთაურობით ორჯერ იდგა რთული გამოცდის წინაშე: ვენის ინტერნაციონალურ კონფერენციაზე და ბულგარეთში კარლ ლეგინის ჩამოსვლის დროს. ორივე შემთხვევაში დიმიტროვს „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა კლასობრივი პრინციპების ენერგიული დაცვა მოუხდა.

ვენის კონფერენცია ჩატარდა 1913 წლის 27 სექტემბერს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, სერბიის, ხორვატიისა და ბოსნიის წარმომადგენლები. დიმიტროვი კონფერენციაზე წარდგა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მდგომარეობის ანგარიშით და მოითხოვა, რომ გაერთიანების საკითხი არ დაეკავშირებინათ ფულადი დახმარების საკითხთან, რამეთუ ბულგარეთში პროფკავშირების გაერთიანება ვერ განხორციელდებოდა ზოგიერთი აუცილებელი წინაპირობის გარეშე. „ობშჩედელცების“ წარმომადგენლებმა უარყვეს მისი წინადადება. ისინი მოითხოვდნენ ინტერნაციონალის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულებას. რამდენადაც კონფერენციამ დააკავშირა ეს ორი საკითხი, იგი ფაქტიურად მიეძღვნა ბულგარეთში ორი პროფკავშირული ცენტრის გაერთიანებას.

ზემოქმედების ძალა ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ გიორგი დიმიტროვმა მას ბოლომდე გაუძლო. კონფერენციაზე და მასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიებში მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ხელმძღვანელი საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ ბულგარეთში პროფკავშირული ერთიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის გზით, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ გარკვეული პროფესიის მუშათა პროფკავშირული ორგანიზაციების გაერთიანებაზე ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში (სოფიაში, პლოვდივში, ვარნასა და სხვა), სადაც „ობშჩედელცებმა“ შეძლეს თავიანთი ორგანიზაციების აღდგენა. მაგრამ გაერთიანებული საზოგადოებები უნდა შევიდნენ მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირში და დაემორჩილონ „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა ხელმძღვანელობას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიმიტროვს მიაჩნდა, რომ შეიძლებოდა რეფორმისტული პროფკავშირების მხოლოდ იმ ნაწილთან გაერთიანება, რომელიც გადავიდოდა მარქსისტულ პოზიციებზე. ეს შეხედულება თავისთავად სწორი იყო, მაგრამ „შემჭიდროებულმა“ სო-

ციალისტებმა ძალიან ცოტა რამ გაიკეთეს იმისათვის, რომ დახმარებოდნენ თავისუფალი პროფკავშირების შემარცხენე ძალებს ნაბდვილ რევოლუციურ პოზიციებზე დადგომაში. აი, ამიტომ არ დაგვიგვინდა წარმატებით ბულგარეთის მუშათა კლასის პროფკავშიოული გაერთიანების ცდები.

მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირზე ახალი ზემოქმედების მიზნით, პროფკავშირულმა ინტერნაციონალმა 1914 წლის აპრილში ბულგარეთში გაგზავნა თავისი ერთ-ერთი ლიდერთაგანი — კარლ ლეგინი. სოფიაში ჩამოსვლისას მან განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო გასცნობოდა საქმის ფაქტიურ ვითარებას, რათა შემდგომში შეეთავაზებინა ინტერნაციონალისათვის თავის რიგებში იმ ცენტრის მიღება, რომელიც უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი იყო. სინამდვილეში ლეგინი ყოველნაირად ცდილობდა „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა წინააღმდეგობის დაძლევას. მისი აზრით, პროფესიულ ორგანიზაციათა მთავარი ამოცანა იყო ბრძოლა მუშათა კლასის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, კულტურის ასამაღლებლად, ხოლო მათ წინაშე პოლიტიკური მიზნების დაყენება არასწორად მიაჩნდა. აი, რატომ თვლიდა ლეგინი, რომ პროფესიული ორგანიზაციები დამოუკიდებლად უნდა იქმნებოდეს და ნეიტრალური პოზიცია ეჭიროს ორივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ, საერთოდ სოციალიზმის მიმართ. როგორც ვხედავთ, ლეგინის პოზიცია თითქმის არაფრით განსხვავდებოდა „ობშჩედელცების“ პოზიციისაგან.

გიორგი დიმიტროვმა უარყო ლეგინის წინადადებათა ძირითადი დებულებები. მან მტკიცედ განაცხადა, რომ მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს ინტერნაციონალის მხრივ ფულად დახმარებაზე ფეტად მორალური მხარდაჭერა სჭირდებოდა. ხედავდა რა ლეგინის მოქმედების ოპორტუნისტულ ხასიათს, ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალს არ შეეძლო გაერთიანების დეკრეტირება. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ მოლაპარაკება არ ჩაშლილიყო, დიმიტროვმა წინადადება წამოაყენა, მოეწვიათ საერთო კონგრესი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით თითოეული პროფკავშირების რაოდენობის შესაბამისად. კონგრესს უნდა გაერკვია მომავალი გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციის ხასიათი, ტაქტიკა და დამოკიდებულება „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტიასა და „ობშჩედელცებს“ შორის. მან აგრეთვე დაუმატა, რომ გაერთიანება უნდა მომხდარიყო პროლეტარიატის პოლიტიკურ და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის ერთიანობის აღიარებით და უნდა დამყარებოდა მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ პრინციპებს.

დიმიტროვის წინადადება მოულოდნელი იყო რეფორმისტული

პროფკავშირების წარმომადგენელთათვის და მათ მაშინვე უარყვეს იგი, რადგან საერთო კონგრესზე მათი დელეგატები უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ. მაშინ ლენინმა შეწყვიტა დისკუსია. იგი იძულებული გახდა გულახდილად ეღიარებინა მისი ბედკრული მისიის ჩაშლა.

თუმცა ლენინის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ პროფკავშირების გაერთიანების საკითხი კვლავ აღელვებდა მუშათა მასებს. განსაკუთრებით ძლიერი იყო რეაქცია რეფორმისტულ პროფკავშირებს შორის. მისი წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოსცილდა „ობშჩედელცების“ პარტიას, რადგან სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისი ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური ხასიათი.

ამ რთული გამოცდის ჟამს კიდევ ერთხელ დამტკიცდა გიორგი დიმიტროვის ერთგულება მარქსიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მიმართ.

1914 წლის აგვისტოში იფეთქა პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა. ეს ომი შედეგი იყო ორ მტრულ ბანაკს — ანტანტასა (საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი) და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი) ბლოკს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისა. მალე ომში ჩაება სხვა სახელმწიფოებიც და მან ჯერ საერთო-ევროპული, შემდეგ კი მსოფლიო ხასიათი მიიღო. ომი არასამართლიანი, დამპყრობლური იყო. იგი მიმდინარეობდა კოლონიების გადანაწილების, მსოფლიოში ბატონობისათვის. ხალხის მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად თითოეული მეომარი სახელმწიფოს მმართველი წრეები ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს სწორედ მათი ქვეყნები შეიქნენ თავდასხმის მსხვერპლნი და იბრძოდნენ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის.

როცა დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, ბულგარეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი დაიცავდა მკაცრ ნეიტრალიტეტს, მაგრამ სინამდვილეში ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა ბლოკისაკენ ჰქონდა აღებული გეზი. თავის მხრივ, ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტიები მოითხოვდნენ ბულგარეთის ანტანტის ქვეყნებთან შეერთებას. მათ მიემხრნენ აგრეთვე მიწათმოქმედთა კავშირი და „გაშლილი“ სოციალისტები.

ბულგარელ რეფორმისტთა პოზიცია არ იყო შემთხვევითი. იგი ასახავდა II ინტერნაციონალის იდეურ შინაარსს. მისმა ლიდერებმა დაივიწყეს პროლეტარული ვალი და უღალატეს მარქსიზმს. მათ წამოაყენეს „სამშობლოს დაცვისა“ და „სამოქალაქო მშვიდობის“ შენარჩუნების გამცემლური ლოზუნგები, რამაც ისინი ბურჟუაზიის ბრმა იარაღად აქცია. საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის იმ

შეძიმე დღეებში მხოლოდ რუსეთის ბოლშევიკები, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, აწარმოებდნენ თანმიმდევრულ ბრძოლას იმპერიალისტური ომის, სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ.

ისინი გამოვიდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, წამოაყენეს ლოზუნგი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის თაობაზე. ყველა ჯანსაღი, მარქსიზმის ერთგული სოციალისტური ძალა თანდათანობით დაირაზმა ბოლშევიკების გარშემო.

გადამწყვეტი გამოცდა წარმატებით გაიარა „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტიამაც. თუმცა პარტია არ იყო შეიარაღებული იმ იდეებით, რომლებიც მარქსიზმის განვითარებაში ვ. ი. ლენინის შემოქმედებით წვლილს წარმოადგენდა, მან მაინც საქმით დაამტკიცა, რომ იგი იყო ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალური პარტია. „შემჭიდროებულმა" სოციალისტებმა ომის დასაწყისშივე გამოხატეს სიმპათიები ბოლშევიკებისა და ყველა სოციალ-დემოკრატის მიმართ, რომლებიც ერთგულნი იყვნენ რევოლუციური მარქსისტული პრინციპებისადმი. მათ უარყვეს პოლიტიკა, რომელიც უბიძგებდა ბულგარეთს ომში ჩაბმისაკენ რომელიმე იმპერიალისტური ბანაკის მხარეზე და მოითხოვდნენ ნეიტრალიტეტს, რაც ხელს შეუწყობდა ბალკანეთის ქვეყნებს შორის სადავო საკითხების მშვიდობიან რეგულირებას.

როგორც ნამდვილი „შემჭიდროებული" სოციალისტი, გიორგი დიმიტროვი, დადგა ინტერნაციონალურ პოზიციაზე. მისთვის ჩვეული ენერგიით ჩაება იგი პარტიის ყველა ოპოზსაწინააღმდეგო ღონისძიებაში. დიმიტროვი იქცა უსაყვარლეს ორატორად საჯარო კრებებსა და მიტინგებზე, რომლებზეც კვლავ გაისმოდა „შემჭიდროებულ" სოციალისტთა ლოზუნგები: „ძირს ომი, გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის!", „ძირს ცენზურა!", „გაუმარჯოს ბალკანეთის ფედერაციულ რესპუბლიკას!"

გიორგი დიმიტროვი იმ ბრძოლის მოწინავე პოზიციაზე იმყოფებოდა, რომელსაც „შემჭიდროებული" სოციალისტები აწარმოებდნენ ბალკანეთის ხალხის ფედერაციული რესპუბლიკისა და მშვიდობისათვის. იგი არაერთხელ გამოსულა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მკაფიო იყო მისი სიტყვა, წარმოთქმული სახალხო კრებაზე 1914 წლის 19 ნოემბერს სამხედრო მიზნით დამატებითი კრედიტის გამოსაყოფად კენჭისყრის დროს. აქ მან გააშუქა პარტიის ძირითადი პოზიციები. პარლამენტის ჯგუფის სახელით დიმიტროვმა განაცხადა, რომ „შემჭიდროებული" სოციალისტები არა მხოლოდ ამ კრედიტს ეწინააღმდეგებიან, არამედ ყველა სამხედრო კრედიტსაც, რადგან ისინი ქვეყანას სახიფათო მომავალს უქადიან. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემო-

კრატიულ პარტიას არაფერი აქვს საწინააღმდეგო იმ ხარჯებისა და კრედიტების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ ბულგარეთის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას. „ჩვენი ჯგუფის სახელით ადრეც ვაცხადებდით, — აღნიშნა გიორგი დიმიტროვმა, — რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ომის წინააღმდეგნი ვართ, მკვეთრად გამოვდივართ რა მილიტარიზმის წინააღმდეგ, მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლის გასაღებად სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, თუკი მის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას საშიშროება ემუქრება... მაგრამ ჩვენ არ გავიღებთ არც ერთ სტოტინკას, არც ერთ წვეთ სისხლს იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც მივყევართ ბულგარეთის არა განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, არამედ დაღუპვისაკენ. ასეთია ჩვენი ძირითადი იდეა, ჩვენი პრინციპული პოზიცია“ [1].

ამგვარად, „შემჭიდროებული“ სოციალისტები არ უარყოფდნენ, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში ცალკეული ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ქვეყანა შეიძლება გახდეს საზღვარგარეთული აგრესიის მსხვერპლი, რაც იძულებულს გახდის აწარმოოს სამართლიანი ომი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ასეთი სამართლიანი ომის დროს სოციალ-დემოკრატებმა არ უნდა დაიშურონ ძალები აგრესორთა მოსაგერიებლად. ეს პოზიცია ვ. ი. ლენინის პოზიციას უახლოვდებოდა.

ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, გიორგი დიმიტროვმა თავის, როგორც მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მდივნის, გამოსვლაში, მხარი დაუჭირა სერბიელ პროფკავშირებს. მან ინტერნაციონალისაგან მიღებული თანხიდან 3000 მარკა გადაურიცხა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ, ცეცხლმოდებულ და სისხლით მორწყულ მოძმე მეზობელი ქვეყნის პროფკავშირებს. როგორც პარლამენტის ჯგუფის წევრმა, დიმიტროვმა მონაწილეობა მიიღო კამპანიებში, რომლებიც იმართებოდა სერბიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, გაზეთ „რადიჩკე ნოვინეს“ მხარდასაჭერად, ციმბირში გადასახლებულ რუს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა დახმარებისათვის თანხების შესაკრებად. 1915 წლის 22 თებერვალს საერთო-ბალკანურ მიტინგზე, რომელიც სოფიაში მოიწვიეს „შემჭიდროებულმა“ სოციალისტებმა, მან წარმოადგინა რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა პარტიის ძირითად ლოზუნგებს.

გიორგი დიმიტროვი იყო ბალკანეთის II სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის დელეგატი. კონფერენცია ჩატარდა 1915 წლის 5—8 ივლისს ბუქარესტში. აქ იგი აირჩიეს რეზოლუციის შემმუშავე-

---

[1] XVI სახალხო კრების დღიურები, I სესია, გვ. 484 (ბულგარულ ენაზე).

ბელ კომისიაში. მან შეიტანა ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის შექმნის წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობდა ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების კიდევ უფრო დაახლოებას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ბუქარესტი გამხდარიყო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს ადგილსამყოფელი.

დიმიტროვმა კონფერენციის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა. მან აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატია ბალკანეთზე შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის პრინციპების ერთგული რჩება და ძალზე ენერგიულად გამოდის „სამოქალაქო მშვიდობის" მოღალატური ლოზუნგების წინააღმდეგ. კონფერენციამ ცხადყო ბალკანეთის პროლეტარიატის სურვილი, აღდგენილიყო ინტერნაციონალიზმი რევოლუციური სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. მისალმებები გაეგზავნათ კარლ ლიბკნეხტსა და როზა ლუქსემბურგს. სოლიდარობა გამოუცხადეს მარქსიზმის ერთგულ სხვა პროლეტარულ მოღვაწეებსაც.

1915 წლის 14 ოქტომბერს მეფე ფერდინანდმა და რადოსლავოვის მთავრობამ ბულგარეთი ჩააბეს მსოფლიო ომში, რის გამოც ბულგარელი ხალხი იძულებული გახდა სისხლი ეღვარა გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესებისათვის.

„შემჭიდროებულ" სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფმა მიმართა ხალხს საყოველთაო მობილიზაციის თაობაზე, რის გამოც მისი წევრების მიმართ აღძრეს სასამართლო საქმე. მიმართვაში ჩანდა „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტიის ანტისაომარი და ანტიიმპერიალისტური პოზიცია. „ჩვენ, — წერდნენ მიმართვაში დეპუტატები, — „შემჭიდროებული" სოციალისტები, ვაცხადებთ, რომ ბალკანეთის ხალხს ვერაფერი გათიშავს, ხოლო ურთიერთმქლეტი ომისაკენ მათ ხელს ჰკრავენ მმართველი კლასებისა და დინასტიის კაპიტალისტური და დინასტიური ინტერესები. ბალკანელი და ევროპელი ხალხის გადარჩენა ძომავალი მსოფლიო ომის საშინელებათაგან შესაძლებელია კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის დამხობით. ამას კი მივაღწევთ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის შეურიგებელი რევოლუციური კლასობრივი ბრძოლით, საერთაშორისო სოლიდარობით. ჩვენ ძმურად ვართმევთ ხელს სერბიის, რუმინეთის, საბერძნეთისა და თურქეთის მუშებს..." [1].

როგორც კი დამთავრდა სამხედრო კამპანია სერბიის წინააღმდეგ (1915 წლის შემოდგომაზე), როდოსლავოვის მთავრობამ მოითხოვა,

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტია კონგრესების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ტ. I, 1831—1918, სოფია, 1957, გვ. 445 (ბულგარულ ენაზე).

რომ სახალხო კრებას კენჭი ეყარა კრედიტისათვის, რომელიც სჭირდებოდა მთავრობას ომის გასაგრძელებლად. ყველა ოპოზიციური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა სასწრაფოდ გამოუცხადა ნდობა მმართველ ხროვას. მხოლოდ „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფმა, დიმიტრი ბლაგოევის მეთაურობით, უარი განაცხადა ამაზე. ერთიანმა და მონოლითურმა პარტიამ ერთსულოვნად უარყო სამხედრო კრედიტი.

„ობშჩედელცებმა“ კვლავ უღალატეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. მათ ვერ გაბედეს აშკარად დაეჭირათ მთავრობის მხარე და თავი შეიკავეს კენჭისყრისაგან, არ უნდოდათ ასეთ გადამწყვეტ მომენტში ხელი შეეშალათ „ეროვნული ძლიერების გამოვლენისათვის“. ამით მათ, ფაქტობრივად, სოლიდარობა გამოუცხადეს ბულგარეთის ბურჟუაზიის ჰეგემონისტურ პოლიტიკას, თუმცა ცდილობდნენ შენიღბულად ემოქმედათ.

მონარქიისა და ბურჟუაზიის საამხედრო პოლიტიკის მწვავე კრიტიკასთან ერთად გიორგი დიმიტროვი მხურვალედ იცავდა მუშათა მასების ინტერესებს. შამაცი სახალხო ტრიბუნი ხაზს უსვამდა ხალხის მასების აღშფოთებას იმის გამო, თუ რა უსულგულოდ ეკიდებოდა მთავრობა ისეთ მწვავე პრობლემებს, როგორიც იყო მოსახლეობის სურსათით მომარაგება და ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენა. როდესაც სოფიის მუნიციპალურ საბჭოზე ქალაქის თავმა წინადადება შეიტანა ფრონტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შეწყვეტის თაობაზე იმ მოტივით, რომ თითქოს ამ ოჯახებისათვის ზაფხულში უფრო იოლია თავის გატანაო, დიმიტროვმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ასეთი გაუგონარი ცინიზმი, ამხილა ბურჟუაზიის ცრუპატრიოტიზმი. იგი აღშფოთებული იყო იმით, თუ როგორ შეეძლოთ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს პატრიოტები ეწოდებინათ საკუთარი თავისათვის და გულზე ხელის ბაგუნით გამოეხატათ თავისი გრძნობები. ბურჟუაზიის პატრიოტიზმი ვერ სცილდება მათ უხეშ მატერიალურ ინტერესებს. ნამდვილი პატრიოტები სოციალ-დემოკრატები არიან, რამეთუ მათ უანგაროდ უყვართ სამშობლო, თავისი ხალხი და ასევე უანგაროდ ემსახურებიან მას.

ქვეყანაში გრძელდებოდა სასურსათო კრიზისი. დიმიტროვი გამოვიდა სოფიის მუნიციპალიტეტში და წინადადება წამოაყენა, რომ მოეხდინათ პირველი მოხმარების საგნების კონფისკაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დაევალებინათ მოსახლეობისათვის მისი სამართლიანად განაწილება. ამასთან, ამბობდა იგი, დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ხორბლის შესყიდვა და პურის გამოცხობა.

ყველა ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენელმა ერთსულოვნად უარყო ეს წინადადება. ისინი წინააღმდეგი იყვნენ თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვის ყოველგვარი ცდისა, რაც სამხედრო პირობებში სხვას არას წარმოადგენდა, თუ არა სპეკულანტების მფარველობას. მუნიციპალური მრჩეველები, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებს მიეკუთვნებოდნენ, აფრთხილებდნენ მთავრობაში შემავალ კოლეგებს, რომ არ აჰყოლოდნენ დიმიტროვის სიტყვებს.

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა ქვეყანაში, გიორგი დიმიტროვი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა პროფკავშირული მუშაობის მაღალი დონე. მისი უშრეტი ენერგიის წყალობით რევოლუციურმა პროფკავშირებმა თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა შეინარჩუნა ომის ყველაზე მძიმე წლებშიც. საბოლოოთამდე სექცია აგრძელებდა ჩვეულ საქმიანობას, ზოგიერთი პროფკავშირი სისტემატურად უწევდა ფულად დახმარებას ჯარში გაწვეულ თავის წევრებს, უგზავნიდნენ მათ ამანათებს და წერილებს. შეუპოვარი გაფიცვებიც კონკრეტულად გამოხატავდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ქვედანაყოფთა ბრძოლისუნარიანობას.

ომის დროს გიორგი დიმიტროვი ხშირად გამოდიოდა ხალხო კრებებზე და სოფიის მუნიციპალიტეტში, სადაც იცავდა მუშათა ინტერესებს, მათ უფლებებს შრომის კანონმდებლობაში, მოითხოვდა მშრომელთა შშიერი ოჯახებისათვის ეფექტური დახმარების გაწევას. ეს გამოსვლები ამაღლებდნენ მის, როგორც პროლეტარიატის მხურვალე დამცველის, ავტორიტეტს. მათში გამოხატული იყო „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ იმპერიალისტურ ომს აუცილებლად მოჰყვებოდა პროლეტარული რევოლუცია, რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. დიმიტროვი აცხადებდა: „მომავალი მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი საწინდარია კაპიტალიზმის შეცვლა სოციალიზმით, კაპიტალისტური საზოგადოების შეცვლა სოციალისტური საზოგადოებით. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია კაცობრიობის გამოყვანა ჩიხიდან, რომელშიც მოაქცია იგი ბურჟუაზიამ, სოციალიზმის გარეშე არ არსებობს მშვიდობა“[1].

ახდა „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა („ტესნიაკების“) წინასწარმეტყველება — 1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის ცარიზმი. რუსი ხალხის გამარჯვებამ ძალა და რწმენა შემატა მათ. „ტესნიაკების“ გამოსვლები ომისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ უფრო გაბედული გახდა. 1917 წლის 1 მაისს მთელ ქვეყანაში გამოცხადდა ზეიმი. სოფიაში პარტიულ სახალხო სახლში შეიკრიბა

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, მ., 1957, გვ. 42 (რუსულ ენაზე).

2000-მდე მუშა. ორატორთა შორის იყო დიმიტროვიც, რომელიც შთაგონებულად მოუწოდებდა მშრომელებს რევოლუციური დროშის ქვეშ დარაზმვისაკენ.

„შემჭიდროებული“ სოციალისტები მტკიცედ დადგნენ ლენინურ პოზიციებზე ომის, მშვიდობისა და რევოლუციის საკითხებზე. 1917 წლის ზაფხულში ისინი გაბედულად, აშკარად უჭერდნენ მხარს ბოლშევიკებს.

ნელა, მაგრამ მტკიცედ ახლოვდებოდა დღეები, რომელზეც ოცნებობდა გიორგი დიმიტროვი. იგი დაუღალავად მოგზაურობდა ქვეყანაში, ფრონტის ხაზამდეც კი მიაღწია. დიმიტროვი შთააგონებდა და რაზმავდა მშრომელებს, მიუთითებდა ბრძოლის სწორ გზაზე. დახურულ კრებებზე იგი მათ მოუწოდებდა გრანდიოზული რევოლუციური მოვლენებისათვის მზადყოფნისაკენ. იგი განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდა, როდესაც ხედავდა, თუ როგორ ძლიერდებოდა პარტიის გავლენა, როგორ დგებოდნენ მუშები მის მხარეზე.

თავი მეორე

ოქტომბრის მძლავრი ზეგავლენით

1. დიმიტროვის რევოლუციური აქტივობის ამაღლება

1917 წელს რუსეთში გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ბურჟუაზია დაემხო და ძალაუფლება გადავიდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხების ხელში. მსოფლიოს ისტორიაში პირველად დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხელისუფლების ფორმით და საფუძველი ჩაეყარა ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ნიშნავდა მარქსისტულ-ლენინური იდეების ზეიმს. მან მძლავრად უბიძგა მუშათა საერთაშორისო მოძრაობის განვითარებას და გააღრმავა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ დაწყებული კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისი. ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ახალი ერა — სოციალიზმისა და კომუნიზმის ერა. მან ცხადყო, რომ არსებობს იმპერიალისტური ომიდან რევოლუციური გამოსავალი და საქმით დაამტკიცა ომზე, მშვიდობასა და რევოლუციაზე ბოლშევიკური ლოზუნგების სისწორე. რევოლუციურმა მოვლენებმა რუსეთში უდიდესი გავლენა მოახდინა კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელთა შეგნებაზე, შთააგონა რწმენა საკუთარი ძალების მიმართ და დასახა ბრძოლის გზები ომისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუციამ დიდი გამოხმაურება პოვა ბულგარელი ხალხის ყველა ფენაში. მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია აღფრთოვანებით შეხვდა რევოლუციის გამარჯვებას. ხალხის სიხარულისა და ენთუზიაზმის გამომხატველი იყო „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტია, რომელმაც მაშინვე ჯეროვნად შეაფასა რუსეთის რევოლუციური მოვლენების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. „ეს იყო საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის პირველი გამარჯვება კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმზე, — წერდა გიორგი დიმიტროვი, — და მსოფლიო რევოლუციის დასაწყი-

ში"[1]. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი კი, აღნიშნავდა იგი, „საერთაშორისო მუშათა რევოლუციის სიმბოლოდ იქცა"[2].

გიორგი დიმიტროვი ერთ-ერთი ორატორი იყო მიტინგზე, რომელიც მოაწყო „შემჭიდროებულ" სოციალისტთა პარტიამ სოფიაში 1917 წლის 2 დეკემბერს. დედაქალაქის მშრომელებმა რუსეთის პროლეტარიატს მიულოცეს გამარჯვება და მოითხოვეს, რომ ბულგარეთის მთავრობას მიეღო საბჭოთა წინადადებანი დემოკრატიული მშვიდობის შესახებ ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე. ამ საკითხზე გიორგი დიმიტროვმა სოფიის მუნიციპალიტეტში ორჯერ შეიტანა წინადადება და მოითხოვდა კენჭისყრას საბოლოო რეზოლუციის მიღებით.

იმის თაობაზე, თუ რა მაღლა ეჭირა გიორგი დიმიტროვს ინტერნაციონალიზმის დროშა, შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, მისი გამოსვლით სოფიის მუნიციპალიტეტში, სადაც მან მკვეთრად გაილაშქრა ყოველგვარი მოსალოდნელი საზეიმო შეხვედრის წინააღმდეგ გერმანიის კაიზერის ბულგარეთში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ეს ზეიმი, განაცხადა მან, ისეთი პოლიტიკის გამოხატულება იქნება, რომელსაც ბულგარელი ხალხი არ იზიარებს. და თუ მუნიციპალურ მრჩეველებს, ხაზგასმით აღნიშნა დიმიტროვმა, ხალხის ნება-სურვილის გამოხატვა სურთ, მათ უნდა მოითხოვონ საბჭოთა მთავრობის წინადადების მიღება დემოკრატიული მსოფლიოსა და ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ. გერმანიის კაიზერთან შეხვედრის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დიმიტროვი კვლავ გამოვიდა სოფიის მუნიციპალიტეტში და პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭომ თანხები გაიღო ამ ზეიმისათვის. მან ხმა აღიმაღლა მონარქიზმის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო ბულგარეთის რესპუბლიკის გამოცხადება.

გიორგი დიმიტროვმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო პარტიის რევოლუციური მოღვაწეობის აქტივიზაციის საქმეში, რომელმაც ზეპირგზიც და ფრონტზეც არალეგალურად გაავრცელა მოწოდებანი, ბროშურები და სხვა სახის მასალა. მკაცრი ცენზურის მიუხედავად, პარტიული გაზეთი რეგულარულად აქვეყნებდა ცნობებს რუსეთის რევოლუციის შიმდინარეობის შესახებ. იმ პერიოდში პარტიის მრავალი მოღვაწე დააპატიმრეს და სამართალში მისცეს. პოლიცია საიდუმლოდ უთვალთვალებდა დიმიტროვსაც. პოლიცია ყოველი ღონისძიებით ცდილობდა დაეპატიმრებინა დიმიტროვი კსანტისა და გიუმიუჯინში მისი ყოფნის დროს. 1918 წლის იანვარში ჩაატარეს ჩხრე-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 80 (ბულგარულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 57.

კა და დაპატიმრებანი მაკომპრომეტირებელი მასალის შეკრების მიზნით, მაგრამ პოლიციის ყველა ცდა ამაო გამოდგა.

გ. დიმიტროვი კვლავ მოგზაურობდა ქვეყანაში, ამხნევებდა მუშებს, მოუწოდებდა მათ საბრძოლველად ბურჟუაზიისა და მონარქიზმის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს მის წინააღმდეგ მოაწყვეს პროცესი, რათა ჩაშოეცილებინათ იგი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისაგან. მიუხედავად მარჯვე და გონივრული დაცვისა, დიმიტროვს მიუსაჯეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმით. მას ბრალად დასდეს, რომ იგი ომიანობის დროს აქეზებდა სამხედრო მოსამსახურეებს და მოუწოდებდა დისციპლინის დარღვევისა და ურჩობისაკენ. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო დიმიტროვის, როგორც დეპუტატის, იმუნიტეტი. ბურჟუაზია ანგარიშს არ უწევდა საკუთარ კანონებს და არავითარ საშუალებებს არ თაკილობდა, როცა საქმე მიდგებოდა მათი კლასობრივი ბატონობის დაცვაზე. ამგვარად, 1918 წლის 29 აგვისტოს პროფკავშირთა მამაცი მეთაური სოფიის ცენტრალურ საპატიმროში აღმოჩნდა.

თანდათან თვალსაჩინო ხდებოდა, რომ ბულგარეთი ომში აუცილებლად დამარცხდებოდა. ქვეყანაში გამწვავდა კრიზისი, სულ უფრო გაღრმავდა უთანხმოებანი მმართველ წრეებში. რადოსლავოვის მთავრობა დაეცა. იგი შეცვალა კოალიციურმა მთავრობამ, რომელსაც არავითარი არსებითი ცვლილებები არ მოუხდენია. ქვეყანაში იქმნებოდა ჯარისკაცთა არალეგალური კომიტეტები. სულ უფრო აქტიურად ებმებოდნენ ომის წინააღმდეგ ბრძოლაში სამიწათმოქმედო კავშირის წევრები და მისი მიმდევრები, რომელთაც მიჰყვებოდნენ სოფლის მშრომელები.

როდესაც 1918 წლის სექტემბრის მიწურულში დობრო პოლესთან გარღვეულ იქნა ფრონტი, ჯარისკაცებმა თავდაცვის მეორე ხაზზე კი არ დაიხიეს (როგორც ამას მთავარსარდლობის ბრძანება მოითხოვდა), არამედ შეაბრუნეს იარაღი ეროვნული კატასტროფის გამომწვევთა წინააღმდეგ. ქალაქ რადომირში აჯანყებულებმა ბულგარეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს. ჯარისკაცთა აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ სამიწათმოქმედო კავშირის ხელმძღვანელები ალექსანდრე სტამბოლიისკი და რაიკო დასკილოვი.

„შემჭიდროებული“ სოციალისტების („ტესნიაკების“) პარტია ჯეროვნად ვერ აფასებდა გლეხების რევოლუციურ შესაძლებლობებს, რომელნიც აჯანყებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. მას ჯერ კიდევ ვერ აეთვისებინა ლენინური მოძღვრება სოციალიზმისათვის ბრძოლის შეთავსებისა დემოკრატიისათვის ბრძოლასთან. აი, რატომ არ ჩაუდგა პარტია სათავეში აჯანყებას და არ წამოიწყო ქვე-

ყანაში აჯანყებულთა მხარდასაჭერი კამპანია. ამ გარემოებამ განაპირობა მისი წარუმატებლობა.

ჯარისკაცთა აჯანყების წინ, 1918 წლის 22 სექტემბერს, ჩატარდა არალეგალური პარტიული კონფერენცია, სადაც გამოვლინდა ბრძოლის ამოცანებისა და ფორმების სხვადასხვაგვარი გაგება. გაისმოდა მმართველი ზედაფენის წინააღმდეგ უფრო ენერგიული მოქმედებისკენ მოწოდებელი ხმები, რაც არ გამორიცხავდა სამიწათმოქმედო კავშირის მემარცხენე ხელმძღვანელობასთან მოქმედების ერთიანობას.

გიორგი დიმიტროვს არ შეეძლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რადგანაც ციხეში იმყოფებოდა, მაგრამ იგი ახალ შეხედულებათა მომხრეების რიცხვში იყო. გ. დიმიტროვი, ტიპური „შემჭიდროებული" სოციალისტი, აღზრდილი იყო პარტიის რევოლუციური ტრადიციების სულისკვეთებით. მისთვის უცხო არ იყო პარტიაში არსებული სისუსტეები და ნაკლოვანებები, მაგრამ იგი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლებში. ციხეში ყოფნისას მან კონტაქტი დაამყარა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის დაპატიმრებულ მოღვაწეებთან. ასე მივიდა იგი დასკვნამდე, რომ „შემჭიდროებულ" სოციალისტებს აუცილებლად უნდა მიეღოთ მონაწილეობა აჯანყებაში. სწორედ ეს მისწერა დიმიტროვმა ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობამ არ მიიღო მისი რეკომენდაცია. დიმიტროვი არ დაეთანხმა იმ არგუმენტებს, რომლებიც მოჰქონდათ პარტიის პოლიტიკის გასამართლებლად ჯარისკაცთა აჯანყების მიმართ. როგორც ჩანს, „შემჭიდროებულ" სოციალიზმს არ გააჩნდა საკმარისი თეორიული შეიარაღება, რომ გაერკვია პარტია ახალ რევოლუციურ სიტუაციაში. პარტიას კურსი უნდა აეღო საფუძვლიანი გარდაქმნებისაკენ, რევოლუციური განვითარებისაკენ, ლენინიზმის იდეებით შეიარაღებისაკენ.

დამთავრდა ომი. გალატაკებულ და გაძარცულ ბულგარეთს უნდა ეკისრა მძიმე პირობები იმპერიალისტური სამშვიდობო მოლაპარაკებისა, რომელიც შედგა ნეიაში 1919 წელს. ქვეყანაში უკმაყოფილება მატულობდა. მთავრობის კაბინეტები ერთმანეთს ცვლიდნენ. სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ჩაებეს სამიწათმოქმედო კავშირი და „ობშჩედელცების" პარტია. ბურჟუაზია ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ჩაეხშო მასების რევოლუციური აღმავლობა და ეხსნა თავისი ბატონობა. როგორც ჩანს, რომ დაეშოშმინებინათ საზოგადოებრივი აზრი, მსჯავრდადებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაათავისუფლეს. მათ რიცხვში იყო დიმიტროვიც, რომელიც ცენტრალური საპატიმროდან გამოვიდა 1918 წლის 16 დეკემბერს, სადაც დაჰყო თითქმის ოთხი

თვე. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ დიმიტროვი ახალი ენერგიით ებმება მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში.

„შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პარტია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. მის წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანები დგა. მას უნდა გაეძლიერებინა და შეეშჭიდროვებინა თავისი რიგები, გაეჩაღებინა მასების რევოლუციური ბრძოლა და ეხელმძღვანელა მისთვის, რათა საკუთარი დამკვიდრებულიყო ლენინიზმის პოზიციებზე. პარტია ორგანიზაციულად მტკიცდებოდა და რიცხობრივად იზრდებოდა. იგი მონაწილეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებაში და მასში ყოველგვარი განხეთქილების გარეშე შევიდა.

გიორგი დიმიტროვმა მონაწილეობა მიიღო პარტიის მორიგი, XXII ყრილობის მუშაობაში, რომელიც გაიმართა სოფიაში 1919 წლის 25—27 მაისს. აქ იგი კვლავ აირჩიეს პარტიული ხელმძღვანელობის რიგებში. ყრილობამ ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეუცვალა სახელი და უწოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტია („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) და მიიღო ახალი საპროგრამო დეკლარაცია, რომლითაც ცხადდებოდა პარტიის დამკვიდრება ლენინიზმის დროშის ქვეშ.

საპროგრამო დეკლარაცია შეიცავდა ლენინური მოძღვრების ძირითად დებულებებს იმპერიალიზმზე, როგორც კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაზე. მასში შეტანილი იყო პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი და მითითებული — რევოლუციური ბრძოლის საშუალებანი: ყველა ლეგალური და არალეგალური ფორმა, დაწყებული „მასობრივი აქციებიდან და მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებიდან და დამთავრებული შეიარაღებული აჯანყებით“. ფორმულირებული იყო აგრეთვე საბოლოო მიზანი, რისთვისაც იბრძოდა პარტია: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია და სოციალიზაცია და ა. შ. ამ მიზნების დასახვით პარტიულ ხელმძღვანელობას მტკიცედ სწამდა, რომ ბულგარეთის რევოლუციამ, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებებისა, უნდა გადაწყვიტოს ყველა ის ძირითადი ამოცანა, რაც გადაჭრა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

გიორგი დიმიტროვმა დაიწყო ვ. ი. ლენინის შრომების საფუძვლიანი შესწავლა. რევოლუციის დიდი ბელადის ნაწარმოებებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა აგრეთვე ყველა „შემჭიდროებულმა“ სოციალისტმა. 1918 წელს პარტიამ ბულგარულ ენაზე გამოსცა ლენინის ხუთი შრომა, მათ შორის „სახელმწიფო და რევოლუცია“, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“; 1918—1923 წწ. გავრცელდა ვ. ი. ლენინის კიდევ 16 ნაშრომი. გ. დიმიტროვი ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე ლენინის ძირითად შრომებს, გამო-

ყოფდა განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვან აზრებს. მან დაწერა წინასიტყვაობა ბროშურისა „ლენინი ევროპისა და ამერიკის მშრომელებისადმი“, რომელიც გამოვიდა ბულგარეთში 1919 წელს. ამ წინასიტყვაობაში მან ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენ, ბულგარელმა კომუნისტებმა („შემჭიდროებულმა“ სოციალისტებმა), სიამოვნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენი სრული თანხმობა ლენინისადმი იმის თაობაზე, რომ კომუნისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპი და ტაქტიკა — ესაა ჩვენი პრინციპები და ჩვენი ტაქტიკა“ [1]. დიმიტროვი ურჩევდა ბულგარეთის ყველა მუშასა და მშრომელს, „ყური დაეგდოთ ლენინის მძლავრი მოწოდებისათვის, საკუთარი გამსჭვალულიყვნენ მისი იდეებით“ [2].

გიორგი დიმიტროვმა იკისრა ურთულესი საქმე პროფესიული კავშირების აღდგენისა და განმტკიცებისა, რომლებიც უნდა ქცეულიყო კომუნისტური პრინციპების გავრცელების კერებად მუშათა მასებს შორის. 1919 წლის 28 მაისს მოწვეულ მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის კონგრესზე გიორგი დიმიტროვი ძირითადი მოხსენებით გამოვიდა. მოხსენებაში მოტანილი იყო პროფკავშირული ორგანიზაციების მდგომარეობის მონაცემები და დასმული — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი ამოცანები. კონგრესმა მიიღო ახალი წესდება და გამოაცხადა ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირების შეერთება III, კომუნისტური ინტერნაციონალის იდეურ პოზიციებთან.

გიორგი დიმიტროვი სულ უფრო ხშირად აღნიშნავდა, რომ რევოლუციური პროფკავშირები ვეღარ შემოიფარგლებიან მხოლოდ მუშათა უშუალო ინტერესების დაცვით. ამ ამოცანის განხორციელებასთან ერთად მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ კაპიტალისტური უღლის დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. „ბრძოლა მაღალი დღიური ანაზღაურებისათვის, პურისათვის, რვაკაათიანი სამუშაო დღისათვის, დღიური გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის, უკეთესი საცხოვრებელი პირობებისა და შედარებით ნაკლები საბინაო გადასახადისათვის, ადამიანური ცხოვრებისათვის, — აღნიშნავდა გიორგი დიმიტროვი, — საერთოდ მთელი ეს ბრძოლა უნდა უკავშირდებოდეს ბრძოლას პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად და პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად“ [3].

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 1, გვ. 58 (რუსულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 59.

[3] გიორგი დიმიტროვი, თხზ., ტ. 6, გვ. 211 (ბულგარულ ენაზე).

გიორგი დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ კომუნისტები არ უარყოფენ რეფორმებს კაპიტალიზმის ჩარჩოებში, მაგრამ ისინი მხოლოდ ამით რადი შემოიფარგლებიან — მუშათა კლასი შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის გზით მიჰყავთ კაპიტალიზმის სრულ ლიკვიდაციამდე. სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი „გაშლილი" სოციალისტებისაგან, რომლებიც რეფორმებისათვის ბრძოლის გზით ცდილობენ შეაგუონ პროფკავშირული ორგანიზაციები ბურჟუაზიის ბატონობას.

გიორგი დიმიტროვის ხელმძღვანელობით მუშათა საერთო სინდიკალური კავშირი სწრაფად გარდაიქმნა მასობრივ ორგანიზაციად. 1918 წლის ბოლოს მასში იმდენი წევრი იყო გაერთიანებული, რამდენიც საყოველთაო მობილიზაციამდე. მხოლოდ ერთი წლის მანძილზე (1919 წ.) რევოლუციური პროფკავშირების რაოდენობა გაიზარდა ხუთჯერ და მეტად. როგორც სოფიის თემის მუნიციპალური მრჩეველი, დიმიტროვი ცდილობდა, რომ მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის ბრძოლა მხოლოდ მუნიციპალიტეტის კედლებით კი არ შემოფარგლულიყო, არამედ გასულიყო მის ფარგლებს გარეთ, ხალხის წიაღში. მან წინადადება შეიტანა, რომ მუნიციპალური საბჭოს სხდომები გამართულიყო საჯაროდ, რათა გაძლიერებულიყო მშრომელთა კონტროლი მის მიმართ. მრავალრიცხოვან კრებებზე დიმიტროვი განმარტავდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკას და ნიადაგ მოუწოდებდა: „იდექით ფხიზლად თქვენს პოსტებზე, ამხანაგებო! ემზადეთ იმისათვის, რომ საბოლოოდ გამოჰგლიჯოთ თემი პარაზიტულ ექსპლოატატორულ უმცირესობას" [1].

გიორგი დიმიტროვი უშუალოდ ხელმძღვანელობდა პერნიკის მეშახტეთა საგაფიცვო ბრძოლას, რომელსაც 1919 წლის მანძილზე არაერთხელ უფეთქია. 1919 წლის 19 თებერვალს სამხედრო კომენდანტმა სცადა დიმიტროვის დაპატიმრება, მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა პარტიული ორგანიზაციის მხრივ, რომელმაც ფეხზე დააყენა მთელი მეშახტეები. მეორე დღეს პერნიკში ჩამოვიდნენ სამხედრო ნაწილები სოფიიდან: ქვეითები, კავალერია და არტილერია. მოაწყეს მასობრივი დაპატიმრებანი. დიმიტროვი მეუღლესთან ერთად სპეციალური მატარებლით გაგზავნეს სოფიაში. შვიდი მეშახტე, მეშახტეთა კავშირის მდივანთან ერთად, ჩასვეს სოფიის ცენტრალურ ციხეში, შემდეგ კი გადასცეს სამხედრო-საველე სასამართლოს სიკვდილით დასჯის მოთხოვნით. 150-მდე განსაკუთრებით აქტიური წევრი მეშახტეთა კავშირისა გადაასახლეს ტრიავნის რაიონის მაღაროებში, სადაც აიძულებდნენ ემუშავათ სრულიად უსასყიდლოდ და თანაც მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. კიდევ ხუთასი მეშახტე სანსახური-

---

[1] „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი", № 269, 15, VI, 1920 (ბულგარულ ენაზე).

დან დაინიშნოვეს. ბურჟუაზიამ მეშახტეებს მძიმე დარტყმა მიაყენა.

დიმიტროვის დაპატიმრებამ სოფიის მშრომელთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დედაქალაქის აურაცხელი მუშა ელოდა სადგურზე თავის საყვარელ ხელმძღვანელს; მათ დიმიტროვი კომენდატურამდე მიაცილეს. ისინი არ დაშლილან მანამ, სანამ მთავრობამ არ გასცა განკარგულება პატიმრის განთავისუფლების თაობაზე.

დიმიტროვი სათავეში ჩაუდგა მასობრივ კამპანიას პერნიკის მეშახტეთა დასაცავად. დემოკრატიული საზოგადოების ზეგავლენით მთავრობამ ხელი აიღო მეშახტეთა პროფკავშირების ხელმძღვანელთა გასამართლებაზე და შეასუსტა პერნიკის მეშახტეთა შევიწროება.

მაგრამ პერნიკის მეშახტეთა კლასობრივი ბრძოლა ამით არ დასრულებულა. დიმიტროვის ხელმძღვანელობით ჩატარდა გაფიცვა (1919 წლის 1 ივლისს), რომელიც წარმატებით დამთავრდა. შახტების დირექციის ცდას, გაეუქმებინა მუშათა მონაპოვარი და გაეგრძელებინა მეშახტეთა პროფკავშირების წევრთა შევიწროება, ახალი გაფიცვა მოჰყვა (1919 წლის 3 ნოემბერს), რომელიც, გიორგი დიმიტროვის უნარიანი ხელმძღვანელობით, წარმატებით დაგვირგვინდა.. ამ ბრძოლებში პერნიკის მეშახტეებმა ურყევი სიმტკიცე და ერთიანობა გამოავლინეს. „მაგარია „ტესნიაკური" კაკალი, — სიამაყით აღნიშნავდა გიორგი დიმიტროვი, — ასეთია იგი პერნიკში, ასეთია რკინიგზებზე, ასეთივეა მთელს ქვეყანაში. ამ კაკლის მტვრეველ კბილებს თვით ელით დაბზვრევა" [1].

გიორგი დიმიტროვი იმ ქარიშხლიან წელს ჩატარებულ ყველა კამპანიაში მონაწილეობდა. როგორც ყოველთვის, იგი კლასობრივი ბრძოლის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა, ბრძოლისა, რომელიც სულ უფრო მეტ სიმწვავესა და სიმკაცრეს იძენდა. მან დიდი აქტიურობა გამოიჩინა პარტიის მიერ 1919 წლის 27 ივლისს ორგანიზებულ რუსეთისა და უნგრეთის რევოლუციების მხარდაჭერის კამპანიაში. მიუხედავად შინაგან საქმეთა მინისტრის — „გაშლილი" სოციალისტის კრ. პასტუხოვის აკრძალვისა, ეს კამპანია მაინც ჩატარდა. მთელ ქვეყანაში სისხლიანი შეტაკებები მოხდა მუშებსა და პოლიციას შორის, ხოლო ზოგ ადგილებში ეს შეტაკებები ნამდვილი ბრძოლის სახეს იღებდა. როცა ჯარისკაცები თავს დაესხნენ ტრიბუნაზე მდგარ დიმიტროვს, მან მოუწოდა ჯარისკაცებს, არ ესროლათ თავიანთი ძმებისა და დებისათვის, მამებისა და დედებისათვის, არ დაევიწყათ, რომ თვითონ ისინიც მშრომელთა შვილები იყვნენ. ჯარისკაცები დაიბნენ, რამაც საბალხო ტრიბუნს საშუალება მისცა თვალს მიეფარებოდა.

დაუვიწყარია გიორგი დიმიტროვის მონაწილეობა დემონსტრა-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 202 (ბულგარულ ენაზე).

ციაში, რომელიც მოეწყო სოფიაში უსახლკაროთა გამოსვლების დროს დაღუპული რევოლუციური პროფკავშირების სამი წევრის დასაფლავებისას. ეს დემონსტრაცია ორგანიზებული იყო პარტიისა და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მიერ. სოფიის ყველა მშრომელი შეიკრიბა სამგლოვიარო ცერემონიალზე მოკლული მუშების ხსოვნის პატივსაცემად. პოლიცია ამაოდ ცდილობდა დემონსტრანტთა დაშლას, რომელსაც სათავეში ედგა დიმიტროვი. მათ ორჯერ გაარღვიეს პოლიციელთა ზღუდე.

გიორგი დიმიტროვი 1919 წლის 24 სექტემბერს გამოვიდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის („შემჭიდროებულ" სოციალისტთა) სოფიის ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კრებაზე. იგი ჩატარდა მსოფლიო ხელშეკრულების იმ მუხლებისადმი პროტესტის ნიშნად, რომლებიც გამარჯვებულმა იმპერიალისტმა მტაცებლებმა თავს მოახვიეს ბულგარეთს. მისი მოხსენების შემდეგ კრების მონაწილეებმა მიიღეს სპეციალური რეზოლუცია. შემდეგ მოეწყო სოფიის მშრომელთა მანიფესტაცია. ამავე საკითხს მიეძღვნა დიმიტროვის გამოსვლა სტუდენტთა იმპროვიზებულ კრებაზე.

2. მეორე კლასობრივი ბრძოლის ჟარცეცხლში

გააფთრებულმა საგაფიცვო ბრძოლებმა მთელს ქვეყანაში კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როდესაც აღდგნენ რკინიგზელები და კავშირგაბმულობის მუშაკები, რომლებსაც მხარი დაუჭირა ყველა მუშამ და მოსამსახურემ.

ქვეყანაში რკინიგზელთა და კავშირგაბმულობის მუშაკთა რამდენიმე პროფკავშირული ორგანიზაცია არსებობდა. მათ შორის უფრო ძლიერი, ერთიანი და დისციპლინირებული იყო რკინიგზელთა კავშირი, რომელიც შედიოდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის შემადგენლობაში. 1919 წელს ამ კავშირში გაერთიანებული იყო 6392 მუშა და მოსამსახურე. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ რკინიგზელთა ბულგარეთის კავშირი, ფოსტა-ტელეგრაფის მუშათა კავშირი და ორთქლმავლის მემანქანეთა ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები ფორმალურად ნეიტრალურნი იყვნენ პარტიების მიმართ, სინამდვილეში კი „გაშლილ" სოციალისტთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

გიორგი დიმიტროვმა იცოდა, რომ საგაფიცვო ბრძოლების წარმატებისათვის პირველ რიგში საჭირო იყო ქვეყნის მემარცხენე ძალებს შორის მოქმედების ერთიანობისა და ურთიერთგაგების მიღწევა. სხვათა შორის, ეს გასაგები იყო რეაქციული ძალებისათვისაც. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავ-

შირი ალექსანდრე სტამბოლიისკის მეთაურობით, რომელმაც ჩამოაყალიბა კოალიციური კაბინეტი რეაქციული პარტიების — ნაროდნიკებისა და პროგრესისტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ასე შეძლო ბურჟუაზიამ დემოკრატიული პარტიების გათიშვა. წარმოიშვა პირველი სერიოზული გართულება, რომელიც ხელს უშლიდა საგაფიცვო ბრძოლის წარმატებით ორგანიზებას.

მეორე სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა „გაშლილი" სოციალისტების მერყეობა. მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის კომიტეტმა დაიწყო მოლაპარაკება რეფორმისტულ პროფკავშირებთან, მაგრამ მოლაპარაკება გაჭიანურდა, რის შედეგადაც ხელიდან იქნა გაშვებული ხელსაყრელი მომენტი ბრძოლის წარმოებისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც „გაშლილი" სოციალისტები გამოიყვანეს მთავრობიდან, რეფორმისტული პროფკავშირების მემარცხენე ძალების დაწოლის შედეგად დაიწყეს მათმა ხელმძღვანელებმა მუშათა საერთო სინდიკატურ კავშირთან დაახლოების გზების ძიება.

ამ ვითარებაში მოვლენები სწრაფად განვითარდა. 21 დეკემბერს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მიერ მოწვეული კრების დროს, პოლიციის აგენტმა ისროლა ბომბი, რის შედეგადაც დაიჭრა ათამდე კაცი. პარტიამ მასებს საპროტესტო დემონსტრაციისაკენ მოუწოდა, რომელიც ჩატარდა 1919 წლის 24 დეკემბერს, სახალხო კრების გახსნის დღეს. დემონსტრაცია მასობრივი ხასიათისა იყო. ჩაკვდა მთელი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. გიორგი დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ეს იყო პარტიის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი უბრწყინვალესი და შთამაგონებელი გამოსვლა. ბევრ ადგილას საქმე სისხლიან შეტაკებამდეც მივიდა ხალხსა და პოლიციას შორის. მთავრობამ გადაწყვიტა ყველა სახელმწიფო და მუნიციპალური მოსამსახურის განთავისუფლება, ვინც მონაწილეობა მიიღო 24 დეკემბრის მოვლენებში.

გიორგი დიმიტროვი საკუთარი იზიარებდა ცენტრალური კომიტეტის აზრს იმის შესახებ, რომ რეაქციამ თავის მხარეზე ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ვადაბირებით ცალმაგრა პოზიციები, რის გამოც ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა საგაფიცვო ბრძოლის დასაწყებად. მაგრამ ამავე დროს პარტიის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ მუშათა საერთო სინდიკალური კავშირი სათავეში უნდა ჩასდგომოდა მუშებს, რომლებსაც მთავრობის პოლიტიკა აიძულებდა მიემართათ უკიდურესი ზომებისათვის.

რკინიგზელებმა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა ყველგან შეწყვიტეს მუშაობა. დაიწყო რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყ-

ვეტილებით გაფიცვას მეთაურობდნენ გიორგი დიმიტროვი, ვასილ კოლაროვი და ქრისტო კაბაკჩიევი. ისინი იძულებული იყვნენ ემოქმედათ იატაკქვეშ. რევოლუციური პროფკავშირების კომიტეტთან ერთად შეიქმნა „ობშჩედელცების“ საგაფიცვო კომიტეტიც. ორივე კომიტეტი პარალელურად მოქმედებდა, თუმცა ურთიერთკავშირი მუდამ ჰქონდათ.

ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობა უარყოფითად მოქმედებდა საგაფიცვო ბრძოლის განვითარებაზე, რომელიც სულ უფრო მწვავდებოდა. ზოგ ადგილას აშკარა შეიარაღებული ბრძოლაც გაიმართა. ქვეყანა სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. რკინიგზელთა მხარდაჭერის მიზნით, პარტიამ მოაწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც 1919 წლის 29 დეკემბრიდან 1920 წლის 3 იანვრამდე გრძელდებოდა. დიმიტროვმა იგი დაახასიათა, როგორც „მთელი ქვეყნის მუშათა კლასის კლასობრივ-პოლიტიკური სოლიდარობის დიდებული აქტი მუშა-რკინიგზელთა ბრძოლის მიმართ“ [1].

გაფიცვის დროს გიორგი დიმიტროვმა მიიღო იატაკქვეშური ფსევდონიმი „გავრილ მიხაილოვი“. იმ დღეებში მან კვლავ გამოავლინა თავისი არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭი. მას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა დამყარებული გაფიცულ მუშებთან, წარმართავდა მათ მოქმედებას. ყოველ კრიტიკულ მომენტში იგი საბრძოლო პოსტზე იმყოფებოდა. მას არაფერი აშინებდა: არც პოლიციის მიერ მოწყობილი ხაფანგები, არც სიკვდილის მუქარა. მან რამდენჯერმე შეიცვალა არალეგალური საცხოვრებელი, რათა თავი აერიდებინა დევნისათვის. ასეთ მძიმე პირობებშიც კი იგი თავდავიწყებით მუშაობდა: წერდა სტატიებს, იძლეოდა მითითებებს, საღამოობით კი ხვდებოდა საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებს. ასეთ დროს იგი სამხედრო ფორმას იცვამდა. ის ესწრებოდა საჯარო კრებებსაც, სადაც მუშებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ხოლო შემდეგ უკვალოდ ქრებოდა პოლიციის თვალწინ. დიმიტროვის ასეთი ხიფათიანი ცხოვრების გამო წუხდნენ მისი ახლობლები, მაგრამ იგი პასუხობდა, რომ არასდროს გადაუხვევდა არჩეულ გზას და მზად იყო მსხვერპლად შესწირვოდა კომუნიზმის დიად იდეებს.

თავისი ვაჟკაცური საქციელით დიმიტროვი აღფრთოვანებას იწვევდა და ნდობას იმსახურებდა გაფიცულთა შორის. საინტერესო შემთხვევა მოხდა 1920 წლის 12 თებერვალს. იმ დღეს დიმიტროვი გამოჩნდა სოფიის მუნიციპალურ საბჭოზე, რომელიც იხილავდა 1919 წლის 24 დეკემბრის გაფიცვაში მონაწილე მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და მუშათა სამუშაოზე აღდგენის საკითხს. განთავისუფ-

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 5, გვ. 324 (ბულგარულ ენაზე).

ლებულთა რიცხვი 400-ს აღემატებოდა. თუ კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებდა გიორგი დიმიტროვი, შესაძლებელი იყო საკითხი დათხოვნილთა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. პარტიის ხელმძღვანელობა ყოყმანობდა — წასულიყო თუ არა დიმიტროვი ასეთ რისკზე. მაგრამ მამაცმა სახალხო ტრიბუნმა უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება. როცა კენჭისყრა დაიწყო, იგი მოულოდნელად გამოჩნდა. დარბაზში მყოფმა მუშებმა მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს თავის ლიდერს, ხოლო ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები განცვიფრებულნი დარჩნენ. ერთ-ერთმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ დიმიტროვის საქციელს „ჭეშმარიტად ლამაზი მოქმედება“ უწოდა.

რეფორმისტებმა ვერ გაუძღვეს სიძნელეებს, რაც თან ახლდა მკაცრ საგაფიცვო ბრძოლას. 1920 წლის 17 თებერვალს ორთქლმავლის მემანქანეთა ორგანიზაციამ სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან წინასწარ შეთანხმების გარეშე შეწყვიტა წინააღმდეგობა. მის მაგალითს მიბაძეს სხვა რეფორმისტულმა პროფკავშირებმაც. რკინიგზელთა კავშირი სრულიად მარტო აღმოჩნდა; მას აღარ გააჩნდა სხვა არჩევანი და 19 თებერვალს იძულებული გახდა დაეკეცა საბრძოლო დროშა.

ასე დასრულდა ეგმირული საგაფიცვო ბრძოლა, რომელიც 55 დღეს გრძელდებოდა. მიუხედავად საგაფიცვო ბრძოლის შედეგისა, დიმიტროვმა მას მაღალი შეფასება მისცა. ბულგარეთის პროლეტარიატის ეს მედგარი ბრძოლა მან მიიჩნია დიდ მორალურ გამარჯვებად. თავის ბროშურაში „დამარცხებიდან გამარჯვებისაკენ“ მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მდივანი წერდა, რომ ბულგარეთის მუშათა კლასის წინაშე იხსნება ნათელი ჰორიზონტები. „ბულგარეთის პროლეტარიატი, — აღნიშნავდა იგი, — შეძლებს დღევანდელი დროებითი დამარცხების მიუხედავად ახალი ძალების მოკრეფას თავისი საბრძოლო იარაღის გასაძლიერებლად და კაპიტალიზმზე საბოლოო გამარჯვების დასაჩქარებლად“ [1].

რკინიგზელთა გაფიცვა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა არა მხოლოდ მუშათა კლასის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ ორთაბრძოლაში. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში მან მოხერხებულ ტაქტიკას მიმართა — მიწათმოქმედთა გათიშვას და დაპირისპირებას კომუნისტებთან. ამ ტაქტიკას შეეძლო მათთვის ბულგარელი ხალხის პროგრესული და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ შემდგომ ბრძოლაშიც მოეტანა გამარჯვება.

მაგრამ რეაქციულმა წრეებმა ვერ შეძლეს თავისი სანუკვარი მი-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 5, გვ. 344 (ბულგარულ ენაზე).

ზნის მიღწევა — კომუნისტური პარტიის განადგურება.

საგაფიცვო ბრძოლაში დამარცხების მიუხედავად, პარტიამ გააძლიერა თავისი გავლენა მშრომელებზე. რკინიგზელთა გაფიცვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სერიოზული გამოცდა იყო, რაც მან ღირსეულად დაძლია. გაფიცვამ გამოავლინა პარტიის სუსტი და ძლიერი მხარეები. მან წარმოაჩინა მისი იდეური და ორგანიზაციული სისუსტენი, მაგრამ, ამავე დროს, ნათელყო მისი კლასობრივი სიმტკიცე და პოლიტიკური სიმწიფე. „მან კომუნისტურ ,პროლეტარიატს მისცა, — წერდა გიორგი დიმიტროვი, — ორგანიზებულობის, დარაზმულობის, მაღალი კომუნისტური შეგნების, რკინისებური რევოლუციური დისციპლინის შესანიშნავი გაკვეთილი, გვასწავლა ბურჟუაზიისა და მთავრობის პროვოკაციებიდან თავდაღწევის ხერხები, შთაგვაგონა, არ დაგვეშვა საკუთარ ძალთა გადაჭარბებით შეფასება და მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობა, განმათავისუფლებელი ბრძოლის მოცემული მომენტის ამოცანების სწორად შეცნობა“ [1].

ამასთან. მომხდარმა დრამატულმა მოვლენებმა თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ „გაშლილი“ სოციალისტები არ იყვნენ მზად ასეთი მასშტაბის კლასობრივ ბრძოლებში მონაწილეობისა და მისი ხელმძღვანელობისათვის. „ობშჩედელცების“ პარტიამ და მისმა პროფკავშირებმა დაკარგეს იმ მუშათა ნდობა, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ. მათი ორგანიზაციები დაიშალა. რკინიგზელთა გაფიცვის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფენები კონფლიქტის შედეგად განუდგნენ თავიანთ ლიდერებს და კომუნისტური პარტიის მხარეზე გადავიდნენ (1920 წლის 2 ნოემბერი).

რეფორმისტული პროფკავშირების სურვილის გათვალისწინებით გიორგი დიმიტროვმა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის სახელით კონტაქტი დაამყარა მათ ხელმძღვანელებთან. მათი უმრავლესობა მემარცხენე დინების მხარეზე იყო და მხარი დაუჭირა დიმიტროვის თეზისს იმის შესახებ, რომ პროფკავშირებმა სახელმძღვანელო საწყისად შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა უნდა გაიხადონ. ასე მოემზადა რეფორმისტთა პროფკავშირული ცენტრი იმ პირობების მიღებისათვის, რომელიც მის წინაშე წამოაყენა მუშათა საერთო სინდიკალურმა კავშირმა გიორგი დიმიტროვის მეთაურობით. მოლაპარაკების შედეგად მათ ხელი მოაწერეს გაერთიანებელ ოქმს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მუშათა საერთო სინდიკალური კავშირისა და თავისუფალი სინდიკალური საბჭოს შერწყმა ხორციელდება კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი რევოლუციური პრინცი-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 5, გვ. 343—344 (ბულგარულ ენაზე).

პების დროშის ქვეშ. მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირში შემავალი კავშირებისა და სექციების წესდებანი კვლავაც რჩებოდა ოფიციალურ დოკუმენტებად.

გაერთიანების ოქმზე ხელის მოწერისთანავე თავისუფალი პროფკავშირების წარმომადგენლები შეეცადნენ მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანას. მათგან შედარებით მისაღები იყო წინადადება, პროფკავშირების წევრთათვის უფლება მიენიჭებინათ, თავად გადაეწყვიტათ, თუ რომელ პარტიაში შესულიყვნენ. მაგრამ დიმიტროვმა უარყო ეს წინადადებაც, ვინაიდან მისი მიღება ნიშნავდა, მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის კარები გაეღოთ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებისათვის. ბოლოს, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, „ობშჩედელცების" პროფკავშირული ცენტრი გამოვიდა სპეციალური დეკლარაციით. მან მიბაძა „ობშჩედელცების" პარტიის მემარცხენეებს და პროფკავშირული ერთიანობა განხორციელდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ჩარჩოებში.

გიორგი დიმიტროვმა მაღალი შეფასება მისცა პროფკავშირების გაერთიანებას 1920 წელს. გადალახულ იქნა სერიოზული დაბრკოლება ბულგარეთის მუშათა მოძრაობის განვითარების გზაზე. პრაქტიკამ დაამტკიცა იმ პრინციპების სისწორე, რომელსაც მიჰყვებოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტია. მსხვილი კლასობრივი ბრძოლების დროს იგი უფრო ძლიერი და მონოლითური გახდა. სწორედ ამიტომ ირაზმებოდნენ სულ უფრო მტკიცედ ბულგარელი მუშები ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მისი პოლიტიკის გარშემო. გიორგი დიმიტროვი იმთავითვე აღნიშნავდა: ეს მოხერხდა იმის წყალობით რომ „შემჭიდროებულმა" სოციალისტებმა ჯერ კიდევ 1903 წელს გაწყვიტეს კავშირი ოპორტუნიზმთან, ხოლო მოგვიანებით საბოლოოდ აშოძირკვეს თავისი რიგებიდან ყოველგვარი ოპორტუნისტული გადახრა. პარტია მარქსიზმის ერთგული დარჩა; მას არასოდეს უღალატია მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის და გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიის აშკარა თუ ფარულ მიმდევრებთან.

1920 წელს პროფკავშირული მოძრაობის გაერთიანებამ კიდევ ერთხელ ცხადყო კლასობრივი რევოლუციური ხასიათი პარტიისა და პროფკავშირებისა, რომელსაც დიმიტროვი ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად ამისა, მუშათა და სხვა შრომელთა გარკვეული ნაწილი მაინც არ შეუერთდა მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს და მიჰყვებოდა „ობშჩედელცების" პარტიას. რევოლუციურ პროფკავშირებში არ გაერთიანდნენ სხვა „ნეიტრალური" ორგანიზაციებიც, რომლებშიც შედიოდა მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი რაოდე-

ნობა. ამგვარად, პროფკავშირული ერთიანობის საკითხი ბულგარეთში ვერ გადაიჭრა თავისუფალი პროფკავშირების შემარცხენე ფრთის შეერთებით მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირთან. მიუხედავად ამისა, 1920 წლის გამაერთიანებელი აქცია ნიშნავდა მუშათა მოძრაობის ახალ გაძარჯვებას ოპორტუნიზმზე, გიორგი დიმიტროვის მეთაურობით.

რკინიგზელთა გაფიცვის შემდეგაც, როცა ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა, მთავრობა აგრძელებდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის მდივნის დევნა-მუქარას. 1920 წლის 20 მარტს პოლიცია მოულოდნელად შეიჭრა დიმიტროვის ბინაში და დაიწყო ჩხრეკა მისი დაპატიმრების მიზნით, მაგრამ იგი ამ დროს სხვაგან იმალებოდა და მთავრობას განზრახვა ჩაეფუშა. სახალხო კრებისათვის დიმიტროვის მიერ გაგზავნილ პროტესტთან დაკავშირებით გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ამ შემთხვევაში პოლიცია თვითნებურად მოქმედებდა, იმდენად რამდენადაც მთავრობას არ გაუცია განკარგულება ამგვარი ზომების მისაღებად. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, პოლიციამ კვლავ სცადა დიმიტროვის დაჭერა, ამჯერად ქუჩაში. დიმიტროვის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო რჩევა, დროებით მაინც დაეტოვებინა ბულგარეთი. იგი თვლიდა, რომ მისი გაძევების დრო ჯერ არ იყო დამდგარი; მას უჯობდა ბულგარეთში, მუშათა შორის დარჩენა, რომლებსაც იგი ძალიან სჭირდებოდათ.

1920 წლის მარტში შედგა სახალხო კრების არჩევნები. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირმა მიიღო ხმათა მნიშვნელოვანი უმრავლესობა და მალე დამოუკიდებელი მთავრობა ჩამოაყალიბა ალექსანდრე სტამბოლიისკის მეთაურობით. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 50 დეპუტატის მანდატი. დიმიტროვი არჩეულ იქნა ორი ოლქის — სოფიისა და ვრაჩანსკის დეპუტატად. მალე იგი სკოლის მზრუნველად დანიშნეს (საარჩევნო კამპანიის დროს იგი ისევ იმალებოდა). დიმიტროვის აზრით, კენჭისყრის შედეგები იმაზე მეტყველებდა, რომ პარტიას ვერც ძალადობითა და ვერც ტერორით ვერ გატეხდნენ. მმართველობისაგან რეაქციული პარტიის ჩამოცილება ნიშნავდა ქვეყნის დემოკრატიული ძალების წარმატებას. სამწუხაროდ, ამ წარმატებამ შემდგომი განვითარება ვერ პოვა. კომუნისტებსა და მიწათმოქმედებს შორის იმ დროს უნდობლობა და მტრობაც კი არსებობდა. ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას არ მიაჩნდა საჭიროდ ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირთან დაახლოება და არც საამისო გზებს ეძებდა. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ხელმძღვანელებს, რომლებიც ქადაგებდნენ დამოუკიდებელი გლეხური ხელისუფლე-

ბის თეორიას, არ სურდათ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მხარდაჭერა რეაქციისა და მონარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და კომუნისტური მოძრაობის მოღვაწეთ კიდეც დევნიდნენ.

რევოლუციური აღმავლობის პირობებში, რაც გამოწვეული იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გაელენით და სახელმწიფოს კრიზისით, ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირებისა და მისი ხელმძღვანელის გიორგი დიმიტროვის ავტორიტეტი განუწყვეტლივ იზრდებოდა. ამაზე მეტყველებდა ნაწილობრივ ის ფაქტი, რომ პროფესიული კავშირების საერთაშორისო საბჭომ, რომელიც ეშზადებოდა რევოლუციური პროფკავშირული ინტერნაციონალის შესაქმნელად, მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს დაუკისრა ამოცანა — საერთო ბალკანურ რევოლუციურ პროფკავშირულ გაერთიანებაში მიეზიდა ბალკანეთის ქვეყნების პროფესიული კავშირები. მუშათა საერთო სინდიკალურმა კავშირმა დაამყარა მათთან კავშირი და 1920 წლის 3-4 ნოემბერს მოიწვია ბალკანეთ-დუნაის პროფკავშირული კონფერენცია სოფიაში.

გიორგი დიმიტროვმა კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. იგი გამოვიდა მოხსენებით ბულგარეთში პროფკავშირული მოძრაობის მდგომარეობის შესახებ და თავისი წვლილი შეიტანა ერთობლივი დოკუმენტის შემუშავებაში, რომელსაც საფუძვლად დაედო მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის შეხედულებანი. კონფერენციამ გადაწყვიტა ბალკანეთ-დუნაის კომუნისტურ ფედერაციასთან შეექმნილიყო ბალკანეთ-დუნაის პროფკავშირების დროებითი სამდივნო პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოს ორგანოს სახით. მის ცენტრად დასახელებულ იქნა სოფია, ხოლო სამდივნოს ხელმძღვანელობა დაეკისრა მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს. ფაქტიურად გიორგი დიმიტროვი მეთაურობდა რევოლუციურ პროფკავშირულ მოძრაობას ბალკანეთის ქვეყნებში. ასეთი ვითარება გრძელდებოდა 1923 წლის სექტენბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე.

გიორგი დიმიტროვი აირჩიეს იმ დელეგაციის წევრად, რომელსაც ბულგარეთის კომუნისტური პარტია („შემჭიდროებული" სოციალისტებისა) უნდა წარმოედგინა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე. ვინაიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე გავლით ვერ მოხერხდა წასვლა, დელეგაცია, მოუხედავად დიდი რისკისა, იძულებული გახდა ვარნიდან შავი ზღვით გასულიყო ორი ნავით. ერთ მათგანში იყვნენ ვასილ კოლაროვი და გიორგი დიმიტროვი, ხოლო მეორეში — ქრისტო კაბაჩიევი და ნიკოლა მაქსიმოვი.

კაბაჩიევი და მაქსიმოვი, ცუდი ამინდის გამო, იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, ხოლო როცა გამოიდარა, ისინი

კვლავ გაუდგნენ გზას და ᲫᲨვიდობით მიაღწიეს საბჭოთა მიწᲐს, სადაც მონაწილეობა მიიღეს კომინტერნის კონგრესში.

დიმიტროვმა და კოლაროვმა ნამდვილი ეპოპეა გადაიტანეს. მათ დიდხანს იცურეს მღელვარე ტალღებზე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამინდი გაუარესდა, გაწვიმდა, მალე დიდი შტორმიც დაიწყო. ნავი შენიშნა რუმინეთის სასაზღვრო კატარღის ეკიპაჟმა და 1920 წლის 3 ივლისს კოლაროვი და დიმიტროვი დაᲐკავეს.

ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ ბულგარეთის მთავრობის წინაშე კატეგორიულად დასვა საკითხი, რუმინეთის მთავრობისათვის მოეთხოვა კოლაროვისა და დიმიტროვის განთავისუფლება. ქვეყანაში გაიშალა მასობრივი საპროტესტო კამპანია. დიმიტრი ბლაგოევმა კომინტერნს მიმართა თხოვნით, ყველა ღონე ეᲮმარათ ბულგარეთის მუშათა მოძრაობის ორი მოღვაწის რუმინეთის პოლიციისაგან გასანთავისუფლებლად. თავის მხრივ, რუმინელმა სოციალისტებმაც აამხედრეს მუშათა კლასი—მათი დეპუტატები პარლამენტში ენერგიულად გამოვიდნენ დიმიტროვისა და კოლაროვის დასაცავად. რუმინეთის პროლეტარიატის კამპანია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა დასაცავად მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის გამოხატულებას წარმოადგენდა. მან გააძლიერა აქტიურობა რუმინეთის მუშათა მემარცᲮენე ძალებს შორის და გაᲜამტიცა კომუნისტური ინტერნაციონალის მომხრეთა პოზიციები.

საბჭოთა მთავრობამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის — ჩიჩერინის მეᲨვეობით მიიღო ზომები კოლაროვისა და დიმიტროვის გასანთავისუფლებლად. ჩაერია ბულგარეთის მთავრობაც, თუმცა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ გააჩნდა. საზოგადოებრივი აზრის გავლენით და დიპლომატიური არხების ზემოქმედებით რუმინეთის მთავრობა იძულებული გახდა 1920 წლის 23 ივლისს გაეთავისუფლებინა დიმიტროვი და კოლაროვი, რომლებიც იმავე დღეს დაბრუნდნენ სამშობლოში.

საბჭოთა რუსეთში ჩასვლის პირველი ცდა დიმიტროვისათვის მარცხით დასრულდა, მაგრამ იგი განაგრძობდა მუშათა და გლეხთა პირველი რესპუბლიკის გამოცდილების ღრმად შესწავლას, ორგანიზაციას უწევდა მის ბრძოლასა და წარმატებებს. იგი მონაწილეობდა ყველა კამპანიაში, რაც კი ტარდებოდა პარტიის მიერ საიმისოდ, რათა ბულგარეთის მუშებისათვის გაეცნოთ საბჭოთა რუსეთი. დიმიტროვის მᲮურვალე სიტყვები და სტატიები გამოხატავდნენ ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს საბჭოთა რუსეთის მიმᲐართ.

ბულგარეთის მუშათა კლასის ერთგული შვილი აᲫᲮელდა დასავლეთის იმპერიალისტთა ანტისაბჭოურ პოლიტიკას. ბულგარეთის

ბურჟუაზია მხარს უჭერდა მათ ანტისაბჭოურ კურსს და მზად იყო მონაწილეობა მიეღო ბოლშევიზმის წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ლაშქრობაში". ააშკარავებდა რა ამ ანტიხალხურ პოლიტიკას, დიმიტროვი აცხადებდა: „არ არსებობს ბულგარელი მუშა ან გლეხი, რომელიც შეძლებს ესროლოს რუს მუშას ან გლეხს! მან იცის, მომავალში საით მიმართოს თავისი თოფი" [1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამე წლისთავთან დაკავშირებით მოწვეულ საჯარო კრებაზე წარმოთქმული სიტყვისათვის დიმიტროვის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მთავრობის აკრძალვის მიუხედავად, კრება მაინც ჩატარდა. მისი მსვლელობის დროს მომხდარი ინციდენტი გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ ბულგარეთის პროფკავშირების მეთაური დაედანაშაულებინათ ბუნტისა და თანამდებობის პირის მოკვლაში. დიმიტროვის დეპუტატის იმუნიტეტის წყალობით, მთავრობა ვერ ბედავდა სასამართლოსათვის მის გადაცემას, მაგრამ 1920 წლის ბოლომდე იგი მაინც იმალებოდა სხვადასხვა არალეგალურ ბინაში.

გ. დიმიტროვი აირჩიეს რევოლუციური პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების დამფუძნებელი კონგრესისა და კომინტერნის III კონგრესის დელეგატად, რომელიც უნდა ჩატარებულიყო საბჭოთა რუსეთში 1920 წლის 29 დეკემბერს. იგი გაემგზავრა ავსტრიაში. აქ მან შეიტყო, რომ რევოლუციური პროფკავშირების კონგრესი გადატანილ იქნა და მას მოუხდა ვენაში დარჩენა რამდენიმე ხნით (პარტიული ფსევდონიმით — კარასი). ამ პერიოდში დიმიტროვმა, როგორც კერძო პიროვნებამ, შეძლო იტალიის სოციალისტური პარტიის XVII ყრილობაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ტარდებოდა ლივორნოში. ყრილობაზე იგი შეხვდა ქრისტო კაბაკჩიევს, რომელიც კომინტერნის აღმასკომის დავალებით იყო ჩამოსული და ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვითაც გამოვიდა. მკაცრი ბრძოლის შედეგად ყრილობაზე მემარცხენეებმა საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი ოპორტუნისტებთან და ჩამოაყალიბეს იტალიის პროლეტარიატის კომუნისტური პარტია.

გიორგი დიმიტროვი ვენაში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ, 1921 წლის იანვრის ბოლოს, პეტროგრადის გავლით მოსკოვს ჩავიდა, სადაც შეხვდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. ამ შეხვედრამ მასზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. დიმიტროვმა პროლეტარული რევოლუციის დიდ ბელადს უამბო ბალკანეთის კომუნისტური პარტიის დიდი წარმატებების, ბულგარეთის ხალხთა მასების აღმავლობის შე-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 88 (რუსულ ენაზე).

სახებ. მოგვიანებით იგი იგონებდა, რომ ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით უსმენდა, მხოლოდ, როცა განაცხადა, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტია მზად იყო ხელისუფლების ხელში ასაღებად, ლენინმა სიტყვა შეაწყვეტინა და ურჩია თავი შეეკავებინა. რეაქციული ძალები ბულგარეთში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერნი იყვნენ, ხოლო პარტია არ იყო მზად.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ძალიან კარგად იცოდა, რომ პროლეტარული საქმის ყველა ერთგული მარქსისტი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. მათაც ხომ უდიდესი სურვილი ამოძრავებდათ, წაჰყოლოდნენ რუსი მუშებისა და გლეხების მაგალითს საკუთარ ქვეყნებში. მაგრამ, ამით გატაცებულნ, ავიწყდებოდათ რევოლუციური ტაქტიკის უმთავრესი მხარე — კლასობრივი ძალებისა და არსებული ობიექტური პირობების თანაფარდობის საღად შაფასების აუცილებლობა. სწორედ ამიტომ ურჩია ვ. ი. ლენინმა ბულგარელ კომუნისტებს, გადაჭარბებით არ შეეფასებინათ საკუთარი ძალები იმ მიზნების განხორციელებისას, რომლის მისაღწევადაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად; გაემახვილებინათ ყურადღება პარტიის, როგორც რევოლუციური ავანგარდის, გაძლიერებაზე; ხელი მოეკიდათ ბულგარეთის ახალგაზრდა მუშათა კლასის ორგანიზაციის საქმისათვის. ამასთანავე, ბულგარელ კომუნისტებს უნდა განემტკიცებინათ კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. დიმიტროვმა გაიზიარა ეს იდეა და მას არაერთხელ დაბრუნებია.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა კმაყოფილება გამოთქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობისა და მარქსიზმის პროპაგანდაში მის მიერ მიღწეული წარმატებების გამო. მან პარტიას ურჩია, გაეფართოებინა თავისი გავლენა არმიაში და გულდასმით მოემზადებინა გამოცდილი და ერთგული კადრები. შეაჯამა რა თავისი დარიგებანი ბულგარეთის კომუნისტების მიმართ, მან აღნიშნა, რომ ყოველივე, რაც ითქვა, ყველაზე მთავარი და გადამწყვეტიც კია ამჟამად ბულგარეთის კომუნისტური პარტიისათვის. საჭიროა იმოქმედონ საღად, არ აჰყვნენ გატაცებებს, დაუღალავად ემზადონ ბულგარეთში რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის [1].

ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან შეხვედრამ უდიდესი გავლენა მოახდინა გიორგი დიმიტროვზე. იგი უფრო მეტი ენერგიით შეუდგა ბრძოლას ბულგარეთში მუშათა კლასისა და რევოლუციის გამარჯვე-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 146, აღ. 2, ფურც. 5—6.

ბისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისათვის, მუშათა ძალების გაერთიანებისათვის კაპიტალიზმის შეტევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1921 წლის 17 მაისს გიორგი დიმიტროვი მიესალმა სრულიად რუსეთის პროფკავშირების IV ყრილობას მოსკოვში, წითელი პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოს სახელით, რომლის წევრიც იყო თვითონ. 1921 წლის 22 ივნისიდან 12 ივლისამდე კოლაროვთან და კაბაკჩიევთან ერთად მონაწილეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის მუშაობაში, სადაც გაეცნო ერთიანი ფრონტის ტაქტიკის ძირითად დებულებებს.

თავისი ყოფნა საბჭოთა რუსეთში დიმიტროვმა გამოიყენა საბჭოთა პროფკავშირული მოძრაობის გამოცდილების შესასწავლად. პროფინტერნის დამფუძნებელი კონგრესის წინ მან გამოაქვეყნა სტატია — „როგორი უნდა იყოს პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალი". მასში ჩამოყალიბებული იყო დებულება, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი პოლიტიკური ხელმძღვანელი უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში, ხოლო პროფინტერნი — უპარტიოთა ფართო ორგანიზაცია, რომლის წევრად გახდომაც შეუძლია ყველა მუშას, ვინც მზად არის კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. პროლეტარიატის ორივე საერთაშორისო გაერთიანებას შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო, განუხრელი კავშირი.

განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა გიორგი დიმიტროვმა პროფინტერნის I (დამფუძნებელ) კონგრესზე, რომელიც ტარდებოდა მოსკოვში 3-დან 19 ივლისამდე. აქ მან კვლავ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პროფკავშირული ინტერნაციონალი უნდა მონაწილეობდეს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში კომინტერნის იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელობით. იგი სიტყვითაც გამოვიდა რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის ტაქტიკის საკითხზე. კონგრესმა იგი ბალკანეთის პროფკავშირების საფინანსო კომისიის, პროპაგანდის კომიტეტისა და პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის ცენტრალური საბჭოს წევრად აირჩია. კონგრესზე გიორგი დიმიტროვმა თავი გამოიჩინა, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სადავო საკითხების გადაწყვეტაში, გამოავლინა მოწიფული პროფკავშირული ხელმძღვანელის თვისებები.

ბულგარეთში დაბრუნებისას დიმიტროვმა დაწვრილებით უამბო მუშებს საბჭოთა ქვეყანაზე, მის განვითარებასა და წარმატებებზე. მან გადადგა პირველი ნაბიჯები ერთიანი მუშათა ფრონტის დაარსებისაკენ. ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნისას დიმიტროვი გაზეთ „რაბოტნი-

ჩესკი ვესტნიკში“ წერდა, რომ ასეთი ფრონტის იდეა მხურვალე გამოხმაურებას პოვებს გერმანელ მუშათა შორის. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნებულ ყველა სტატიაში დიმიტროვი განმარტავდა ახალ ვითარებას და პროლეტარიატის ბრძოლის განვითარების გზებს. ის მიუთითებდა, რომ კომუნისტურ პარტიას შეეძლო კაპიტალის შემოტევის მოგერიება და კონტრშეტევაზე გადასვლა, თუკი თავის გავლენას გააფართოებდა მუშათა შორის. კომინტერნის მიერ წამოყენებული ლოზუნგი — „მასებთან!“ უნდა განხორციელდეს ყველა დაბრკოლების მიუხედავად, რომელსაც ქმნის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები.

1921 წლის 4 დეკემბერს სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების მიერ მოწვეულ საპროტესტო კრებაზე დიმიტროვი გამოვიდა ვრცელი მოხსენებით, რომელშიც დაწვრილებით ილაპარაკა ერთიან ფრონტზე. მან აღნიშნა, რომ მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის წინაშე დგას ამოცანა, განახორციელოს მოქმედების ერთიანობა ნეიტრალურ პროფკავშირებთან და, უპირველეს ყოვლისა, მუშათა არაორგანიზებულ მასებთან. დიმიტროვი მოუწოდებდა ნეიტრალურ პროფკავშირებში შემავალ მუშებს, კომუნისტების მხარდამხარ აღმდგარიყვნენ საბრძოლველად. იგი აღნიშნავდა, რომ ფასების ზრდა პურზე და რეაქციული კანონები შეეხება არა მხოლოდ რევოლუციურ პროფკავშირებში შემავალ მუშებსა და მოსამსახურეებს, არამედ რეფორმისტული და ნეიტრალური პროფკავშირების წევრებსაც, ისევე როგორც მათ, ვინც საერთოდ არც ერთ ორგანიზაციას არ განეკუთვნება. ამ მომენტიდან გიორგი დიმიტროვმა დაიწყო მშრომელთა მოქმედების ერთიანობის ჩამოყალიბების ორგანიზაციული ფორმების ძიება.

მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის III კონფერენციაზე (1922 წლის 21 ივნისი) დიმიტროვმა წინადადება წამოაყენა, რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მსგავსად, ბულგარეთის რევოლუციურ პროფკავშირებს დაწესებულებებში შეექმნათ მუშათა კომისიები, რომლებშიც მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები იქნებოდნენ გაერთიანებულნი. ასეთი კომისიები სინამდვილეში იქნებოდა ერთიანი პროლეტარული ფრონტის ერთ-ერთი ფორმა და არჩეული უნდა ყოფილიყო მოცემული დაწესებულების მუშების მიერ, იმის მიუხედავად, იქნებოდნენ თუ არა ისინი პროფკავშირის წევრები. კომისია არ უნდა ჩათვლილიყო მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ორგანოდ. ისინი მოწოდებული იყვნენ, გაეძლიერებინათ კონტაქტი ორგანიზებულ და არაორგანიზებულ მუშებს შორის, ბრძოლის აქტივიზაციის მიზნით, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

გიორგი დიმიტროვი, როგორც მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის დელეგატი, მონაწილეობდა პროფინტერნის II კონგრესის მუშაობაში, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 19 ნოემბრიდან 22 დეკემბრამდე. აღმასრულებელი ბიუროს ანგარიშში მან მოიყვანა მონაცემები, რომლებიც მეტყველებდნენ საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის წარმატებებზე. გიორგი დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ეს წარმატებები, პირველ რიგში, გამოიხატებოდა რეფორმიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლაში. იგი საგანგებოდ შეჩერდა ბულგარეთსა და ბალკანეთში პროფკავშირების მდგომარეობის საკითხზე, სადაც ამსტერდამის რეფორმისტული ინტერნაციონალის პროფკავშირების მიმდევარნი სამარცხვინოდ დამარცხდნენ. ბალკანეთის ქვეყნების ყველაზე შეგნებული მუშები იდგნენ კლასობრივ პოზიციებზე და კომინტერნის ხაზს მიჰყვებოდნენ.

გიორგი დიმიტროვი აირჩიეს კონგრესის პრეზიდიუმის შემადგენლობაში და ზოგიერთ სხდომას თავმჯდომარეობდა კიდეც. ის აირჩიეს აგრეთვე პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში. ამგვარად, იგი სულ უფრო მეტად იხვეჭდა სახელს, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პარალელურად იზრდებოდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის აღიარებაც.

იმ პერიოდში ბულგარეთის ბურჟუაზიამ გონს მოსვლა იწყო და შეტევაზე გადავიდა. იგი ცდილობდა ქვეყნის მართვისათვის ჩამოეშორებინა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირი, გაენადგურებინა ბულგარეთის კომუნისტური პარტია და ხალხის მასებისათვის გადაეკისრებინა რეპარაცია. რეაქციული ძალების გამაერთიანებელ ცენტრად მეფის სასახლე იქცა. ოფიცრობა გაერთიანდა სამხედრო ლიგაში. 1922 წელს შეიქმნა ფაშისტური ორგანიზაცია „ნაროდნი სგოვორი“. ძველი ბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ მხარეს აღმოჩნდებოდნენ რუსი თეთრგვარდიელები, რომლებიც სამოქალაქო ომის შემდეგ ჩარჩნენ ბულგარეთში, აგრეთვე „გაშლილ“ სოციალისტთა პარტიის მემარჯვენე ლიდერები და მაკედონიის შინაგანი რევოლუციური ორგანიზაცია. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელები უკმაყოფილონი იყვნენ მიწათმოქმედთა მთავრობის პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო იუგოსლავიასთან დაახლოებისკენ.

რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ გამოვიდა ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომელიც კვლავ იარაღდებოდა ლენინიზმის იდეებით, იმ პერიოდში მან პირველად აღიარა წვრილი გლეხობის რევოლუციური შესაძლებლობანი და იმედიც კი გამოთქვა, რომ შესაფე-

რის პირობებში საშუალო გლეხობაც გახდებოდა პროლეტარიატის მეკავშირე. პარტია შეუდგა არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის შექმნას, ყურადღებით ადევნებდა თვალს ქვეყანაში კლასობრივ ძალთა ვადაჯგუფებას. მან თავიდან აიცილა გადატრიალების საშიშროება, რომელიც მზადდებოდა ბარონ ვრანგელის თეთრგვარდიელთა არმიის მეშვეობით, ეს უკანასკნელი წითელი არმიის მიერ იყო დამარცხებული და თავს აფარებდა ბულგარეთს.

გიორგი დიმიტროვმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, დაგმო რეაქციის ხრიკები და ბულგარეთის ხალხს მოუწოდა აღმდგარიყო თავისი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

1922 წლის 31 მარტს სოფიაში, „წმ. ნედელის" მოედანზე, შედგა ხალხმრავალი მიტინგი. აღიმართა ოთხი ტრიბუნა. ერთ-ერთ მათგანზე ავიდა გიორგი დიმიტროვი. თავის შთამაგონებელ სიტყვაში მან დაახასიათა ბულგარეთის რეაქციისა და ვრანგელერების ჩანაფიქრი, როგორც „შეთქმულება რუსი და ბულგარელი ხალხის წინააღმდეგ". შეთქმულთა მიზანი იყო სამხედრო დიქტატურის დამყარება და ბულგარელი ხალხის იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ ჩაბმულიყო რუსი ძმების წინააღმდეგ ომში. დამსწრეთა შქუხარე ტაშის გრიალში გიორგი დიმიტროვმა განაცხადა, რომ ბულგარელი მუშები და გლეხები არ ესვრიან თავს რუს ძმებს. წამოყენებულ იქნა მოთხოვნები, რომ განეიარაღებინათ ვრანგელერები და დიპლომატური და სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ საბჭოთა რუსეთთან.

1922 წლის 7 ივნისს მოწვეულ მიტინგზე გამოვიდნენ ვილჰელმ პიკი და მუშათა მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებიც ესწრებოდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IV ყრილობას. გამოვიდა გიორგი დიმიტროვიც. მან კვლავ ამხილა რეაქცია ბულგარეთსა და ბალკანეთში და განაცხადა: „ბალკანეთის ხალხი არ დაუშვებს ახალი ომების გაჩაღებას! საბჭოთა რუსეთის საქმე — მთელი კაცობრიობის საქმეა! საომარ მდგომარეობას კი არა, მშვიდობასა და ძმურ კავშირს დავამყარებთ რუსეთის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკასთან!" [1].

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბიუროდაქერამ მიწათმოქმედთა მთავრობის მიმართ გადამწყვეტი როლი შეასრულა შეთქმულთა განადგურების საქმეში. თუმცა პარტიული ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ ამ ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობა ატარებდა უფრო ტექნიკურ, ვიდრე პოლიტიკურ ხასიათს, ბაგრამ მაინც კომუნისტთა და მიწათმოქმედთა მოქმედების ერთიანობა მიღწეულ იქნა, რითაც გარკვეული დროის მანძილზე შეძლეს კაპიტალის შემო-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 230 (ბულგარულ ენაზე).

ტევის მოგერიება. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის განვითარების საქმეში. კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე (1921 წ.) მიღებულ თეზისებში გათვალისწინებულ იქნა ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა, აგრეთვე კომუნისტებსა და მუშათა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის ერთიანი მოქმედების დამყარება. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ პირველად დაამყარა კავშირი გლეხური მასების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

გიორგი დიმიტროვმა, პარტიის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთმა პირველთაგანმა, განავითარა დებულება იმის თაობაზე, რომ ბულგარეთის მშრომელები უნდა გაერთიანდნენ კომინტერნისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგის — „მუშურ-გლეხური მთავრობა“! — ირგვლივ. მან გამოაქვეყნა სპეციალური სტატიები, რომლებშიც ეხებოდა მუშათა და გლეხთა ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობას. ამ წერილებში იგი აღნიშნავდა, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა არ უთანაბრდება წმინდა მუშურ მთავრობას კომუნისტების ხელმძღვანელობით და არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში შემოღებული იქნება საბჭოთა სისტემა. ამგვარ მუშურ-გლეხური მთავრობა უნდა გამოდიოდეს მუშათა და გლეხთა ინტერესებიდან და იცავდეს მათ.

დიმიტროვმა არგუმენტირებულად დაასაბუთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის პოლიტიკა. იგი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ ფაშიზმის საფრთხის ზრდა ქვეყანაში დაკავშირებული იყო კაპიტალის შემოტევასთან. იგი ამბობდა, რომ ფაშიზმი აღმოცენდა იტალიურ სპეციფიკურ ნიადაგზე, მაგრამ, კაპიტალიზმის შემოტევის მაგვარად, განვითარება იწყო, როგორც საერთაშორისო მოვლენამ. ფაშიზმი ბურჟუაზიის უკიდურესი საშუალებაა პროლეტარიატთან ბრძოლაში კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებისათვის. იმისათვის, რომ რეაქცია ეფექტურად იქნეს მოგერიებული, აუცილებელია პროგრესული და დემოკრატიული ძალების დარაზმვა გამცემლური და კაპიტულანტური პოზიციების წინააღმდეგ, რომელთაც მიჰყვებოდნენ რეფორმიზმის ლიდერები.

ყოველივე ეს წარმოადგენდა გიორგი დიმიტროვის პირველ ცდებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის თეორიული დასაბუთებისათვის. მის შეხედულებათა სისტემაში იმ წლებში არსებობდა დიდი ხარვეზები, რომელთაც იგი მაშინ ავსებდა, როდესაც ხელახლა უბრუნდებოდა მათ. დიმიტროვისათვის უცხო არ იყო ის სისუსტენი, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაშიც და რომელიც იმთავითვე აფერხებდა ხალხის ანტიფაშისტურ ერთიანო-

ბას. ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა ათვისებული ლენინური შეხედულებანი აღნიშნულ საკითხზე.

სექტემბრის შეიარაღებულ აჯანყების (1923 წ.) ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი

1923 წლის გაზაფხულზე ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირსა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას შორის მდგომარეობა მოულოდნელად გამწვავდა. პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირის ხელმძღვანელებმა გააძლიერეს ტერორი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა წინააღმდეგ. მათ შეცდომით მიიჩნიეს, რომ რეაქცია დამარცხებული იყო და მათ ხელისუფლებას მხოლოდ კომუნისტები ემუქრებოდნენ. ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირის მთავრობამ შემოიღო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე შეემცირებინა დეპუტატ-კომუნისტთა მანდატები. ყოველივე ამან გამოიწვია არასასურველი დაძაბულობა ქვეყნის ორ უძლიერეს და გავლენიან პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის. იმ დროს ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირის საშინაო მდგომარეობა საგანგაშო იყო. ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირს ფლეთდნენ მწვავე შინაური კონფლიქტები. ბულგარეთის კომუნისტური პარტია კი, თავის მხრივ, ერთგვარად გაიყინა და აღარ ვითარდებოდა.

იმ მომენტში, როცა ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირის ხელმძღვანელობა თავბრუსხვევას განიცდიდა არჩევნებში გამარჯვების გამო, ხოლო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწენი აღშფოთებულნი იყვნენ ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირის მთავრობის მხრივ კომუნისტების უმიზეზო დევნის გამო, ქვეყანაში ორგანიზებულ იქნა შეთქმულება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ სამხედრო ლიგა და „ნაროდნი სგოვორი“. 1923 წლის 9 ივნისის სამხედრო გადატრიალების შედეგად ალ. სტამბოლიისკის მთავრობა დაემხო და შეიცვალა სამხედრო ფაშისტური რეჟიმით. ფაშისტური მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანეს აგრეთვე ძველი ბურჟუაზიული პარტიების — „ობშჩედელცებისა“ და რადიკალების წარმომადგენლები. ფაშისტური დიქტატურა დასაწყისში დემოკრატიის შირმას ამოეფარა. 1923 წლის აგვისტოში ყველა რეაქციული ძალა გაერთიანდა ე. წ. „დემოკრატიულ შეთანხმებად“, რომელმაც მიიღო რადიკალური პარტიის პროგრამა. მათი ძალები ფაქტიურად მიმართული იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

მაგრამ პოლიტიკურმა დემაგოგიამ ვერ დაფარა გადატრიალების სამხედრო-ფაშისტური ხასიათი. ქვეყნის რიგ რაიონებში იფეთქა სტიქიურმა აჯანყებებმა, კომუნისტები და მიწათმოქმედნი მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ფაშისტი ტერორისტები საშინელ დანაშაულს ჩადიოდნენ. თვით ალ. სტამბოლიისკი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეთა თვითნებობას, მხეცურად იქნა მოკლული.

გადამწყვეტ მომენტში, როცა ხალხთა მასები სისხლს ღვრიდნენ გადატრიალების მომხდენ ძალათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ისტორიული შეცდომა დაუშვა, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა: იმის ნაცვლად, რომ მუშათა კლასისათვის მოეწოდებინა გადამწყვეტ მოქმედებაში ჩაბმა, პარტიის ხელმძღვანელობამ ნეიტრალიტეტის პოზიცია დაიკავა, რითაც ობიექტურად გააადვილა შეთქმულთა წარმატება. მათ შეცდომათ მიაჩნდათ, რომ ქვეყანაში ბრძოლა მიმდინარეობდა ორ — სასოფლო და საქალაქო ბურჟუაზიულ ფრაქციას შორის. ამ შეცდომის უმთავრესი შედეგი ის იყო, რომ ანტიფაშისტურმა ძალებმა ხელიდან გაუშვეს ფაშისტური დიქტატურის დამხობის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი მის ჩანასახშივე.

როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი, გიორგი დიმიტროვიც იზიარებდა ამ არასწორ გეზს, დაკავშირებულს 9 ივნისის გადატრიალებასთან, მან ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა უმაღლესი პარტიული საბჭოს სხდომაზეც 1923 წლის 1—6 ივლისს სოფიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ხელმძღვანელობაში ფაქტობრივად ორ მიმდინარეობას ჰქონდა ადგილი. გიორგი დიმიტროვი და ტ. პეტროვი იჭერდნენ ნეიტრალიტეტის პოზიციას, მაგრამ მიაჩნდათ, რომ ასეთი ლოდინის პოლიტიკა ეხებოდა შეთქმულთა წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ პირველ მომენტს. ისინი არ გამორიცხავდნენ ნეიტრალური პოზიციის შეცვლის შესაძლებლობას შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების კურსით მომდევნო მომენტში, როდესაც მასების რეაქცია გაირკვეოდა. ამ აზრს იზიარებდა ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობა. მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი დოქტრინულობისა, ამ მიმდინარეობის მომხრეებმა შექმნეს მყარი მარქსისტული ბირთვი, რომელიც მომდევნო რევოლუციურ მოვლენებში წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. მეორე მიმდინარეობა გამოდიოდა საერთოდ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ. მისი წარმომადგენლები შემდგომშიც რჩებოდნენ ოპორტუნისტულ პოზიციებზე. ამ მიმდინარეობის ყველაზე მკაფიო გამომხატველი იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი საორგანიზაციო საკითხებში ტოდორ ლუკანოვი.

იმ შფოთიან დღეებში დიმიტროვმა უდიდესი მზრუნველობა გამოიჩინა რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის ძალთა შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. მას ესმოდა, რომ შორს აღარ იყო დრო, როცა პარტიას მოუხდებოდა იატაკქვეშ გადასვლა. აი, რატომ მიიღო მან ზომები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებლობას აძლევდა მუშათა საერთო სინდიკალურ კავშირს, ბოლომდე გამოეყენებინა მოღვაწეობის ლეგალური შესაძლებლობანი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პროფესიული კავშირი წყვეტს თავის ორგანიზაციულ ურთიერთობას პარტიასთან. მისი სპეციალური ორგანოს სახით დაიწყო გაზეთ „ტრუდის" გამოცემა. ჩატარდა პროფკავშირული აქტივის სხდომები. ამ სხდომაზე გამოსელისას გიორგი დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ უკანონოდ დამარცხდა ერთი მთავრობა და შეიცვალა მეორით, არამედ იმაზეც, რომ ბულგარეთის ბურჟუაზია მიისწრაფვის — ქვეყანაში განამტკიცოს იტალიის ფაშისტური რეჟიმის მსგავსი რეჟიმი. მან მუშათა ყველა ორგანიზაციის წინაშე წამოაყენა ამოცანა — გაერთიანდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროფკავშირებს მოეთხოვებათ მეტი მონდომება და თავგანწირვა. აუცილებელი იყო მასობრივი კამპანიის გაშლა მუშათა კლასის ცხოვრებისეული ინტერესების დასაცავად. კამპანია უნდა დაკავშირებოდა მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნის მოთხოვნას და მუშათა კონტროლის შემოღებას წარმოებასა და გაცვლაზე.

ქვეყნის მდგომარეობის ანალიზისას დიმიტროვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უფრო მეტად გამწვავდებოდა პოლიტიკური კრიზისი და ფაშისტური დიქტატურა გააძლიერებდა ტერორს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. 1923 წლის 30 ივნისის სპეციალურ ცირკულარში მან რევოლუციური პროფკავშირების ყველა ხელმძღვანელს დაავალა შეერჩიათ თავიანთი მოადგილეები, რომლებიც შეცვლიდნენ და შეასრულებდნენ მათ მოვალეობას იმ შემთხვევაში, თუ მათ მთავრობა დააპატიმრებდა ან დევნას დაუწყებდა. იგი მოითხოვდა აგრეთვე ვანემტკიცებინათ ათეულები პროფკავშირულ სექციებში და უზრუნველეყოთ ბინები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სხდომებისა და კონფერენციების ჩატარება, თუკი მთავრობა დახურავდა პარტიულ და პროფკავშირულ კლუბებს. დასასრულ, დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ რევოლუციურმა პროფკავშირებმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა განაგრძოს მოღვაწეობა ამა თუ იმ ფორმით მომენტისა და ადგილის პირობების შესაბამისად.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია დიდხანს ვერ დაადგებოდა ნეიტრალიტეტის მცდარ პოზიციას, რომელიც მიღებულ იქნა 9 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. კომუნისტური ინტერნაციონა-

ლის ბჭრივ ნწვავე კრიტიკამ ფართო გამოხმაურება პოვა პარტიულ მასებში. ბულგარეთის მოვლენების გათვალისწინებით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის III, გაფართოებულმა პლენუმმა (1923 წლის 12—23 ივნისი) ურჩია კომუნისტურ პარტიებს აგრარული ქვეყნებისა, სადაც პოლიტიკური გლეხური პარტიები არსებობდა, დაემყარებინათ მათთან თანამშრომლობა ბურჟუაზიის თავდასხმის მოსაგერიებლად და მუშურ-გლეხური მთავრობის შესაქმნელად.

ნუშათა და გლეხთა საბრძოლო სულისკვეთება იზრდებოდა და ფართო მასშტაბებს იღებდა. ბულგარეთში დაბრუნდა ვასილ კოლაროვი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის შეცდომების გასწორებაში. იმ პერიოდში იგი კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი იყო და 9 ივნისის გადატრიალების დროს საბჭოთა რუსეთში იმყოფებოდა. ვარნაში დაბრუნებისთანავე დაიჭირეს, მაგრამ მალე, მძლავრი საპროტესტო მოძრაობის გამო, გაათავისუფლეს.

გიორგი დიმიტროვი, აქტიური და მებრძოლი პიროვნება, თავდაპირველად ყოყმანობდა, მაგრამ შინაგანი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, მისთვის ჩვეული ენერგიით, ნებისყოფითა და უნარით ააფრიალა რევოლუციის დროშა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა კოლაროვი ვარნაში იყო, დიმიტროვი მასთან გაემგზავრა. მან თავი კოლაროვის ძმად გააცალა და მიუხედავად მთავრობის სიმკაცრისა, შეძლო მასთან შეხვედრა. ორივე ხელმძღვანელს 9 ივნისის გადატრიალების შემდეგ პარტიის მდგომარეობასა და მის წინაშე მდგომ ამოცანებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა მიეცა.

როდესაც დიმიტროვი სოფიაში დაბრუნდა, ფორნა ორიახოვიცას სადგურზე ვიღაც სეფქო პირებმა — ადგილობრივი „საქალაქო კომიტეტიან" ხევრებმა—იგი დააპატიმრეს. გაათავისუფლეს მაოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის პროფკავშირის კომიტეტის ენერგიული პროტესტის შემდეგ. ნათელი გახდა, რომ დგებოდა შავბნელი პერიოდი, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ ფაშიზმის ხელისშემწყობნი თვითნებურად გაუსწორდებოდნენ პროგრესულად და დემოკრატიულად განწყობილ მოღვაწეებს.

სოფიაში კოლაროვის ჩამოსვლის შემდეგ მოიწვიეს ცენტრალური კომიტეტის სხდომა (1923 წლის 5—7 აგვისტო). სხდომაზე რევოლუციურმა ბირთვმა გაიმარჯვა, რომელსაც გიორგი დიმიტროვიც ეკუთვნოდა. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წინაშე დაისახა

ამოცანა — „მთელი თავისი ძალები დაერაზმა მასობრივი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის“ [1].

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე პარტიამ პირველად გადადგა ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი. იგი პირველად მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს, დარაზმულიყვნენ წითელი დროშის ქვეშ იარაღით ხელში. პარტიამ ძირეულად გადააფასა თავისი როლი რევოლუციურ მოძრაობაში, ბრძოლის მეთოდები და ხერხები; ენერგიულად შეუდგა შეიარაღებული ბრძოლის, მოსალოდნელი შეიარაღებული აჯანყების პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნიკურ ორგანიზაციას.

პარტიამ მთელი ძალ-ღონე მოახმარა ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნას. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირს. მემარცხენე ფრთის მოღვაწეებმა მაშინვე გამოთქვეს თანხმობა. 14 აგვისტოს პარტიის ორგანომ გამოაქვეყნა პირველი სტატია, რომელშიც აშკარად იდგა ხალხთა ანტიფაშისტური ერთიანობის საკითხი. ორი დღის შემდეგ ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ წინადადებით მიმართა „გაშლილი“ სოციალისტების პარტიას, შეეწყვიტა თანამშრომლობა ბურჟუაზიულ პარტიებთან და გაერთიანებულიყო დემოკრატიულ და პროგრესულ ძალთა ბლოკში. ცოტა მოგვიანებით ასეთივე მიმართვა გაეგზავნა რადიკალურ პარტიას. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი პლატფორმა შესთავაზა, რომელიც შეიძლებოდა ერთიანი ფრონტის პროგრამის საფუძვლად გამომდგარიყო. სამწუხაროდ, ორივე პარტიის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ანტიფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე.

მუშათა საერთო სინდიკალურმა კავშირმა დიმიტროვის ხელმძღვანელობით მოუწოდა მუშებს — რეფორმისტული და სხვა პროფკავშირის წევრებს — გაერთიანებულიყვნენ ერთიანი ფრონტის დროშის ქვეშ. გარკვეული ხნის შემდეგ რევოლუციურმა პროფკავშირებმა ქვეყნის ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას მოუწოდა გაერთიანებულიყო შრომის საყოველთაო ფედერაციაში.

დაითხოვეს კომუნისტ-ემიგრანტთა კავშირი, რომლის წევრები ბულგარეთში გადმოსახლებული კომუნისტები იყვნენ. ერთდროულად გაძლიერდა მუშაობა მაკედონიიდან, ფრაკიიდან, დობრუჯიდან და დასავლეთის განაპირა მხარეებიდან გადმოსახლებულთა შორის. კავშირი დამყარდა შინამაკედონური რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან.

აჯანყების პოლიტიკურ მომზადებაში დიდი როლი შეასრულა გი-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტია რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ტ. 11, სოფია, 1957, გვ. 327 (ბულგარულ ენაზე).

ორგი დიმიტროვის სტატიებმა ერთიანი ფრონტის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნდა პარტიის ორგანოში აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში. ამ სტატიებში დიმიტროვმა გადამჭრელი ნაბიჯი გადადგა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქების საქმეში. მან მარჯვედ მიუსადაგა ბულგარეთის კონკრეტულ პირობებს ლენინის მოძღვრება ერთიანი ფრონტის შესახებ.

დიმიტროვმა დამაჯერებლად ცხადყო ფაშისტური დიქტატურის ანტიხალხური ხასიათი. მან მრავალი ფაქტი მოიტანა იმის დასადასტურებლად, თუ როგორ წაჰგლიჯა მთავრობამ (რომელიც ხელისუფლების სათავეში 9 ივნისის გადატრიალების შემდეგ მოვიდა) მუშებსა და გლეხებს თავიანთი მონაპოვარი და როგორ მფარველობდა იგი უმნიშვნელო უმცირესობას, რომელიც გამდიდრებისაკენ მიისწრაფოდა. მსხვილი კაპიტალის ბატონობას, აღნიშნავდა დიმიტროვი, არნახული პოლიტიკური ტერორი ახლავს. ფაშისტური დიქტატურა დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლებების სრული უარყოფაა. ფაშიზმის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ დარტყმას აყენებს არა მარტო კომუნისტებს, როგორც მისი იდეოლოგები ამტკიცებენ, არამედ საზოგადოების ყველა პროგრესულ ფენას, იგი სპობს მშრომელთა ყოველგვარ უფლებებს. „ღრმად ცდებიან ისინი, — ხაზს უსვამდა დიმიტროვი, — ვინც ფიქრობს, რომ ფაშიზმი მხოლოდ „კომუნისტური საფრთხის“ წინააღმდეგ არის მიმართული. მათ ძვირად დაუჯდებათ ეს შეცდომა და პოლიტიკური სიბეცე.

ფაშიზმი არა მარტო ა ნ ტ ი კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ა, არამედ ა ნ ტ ი ხ ა ლ ხ უ რ ი ც“ [1].

დიმიტროვი რჩევას იძლეოდა, შექმნილიყო შრომის ერთიანი ფრონტი ფაშიზმის შემოტევის წინააღმდეგ. 9 ივნისის გადატრიალების შეთქმულებმა შეძლეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება ბურჟუაზიულ ბანაკში ერთიანობისა და დემოკრატიულ ძალებში განხეთქილების წყალობით. მუშებსა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფაშისტური დიქტატურის მოსპობა, ეს კი, თავის მხრივ, ექსპლოატატორული კლასების ხანგრძლივი ბატონობის გარანტიას იძლეოდა. „...შრომის ერთიანი ფრონტი გარდუვალი აუცილებლობით არის ნაკარნახევი, — აღნიშნავდა დიმიტროვი, — ის, ვინც მის წინააღმდეგ გამოდის, მშრომელი ხალხის ინტერესების, უფლებებისა და ცხოვრების უსაფრთხოების მოწინააღმდეგეა, ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოწინააღმდე-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 100 (რუსულ ენაზე).

გეა, რეაქციისა და ფაშიზმის — ხალხის უდიდესი უმრავლესობის წინააღმდეგ კაპიტალისტური უმცირესობის — უბადრუკი იარაღია"[1].

შეჩერდა რა ერთიანი ფრონტის საკითხზე, დიმიტროვმა ამხილა რეაქციული პრესის ცილისწამება, რომ თითქოს საქმე ეხებოდა „მარჯვე მანევრს", რომლის მეოხებითაც კომუნისტებს სურდათ მიწათმოქმედები თავის იარაღად გამოყენებინათ და დეზორგანიზაცია შეეტანათ „გაშლილ" სოციალისტებში. ერთიანი ფრონტი, მიუთითებდა დიმიტროვი, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბრძოლო კავშირია ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ პარტიებისა და ორგანიზაციების საპროგრამო მიზნების განსხვავებამ არ უნდა შეაფერხოს ერთიანი ფრონტის წარმოქმნა. ამ განსხვავებამ არ უნდა მოუსპოს ხალხს ასეთი მძლავრი საშუალება რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. დიმიტროვი ხაზს უსვამდა, რომ მშრომელთა პარტიებს, რომლებიც მონაწილეობენ ერთიან ფრონტში და მხარს უჭერენ მის პროგრამას, შეუძლიათ შეინარჩუნონ ორგანიზაციული დამოუკიდებლობა და უარი არა თქვან საკუთარ იდეოლოგიასა და ტაქტიკაზე. ერთიანი ფრონტი არ ნიშნავდა ცალკეული პარტიების გაუპიროვნებას, როგორც ამას ბურჟუაზიული პროპაგანდა ამტკიცებდა; ის გულისხმობდა მათ გაერთიანებას თავისუფლად შემუშავებული და გამოყენებული პლატფორმის სახით. ეს გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ რომელიმე პარტია გამხდარიყო კომუნისტების მოღვაწეობის საფარი. კომუნისტურმა პარტიამ იწყო ერთიან ფრონტში გათქვეფა და დაკარგა პროგრესული ხასიათი. პარტიის მოღვაწეებს, რომლებიც ერთიან ფრონტს უფრთხიან, ავიწყდებათ მარქსიზ-ლენინიზმის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლება მხოლოდ მუშათა კლასს არ ძალუძს; ბურჟუაზიული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელია ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ჩაბმა. ერთიან ფრონტს არაფერი აქვს საერთო კლასობრივ თანამშრომლობასთან, იგი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა.

სტატიებში ერთიანი ფრონტის შესახებ გ. დიმიტროვი პოპულარიზაციას უწევდა მომავალი აჯანყების ლოზუნგებს. მან მიუთითა, რომ კომუნისტური პარტია იბრძვის არა საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმისათვის, არამედ ფაშისტური დიქტატურის დამხობისა და დემოკრატიული თავისუფლების შენარჩუნებისათვის. „შეთქმულთა" მთავრობა, აღნიშნავდა იგი, უნდა შეიცვალოს მუშურ-გლეხური მთავრობით, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა შრომის სამარ-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 102 (რუსულ ენაზე).

თლიან ანაზღაურებას, უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს მისცემს მიწას, მთავრობის მხრივ უზრუნველყოფს საქალაქო და სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატივებისადმი მხარდაჭერას. ეს იყო დემოკრატიული და არა სოციალისტური მოთხოვნები, მაგრამ ეს მოთხოვნები შემაერთებელი რგოლი იყო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი დემოკრატიული პლატფორმის მიღება, თავის მხრივ, არ ნიშნავდა, რომ კომუნისტური პარტია უარს ამბობდა თავის საბოლოო მიზანზე — სოციალისტური საზოგადოების აგებაზე. პარტია ფაშისტური დიქტატურის დამხობასა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებას განიხილავდა, როგორც კაპიტალიზმის უღლისაგან პროლეტარიატის განთავისუფლების ბრძოლის ნაწილს.

გიორგი დიმიტროვის სტატიები ერთიანი ფრონტის შესახებ არის კომინტერნის ლენინურ შეხედულებათა გამოყენება, დაკონკრეტება და შემდგომი განვითარება ბულგარეთის პირობების შესაბამისად. იგი ისტორიული შენაძენია არა მარტო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის რევოლუციური პრაქტიკისა და თეორიისა, არამედ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისა. არსებითად, ამ სტატიებს საფუძვლად ედო ყველა დემოკრატიული და პროგრესული ძალის ფართო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნა. დიმიტროვი შემდგომ ავითარებდა ერთიანი ფრონტის საკითხებს. მისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები ერთიანი ფრონტის შესახებ საფუძვლად დაედო მის მოხსენებას კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესზე. 1923 წლის აგვისტო-სექტემბერში გამოქვეყნებულმა დიმიტროვის სტატიებმა ერთიანი ფრონტის შესახებ თავისი როლი შეასრულა. მათ უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ ზრდაზე, ლენინური იდეებით მის ხელახლა შეიარაღებაზე.

პარტიის მიერ წამოყენებულმა ლოზუნგებმა დიდი გამოხმაურება პოვა ხალხში. მაგრამ ფაშისტური ხელისუფლების პროვოკაციებმა, რამაც დააჩქარა აჯანყების დაწყება, ხელი შეუშალა დიმიტროვის სტატიებში გატარებული იდეების ცხოვრებაში განხორციელებას. ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული ხელახალი ლენინური იდეური შეიარაღება. მაგრამ ყველა შემდგომმა მოვლენამ დაადასტურა დიმიტროვის სტატიებში განვითარებულ დებულებათა სისწორე. გავიდა ცოტა ხანი და გამოაშკარავდა ფაშიზმის ჭეშმარიტად მხეცური სახე, უფრო ნათელი გახდა იმ პოლიტიკური წრეების ღალატი, რომელმაც თავისი სიბეცისა და მიუტევებელი შეზღუდულობის წყალობით უარყვეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წინადადება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

პოლიტიკურ მზადებასთან ერთად გრძელდებოდა აჯანყების სამ-

ხედრო-ტექნიკური მომზადებაც. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე სექციას. ეს სექციები ამუშავებდნენ შეიარაღების, მობილიზაციის, ოპერატიული გეგმებისა და არმიაში რევოლუციური პროპაგანდის შემუშავების საკითხებს. შედგა სამხედრო მოქმედების გეგმა. ამავე დროს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირმა გააქტიურა მუშაობა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების აღდგენისათვის.

1923 წლის 12 სექტემბერს მთავრობამ მასობრივად იწყო კომუნისტთა დაპატიმრება მთელ ქვეყანაში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან მხოლოდ ქრისტო კაბაკჩიევი დააპატიმრეს, დანარჩენებმა მოასწრეს მიმალვა. ფაშისტთა რეპრესიებს არ შეუფერხებია აჯანყებისათვის მზადება, პირიქით, დააჩქარა მისი დაწყება.

გიორგი დიმიტროვი მოხერხებულად არიდებდა თავს პოლიციელთა დევნას. მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის სახელით მან საპროტესტო წერილი გაუგზავნა მთავრობას. იგი აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასის განადგურება შეუძლებელია; ის შეძლებს დაიცვას თავი, გადაარჩინოს ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხვისაგან.

მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის პროფკავშირის კომიტეტმა მითითება მისცა სოფიის მუშებს, გამოეცხადებინათ 24-საათიანი საპროტესტო გაფიცვა. სამწუხაროდ, საგაფიცვო ტალღამ, მასობრივი დაპატიმრებების გამო, ვერ მოიცვა ყველა დაწესებულება. დიმიტროვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ბრძოლას, რეკომენდაციას იძლეოდა, გაეფაროებინათ სოფიის მუშათა გაფიცვა და გენერალურად ექციათ იგი. მაგრამ საქმეში ჩაერია ცენტრალური კომიტეტის ორგმდივანი ტ. ლუკანოვი და განკარგულება გასცა შეეწყვიტათ გაფიცვა. მისმა გადაწყვეტილებამ მძიმე დარტყმა მიაყენა პარტიას, რომელიც აჯანყებას ამზადებდა.

გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო აუცილებელი გახდა 1923 წლის 15 სექტემბერს, საღამოს, მოეწვიათ პარტიული ხელმძღვანელობის სხდომა. რადგან სხდომას არ ესწრებოდა ვასილ კოლაროვი, უმრავლესობას, რომელიც შეიარაღებული აჯანყების კურსს ემხრობოდა, სათავეში ჩაუდგა გ. დიმიტროვი. მან გააკეთა მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის შესახებ მასობრივი დაჭერებისა და პოლიტიკური გაფიცვის შემდეგ. მცირე გამონაკლისის გარდა, ცენტრალური კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს მის წინადადებას, დაეწყოთ შეიარაღებული აჯანყება, გაეფართოებინათ მასების მოქმედების არე მსხვერპლისათვის ანგარიშის გაუწევლად.

გამოიყო ჯგუფი ოთხი კაცის შემადგენლობით (ვასილ კოლაროვი,

გიორგი დიმიტროვი, ტოდორ პეტროვი და ტოდორ ლუკანოვი), რომელსაც დაევალა შეიარაღებული ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოეწვიათ პარტიული ხელმძღვანელობის გაერთიანებული სხდომა, რათა განესაზღვრათ აჯანყების დაწყების თარიღი, პარტიული ორგანიზაციები კი გაეფრთხილებინათ კურიერების გაგზავნით პროვინციებში.

მიღებული ფორმები უზრუნველყოფდა 1923 წლის 5-7 აგვისტოს დასახული პოლიტიკური გეზის განხორციელებას. მაგრამ ტ. ლუკანოვის შეყვანა აჯანყების ხელმძღვანელთა შემადგენლობაში დიდი შეცდომა იყო. არასწორი იყო აგრეთვე მძიმე ავადმყოფი ტ. პეტროვის შეყვანა ხელმძღვანელობის წევრად, მას არ შეეძლო აქტიურად ჩაბმულიყო აჯანყების მომზადებაში.

მეორე დღეს გიორგი დიმიტროვი შეხვდა ვასილ კოლაროვს. მათ იმსჯელეს შეიარაღებული აჯანყების ხელსაყრელ და არახელსაყრელ ფაქტორებზე და ერთსულოვნად დაასკვნეს, რომ არის წარმატების რეალური შანსები, თუმცა აჯანყებისათვის მზადება ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, ინიციატივა კი მოწინააღმდეგეს ეკუთვნოდა. მათ საერთო ხელმძღვანელობის სხვა წევრებს გაუგზავნეს წერილობითი წინადადება, დაეწყოთ აჯანყება 22 სექტემბერს. ტ. პეტროვმა მაშინვე თანხმობა განაცხადა, მაგრამ მოითხოვა, რომ აჯანყება დაეწყოთ 23 სექტემბრის ღამეს. ტ. ლუკანოვმა აუწყათ, რომ ამ წინადადების წინააღმდეგი იყო. საჭირო გახდა ცენტრალური კომიტეტის სხდომის მოწვევა, თუმცა აჯანყებულ ხალხს და მთავრობის შეიარაღებულ ძალებს შორის უკვე ბრძოლა მიმდინარეობდა.

პარტიული ხელმძღვანელობის სხდომა შედგა 20 სექტემბერს. კოლაროვი და დიმიტროვი ერთად მივიდნენ სხდომაზე. ისინი ასაბუთებდნენ შეიარაღებული აჯანყების დაწყების აუცილებლობას და თავის გარშემო შემოიკრიბეს ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა. ტ. ლუკანოვი იზოლირებული აღმოჩნდა, რადგან ბოლომდე იცავდა თავის ძველ პოზიციას.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ აჯანყება 23 სექტემბერის ღამეს დაწყებულიყო. ადგილობრივი კომიტეტებისადმი დაგზავნილ ინსტრუქციებში ხაზგასმული იყო, რომ შეიარაღებული აჯანყების მიზანია ფაშისტური დიქტატურის დამხობა და დემოკრატიული მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარება. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტია მოქმედებს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირთან ერთად. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მეთაურებად აირჩიეს ვასილ კოლაროვი, გიორგი დიმიტროვი, გავრილ გენოვი.

მათ დაეკისრათ აგრეთვე, აჯანყების ხელმძღვანელობაში მოეზიდათ სამიწათმოქმედო კავშირის წარმომადგენლები. აჯანყებამ იფეთქა 1923 წლის 23 სექტემბერს. ქვეყნის ზოგიერთ ოლქში (სტაროზაგორსკაიას, ნოვოზაგორსკაიას, კაზანლიკსკაიასა და ჩერპანსკაიას ოკოლიები) აჯანყებულებმა უფრო ადრე დაიწყეს მოქმედება. აჯანყების ცენტრი ჩრდილო-დასავლეთი ბულგარეთი იყო. რევოლუციური მოძრაობის ტალღა არანაკლები ძალით მოედო რაზლოგის, ისტიმანის, პეშტერისა და სხვა რაიონებს.

აჯანყების წინადღეს პოლიციამ მოახერხა სოფიის რევოლუციური კომიტეტის დარბევა და დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის უმეთაუროდ დატოვება. პოლიცია ცდილობდა აჯანყების ხელმძღვანელთა დაპატიმრებას, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა.

შემუშავებული გეგმის თანახმად, კოლაროვი, დიმიტროვი და გენოვი 21 სექტემბერს ავტომობილით გაემგზავრნენ ვრაჩინსკის ოკრუგში. მათ ახლდა ოფიცერ-არტილერისტი, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის წევრი ნიკოლა აგინსკი, რომელსაც აჯანყებულთა ჯარების შტაბის უფროსის თანამდებობა უნდა დაეჭირა, ჯგუფმა გაიარა დაცვის საგუშაგო პეტროხანში (სტარა-პლანინა) და ძშვიდობიანად ჩავიდა ს. ვირშეცში. ადგილობრივმა პოლიციამ, რომელიც წინასწარ იყო გაფრთხილებული ამ ჯგუფის ჩამოსვლის შესახებ, შეძლო აგინსკის ხელში ჩაგდება, მაგრამ, მრავალი ცდის მიუხედავად, ვერ აღმოაჩინა დიმიტროვისა და კოლაროვის ადგილსამყოფელი.

1923 წლის ღამეს აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ს. ვირშეცი. იქიდან კოლაროვი და დიმიტროვი ქ. ფერდინანდში (ახლა — მიხაილოვგრადში) გაემგზავრნენ, რომელსაც კომუნისტებმა და მიწათმოქმედებმა ორჯერ შეუტიეს და ბოლოს აიღეს კიდეც. ამ პერიოდში გავრილ გენოვი გაემგზავრა ვრაცში, რათა აჯანყება მოეწყო, მაგრამ რაკი დარწმუნებული იყო, რომ იქ ადგილობრივი ორგანიზაცია გაანადგურეს, მანაც ფერდინანდს მიაშურა.

ფერდინანდში კოლაროვისა და დიმიტროვის ჩასვლის ცნობას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ აჯანყებული მუშები და გლეხები. პარტიის გამოცდილი ხელმძღვანელები მაშინვე ჩაუდგნენ სათავეში აჯანყებულ ხალხს. მთავარ სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტთან ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, აჯანყების მთავარ შტაბთან ერთად შეიქმნა საოლქო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ხუთ სექციას აერთიანებდა, ესენი იყო: სამხედრო, სამობილიზაციო, სანიტარული, ადმინისტრაციული და კომენდატურა. საოლქო კომიტეტმა ივალდებულა ეხელმძღვანელა ოკოლიის პუნქტებისა და ადგილობრივი რევო-

ლუციური კომიტეტებისათვის, რომლის შემადგენლობაში 3—5 კაცი შედიოდა, უმეტესწილად კომუნისტები. დასახელებულ პუნქტებში, სადაც ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები ძლიერი იყო, ამ კავშირის წევრები რევოლუციურ კომიტეტებში უფრო მეტ ადგილს იღებდნენ. ზოგიერთი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ანარქოკომუნისტებისა და რადიკალების წარმომადგენლები, მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირი არ იყო, რადგან ამ ბალზე მცირერიცხოვან პოლიტიკურ ჯგუფებს არავითარი გავლენა არ ჰქონდათ მასებზე.

რევოლუციური კომიტეტები თავს უყრიდნენ მთელ ადგილობრივ ხელისუფლებას. ისინი ზრუნავდნენ მშრომელთა მობილიზაციაზე და უვნებელყოფდნენ მოწინააღმდეგეს. მათი მთავარი ამოცანა იყო აჯანყებულთა მოქმედების სწორი ორგანიზაცია. გაიხსნა საავადმყოფო, სადაც დაჭრილ ტყვეებსაც კი გზავნიდნენ.

1923 წლის 24 სექტემბერს დიმიტროვი და კოლაროვი ქ. ბერკოვიცაში გაემგზავრნენ. იქ მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი კომიტეტის სხდომაში და გამოთქვეს რეკომენდაციები მის შემდგომ მუშაობასთან დაკავშირებით. აჯანყების ხელმძღვანელები იმავე დღეს დაბრუნდნენ ფერდინანდში. შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობას დიმიტროვი და კოლაროვი მთელ თავის ენერგიასა და ნიჭს ახმარდნენ, ამასთან ამყარებდნენ დიდ ცოდნასა და ნებისყოფას და ამით აღაფრთოვანებდნენ აჯანყებულ ხალხს. მოქმედებდნენ ძალზე თავდაჭერილად, ამავე დროს ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ უთანაბრო და სისხლიანი ბრძოლის წარმატებით დამთავრებისათვის.

დაძაბული ბრძოლის შედეგად თითქმის მთელი ვრაჩანსკის ოკრუგი აჯანყებულებმა დაიკავეს. გავრილ გენოვის საერთო ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა გაიმარჯვეს რკინიგზის სადგურ ბოიჩინოვკასთან ბრძოლაში. სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ქ. ლოძში, მაგრამ ფაშისტებმა მოახერხეს კავალერიის ყაზარმებში ბარიკადების მოწყობა და დახმარებას გარედან ელოდნენ.

თავდაპირველი მნიშვნელოვანი წარმატებებისა და მხნე, შემტევი სულისკვეთების მიუხედავად, აჯანყებულებმა ვერ მიაღწიეს მთავარ მიზანს — ხელში ჩაეგდოთ ვრაცის საოლქო ცენტრი. საბოლოოდ ვერ შეძლეს ინიციატივის შენარჩუნება, რომელიც მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა. 1923 წლის 26 სექტემბერს მთავრობის მრავალრიცხოვანმა ჯარებმა (ქვეითი, კავალერია და არტილერია) შეუტია აჯანყებულ სოფლებს. ამ დროს ეცემოდა ბერვოვიცა, რომელიც ფერდინანდიდან 20 კილომეტრზე მდებარეობდა. ეს იყო სექტემბრის აჯანყების მარცხის დასაწყისი. როდესაც ნათელი გახდა, რომ შეიარაღე-

ბული ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, მთავარმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა განკარგულება გასცა, რომ აჯანყებულთა რაზმებს იუგოსლავიის საზღვრისაკენ დაეხიათ. 28 და 29 სექტემბერს აჯანყებულები სისხლისმღვრელ თავდაცვით ომებს აწარმოებდნენ. მოწინააღმდეგის ძალთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს აჯანყებულთა ალყაში მოქცევა და განადგურება. ძირითადმა ნაწილმა მშვიდობიანად დაიხია უკან.

მათ შორის, ვინც იძულებული გახდა დიდი ხნით დაეტოვებინა სამშობლო, იყვნენ სექტემბრის აჯანყების ხელმძღვანელებიც. ისინი ღრმად დამწუხრებულნი ტოვებდნენ სამშობლოს, მაგრამ სწამდათ, რომ დამარცხების მიუხედავად ბულგარელი ხალხი გაწყვეტდა მონობის ჯაჭვს და ფაშისტური რეაქციის ბატონობა სამუდამოდ დაემხობოდა.

აჯანყებაში მონაწილეობისათვის ფაშისტურმა მთავრობამ კოლაროვსა და დიმიტროვს დაუსწრებლად სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა.

სექტემბრის აჯანყება მსოფლიოში პირველი ორგანიზებული ანტიფაშისტური აჯანყება იყო. აჯანყების დროს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას პრაქტიკულად უნდა გამოყენებინა კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი სტრატეგიული და ტაქტიკური პრინციპები, რომლებიც შემუშავებულ იქნა ვ. ი. ლენინის დებულებათა შესაბამისად.

აჯანყებულები მედგრად იბრძოდნენ გამხეცებული მტრის წინააღმდეგ. ისინი დიდ გმირობას ჩადიოდნენ და გულგრილად ეგებებოდნენ სიკვდილს, ტანჯვასა და წამებას.

სექტემბრის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის განმტკიცებაში, იმ ბრძოლის განვითარებაში, რომელსაც ბულგარელი ხალხი აწარმოებდა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. გიორგი დიმიტროვი მაღალ შეფასებას აძლევდა მასების შეიარაღებულ გამოსვლებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებისათვის. იგი არაერთხელ შეჩერებულა აჯანყების დამარცხების მიზეზებზე. დიმიტროვმა ეს მიზეზები დიდი სიზუსტითა და სიღრმით გააანალიზა 1984 წელს V ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში.

დიმიტროვმა ხაზგასმით აღნიშნა, აჯანყების დამარცხების ძირითადი მიზეზები ისაა, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტია იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო ახალი, ლენინური ტიპის პარტია. ლაიფციგში 1933 წელს თავის ბრწყინვალე სიტყვაში დიმიტროვმა კვლავ განაცხადა: „მე ვამაყობ ამ გმირული აჯანყებით.

მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ მაშინ მე და ჩემი პარტია ჯერ კიდევ არ ვიყავით ნამდვილი ბოლშევიკები. ამიტომ ჩვენ ვერ შევძელით ამ ისტორიული სახალხო აჯანყების წარმატებით ორგანიზება და ჩატარება პროლეტარიატის ხელმძღვანელობით"[1].

დიმიტროვმა მიუთითა, რომ, ლენინის იდეებით არასაკმაოდ გამსჭვალვის გამო, ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ 9 ივნისის გადატრიალების შემდეგ ეგრეთ წოდებული ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. ამავე მიზეზით ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ ვერ შეძლო იმ პერიოდში კაპიტულანტური განწყობის მთლიანად დაძლევა, მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის შექმნა. ამ არსებითი ნაკლოვანებების დაძლევის გარეშე უაზრობაა გამარჯვებაზე ფიქრი. პარტიის მიერ ლენინის მოძღვრების არასათანადო გაცნობიერებით ხსნიდა დიმიტროვი ცხოვრებაში შეიარაღებული აჯანყების კურსის გატარებისას დაშვებულ ბევრ შეცდომას.

გამარჯვების მიუხედავად ბულგარეთის ფაშისტურმა მთავრობამ ვერ შეძლო საკუთარი მდგომარეობის განმტკიცება. მკვლელობებმა და უსაზღვრო სისასტიკემ ფაშისტური მთავრობის მხრივ ღრმა უფსკრული წარმოშვა ფაშიზმსა და ხალხს შორის. მათი დაახლოება უკვე შეუძლებელი იყო. ასე წერდნენ კოლაროვი და დიმიტროვი ცნობილ ღია წერილში, რომელიც ემიგრაციიდან გამოუგზავნეს პარტიის წევრებს, ყველა ბულგარელ მუშასა და გლეხს. ბულგარეთში წერილი არალეგარულად შემოვიდა. ეს ისტორიული დოკუმენტი მოუწოდებდა პარტიასა და მასებს, თავიდან აეცილებინათ სასოწარკვეთილება, სულმოკლეობა და კაპიტულანტური განწყობილება.

აჯანყების ხელმძღვანელებმა კვლავ ამხილეს ფაშისტური დიქტატურის არსი, რომელიც დამყარდა ქვეყანაში 1923 წლის 9 ივნისის გადატრიალების შემდეგ. მათ მიუთითეს იმ გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვია შეიარაღებული აჯანყება, და იმ მიზნებზე, რომლებიც დაისახეს აჯანყებულებმა. ღია წერილის ავტორებმა კიდევ ერთხელ განაზოგადეს ერთიანი ფრონტის ლოზუნგი და აღნიშნეს, რომ, მიუხედავად სისხლიანი ტერორისა, ანტიფაშისტური მოძრაობა არ განადგურებულა და მოუწოდეს მუშებსა და გლეხებს, შეენარჩუნებინათ სიმტკიცე, საკუთარი ძალების რწმენა. „ნუ შეშინდებით! — წერდნენ ისინი, — თავისი ხელისუფლებისათვის მოცახცახე თეთრგვარდიული ხროვის სისხლიანი თარეში ვერ გატეხს მშრომელი ბულგარეთის სა-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 317 (რუსულ ენაზე).

ბრძოლო სულისკვეთებას! დამარცხება გვასწავლის გამარჯვებას!"[1].

აჯანყების ორივე ხელმძღვანელს სწამდა მუშებისა და გლეხების ძალისა ფაშიზმისა და კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის მათ მომავალ ბრძოლაში. მათ განაცხადეს, რომ არავითარი სიძნელის, არავითარი ტანჯვის წინაშე არ შედრკებიან და მთელ თავის ძალას ხალხთა კეთილდღეობას შესწირავენ. „ღრმა რწმენით აღსავსენი, — ნათქვამი იყო დასკვნაში, — ჩვენ, ყველა მშრომელი, მამაცურად გადავიტანთ დამარცხების ტკივილსა და განცდებს და დიდი აღმაფრენით შევეწირებით სახალხო საქმეს; არ დავმშვიდდებით მანამ, სანამ არ გავიმარჯვებთ[2].

კოლაროვისა და დიმიტროვის წინასწარმეტყველება ახდა. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ დაჩქარებით იწყო ლენინიზმის პოზიციებზე გადასვლა. საკუთარ რევოლუციურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, პარტია განუხრელად სწავლობდა ხალხთა მასების ხელმძღვანელობას უკვე იატაკქვეშეთის პირობებში. აურაცხელმა მსხვერპლმა და ერთად დაღვრილმა სისხლმა დააკავშირა კომუნისტები, მიწათმოქმედები და ქვეყნის ყველა პროგრესული ძალა. სექტემბრის აჯანყებამ მდიდარი ანტიფაშისტური ტრადიციები დანერგა ხალხში. ღრმავდებოდა სიძულვილი ანტიფაშისტური დიქტატურისადმი.

გ. დიმიტროვი, ემიგრაციაში ყოფნის დრო, მძიმე პირობებში, რთულ ვითარებაში აგრძელებდა ენერგიულ მოღვაწეობას ბულგარეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რიგებში. უფრო თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა მისი საუკეთესო თვისებები და უნარი, თავგანწირვა პროლეტარიატის საქმისადმი. დიმიტროვი ჩამოყალიბდა არა მარტო როგორც ბულგარეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელი, არამედ როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 123 (რუსულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 128—129.

თავი მესამე

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე და ლაიფციგში ფაშიზმთან ბრძოლაში გამარჯვებული

1. ხელმძღვანელ სამუშაოზე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში

სექტემბრის აჯანყების შემდეგ გიორგი დიმიტროვის ცხოვრებაში დაიწყო ახალი — ემიგრაციისა და იატაკქვეშა მუშაობის პერიოდი. იგი ევროპაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სხვა სახელით. არ იშურებდა ცოდნას, გამოცდილებას და უშრეტ ენერგიას ბულგარეთში, ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური მოძრაობის განსამტკიცებლად, მობილიზებას უწევდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1923 წლის სექტემბრის ბოლოს გიორგი დიმიტროვი და ვასილ კოლაროვი იუგოსლავიაში ჩავიდნენ. აქედან მათ წერილი მისწერეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოაწყვეს შეხვედრები იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის მოღვაწეებთან, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის წარმომადგენლებთან, განიხილეს ბულგარელ პოლიტემიგრანტთა მატერიალურ უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან, მათ შორის ორგანიზაციულ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. ქ. ნიშში კოლაროვმა და დიმიტროვმა დაწერეს ისტორიული „ღია წერილი ბულგარეთის მუშებსა და გლეხებს“.

სექტემბრის აჯანყების ორივე ხელმძღვანელმა მიმართა მთელი მსოფლიოს მშრომელებს, ბალკანეთის კომუნისტურ პარტიებს და პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს მოწოდებით — დაუყოვნებლივ დაეწყოთ კამპანია ყოფილ ბულგარელ მეამბოხეთა, პოლიტპატიმართა და დაზარალებულთა ოჯახების დასაცავად. მათ საერთაშორისო საზოგადოებრიობას აუწყეს ცანკოვის მთავრობის სისხლიანი ბოროტმოქმედების ამბავი და მხურვალედ მოუწოდეს, გაეშალათ საპროტესტო კამპანია ბულგარეთში თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

იუგოსლავიაში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ დიმიტროვმა და კოლაროვმა ავსტრიაში გადაინაცვლეს. 1923 წლის 15 ოქტომბერს მათ

ვენაში შექმნეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტი. კომიტეტი იხილავდა პარტიისათვის საარსებო საკითხებს, წინადადება შეჰქონდა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის თაობაზე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მომავალი ამოცანებისა და მისი პოლიტიკური ხაზის შესახებ 1923 წლის სექტემბრის აჯანყების შემდეგ. მან მიუთითა პარტიის გათიშული ძალების დარაზმვისა და მობილიზების, მშრომელთა შორის კავშირის დამყარებისა და ლეგალური მუშათა პარტიის შექმნის აუცილებლობაზე. პარტიის საზღვარგარეთულმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების გაგრძელების თაობაზე.

1923 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში კოლაროვი მოსკოვს გაემგზავრა, როგორც კომინტერნის გენერალური მდივანი. დიმიტროვმა ითავა პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ხელმძღვანელობა. წელიწადნახევარი იცხოვრა და იმუშავა ავსტრიის დედაქალაქში და სისტემატურად იმყოფებოდა იმის საფრთხის ქვეშ, რომ მის კვალს მიაგნებდნენ ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის აგენტები. მიუხედავად რთული არალეგალური პირობებისა, დიმიტროვმა ენერგიული მოღვაწეობა გაშალა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დასახმარებლად. ამ საქმეში მონაწილეობდა პარტიული ემიგრაციაც — სტუდენტი კომუნისტები და საზღვარგარეთ მცხოვრები სხვა ბულგარელები. დიმიტროვი ცხოვრობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პრობლემებითა და ამოცანებით, სისტემატურად გრძნობდა მის პულსს, მთელი ძალებით მიისწრაფოდა მისი აღდგენისა და განმტკიცებისაკენ.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო პარტიის ორგანოს — „რობოტნიჩესკი ვესტნიკის" გამოცემა. გ. დიმიტროვი გაზეთის რედაქტორი იყო, ხოლო როცა საჭიროება ითხოვდა, — კორექტორიც და ექსპედიტორიც. მის კალამს ეკუთვნოდა მრავალი სტატია, რომლებშიც დამუშავებული იყო პარტიისა და ანტიფაშისტური მოძრაობის აქტუალური საკითხები.

„რაბოტნიჩესკი ვესტნიკმა" თავი იჩინა და ბულგარეთში შეაღწია იმ დროს, როცა ქვეყანაში სისხლიანი ანგარიშსწორება სუფევდა, როცა პარტია, სამოქალაქო ომის შემდეგ, ძალების დიდი დაძაბვით ფეხზე დგებოდა. გაზეთი ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას მხარში ედგა მისი აღდგენის პროცესში, აქტიურად მონაწილეობდა მემარჯვენე ძალების, კაპიტულანტური და ლიკვიდატორული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არალეგალური პირობები და მანძილის სიშორე ხელს ვერ უშლიდა გიორგი დიმიტროვის კავშირს ბულგარეთთან; კომუნისტურ პარტიასთან და მის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი იყო არალეგალური არხები, რომლებითაც სიცოცხლის რისკის გაწევით მიმოდიოდნენ კურიერები.

პარტიისათვის მძიმე დღეებში აუცილებელი იყო 1923 წელს მომხდარი ამბების გაანალიზება, ერთიანობის მიღწევა აჯანყების შეფასებაში, მისგან გაკვეთილის მიღება და სწორი პოლიტიკური ხაზის განსაზღვრა.

გ. დიმიტროვი მხარში ედგა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უზიარებდა თავის შეხედულებას აქტუალურ საკითხებზე, რითაც ხელს უწყობდა მოვლენათა მარქსისტულ-ლენინურ შეფასებას და მომავლის ამოცანათა განსაზღვრას. იგი სექტემბრის აჯანყებას მიიჩნევდა „პარტიის კოლოსალურ აქტივად და ბულგარეთის მომავალი კომუნისტური მოძრაობისათვის ფასდაუდებელ კაპიტალად"[1]. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წინაშე იდგა ამოცანა, გაეღრმავებინა და სრულეყო აჯანყებით მიღწეული რევოლუციური მონაპოვარი.

გიორგი დიმიტროვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის წარმომადგენლებმა აჯანყებას „ავანტიურა" უწოდეს და მოითხოვდნენ პარტიის ჩამოშორებას კომუნისტური ინტერნაციონალისაგან. დიმიტროვმა, როგორც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის წევრმა და ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმის მდივანმა, ხელი შეუწყო პარტიაში არსებული მდგომარეობის სწორად გაშუქებას, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წარმოშობის მიზეზებისა და ხასიათის გახსნას. პარტიის ჯანსაღი ძალები აღდგნენ რენეგატების ცდის წინააღმდეგ — განხეთქილება შეეტანათ მის რიგებში და შეეფერხებინათ ფაშისტური უღლის ლიკვიდაციისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ბულგარელმა კომუნისტებმა გაკიცხეს კაპიტულანტების გამცემლური მოქმედება, ხოლო ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო პარტიის რიგებიდან მათი გარიცხვის შესახებ.

ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი დიმიტროვი იცავდა ლენინურ დებულებას არალეგალური პარტიის შენარჩუნებისა და გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. იგი მასში ხედავდა მუშათა კლასის წამყვან ძალას, რომლის ამოცანა იყო მასების წარმართვა რევოლუციის გზით.

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 3, აღწ. 4, ფურც. 24.

ღიმიტროვს აუცილებლობად მიაჩნდა ლეგალური და არალეგალური მუშაობის შერწყმა, ხსნიდა ლეგალური მუშათა პარტიის ხასიათსა და ამოცანებს. იატაკქვეშ მყოფი პარტია იძულებული იყო მოეძებნა მასებთან ურთიერთობის ფორმები და საშუალებები, ჩაეტარებინა ახსნა-განმარტებითი მუშაობა და მოეხდინა მათი ორგანიზება.

1924 წლის დასაწყისში დიმიტროვმა ცენტრალურ კომიტეტს ურჩია, დაეჩქარებინა პარტიის გადახალისება არალეგალურ საფუძველზე და ამავე დროს შესდგომოდა მუშათა კლასის ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას, რათა ლიკვიდატორული ელემენტებისათვის ხელიდან გამოეცალა ლეგალური პარტიის შექმნის ინიციატივა.

დიმიტროვისა და პარტიის ხელმძღვანელობის მოსაზრებებს ლეგალური ფორმებისა და მეთოდების, არალეგალური მოქმედების შერწყმის თაობაზე არ იზიარებდა ზოგიერთი მემარცხენედ განწყობილი მოღვაწე. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ლეგალური კლასობრივი პარტიის შექმნა. ახალ ორგანიზაციას შრომის პარტია უწოდა. მან მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება და აკრძალულ იქნა ფაშისტური კანონის თანახმად სახელმწიფოს დაცვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, შრომის პარტიამ ხელი შეუწყო მშრომელთა აქტივიზირებასა და მობილიზებას. ლიკვიდატორთა ცდაც — შეექმნათ ლეგალური პარტია და თავის გარშემო დაერაზმათ მუშათა მასები — მარცხით დასრულდა. ლიკვიდატორები იზოლირებული აღმოჩნდნენ მუშათა მოძრაობისაგან.

ბულგარეთის ივნისისა და სექტემბრის მოვლენები და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ახალი კურსი განხილულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. 1924 წლის იანვარში გ. დიმიტროვი ვენიდან მოსკოვს გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო პარტიის პრობლემათა განხილვაში. ბულგარეთის საკითხისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა არა მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა, არამედ მოძმე პარტიებმაც.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის იანვრის გადაწყვეტილებებით გაკიცხულ იქნა ნეიტრალიტეტის ოპორტუნისტული ტაქტიკა, რომელსაც ემყარებოდა პარტია 1923 წლის 9 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. მათში აღნიშნული იყო სექტემბრის აჯანყების დიდი მნიშვნელობა ბულგარეთში რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის, მოიწო-

ნა ახალი აჯანყების მზადების კურსი და განსაზღვრა პარტიის შემდგომი მოქმედების მიმართულებანი.

გიორგი დიმიტროვი ჯერ კიდევ მოსკოვში იყო, როდესაც გაიგო ვ. ი. ლენინის უდროო გარდაცვალების ამბავი. მთელი მსოფლიოს კომუნისტებთან და მშრომელებთან ერთად დიმიტროვმა ღრმად განიცადა ეს მძიმე დანაკლისი. იგი შევიდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც მიაცილებდა კუბოს ვ. ი. ლენინის ნეშტით გორკადან მოსკოვამდე.

გიორგი დიმიტროვი თავის სტატიებსა და საუბრებში ყოველთვის აღნიშნავდა ლენინური იდეების სიდიადეს, რომლებიც ვრცელდებოდა ბალკანეთსა და მთელს მსოფლიოში და მუშათა და გლეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს წარმოადგენდა. ისინი იყო სახელმძღვანელო დებულებები დიმიტროვის მრავალმხრივი მოღვაწეობისთვისაც.

დიმიტროვი, მუშათა და გლეხთა კავშირის ლენინური იდეის შტკიცე მიმდევარი, ძალ-ღონეს არ იშურებდა კომუნისტებსა და მიწათმოქმედთა შორის მოქმედების ერთიანობის მისაღწევად. მოსკოვში იგი მონაწილეობდა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის საზღვარგარეთული წარმომადგენლობის მოღვაწეებთან შეხვედრაში. მოლაპარაკება ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის წარმომადგენლებს შორის დამთავრდა საერთო დოკუმენტის მიღებით ორივე ორგანიზაციის ამოცანათა შესახებ. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერეს დ. კოლაროვმა და გ. დიმიტროვმა.

გიორგი დიმიტროვი ბერლინისა და პრაღის გავლით დაბრუნდა ვენაში. დაბრუნებისას მან პირველ რიგში ბულგარელ კომუნისტებს გააცნო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. მისი ხელმძღვანელობით 1924 წლის 3-4 მარტს ჩატარდა პარტიული ემიგრაციის წარმომადგენელთა სხდომა, რომელმაც მოიწონა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციები. სხდომაზე აღინიშნა, რომ დოკუმენტებში განხილული იყო პარტიის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაც სპობდა დაბრკოლებას მისი ერთიანობის აღდგენის გზაზე.

1928 წლის 17-18 მაისს ბულგარეთში, ვიტოშას მთაზე (სოფიის მიდამოებში), ჩატარდა I არალეგალური პარტიული კონფერენცია. მან დარაზმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ჯანსაღი ძალები სექტემბრის რევოლუციური დროშის ქვეშ და განაცხადა თავისი გა-

დაწყვეტილება ახალი შეიარაღებული აჯანყების მზადების კურსის გაგრძელების თაობაზე. კონფერენციის შემდეგ პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა უპირატესად აჯანყების პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მზადებაზე, შეიქმნა დიდი სამხედრო ორგანიზაცია, გაფართოვდა პარტიზანული მოძრაობა. კონფერენციაზე გიორგი დიმიტროვი ხელახლა იქნა არჩეული ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს პარტიის მოღვაწეობას. აღნიშნავდა „უკიდურესი მოქმედების“ საშიშროებას. ამიტომ იგი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ნიადაგ ხაზს უსვამდა მასებთან ყოველდღიური მუშაობის მნიშვნელობას, რაც პარტიის მთელი საქმიანობის ცენტრში უნდა მდგარიყო.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხი დასვა იმის თაობაზე, რომ შეიარაღებული აჯანყება დაწყებულიყო 1924 წლის შემოდგომაზე. ამასთან დაკავშირებით ვ. კოლაროვმა, გ. დიმიტროვმა და პარტიის სხვა მოღვაწეებმა საფუძვლიანად გააანალიზეს კლასობრივ ძალთა თანაფარდობა ბულგარეთში. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კლასობრივ ბრძოლას დიდი უპირატესობა გააჩნდა და საერთაშორისო მდგომარეობაც არახელსაყრელი იყო აჯანყების დასაწყებად. პარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო საზღვარგარეთული წარმომადგენლობის წინადადება შეიარაღებული აჯანყების გადადების თაობაზე. მაგრამ ვერ შეძლო ბულგარეთში არსებული მდგომარეობის ბოლომდე საღად შეფასება. იმის ნაცვლად, რომ უარი ეთქვა ახალ აჯანყებაზე რევოლუციური მოძრაობის დაცემის გამო და დასდგომოდა ორგანიზებულ უკანდახევის გზას (მასებში მუშაობისათვის ძალების მობილიზებით), ბულგარეთში მყოფი პარტიის ხელმძღვანელობა აგრძელებდა აჯანყებისათვის მზადებას აშკარად არახელსაყრელ პირობებში.

ფაშისტურმა მთავრობამ გააძლიერა სისხლიანი ტერორი რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. პარტიის ზოგიერთ მოღვაწესა და მის სამხედრო ორგანიზაციას შეექმნა აზრი, რომ მთავრობის მხრივ დარტყმებისათვის ტერორითვე უნდა ეპასუხათ.

გიორგი დიმიტროვი ცდილობდა დაეცვა ბულგარეთის კომუნისტური პარტია მემარცხენე გადახრისაგან. მან ამისათვის გამოიყენა წერილობითი კავშირი ბულგარეთში პარტიის ხელმძღვანელობასთან, ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან — სტანკე დიმიტროვთან და ივანე მანევთან პირადი შეხვედრები ვენაში, ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმში, პრესა და ა. შ. გიორგი დიმიტროვი სწერდა ვასილ კოლაროვს: „ჩვენებს გააჩნიათ გარკვეული მიდრეკი-

ლება ინდივიდუალური ტერორისადმი... ეს უკიდურესად სახიფათო მიდრეკილებაა და საჭიროა მასზე სასწრაფო რეაგირება"[1].

1925 წლის მარტში დიმიტროვი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც ვ. კოლაროვთან, სტანკე დიმიტროვთან და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სხდომაში, რომელზეც კვლავ განიხილებოდა ბულგარეთში საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი. სხდომამ წამოაყენა წინადადება, რომ ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას შეეცვალა შეიარაღებული აჯანყების კურსი, გაეშალა მუშაობა მასებთან, ემეთაურა მათი ბრძოლისათვის საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ქვეყანაში ვერ შეძლო დროზე გამკლავებოდა ულტრამემარცხენე გადახრას, რომელსაც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაცია ავლენდა. ულტრამემარცხენენი განაგრძობდნენ ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლას. მტრის სისხლიან ტერორს ისინიც ტერორისტული მოქმედებით პასუხობდნენ. ასეთ ვითარებაში 1925 წლის 16 აპრილს სოფიის „წმ. ნედელეს" ტაძარში, სადაც შეკრებილიყო ფაშისტური სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელობა და ელოდებოდნენ მონარქის მოსვლას, მოხდა აფეთქება. ეს აფეთქება ფაშისტურმა მთავრობამ გამოიყენა კომუნისტთა და მიწათმოქმედთა — ერთიანი ფრონტის მომხრეთა მასობრივი დასჯისათვის.

საზღვარგარეთული წარმომადგენლობისა და ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის განცხადებებში დიმიტროვმა გამოხატა აფეთქებისა და მას შემდეგ სისხლიანი ვაკხანალიისადმი თავისი დამოკიდებულება. მან დაგმო ინდივიდუალური ტერორის მეთოდები, მაგრამ ამავე დროს გამოხატა მტკიცე პროტესტი ცანკოვის მთავრობის რეჟიმის მიმართ, რომელმაც თავისი სიმკაცრით სამხედრო ორგანიზაციის მოღვაწენი სასოწარკვეთილ აქტამდე მიიყვანა. დიმიტროვმა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდა ცანკოვის ჯალათთა, რეაქციის ჯარისკაცთა მხეცური დასჯის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლისაკენ.

ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის მემარცხენე ძალებმა, რევოლუციურმა პროფკავშირებმა და სხვა მასობრივმა მუშათა ორგანიზაციებმა დაკარგეს საუკეთესო კადრები. ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობას მძიმე პერი-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, წერილები, 1905—1945, გვ. 161 (ბულგარულ ენაზე).

ოდი დაუდგა. მიუხედავად ამისა, ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ შეძლო შესდგომოდა დასუსტებული პარტიული ორგანიზაციების აღდგენას, გაკვეთილად გამოიყენა წარსული და დაიწყო სწორი მიმართულების ძიება მომავალი მოღვაწეობისათვის, მომავალი ბოლშევიკური გარდაქმნებისათვის.

1923 წლის 17 დეკემბერს გიორგი დიმიტროვი აირჩიეს ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმის მღივნად. იგი ხელს უწყობდა პრეზიდიუმის სწორ ფუნქციონირებას, ბალკანეთის კომუნისტური პარტიების განვითარებასა და განმტკიცებას, მათი მოქმედების კოორდინაციას, ბალკანეთის ქვეყნების, მუშებისა და გლეხების ბრძოლის ხელმძღვანელობას. დიმიტროვი, როგორც პროფინტერნის ბიუროს წარმომადგენელი ბალკანეთში, თვალს ადევნებდა აგრეთვე ბალკანეთის ქვეყნებში პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას და მჭიდრო კავშირში იყო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

ბალკანეთის კომუნისტური ფედერაცია აქტიურ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა. გიორგი დიმიტროვი ფედერაციის პრეზიდიუმის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა და დიდ, შრომატევად საქმიანობას ეწეოდა. იგი ხელმძღვანელობდა პრეზიდიუმს, ადგენდა და ამუშავებდა ფედერაციის თითქმის ყველა დოკუმენტს, მიმოწერას აწარმოებდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთან და ბალკანეთის კომუნისტურ პარტიებთან.

გიორგი დიმიტროვი, ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმისა და საზღვარგარეთული წარმომადგენლობის სხვა წევრები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მძიმე პირობებში. მათ სისტემატურად ემუქრებოდა ავსტრიის პოლიცია, ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ გადაჰყოროდნენ ბალკანეთის ზოგიერთი ქვეყნის აგენტებს. მათ დიდ დახმარებას უწევდნენ ავსტრიელი კომუნისტები და კომკავშირლები. იქ, სადაც უცხოელს არ შეესვლებოდა, ავსტრიელის გამოჩენა ეჭვს არ გამოიწვევდა და ამხანაგური დახმარების წყალობით შეუძლებელიც კი ხელმისაწვდომი ხდებოდა.

გიორგი დიმიტროვი, თავის მხრივ, აქტიურად ეხმარებოდა ავსტრიის კომუნისტურ პარტიას. 1924 წლის აპრილიდან იგი გახდა ამ პარტიის წარმომადგენელი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში. ოსვალდის ფსევდონიმით დიმიტროვი მონაწილეობდა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებში, მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს, ხელს უწყობდა უთანხმოებისა და ფრაქციული ბრძოლის დაძლევაში, რასაც ზემოაღნიშნულ პარტიაში ჰქონდა ადგილი.

ყოველივე ეს საჭიროებდა უდიდეს ენერგიას, მდიდარ გამოცდილებას და იშვიათ სიმტკიცეს. დიმიტროვის სამუშაო დღე ძალზე გრძელი იყო, მაგრამ გამოცდილი რევოლუციონერი გულდაჯერებით ეწეოდა ამ მძიმე ტვირთს, რადგანაც ამას მოითხოვდა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება უძღვნა.

გიორგი დიმიტროვი ყალიბდებოდა, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. 1924 წლის ზაფხულში მან მონაწილეობა მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის V კონგრესის მუშაობაში ქ. მოსკოვში და როგორც ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის წარმომადგენელი, შეიყვანეს კონგრესის სხვადასხვა კომისიაში: პოლიტიკურში, ორგანიზაციულში, პროფკავშირულში, კოლონიურში, პოლონურში, ინგლისურსა და ავსტრიულში. იგი აირჩიეს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად. ამავე დროს ჩატარდა პროფინტერნის III კონგრესი, სადაც დიმიტროვი აირჩიეს კონგრესის პრეზიდიუმში და აქტიურად მონაწილეობდა ინგლისურ და გერმანულ კომისიებში, იგი კვლავ გახდა პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს წევრი. მისი აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა 1924 წლის ივლისში ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის VIII კონფერენცია.

1925 წლის გაზაფხულზე გიორგი დიმიტროვმა, როგორც დელეგატმა, მონაწილეობა მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებული კომიტეტის V გაფართოებული პლენუმის მუშაობაში. პლენუმის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის აპარატში, მონაწილეობას ღებულობდა მისი პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომებში, კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოების წერილებისა და დოკუმენტების მომზადებაში. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VI გაფართოებულმა პლენუმმა, რომელიც შედგა 1926 წლის თებერვალ-მარტში, განიხილა კომუნისტური პარტიების ამოცანები საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლაში, აგრეთვე ვითარება კომუნისტური ინტერნაციონალის სექციის რიგებში, მათ შორის გერმანიისა. დიმიტროვი გამოვიდა გერმანიის საკითხის რეზოლუციასთან დაკავშირებით. მან დაგმო ულტრამემარცხენე საშიშროება და სოლიდარობა გამოუცხადა მათ, ვისაც მიაჩნდათ, რომ მისი ლიკვიდაციის გარეშე გერმანიის კომუნისტური პარტიის, როგორც მასობრივი პროლეტარული პარტიის, შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო.

დიმიტროვი გამოვიდა წვრილბურჟუაზიულ დაჯგუფებათა ცდების წინააღმდეგ, შეერყია კომუნისტური ინტერნაციონალის ერთიანობა.

VI პლენუმის შემდეგ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკურ სამდივნოსთან შეიქმნა მუდმივი კომისიები — ლენდერსამდივნოები, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენდა კომინტერნის სექციათა ჯგუფების მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების მომზადება და დამუშავება. გიორგი დიმიტროვს დაავალეს პოლონეთ-ბალტიისპირეთის სამდივნოს ხელმძღვანელობა, რომელშიც შედიოდნენ პოლონეთის, ფინეთის, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის კომუნისტური პარტიები. სამდივნოს სხდომებზე იხილავდნენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ფაშიზმის საშიშროება, ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული ვითარება და ამ ქვეყნების პარტიათა ამოცანები.

ერთდროულად დიმიტროვი მონაწილეობდა ბალკანეთის ლენდერსამდივნოს მუშაობაში, როგორც მისი წევრი, ხოლო გარკვეული დროის მანძილზე — როგორც პასუხისმგებელი მდივნის მოადგილეც. 1926 წლიდან 1928 წლის ბოლომდე ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმი მოსკოვში იმყოფებოდა და შეუერთდა ბალკანეთის ლენდერსამდივნოს. ბალკანეთის ლენდერსამდივნოს პასუხისმგებელი მდივანი ამავე დროს ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის პრეზიდიუმის მდივანიც იყო. ვენაში მუშაობდა ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის სამდივნო, რომელშიც შედიოდნენ ბალკანეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები; მისი ფუნქციები უფრო შეზღუდული იყო.

ბულგარეთის კლასობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელობის მრავალი წლის მანძილზე გიორგი დიმიტროვმა უდიდესი გამოცდილება შეიძინა. იმ წლებში იგი კომინტერნშიც ბულგარეთსა და ბალკანეთში პროფკავშირული ერთიანობის საკითხებზე მუშაობდა. ატარებდა კომინტერნისა და პროფინტერნის ხაზს, რომელიც მიმართული იყო კლასობრივი ბრძოლის დროშით ერთიანი ინტერნაციონალის შექმნისაკენ. დიმიტროვის რჩევით, ერთიანობისათვის ბრძოლაში უნდა ჩაებათ მუშათა ყველაზე ფართო მასები, ქალაქებსა და მსხვილ საწარმოებში შეექმნათ „ერთიანობის კომიტეტები“ სხვადასხვა პროფკავშირული ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ასეთი კომიტეტები სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ ბრძოლას ერთიანობისათვის და პოპულარიზაცია გაეწიათ გამაერთიანებელი კონგრესის მოწვევის იდეისათვის.

გ. დიმიტროვის რჩევით, ცალკეულ პროფკავშირებს მუშათა ინტერესების დასაცავად ერთობლივად უნდა ემოქმედათ, შეედგინათ

დელეგაციები აღნიშნულ მოთხოვნათა წარსადგენად. განხორციელებინათ საგაფიცვო ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა. „აუცილებელია ყველა შესაძლებლობისა და ორგანიზაციული ფორმის გამოყენება, — წერდა ის, — ჩვენი მუშების დაახლოებისათვის სხვა პროფკავშირებში შემავალ, აგრეთვე უპარტიო მუშებთან, მათ შორის მეგობრული ატმოსფეროს შექმნა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის"[1].

გ. დიმიტროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. 1926 წლის შემოდგომაზე ის გაემგზავრა ბერლინსა და ვენაში, სადაც შეხვდა და ესაუბრა გერმანელ, ავსტრიელ და სხვა კომუნისტებს.

იმ პერიოდში აუცილებელი იყო ახალ სიძნელეთა გადალახვა კომუნისტურ მოძრაობაში. ტროცკისტული ოპოზიცია საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა) გაერთიანდა სხვა კომუნისტური პარტიების ოპოზიციურ ჯგუფებთან. მათ, იდეური ნათესაობით გაერთიანებულებმა, შექმნეს საერთაშორისო ფრაქცია, რომელიც ბრძოლისას ერთსა და იმავე საფუძველს ეყრდნობოდა. დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ფრაქციის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მისცემოდა ინტერნაციონალური ხასიათი, რადგანაც ეს იყო ბრძოლა „კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობისათვის"[2].

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის I გაფართოებულ პლენუმზე, რომელიც გაიმართა ვენაში 1926 წელს, დიმიტროვი გამოვიდა მოხსენებით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწეობისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა) არსებული მდგომარეობის შესახებ. მან კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში გაგზავნა შეშფოთების გამომხატველი ვრცელი წერილი; მასში რეკომენდებული იყო ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც აუცილებელი იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის. დიმიტროვი წინადადებას იძლეოდა სასწრაფოდ გაეერთიანებინათ კომუნისტური პარტიის ძალები ერთიანობის დასაცავად.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვენის პლენუმმა სოლიდარობა გამოუცხადა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მოიწონა მისი ლენინური კურსი, მიმართული ერთ ქვეყანაში სოციალი-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ. 3, აღ. 1, ფურც. 2-3 (ბულგარულ ენაზე).

[2] კომუნისტური ინტერნაციონალი. მოკლე ისტორიული ნარკვევი, მ., 1969, გვ. 257 (რუსულ ენაზე).

ზმის აშენებისაკენ. მოიწონა აგრეთვე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) მიერ მიღებული ყველა ღონისძიება „ახალი ოპოზიციის“ წინააღმდეგ, რომელიც 1926 წლის ზაფხულში ტროცკისტებთან გაერთიანდა. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო გაერთიანებული ოპოზიციის მოღვაწეობა და ხაზი გაუსვა, რომ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ერთიანობის უსწრაფესად აღდგენისათვის. ამავე სულისკვეთებით გამოვიდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც გ. დიმიტროვი მეთაურობდა, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმზეც (1926 წლის ნოემბერ-დეკემბერი).

1927 წლის იანვრიდან გიორგი დიმიტროვი უშუალოდ მუშაობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც ვენაში იმყოფებოდა. იგი განაგებდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციას და პარტიის თეორიული ორგანოს — ჟურნალ „კომუნისტიჩესკოე ზნამიას“ მუშაობას.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში იყო ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა მუშათა პარტიისა და მუშათა ახალგაზრდული კავშირის ლეგალური ფორმების შექმნა, მუშათა, გლეხთა და მშრომელთა სხვა ფენების გაერთიანება შრომით ბლოკად, ურთიერთდამოკიდებულება ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირთან, პარლამენტის არჩევნებისადმი (1927 წლის 29 მაისს) დაკავშირებული კამპანიის ორგანიზება, საპირველმაისო აქციის მოწყობა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის II კონფერენციისათვის მზადება და ა. შ.

გ. დიმიტროვი მუშაობდა ამ საკითხთა კომპლექსზე. ის ამზადებდა დირექტივებსა და ინსტრუქციებს აღმასრულებელი ბიუროსათვის ბულგარეთში (იმ პერიოდში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარდა, რომელიც მძიმე არალეგალური პირობების გამო საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ბულგარეთში არსებობდა აღმასრულებელი ბიურო, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა პარტიულ საქმიანობას). დიმიტროვი მოახსენებდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის და პარტიის ამოცანების შესახებ, საერთაშორისო ვითარებისა და ბალკანეთში ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის თაობაზე, წერდა წერილებს და საინფორმაციო შეტყობინებებს, ხვდებოდა ბულგარეთიდან და ბალკანეთის სხვა ქვეყნები-

დან ჩამოსულ პარტიულ ამხანაგებს. ის ხელმძღვანელობდა ვენაში მყოფ ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის სამდივნოს.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა პარტიული კონფერენციის მომზადება, რომელიც მიმდინარეობდა ბერლინში 1927 წლის 8 დეკემბრიდან 1928 წლის 15 იანვრამდე. კონფერენციის მთავარი დოკუმენტი იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა დიმიტროვმა. ოთხი დღის განმავლობაში იგი მოახსენებდა კონფერენციას პარტიის მდგომარეობის, განვითარებისა და ამოცანების შესახებ 1923 წლის 9 ივნისის შემდეგ, აშუქებდა მრავალ სხვა საკითხს, რომლებიც მის წარსულს შეეხებოდა. საანგარიშო მოხსენებამ ხანგრძლივი დისკუსია გამოიწვია, რომელიც დამთავრდა 28 დეკემბერს, როცა დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა გ. დიმიტროვმა.

კონფერენცია შეეცადა გაეანალიზებინა პარტიის წარსული და მიეცა მისთვის შეფასება. აღინიშნა, რომ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოსკოვის თათბირთან (1925 წ.) და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვენის პლენუმთან (1926 წ.) შედარებით, მაგრამ ძირითადი ხსვაობა „ტესნიაჩესტვოსა“ და ლენინიზმს შორის ბოლომდე არ იქნა გამოვლენილი. უფრო იმას გაესვა ხაზი, რაც აახლოვებდა მათ, ხოლო სხვაობა პროლეტარული რევოლუციის ძირითადი საკითხებისადმი მიდგომაში გაუხსნელი დარჩა.

პარტია კონფერენციის შემდეგ პერიოდშიც აგრძელებდა საკუთარი წარსული საქმიანობის ანალიზს, რაც აფერხებდა მის ბოლშევიზაციას და ქმნიდა სიძნელეებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის შემდგომი განვითარებისათვის. მეორე მხრივ, მემარცხენედ განწყობილი მოღვაწეები სოციალ-დემოკრატიულ გადმონაშთთა კრიტიკისას უკიდურესობამდე მიდიოდნენ, უარყოფდნენ რა „ტესნესოციალისტური“ პერიოდის რევოლუციურ გამოცდილებას და მდიდარ მემკვიდრეობას, ყოველ ყოფილ „ტესნიაკს“ ოპორტუნისტად აცხადებდნენ. ამ გეზს მივყავდით მავნე შედეგებამდე. იგი აქვეითებდა პარტიის ბრძოლისუნარიანობას და სწვეტდა მასებს.

პარტიულმა კონფერენციამ ხაზი გაუსვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების აუცილებლობას მასების შეტევის აღმავლობის პირობებში, განსაზღვრა მისი მომავალი ამოცანები. კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. მიუხედავად იატაკქვეშეთის მძიმე პირობებისა, ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობა თვით ქვეყანაში მუშაობდა. საზღვარგარეთ იმყოფებოდა ცენტრალური კო-

მიტეტის მხოლოდ სამი წევრი. მათ ჩამოაყალიბეს საზღვარგარეთის ბიურო, რომელშიც შედიოდა გ. დიმიტროვიც.

გიორგი დიმიტროვი ხელს უწყობდა კომუნისტური პარტიებისა და რევოლუციური მოძრაობის განვითარებას სხვა ქვეყნებში, გამოოქვამდა თავის შეხედულებებს აღნიშნულ პრობლემებზე. უმეტესწილად ეს ეხებოდა ბალკანეთის პარტიებს, აგრეთვე ავსტრიისა და გერმანიის კომუნისტურ პარტიებს, რომელთა მდგომარეობაც მისთვის კარგად იყო ცნობილი.

დიმიტროვი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებას. 1927 წელს ამ ქვეყანაში გაიმართა პარლამენტის არჩევნები. მის შედეგთა ანალიზისას დიმიტროვმა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ თეზისებში გააკეთა რამდენიმე დასკვნა ფაშისტურ საფრთხესთან დაკავშირებით, რომლებიც დადასტურდა მოვლენათა შემდგომი განვითარებით. კლასობრივ ძალთა ვითარებისა და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით, იგი აღნიშნავდა, რომ მსხვილი კაპიტალი სულ უფრო თვალნათლივ მოგვევლინებოდა ფაშიზმის მხარდამჭერად. ამასთან დაკავშირებით ავსტრიის პროლეტარიატი რაც შეიძლება სწრაფად უნდა შესდგომოდა ყოველმხრივ მზადებას ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავსტრიის კომუნისტური პარტია მოითხოვდა რეაქციული ორგანიზაციების დაშლას, სახელმწიფო აპარატიდან ფაშისტური ელემენტების დათხოვნას, მუშათა შეიარაღებას. მან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიმართა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წინადადებით.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ ორ წერილში დიმიტროვი შეეხო კომუნისტური პარტიის დიდ და რთულ ამოცანებს. იგი წინადადებას აყენებდა, გაეჩაღებინათ კამპანია მუშებისა და მათი ორგანიზაციების დევნის წინააღმდეგ. ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი, რომელიც უნდა მიეღოთ განვლილი მოვლენებიდან, იყო მუშათა კლასის ერთიანობის აუცილებლობა. დიმიტროვი ურჩევდა ავსტრიის კომუნისტურ პარტიას, მთელ ქვეყანაში მოეწყოთ მუშათა კომიტეტები რეაქციის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლისათვის. იგი მოითხოვდა ბრძოლის გაშლას კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობისათვის, ამავე დროს იძლეოდა კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ მომზადებულიყვნენ უკეთ იატაკქვეშ მუშაობისათვის. დიმიტროვი ურჩევდა ავსტრიის კომუნისტურ პარტიას, მიეღო დროული ღონისძიებანი, რათა თავიდან აეცილებინა ტერორისტული მოქმედების ცდები, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა რეაქციის შეტევის პირობებში.

ფაშიზმის მზარდ საფრთხესა და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე გიორგი დიმიტროვმა ილაპარაკა პროფინტერნის IV კონგრესის ტრიბუნიდან, რომელიც მიმდინარეობდა 1928 წლის 17 მარტიდან 3 აპრილამდე მოსკოვში. ამ საშიშროებიდან გამომდინარე, იგი მოუწოდებდა მუშათა კლასს, არ შეესუსტებინა წინააღმდეგობა. „ფაშიზმი საშინელი მტერია პროლეტარიატისა და კლასობრივი პროფკავშირებისა, — ამბობდა დიმიტროვი, — ფაშიზმის წინააღმდეგ აუცილებელია ბოლომდე შეურიგებელი, ულმობელი ბრძოლა. შეუძლებელია ყოველგვარი მორიგება კლასობრივ პროფესიულ მოძრაობასა და ფაშიზმს შორის“[1].

პროფინტერნის IV კონგრესზე გ. დიმიტროვი კვლავ აირჩიეს ცენტრალური საბჭოსა და აღმასრულებელი ბიუროს წევრად.

ორი თვეც არ გასულიყო საბჭოთა კავშირიდან ვენაში დაბრუნების შემდეგ, რომ გიორგი დიმიტროვს კვლავ მოუხდა რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს საზღვრების გადალახვა, რათა მიეღო მონაწილეობა მოსკოვში გამართულ კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესის მუშაობაში. 66 პროლეტარული პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად დიმიტროვი მონაწილეობდა კონგრესის სხდომებში, რომელიც მიმდინარეობდა 1928 წლის 17 ივლისიდან 1 სექტემბრამდე.

თავის სიტყვაში კონგრესზე 1928 წლის 6 აგვისტოს გიორგი დიმიტროვმა ილაპარაკა კაპიტალიზმის შეურიგებელ წინააღმდეგობებზე, მზარდ სამხედრო საფრთხეზე, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია. მთავარი საფრთხე, აღნიშნავდა დიმიტროვი, არის ომისათვის მზადება სოციალიზმის ქვეყნის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს შესაბამისი ამოცანაც — ანტისაომარი ბრძოლის ცენტრში უნდა იდგეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაცვა.

კამპანია ომის წინააღმდეგ, აღნიშნავდა დიმიტროვი, უნდა შეეხამოს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლას, მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის ინტერესების დაცვის მიზნით. დიმიტროვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არმიის დაშლისათვის მუშაობას. ასევე კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდას სოფლის პროლეტარიატში, უღარიბეს და საშუალო გლეხებს შორის, რომელთა რიგებიდანაც ივსებოდა უმეტესწილად ჯარი. თუკი იმპერიალისტური ომი მაინც გაჩაღდა, მიუთითებდა იგი, მაშინ რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი კომუნისტური ავანგარდის მთავარი ამოცანა იქ-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 293 (რუსულ ენაზე).

ნება ამ ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და ომის წარმოქმნის შესაძლებლობის ლიკვიდაციის მიზნით.

თეზისებში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესმა დასახა როგორც საერთო, ისე მისი ცალკეული ნაწილების სამოქმედო ამოცანები, მათ შორის ბალკანეთის კომპარტიებისა. დიმიტროვი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც შეეხო მდგომარეობას ბალკანეთში და ბალკანეთის კომუნისტური პარტიების ძირითად ამოცანებს. ეს ამოცანები, მიუთითებდა ის, შეიძლება გადაიჭრას პარტიებს შორის მუდმივი თანამშრომლობით და მათი ერთობლივი მოქმედებით. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის განმტკიცებას და მისი საქმიანობის გამოცოცხლების აუცილებლობას.

ფედერაციის მოღვაწეობის გააქტიურების, ერთობლივი მუშაობის ორგანიზაციისა და ბალკანეთის კომუნისტური პარტიების ბრძოლის აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი აგრეთვე ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის VIII კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1928 წლის სექტემბერში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ იუგოსლავიის, რუმინეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიები, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ბალკანეთის სამდივნო, ბალკანეთის ქვეყნების ახალგაზრდული კომუნისტური კავშირები. ბულგარეთის დელეგაციაში შედიოდა გიორგი დიმიტროვიც.

1929 წლის დასაწყისიდან გიორგი დიმიტროვი რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა ბერლინში. ბერლინში გადაინაცვლა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ. იქვე ჩამოყალიბდა ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანო — აღმასრულებელი ბიურო. აღმასრულებელმა ბიურომ გიორგი დიმიტროვი აირჩია თავის პოლიტიკურ მდივნად.

მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საერთო-ბალკანური საპროტესტო კამპანიის ორგანიზება იუგოსლავიაში 1929 წლის 6 იანვარს დამყარებული მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურის, შემდეგ კი — იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჯურო ჯაკოვიჩის მკვლელობის წინააღმდეგ. მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის გაშლასთან დაკავშირებით ბულგარეთში, რუმინეთსა და საბერძნეთში გ. დიმიტროვი არაერთგზის მიმართავდა მუშებს და მოუწოდებდა კლასობრივი სოლიდარობისაკენ, გაფიცულთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერისაკენ. „საერთო-ბალკანური პროლეტარული სოლიდარობის გამოვლინებას, — წერდა

იგი, — გააჩნია უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ის არა მარტო აწრთობს გაფიცულთა საბრძოლო სულისკვეთებას, არამედ არის აღზრდის, კლასობრივი პროლეტარული სოლიდარობის განვითარების და გაღრმავების საშუალებაც"[1].

სოლიდარობის კამპანიის პარალელურად დიმიტროვი მთელ ძალღონეს ახმარდა საპირველმაისო დემონსტრაციების, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავთა დღესასწაულის მომზადებასა და ჩატარებას. იგი ცდილობდა აგრეთვე უზრუნველეყო ბალკანეთის ქვეყნების დელეგატთა მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესში, როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესი (ბერლინი, 1929 წლის მარტი), ანტიიმპერიალისტური ლიგის კონგრესი (მაინის ფრანკფურტი, 1929 წლის ივლისი), ევროპის გლეხთა კონგრესი (ბერლინი, 1930 წლის მარტი) და სხვა. ბალკანეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილებში დიმიტროვი განმარტავდა ამ საერთაშორისო ღონისძიებათა მნიშვნელობას, ხაზს უსვამდა მასობრივი კომპანიების გაშლის აუცილებლობას მათი მომზადებისათვის. იგი მოითხოვდა, რომ ყოველი ღონისძიებით ეცადათ ამ კონგრესებზე თავისი დელეგატების გაგზავნა. იგი უშუალო კონტაქტს ამყარებდა დელეგატებთან, ჰქონდა მათთან საუბრები მომავალი ამოცანების შესახებ და ხელს უწყობდა მათ აქტიურ მონაწილეობას კონგრესის მუშაობაში.

დიმიტროვი ახორციელებდა ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის კავშირს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპულ ბიუროსთან[2], რომელიც შეიქმნა კომინტერნის კონტაქტთა განმტკიცებისათვის დასავლეთევროპულ კომპარტიებთან. დიმიტროვი თავდაპირველად კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპული ბიუროს წევრი იყო, ხოლო 1929 წლის აპრილიდან მისი ხელმძღვანელი გახდა. ამ პასუხსაგებ პოსტზე იგი იყო 1933 წლის დასაწყისამდე და აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი, კონსპირაციის წესების მკაცრი დამცველი, ფსევდონიმებს იყო ამოფარებული (დოქტორი იან შაიფსმი, დოქტორი რუდოლფ გედიგერი და სხვა) და არალეგალურად ცხოვრობდა ბერლინის გარეუბნებში — პოტსდამში, ადლერსჰოფში, ცელენდორფში, შტეგლიცსა და ა. შ. საქმეები აიძულებდა დიმიტროვს, ემოგზა-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, წერილები, 1905 — 1949, გვ. 187 (რუსულ ენაზე).

[2] დასავლეთევროპული ბიუროს ასეთი შემოკლება შემოვიდა ხმარებაში გერმანულ ენაზე.

ურა გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში; სწვეოდა ბიუნხენს, დრეზდენს, ლაიფციგს, მაინის ფრანკფურტს, ასევე მოსკოვს, ვენას, პრაღას, ბრიუსელს, ამსტერდამს, ბაზელს, სტრასბურგს, პარიზს. საბჭოთა კავშირში მეტნაკლებად ხანგრძლივი ვადით ყოფნისას დიმიტროვი სიხარულით ადევნებდა თვალს შთამბეჭდავ სოციალისტურ მშენებლობას, აღფრთოვანებული იყო საბჭოთა ადამიანების ენთუზიაზმითა და კოლოსალური ენერგიით. ყოველივე ეს უდიდეს გავლენას ახდენდა მის განწყობილებაზე.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და რევოლუციური აღმავლობის (1929 — 1933) წლები დაემთხვა პერიოდს, როცა დიმიტროვმა კაპიტალისტური ევროპის ცენტრში ენერგიული მოღვაწეობა გააჩაღა, რომელიც მიმართული იყო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისა და მასების მობილიზაციისაკენ ფაშიზმის, ომისა და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას კავშირი ჰქონდა დამყარებული ევროპის 25 კომუნისტურ პარტიასთან და რიგ საერთაშორისო მასობრივ ორგანიზაციებთან, საკუთარი წვლილი შეჰქონდა მათი ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური ზრდის საქმეში, ხელს უწყობდა ერთიანობისა და სოლიდარობის განმტკიცებას ერთმანეთს შორის.

გიორგი დიმიტროვი დაკვირვებით სწავლობდა ევროპის ცალკეული ქვეყნების კომუნისტური პარტიების მდგომარეობას, მათ საქმიანობას. კავშირი ჰქონდა დამყარებული პარტიების ხელმძღვანელებთან, მონაწილეობდა მათ სხდომებში, პლენუმების, კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში. ყოველივე ამის შესახებ იგი მოახსენებდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს, ხელმძღვანელობდა რა ცხოვრებაში მისი დირექტივებით. დიმიტროვი იყო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატი გერმანიის კომპარტიის XII ყრილობაზე ბერლინში (1929 წლის ივნისი), ავსტრიის XI ყრილობაზე ვენაში და ნიდერლანდების კომპარტიის კონფერენციაზე ამსტერდამში (1931 წლის ზაფხული); აგრეთვე პლენუმებზე — შვეიცარიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა ბაზელში (1929 წლის ივნისი), პოლონეთის კომპარტიისა ბერლინში (1931 წლის ივლისი), იუგოსლავიის კომპარტიისა (1931 წლის ოქტომბერი) და ა. შ. ის ცდილობდა ღრმად შეესწავლა პარტიული პრობლემები, საფუძვლიანად გაეანალიზებინა მოვლენები, დახმარება გაეწია რჩევითა და რეკომენდაციებით.

გ. დიმიტროვი და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპული ბიურო ატარებდნენ კომუნისტური პარტიების თათბირებსა და კონფერენციებს, სადაც განიხილე-

ბოდა საერთო პრობლემები, კოორდინაცია ეწეოდა მათ მოღვაწეობას. მაგალითად, 1929 წლის მარტსა და მაისში მოეწყო თათბირები 1 აგვისტოს ანტისაომარი კამპანიის მომზადებისათვის, 1931 წლის აგვისტოში — თათბირი კომუნისტური პარტიების მუშაობის შესახებ უმუშევართა შორის.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპულ ბიუროს, დიმიტროვის ხელმძღვანელობით, მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული და დახმარებას უწევდა რიგ მასობრივ ორგანიზაციებს, რომელთა ხელმძღვანელი ცენტრები ბერლინში იმყოფებოდა. ასეთები იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დასავლეთევროპული ბიურო, პროფინტერნის ევროპული სამდივნო, რედაქცია „ინტერნაციონალე პრესსე-კორესპონდენც“, საერთაშორისო წითელი დახმარების ევროპული ბიურო, მუშათა საერთაშორისო დახმარების ცენტრალური კომიტეტი, იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე ლიგის სამდივნო, კოლონიური მონობის ლიგის სამდივნო (ანტიიმპერიალისტური ლიგა), ევროპის საგლეხო კომიტეტი, წითელი სპორტული ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი და ა. შ. დიმიტროვი უშუალო მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო მასობრივი ორგანიზაციების კონგრესთა მომზადებასა და მუშაობაში, მათი ხელმძღვანელი ცენტრების სხდომებში, კავშირი ჰქონდა დამყარებული ამ ორგანიზაციათა კომუნისტური ფრაქციების ბიუროებთან. 1929 წლის ივლისში მაინის ფრანკფურტში შედგა ანტიიმპერიალისტური ლიგის II კონგრესი, რომლის მუშაობაში დიმიტროვიც იღებდა მონაწილეობას. კონგრესზე იგი არჩეულ იქნა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით დიმიტროვი ხელმძღვანელობდა ევროპის გლეხთა კონგრესის მომზადებას, რომელიც მოწვეულ იქნა მშრომელი გლეხობის შეკავშირების მიზნით მსხვილი მიწათმფლობელების, კაპიტალისტური ექსპლოატაციის, ფაშიზმისა და სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშათა კლასთან კავშირში. დიმიტროვს უნდა გამოეჩინა დიდი თავდაჭერილობა და საზრიანობა, რათა ხელისუფლებას არ ჩავარდნოდა ხელში. ასე მაგალითად, პოლიციამ ალყა შემოარტყა შენობას და შეამოწმა ევროპის გლეხთა კონგრესის დელეგატები, მაგრამ დიმიტროვმა შეძლო შეუმჩნევლად გასულიყო შენობიდან. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპული ბიუროსა და ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს ამოცანები ძალზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი იყო და მათი გადაჭრა დიმიტროვისაგან დიდ დროსა და ენერგიას მოი-

თხოვდა. დიმიტროვს, ძალზე დაკავებულს დასავლეთევროპულ ბიუროში მუშაობით, დრო აღარ რჩებოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში უშუალო ჩონაწილეობისათვის. მაგრამ მას არასდროს მოჰკლებია პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური პარტიის საქმიანობისათვის. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში აქტიური ჩაბმის მიზნით, იგი იძულებული იყო ეთხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპულ ბიუროში მუშაობისაგან. მისი ეს თხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ. უზომო გადატვირთულობის მიუხედავად, დიმიტროვი ყველაფერს აკეთებდა, რათა საერთაშორისო მოღვაწეობა შეეთავსებინა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წევრის მოვალეობასთან.

1928 წლის ზაფხულში პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს მუშაობის რიტმი დაირღვა. ვ. კოლაროვი და გ. დიმიტროვი გაგზავნილ იქნენ დელეგატებად კომინტერნის VI კონგრესზე მოსკოვში. ბიუროს ერთ-ერთი წევრი პ. ისკროვი დააპატიმრეს ვენაში და ციხეში იმყოფებოდა. ბულგარეთის კომპარტიის საზღვარგარეთის ბიურო სრული შემადგენლობით შეიკრიბა მხოლოდ 1928 წლის 31 დეკემბერს ბერლინში. 1929 წლის იანვარში მან ჩაატარა რამდენიმე სხდომა.

ამ სხდომების დროს წამოჭრილი სადავო საკითხები, რომლებიც, კერძოდ, პარტიის წარსულს ეხებოდა, ვერ გადაწყდა. ისინი არა მარტო დარჩნენ გადაუჭრელნი, არამედ მოიცვეს პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის ფართო წრე. ნაწილობრივ ისინი განიხილა დასავლეთევროპული ბიუროს, ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ერთობლივმა სხდომამ, რომელიც გაიმართა 1929 წლის ივნისში. დისკუსია ახალი ძალით გაიშალა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე, რომელიც მიმდინარეობდა ბერლინში 1929 წელს.

გიორგი დიმიტროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პლენუმის მუშაობაში. იგი ბევრს ეცადა, რათა გარკვეულობა შეეტანა სადავო საკითხებში, თავიდან აეცილებინა განხეთქილება პარტიაში და მავნე დაპირისპირება „ახალგაზრდებსა“ და „მოხუცებს“ შორის, რათა გადაელახა უპრინციპო ფრაქციული ბრძოლა, რომელსაც ეწეოდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მემარცხენე სექტანტები.

მემარცხენე სექტანტურმა უმრავლესობამ მაინც შეძლო პლენუმისათვის თავს მოეხვია თავისი შეხედულებანი, რითაც გამსჭვალული იყო მიღებული რეზოლუციები. ვ. კოლაროვი და გ. დიმიტროვი უმცირესობაში დარჩნენ. რადგანაც პარტიაში გაჩნდა მწვავე და ღრმა

წინააღმდეგობანი, ბულგარეთის საკითხი განსახილველად დაისვა კომინტერნის ორგანოებში, სადაც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარმოადგენდა დელეგაცია ოთხი კაცის შემადგენლობით. დიმიტროვი არ შეუყვანიათ ამ დელეგაციის შემადგენლობაში, მაგრამ იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს განხილვას, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლის დეკემბრიდან 1930 წლის აგვისტომდე.

გ. დიმიტროვი ბულგარეთის კომპარტიის კრიზისის არსს ხედავდა პარტიისათვის სექტანტური შეხედულებების თავსმოხვევის ცდაში. ეს ყურადღებას ამახვილებდა მემარცხენე სექტანტობის მავნებლობაზე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის განვითარებისათვის, და მოუწოდებდა ამ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა მოსპობილიყო კრიზისი ხელმძღვანელობაში და აღმოფხვრილიყო მისი დამღუპველი გავლენა პარტიაზე. მაგრამ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სექტანტურად განწყობილმა ელემენტებმა მხარდაჭერა პოვეს კომინტერნის აპარატის მუშაკთა ერთ ნაწილში. ამიტომ დიმიტროვის მოწოდებებს არა თუ არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, არამედ მათ ჰიიჩნევდნენ „შემრიგებლობად“ და მემარჯვენე საფრთხედ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური სამდივნოს 1930 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ადგილმდებარეობა უნდა შეეცილა და გადასულიყო მოსკოვში ვ. კოლაროვი, პ. ისკროვი და ბელა კუნი (როგორც წარმომადგენელი კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისა) დაამტკიცეს ბიუროს წევრებად. ხოლო გ. დიმიტროვი ბიუროს წევრობის კანდიდატად. მას ევალებოდა დაემყარებინა კავშირი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსა და საზღვარგარეთულ ბიუროს, პარტიასა და კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპულ ბიუროს შორის, აგრეთვე ევროპის მოძმე კომპარტიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის; გაეშალა საზღვარგარეთ კამპანია ტერორისა და ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბულგარეთში; თვალ-ყური ედევნებინა საზღვარგარეთული პარტიული ჯგუფებისათვის და დახმარება გაეწია მათთვის.

როგორც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წევრობის კანდიდატი, იგი ცდილობდა ბიუროს მუშაობა კარგად ყოფილიყო ორგანიზებული, ხელს უწყობდა მის მოღვაწეობას; ამ მიზნით შეჰქონდა საკუთარი წინადადებანი, აკეთებდა ინფორმაციებს, გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნებს. იგი, შეურიგებელი მუშაობაში ნაკლოვანებებისადმი, ბიუროკრატიზმისადმი, ენერგიულად რე-

აგირებდა მათზე და იღებდა სასწრაფო ზომებს მომწიფებული საკითხების გადაჭრისათვის.

დიმიტროვის ყოველი ცდა, მიმართული სექტანტურ-დოგმატური შეცდომებისაგან თავდაცვისაკენ, წარმატებით არ დაგვირგვინებულა. ბულგარეთის კომუნისტური პარტია გარკვეული დროის განმავლობაში ხარკს უხდიდა სექტანტობას. დიმიტროვი ეწეოდა დაუცხომელ ბრძოლას პარტიული პრობლემების გადაჭრისა და პარტიული ლოზუნგების წამოყენებისადმი სექტანტური მიდგომის წინააღმდეგ, სექტატიზმისა და სხვა პარტიებიდან ბულგარეთის კომპარტიაში შეფასებათა მექანიკური გადმოტანის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს, ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკებისადმი გაგზავნილ წერილებში გამოთქმული იყო შიში პარტიის მდგომარეობის გამო, მათში იგი ზრუნავდა პარტიის განვითარების ბოლშევიკური ხაზის თაობაზე; ეს წერილები შეიცავდნენ კონკრეტულ რეკომენდაციებს პარტიის საქმიანობაში ნაკლოვანებათა დაძლევისათვის.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წლებში მსოფლიოს კვლავ დაემუქრა ომის საფრთხე. კომინტერნი და მისი სექციები გახდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საერთაშორისო მოძრაობის ორგანიზატორები. მზადდებოდა საერთაშორისო კონგრესი მშრომელთა ფართო ფენების მობილიზაციისათვის ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონგრესისა და მასობრივი ანტისაომარი მოძრაობისათვის მზადება მიმდინარეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპული ბიუროსა და პირადად გ. დიმიტროვის უშუალო, აქტიური მონაწილეობით.

კონგრესი გაიმართა ამსტერდამში 1932 წლის 27-29 აგვისტოს. დელეგატებს შორის იყვნენ სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, პოლიტიკური მოღვაწენი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობისათვის ამსტერდამში ჩავიდა გ. დიმიტროვი. აქ იგი შეხვდა დელეგატ-კომუნისტებს, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს. გერმანიის კომუნისტური პარტიის გამოჩენილ მოღვაწესთან — ფრანც ჰეკერტთან ერთად დიმიტროვი ხელმძღვანელობდა კომუნისტების ფრაქციას — კონგრესის დელეგატებს. ამსტერდამში აირჩიეს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის წევრიც გახდა დიმიტროვი.

კონგრესის შემდეგ გ. დიმიტროვმა, როგორც კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დასავლეთევროპული ბიუროს ხელმძღვანელმა, ენერგიული ზომები მიიღო ანტისაომარი მოძრაობის გაშლისათვის, აძლევდა რჩევა-დარიგებას კომუნისტურ პარტიებს, საერთაშო-

რისო ორგანიზაციების კომუნისტური ფრაქციის წარმომადგენლებთან ერთად იხილავდა საკითხებს, დაკავშირებულს ანტისაომარი ბრძოლის მომზადებასთან.

1932 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში დიმიტროვი გაემგზავრა პარიზში ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტის სხდომებში მონაწილეობისათვის. იქ იგი ხვდებოდა და ესაუბრებოდა კომუნისტებს — კომიტეტის წევრებს, რომელთა შორის იყვნენ ანრი ბარბიუსი, მარსელ კაშენი, პოლ ვაიან-კუტურიე, ნიკოლოზ შვერნიკი, ელენე სტასოვა, ასევე გერმანიის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების მოღვაწენი.

1932 წლის ბოლოს დიმიტროვი დაბრუნდა ბერლინში. აქ იგი გამწვავებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა მოწმე გახდა. გერმანიის კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, გამოჩენილი პროლეტარული ლიდერის — ერნსტ ტელმანის მეთაურობით, იბრძოდა ბურჟუაზიულ-ფაშისტური ძალების წინააღმდეგ. ტელმანსა და დიმიტროვს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთთან დამყარებული და ხშირად განიხილავდნენ ურთიერთს შორის კლასობრივი ბრძოლის პრობლემებს. მიუხედავად არალეგარული მდგომარეობისა, დიმიტროვი მონაწილეობდა დემონსტრაციებში, უმუშევართა შეკრებებში და ამ გზით სწავლობდა გერმანელ მშრომელთა გუნება-განწყობილებას.

1932 წლის 20 ივლისს რაიხსკანცლერმა ფონ პაპენმა გარეკა პრუსიის კოალიციური მთავრობა. ამასთან დაკავშირებით შედგა გ. დიმიტროვის, ე. ტელმანის, ჟ. დიუკლოს შეხვედრა შექმნილი ვითარების განსახილველად. „მე ახლაც კი მესმის, — წერს თავის მოგონებებში ჟაკ დიუკლო, — როგორ ჰკითხა დიმიტროვმა ერნსტ ტელმანს, იქნებ მოხერხებულიყო ფონ პაპენის მთავრობის საწინააღმდეგო გაფიცვის მოწყობა, ტელმანმა კი აუხსნა, თუ რატომ იყო ძნელი, თითქმის შეუძლებელიც ამის მიღწევა“[1]. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ წინადადება წამოაყენა გამოეცხადებინათ საყოველთაო გაფიცვა ვაიმარის კონსტიტუციის უხეში დარღვევის გამო, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერებმა და რეფორმისტულმა პროფკავშირებმა მხარი არ დაუჭირეს მას.

1932 წლის ნოემბერში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში. მისი შედეგები, საგაფიცვო მოძრაობისა და ანტიფაშისტური ბრძოლის მასშტაბები ცხადყოფდა გერმანიის კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდას. ამან ბიძგი მისცა მონოპოლისტური კაპიტა-

---

[1] მოგონებანი გიორგი დიმიტროვზე, ტ. I, გვ. 373 (ბულგარულ ენაზე).

ლის რეაქციულ ძალებს და იუნკრობას, დაეჩქარებინათ ფაშისტური დიქტატურის დამყარება ქვეყანაში.

ამ შფოთიან დღეებში დიმიტროვი დიდ ყურადღებას უთმობდა ერთიანი პროლეტარული ფრონტის პრობლემებს. ის ამჩნევდა ნაკლოვანებებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის საკითხებში და იძლეოდა რეკომენდაციებს მათ აღმოსაფხვრელად.

მაგრამ ფაშიზმის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. 1933 წლის 30 იანვარს პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა დანიშნა ჰიტლერი რაიხსკანცლერად. დასრულდა ვაიმარის რესპუბლიკის 14-წლიანი პერიოდი. გერმანიაში დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. ქვეყანა იქცა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად, საერთაშორისო რეაქციის ცენტრად და ომის კერად.

მიუხედავად სასიკვდილო საფრთხისა, დიმიტროვი აგრძელებდა ბერლინში მუშაობას. 1933 წლის თებერვალში იგი რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ვენაში, დაბრუნების შემდეგ კი გაემგზავრა მიუნხენში. დასავლეთევროპული ბიუროს თანამშრომლებთან ერთად დიმიტროვი ენერგიულად შეუდგა ევროპის მუშათა ანტიფაშისტური კონგრესის მოწვევასთან დაკავშირებული კამპანიის გაშლისათვის მზადებას.

ხანძარი რაიხსტაგში და დიმიტროვი საბრალდებო სკამზე

1933 წლის 28 თებერვალს ღამით გიორგი დიმიტროვი იმყოფებოდა მიუნხენ-ბერლინის ჩქარ მატარებელში. რაიხსტაგის დაწვის ამბავი გაიგო დილის გაზეთებიდან. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ეს ბოროტება გერმანიის კომუნისტური პარტიის ნამოქმედარი იყო. დიმიტროვისათვის ნათელი გახდა, რომ მოსალოდნელი ფაშისტური პროვოკაცია განხორციელდა. პარლამენტის არჩევნების წინ ეს აქცია აუცილებლად ესაჭიროებოდათ ნაცისტებს. ჰიტლერელები ესწრაფოდნენ გამარჯვებას არჩევნებზე, რომელიც დანიშნული იყო 1933 წლის 5 მარტს. ისინი ვერ განახორციელებდნენ საკუთარ გეგმებს, კანონგარეშე რომ არ გამოეცხადებინათ ანტიფაშისტური ძალები, რომ არ შეექმნათ შესაფერისი პირობები გერმანიის კომუნისტური პარტიის გასანადგურებლად.

ხანძრის ღამესვე დაიწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრთა და დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა დაჭერა. დააპატიმრეს ათასობით კომუნისტი, სოციალ-დემოკრატი, პაციფისტი, პროგრესული ინტელიგენტი, ადვოკატი, ჟურნალისტი და სხვ. მეორე დღეს პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა დეკრეტს „ხალხი-

სა და სახელმწიფო დაცვის შესახებ", რომელიც სპობდა ვაიმარის კონსტიტუციით გარანტირებულ ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებას. აიკრძალა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პრესა. ასე „კანონიერად" გაუსწორდა ჰიტლერი კომუნისტებს და სხვა პოლიტიკურ და იდეურ მოწინააღმდეგეებს. 3 მარტს პოლიციამ დაიჭირა გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ერნსტ ტელმანიც.

ტელმანის დაპატიმრებამ დიდად ააღელვა დიმიტროვი. მას აწუხებდა როგორც პირადად ტელმანის, ისე გამოცდილი მეთაურის ხელს მოკლებული პარტიის ბედი. პირობები იატაკქვეშა მუშაობისათვის ბერლინში უფრო და უფრო მძიმდებოდა. დიმიტროვი აპირებდა აქ მუშაობის შეჩერებას და სხვა ქვეყანაში გადასვლას, მაგრამ 1933 წლის 9 მარტს, ოფიციანტ გელმერის (ნაცისტური პარტიის წევრის) დასმენით, იგი დააპატიმრეს რესტორან „ბაიერნჰოლში" ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ორ მოღვაწესთან — ბლაგოი პოპოვთან და ვასილ ტანევთან ერთად.

სამი ბულგარელი კომუნისტი მიიყვანეს გერმანიის პარლამენტის შენობაში, სადაც იძიებდნენ რაიხსტაგის ხანძრის მიზეზებს. პირველ დაკითხვაზე დიმიტროვმა განაცხადა, რომ იგი ბულგარელი პოლიტიკური ემიგრანტი, ყოფილი დეპუტატი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწე იყო. მან უნდობლობა გამოთქვა ნაცისტური პოლიციის მეთოდების მიმართ და უარი თქვა დაკითხვის ოქმის ხელმოწერაზე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სამი მოღვაწე, ხანძრის ადგილზე დაჭრილი ახალგაზრდა ჰოლანდიელი მარიუს ვან დერ ლიუბე, რომელიც კომუნისტად გამოაცხადეს, და ერნსტ ტორგლერი — გერმანიის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე რაიხსტაგში, რომელიც 1933 წლის 28 თებერვალს დაიჭირეს — საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნაცისტებს ქვეყანა შეეყარათ, მსოფლიოს თავიდან ავაცილეთ კომუნიზმის დიდი შეთქმულებაო.

თავდაპირველად დიმიტროვს არც კი სჯეროდა, რომ მისთვის, კომუნისტისათვის, შეეძლოთ მიეწერათ ისეთი საქმე, როგორიც იყო რაიხსტაგის დაწვა. მაგრამ დაკითხვებმა, ცრუ მოწმეებთან დაპირისპირებამ, პოლიციის ყალბმა საბუთებმა და სხვებმა დაარწმუნა, რომ ძიებას გარკვეული მიზანი ჰქონდა — მიეჩნიათ იგი ხანძრის გამჩაღებლად. მისი, როგორც კომუნისტისა და რევოლუციონერის, ღირსების ლაფში ამოსვრის ცდას, ხრიკებს მისთვის ცილის დაწამებისა და ფაშისტი პროვოკატორების „იარაღად" გამოყენების მიზნით, გიორგი დიმიტროვმა დაუპირისპირა მარქსისტულ-ლენინელის სტრატეგია და

ტაქტიკა, პროლეტარული მოღვაწისა და ტრიბუნის მრავალწლიანი გამოცდილება. მან შეიმუშავა არა პირადი დაცვის ტაქტიკა, არამედ შეტევის, ყველა ნაცისტური არგუმენტისა და დასკვნის უარყოფის, მათი პოლიტიკისა და პრაქტიკის მხილების, გერმანიის კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის დაცვის ტაქტიკა.

1933 წლის 20 მარტს გ. დიმიტროვმა წერილობითი დოკუმენტი გაუგზავნა პოლიციას, სადაც განაცხადა, რომ როგორც კომუნისტს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეს, არ შეეძლო რაიმე მონაწილეობა მიეღო ამ ანტიკომუნისტურ მოქმედებაში. აქვე მან გამოთქვა ცნობილი აზრი, რომ რაიხსტაგის დაწვა მხოლოდ გიჟს ან კომუნიზმის დაუძინებელ მტერს შეეძლო. ამ დოკუმენტში მან უკვე ჩამოაყალიბა პოლიტიკური თავდაცვის მთავარი დებულებები, რომლებსაც პროცესის უკანასკნელ დღემდე მტკიცედ იცავდა; ამასთან, არ ივიწყებდა თავის ალიბის ხანძრის დროს ის საერთოდ არ იმყოფებოდა ბერლინში.

1933 წლის 28 მარტს, პოლიციური ძიების დასასრულს, სამი ბულგარელი კომუნისტი გადაიყვანეს მოაბიტის ციხეში. ისევე როგორც ადრე, აქაც მძიმე პირობებში იყვნენ. მათ მიმართ იყენებდნენ მორალური ჩაგვრის მოქნილ მეთოდებს. დიმიტროვი დატოვეს სახსრების გარეშე, მას არ ჰქონდა გაზეთების მიღების საშუალება, წერილების უდიდეს ნაწილს ,რომელიც დიმიტროვის მისამართით მოდიოდა, ადრესატს არ აბარებდნენ იმ საბაბით, თითქოს ისინი საჭირო იყო ძიებისათვის. მის დაჟინებულ მოთხოვნას, დაებრუნებინათ ჩამორთმეული ფული, მიეცათ გაზეთები და გერმანული ენის გრამატიკა, გამომძიებელი-მოსამართლე ფოგტი ყოველთვის უარით პასუხობდა.

მაგრამ მძიმე პირობებმა ვერ გატეხა ცნობილი რევოლუციონერი. დიმიტროვმა თავი მოუყარა მთელ თავის ფიზიკურ და სულიერ ძალებს და მოემზადა ხანგრძლივი ბრძოლისათვის. ციხის ინკვიზიციას მან დაუპირისპირა სამართლიანი საქმისადმი რწმენა, პროგრესისა და სოციალისტური იდეალებისათვის თავგანწირვა, მტანჯველ მარტოობას — შემოქმედება, შემოქმედებითი შრომა. ციხის საკანი მან „სამუშაო კაბინეტად“ აქცია, მისი მეგობრები წიგნები გახდა, რომლებსაც ციხის ბიბლიოთეკიდან იღებდა. იმ ცდების საპირისპიროდ, რომ მოეწყვიტათ იგი პარტიისაგან, ათასობით თანამოაზრისაგან, რომლებიც ციხის გარეთ იმყოფებოდნენ, დიმიტროვმა დაიწყო მათთან კონტაქტების ძებნა. ნათესავ-მეგობრების დახმარებით წერილობითი კავშირი დაამყარა ანრი ბარბიუსთან, დედასთან ბულგარეთში, უფრო მოგვიანებით — ვასილ კოლაროვთან, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა. დიმიტროვმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ფაშისტების წინააღმდეგ,

რომლებიც ცდილობდნენ გაეტეხათ და გაენადგურებინათ იგი. დიმიტროვი ყოველდღიურად უტევდა ციხისა და სასამართლოს ხელისუფალთ წერილობითი პროტესტებით, იცავდა საკუთარ უფლებებს და ყოველივე ამას აკეთებდა სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში. სიმტკიცის, ტაქტისა და შეუპოვრობის წყალობით მან მიაღწია საწადელს. ფოგტი იძულებული გახდა დაებრუნებინა მისთვის კალმისტარი, ჩიბუხი და სათვალე. მთელი თვის განმავლობაში სათვალის გარეშე მუშაობის გამო დიმიტროვს დაეწყო თავისა და თვალის ტკივილები.

ყველაზე მტანჯველი ის იყო, რომ პირველი დაკითხვის შემდეგ მას ხელბორკილები დაადეს. ეს იყო გამომძიებლის პასუხი პატიმრის მტკიცე მოქმედებაზე. სასამართლოს გამომძიებელმა სხვა საშუალება ვერ გამონახა დიმიტროვის ნებისყოფის გასატეხად. მას სრულიადაც არ აღელვებდა, რომ ამგვარი მოქმედება კანონს ეწინააღმდეგებოდა. დიმიტროვს მთელი დღეების განმავლობაში ბორკილები ედო. დღისით იგი „ხელშეკრული“ წერდა და მუშაობდა, ღამით კი ტკივილებისაგან ვერ იძინებდა. ასე გრძელდებოდა ხუთი თვის განმავლობაში.

გიორგი დიმიტროვმა გერმანული სამართლის, გერმანიის წარსულის, მსოფლიო ისტორიის ცალკეული მომენტებისა და ომების ხასიათის შესწავლა დაიწყო. ამავე დროს იღრმავებდა ცოდნას ფილოსოფიის სფეროში, სრულყოფდა გერმანულ ენას. იგი დიდი ინტერესით კითხულობდა გერმანულ კლასიკას და მსოფლიო ლიტერატურას — გოეთეს, შექსპირს, ბაირონს, ვ. სკოტს და სხვ., აგრეთვე ლიტერატურას ჰომეროსის, სოფოკლეს, დანტეს, სერვანტესისა და მოლიერის შესახებ.

იმ დროს, როდესაც ნაცისტები კოცონზე წვავდნენ ნათელი გონების ადამიანთა ნაწარმოებებს, ფაშიზმის ტუსაღი ამ ნაწარმოებებით საზრდოობდა. განსაკუთრებით მოსწონდა დიდ შემოქმედთა სიტყვები, გოეთეს ლექსები, რომლებიც მოუწოდებდნენ სიმტკიცის, სიმამაცისა და ამაღლებული აზრებისაკენ.

საპატიმროს მარტოობის პირობებში დიმიტროვს სასიხარულო წუთებიც ჰქონდა. ეს მაშინ, როდესაც ბარათს იღებდა ახლობლებისაგან. განსაკუთრებით ამხნევებდა დედის წერილები, რომელმაც რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში ორი შვილი დაკარგა, მაგრამ მაინც ძლიერი და შეურყეველი რწმენის ადამიანად დარჩა. „განსაკუთრებით გამახარა ჩვენი ძვირფასი დედის წერილმა, — წერდა დიმიტროვი მოაბიტის ციხიდან. — ის ამბავი, რომ იგი, მიუხედავად ყოველივესი,

მაინც ასე მამაცი, ძლიერი და იმედებით აღსავსეა, ჩემთვის დიდი მორალური შვება და სიმხნეეა"[1].

ფოგტის დაკითხვები ერთფეროვანი იყო, დიმიტროვი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისთვის კონკრეტულად ჩამოყალიბებული ბრალდება წაეყენებინათ, ფოგტი კი მისგან მოითხოვდა მონაცემებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის არალეგალური მოღვაწეობისა და კომინტერთან, გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან მისი კავშირის შესახებ. დაკითხვებზე ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი მოსისხლე მტერი — რევოლუციონერი დიმიტროვი და ანტიკომუნისტი მოსამართლე-გამომძიებელი ფოგტი. ასე გრძელდებოდა 1933 წლის 1 ივნისამდე, წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე.

რაიხსტაგის დაწვის პროცესის ორგანიზატორთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო პროკურორის ბრალდებისათვის მოწმეების მოძებნა და დამუშავება. ამასთან დაკავშირებით მათ მრავალი დაპირისპირება მოაწყვეს, რომლის დროსაც დიმიტროვი ათეულობით უცნობ „მოწმეს" აჩვენეს. მსგავსი შეხვედრები ეწყობოდა წინასწარი ძიების დამთავრების შემდეგაც. ცრუმოწმეების შერჩევა გრძელდებოდა პროცესის დაწყების შემდეგაც. ამასთან, პროცესის პირველ დღემდე დიმიტროვს ერთხელაც არ უნახავს არც ვან დერ ლიუბე და არც ერნესტ ტორგლერი.

წინასწარმა სასამართლო ძიებამ, რომელიც ისეთივე ტენდენციური იყო, როგორც საპოლიციო, ვერაფერი დაამატა დიმიტროვის წინააღმდეგ გამოტანილ საბრალდებო დასკვნას. ნაცისტური მთავრობის თეზისი იმის შესახებ, რომ რაიხსტაგის დაწვა კომუნისტებმა მოაწყვეს, ყალბი იყო. ხანძრის გამჩაღებლებს იქ არ ეძებდნენ, სადაც საჭირო იყო. მთელი საპოლიციო და სასამართლო ძიება წარმოადგენდა პოლიტიკურ ფარსს, რომელიც მიზნად ისახავდა კანონიერების ილუზიის შექმნას, შანტაჟსა და ანგარიშსწორებას, ავანტიურიზმსა და პოლიტიკურ დემაგოგიას, რომელიც ბატონობდა ნაცისტური პარტიის პოლიტიკაში, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ძიების მეთოდებზეც.

ეს სრულიად ნათელი იყო დიმიტროვისთვისაც, რომელიც არა მარტო აკვირდებოდა მოვლენათა მსვლელობას, არამედ მამაცურად იბრძოდა. 1983 წლის 30 მაისს სასამართლო საგამომძიებლო ხელისუფალთ მან გაუგზავნა დოკუმენტი, რომელშიც იცავდა და ავითარებდა 20 მარტს საპოლიციო საგამომძიებლო ორგანოებისადმი გაგზავნილ წერილში ჩამოყალიბებულ პოზიციებს. მასში გაანალიზებუ-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, ლაიფციგის პროცესი, მოსკოვი, 1961, გვ. 17 (რუსულ ენაზე).

ლი იყო გერმანიის პოლიტიკური ვითარება, სხვადასხვა პარტიის მიზნები და დამტკიცებული იყო ტენდენციური ბრალდების სრული უმწეობა.

„თავისთავად ცხადია, — წერდა გ. დიმიტროვი—რომ არავითარი კავშირი არ მქონდა თებერვალში აჯანყების ორგანიზაციის რაიმე გეგმასთან „გერმანიაში კონსტიტუციის ძალდატანებითი შეცვლის“ მიზნით. ასეთი თითქოს კომუნისტური გეგმების შესახებ მხოლოდ დაკითხვის დროს შევიტყვე. განა ყველასათვის ცნობილი არ არის, რომ კომუნისტური ინტერნაციონალისა და თვით გერმანიის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე იმ პერიოდში კომუნისტების მთელი პოლიტიკა და მოღვაწეობა მიმართული იყო ფაშიზმის წინააღმდეგ მასების პოლიტიკური მობილიზაციისაკენ, გერმანიის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ, ყველა მშრომელის ინტერესებისა და უფლებათა დაცვისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური მასობრივი ბრძოლის გაშლისა და ამ გზით მუშათა კლასის უმეტესი ნაწილის კომუნიზმის მხარეზე მიზიდვისაკენ. გერმანიაში კომუნისტური პოლიტიკის ეს გეზი და კონკრეტული ორიენტაცია, რომელიც ჩამოყალიბდა გადაწყვეტილებებში და სავალდებულო იყო კომუნისტური პარტიის ყველა წევრისათვის, მთლიანად გამორიცხავს ნებისმიერ ტერორისტულ აქტს და ყოველგვარ ავანტიურისტულ, პუტჩისტურ გეგმას კომუნისტების მხრივ“[1].

1933 წლის 3 აგვისტოს გიორგი დიმიტროვმა მიიღო ორასოცდათხუთმეტ გვერდზე დაბეჭდილი საბრალდებო აქტი. დიმიტროვი ინტერესით შეუდგა გერმანული სასამართლო მანქანის მიერ შეთითხნული ბრალდების შესწავლას და მისი არეები ააჭრელა შენიშვნებით. „გაუგონარი მაქინაცია“[2] — ასე ჩაწერა მან თავის დღიურში. როცა დიმიტროვმა შეისწავლა ეს დოკუმენტი, მისთვის ნათელი გახდა, თუ რატომ ინახავდნენ მას ასე საიდუმლოდ. აქტი არ შეიცავდა დოკუმენტურად დადგენილ ბრალდებას დიმიტროვისა და სხვა კომუნისტი მოღვაწეების მიმართ. მისი გამოქვეყნება საუკეთესო დადასტურება იქნებოდა ბრალდებულთა უდანაშაულობისა.

საბრალდებო აქტი ემყარებოდა ვარაუდებს, მსჯელობებსა და კომბინაციებს, რისთვისაც გამოყენებული იყო „მოწმეთა“ ჩვენებები. სამი ბულგარელის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ისინი იყვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირში. ამის საფუძველზე მტკიცდებოდა, რომ ისინი საშიში პიროვნებანი

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, ლაიფციგის პროცესი, გვ. 35 (რუსულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 213.

იყვნენ, რომლებიც გერმანიაში კომუნისტურ, ე. ი. ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ.

გ. დიმიტროვზე, როგორც ხელმძღვანელ მუშაკზე, ნათქვამი იყო, რომ იგი „განსაკუთრებულ როლს ასრულებდა გერმანიაში კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ", მაგრამ ყოველივე ეს არაფრით ადასტურებდა მის მონაწილეობას რაიხსტაგის დაწვის საქმეში.

მრავალრიცხოვან „მოწმეთა" ჩვენებების საფუძველზე საბრალდებო დასკვნა ამტკიცებდა, რომ დიმიტროვი, პოპოვი და ტანევი ხშირად უნახავთ რაიხსტაგში ვან დერ ლიუბესა და ერნსტ ტელმანთან ერთად. რადგანაც დადგენილი იყო, რომ გ. დიმიტროვი 27 თებერვალს, ღამით, ბერლინში არ იმყოფებოდა, საბრალდებო აქტში წამოყენებული იყო თეზისი იმის თაობაზე, რომ მისი მონაწილეობა რაიხსტაგის დაწვაში გამოიხატებოდა სულ ცოტა შესაბამისი რეკომენდაციებსა და თანამონაწილეთა წაქეზებაში.

დიმიტროვს ესმოდა, რომ სასტიკი ბრძოლა ელოდა. იგი პროცესისათვის ემზადებოდა როგორც კომუნისტი, როგორც პროლეტარიატის პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ვალდებული იყო არა მხოლოდ დაემტკიცებინა თავისი ალიბი, არამედ სასამართლოს ტრიბუნა გამოეყენებინა კომუნისტური პარტიის საქმის, პირადი რევოლუციური ღირსების დაცვისათვის.

მომავალ ბრძოლაში იურიდიული დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ, რამდენადაც დიმიტროვი მტკიცედ იდგა პოლიტიკური დაცვის ტაქტიკის პოზიციაზე, იურიდიულ დახმარებას ამჯერად მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებოდა. დიმიტროვმა და მისმა ახლობლებმა დიდი ენერგია დახარჯეს, რათა უზრუნველეყოთ შესაბამისი საადვოკატო დაცვა. დიმიტროვის დასაცავად მზად იყვნენ ბულგარელი, გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი და სხვა პროგრესული იურისტები, მათ შორის სტეფან დეჩევი, მორო-ჯაფერი, მარსელ ვილარი, ლეო გალაპერი, სხვადასხვა ქვეყნის ოცდახუთმა ვექილმა განაცხადა თანხმობა დიმიტროვისა და მისი ამხანაგების დაცვის თაობაზე. ეს იყო საერთაშორისო სოლიდარობის ნაცისტური ტერორის მსხვერპლთა დახმარებისათვის მზადყოფნის ნათელი დადასტურება. მაგრამ საიმპერიო სასამართლომ უარი განაცხადა დაეშვა ბრალდებულის მიერ შერჩეული ვექილი. სასამართლომ სამი ბულგარელის ოფიციალურ დამცველად დანიშნა გერმანელი ადვოკატი დოქტორი ტაიპერტი. დიმიტროვმა წინასწარ ამცნო ტაიპერტს, თუ რა კავშირურთიერთობა უნდა დამყებულიყო მათ შორის. „მე ვფიქრობ, —, წერდა დიმიტროვი, — თავისთავად ნათელი საქმეა (რაიმე არასასურველი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მინდოდა სპეციალუ-

რად აღმენიშნა), რომ მე შემიძლია პასუხი ვაგო თქვენს იმ ნაბიჯებსა და წინადადებებზე ჩემს საქმესთან დაკავშირებით, რომელთაც თქვენ, როგორც ჩემი დამცველი, განახორციელებთ ჩემი ზუსტი მითითებების საფუძველზე, ანდა ჩემი წინასწარი თანხმობით, ისე, როგორც მე მესმის და მსურს...

გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩემი ეს განცხადება"[1].

დიმიტროვისათვის ნათელი იყო, რომ იგი ვერ იქნებოდა სასამართლოს მიერ დანიშნული დამცველის ინედით, ამიტომ ?ან აირჩია დამოუკიდებელი პოლიტიკური დაცვის გზა და გაძლიერებით ემზადებოდა პროცესზე გამოსასვლელად, როგორც ბრალდებულიც და როგორც დამცველიც. საქმე რაიხსტაგის დაწვის შესახებ ფორმულირებული იყო როგორც „ვან დერ ლიუბესა და მისი ამხანაგების პროცესი" და გადაცემული ჰქონდა საიმპერიო სასამართლოს მეოთხე სისხლის სამართლის სენატს ლაიფციგში. პროცესის გახსნა დანიშნული იყო 1933 წლის 21 სექტემბერს. ფაშისტური პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა მსოფლიო საზოგადოებრიობა გერმანული სასამართლოს „ობიექტურობაში". მაგრამ მუშათა კლასი და მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, რომლებიც ნაცისტური ტერორისა და ფალსიფიკაციის, ანტიებრაული ჟლეტის, პროგრესული ლიტერატურის კოცონზე დაწვის მოწმენი იყვნენ, არ მოტყუვდებოდნენ. ანტიფაშისტური ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები იდგნენ. ისინი საერთაშორისო სოლიდარობის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ. ანტიფაშისტურ ბრძოლაში აბამდნენ მშრომელთა ფართო ფენებს, განურჩევლად მათი პოლიტიკური მრწამსისა, წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გერმანიის საელჩოებში მიდიოდა პროტესტის გამომხატველი ურიცხვი წერილები და დეპეშები პროვოკაციული პროცესის წინააღმდეგ. საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილენი ხმას იმაღლებდნენ უდანაშაულო კომუნისტების დასაცავად. რაიხსტაგის დაწვის შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო კომიტეტი გერმანული ფაშიზმის მსხვერპლთა დასახმარებლად. ის აგროვებდა დოკუმენტაციას ხანძრისა და ნაცისტური ტერორის შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციას უწევდა საერთაშორისო საპროტესტო კამპანიას. მისი მონაწილეობით გამოიცა „ყავისფერი წიგნი რაიხსტაგის დაწვასა და ჰიტლერულ ტერორზე". კომიტეტმა შექმნა ცნობილი იურისტებისაგან შემდგარი საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია, რომლის ამოცანასაც შეადგენდა რაიხსტაგის დაწვის გარემოებათა გამოძიება. კომისიამ, გამოჩენილი ინგლისელი იუ-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, ლაიფციგის პროცესი, გვ. 49 (რუსულ ენაზე).

რისტის დ. ნ. პრიტის თავმჯდომარეობით, ლაიფციგის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გახსნა თავისი სხდომები, რომელსაც „ლონდონის კონტრპროცესი“ ეწოდა. მან ობიექტურად შეაფასა ოცდაათი მოწმისა და ექსპერტის ჩვენებები, ნაცისტური მთავრობის ოფიციალური ცნობები, შეგროვილი დოკუმენტური მასალა და 1933 წლის 20 სექტემბერს გამოაქვეყნა თავისი მოხსენება. კომისია მივიდა ბრალდებულ კომუნისტთა უდანაშაულობის დასკვნამდე. გამოთქვა სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ რაიხსტაგი დაიწვა ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელთა მიერ ანდა მათი დავალებით. კომისიას მიაჩნდა, რომ „ნებისმიერი სასამართლო ინსტიტუტი, რომელსაც ევალება მართლმსაჯულების აღსრულება აღნიშნულ საკითხზე, ვალდებულია საფუძვლიანად გამოიკვლიოს ეს ეჭვები“.

პროკურორს, მოსამართლეებსა და დამცველებს ლაიფციგში არ შეეძლოთ „კონტრპროცესის“ დასკვნებისათვის გვერდის ავლა, რადგანაც მან შეძლო გამოეცოცხლებინა მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეები. თავიანთ მოხსენებებში პროცესზე ჰიტლერელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ „კონტრპროცესის“ დასკვნებს, ცდილობდნენ მასში გამოთქმული მტკიცებების „უარყოფას“. „კონტრპროცესმა“ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მებრძოლ კომუნისტებსა და ანტიფაშისტებზე როგორც გერმანიაში, ისე მთელ მსოფლიოში. მან ხელი შეუწყო სოლიდარობის კამპანიის გაფართოებას.

ასეთ ვითარებაში დაიწყო ანტიკომუნისტური „პროცეს-მონსტრი“ ლაიფციგში — თანამედროვე ისტორიის უდიდესი პოლიტიკური პროცესი.

3. ფაშიზმთან ბრძოლაში გამარჯვებული

ჰიტლერული ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა პროცესზე, მისი საშუალებით ჰიტლერელები ფიქრობდნენ მოეხსნათ ბრალდება ნაცისტებისათვის. გერმანიის კომუნისტური პარტიისათვის მსჯავრის დადებას პროცესზე უნდა გაემართლებინა ფაშისტური ტერორი, რომელიც უკვე რვა თვის მანძილზე მძვინვარებდა გერმანიაში, და ახალი ბიძგი მიეცა ანტიკომუნისტური კამპანიისათვის. იგი, შინაპოლიტიკურის გარდა, საგარეოპოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა. პროცესს თვალნათლივ უნდა ეჩვენებინა ჰიტლერული მთავრობის „ძლევამოსილი“ ბრძოლა მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ. საფინანსო მაგნატები და მსხვილი მონოპოლიები იმედოვნებდნენ, რომ ეს „ისტორიული დამსახურება“ უზრუნველყოფდა დათმობებს მათ მიმართ სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხრივ, და გერმანია გახდებოდა თანასწორუფლებიანი შეიარაღების საკითხში.

პროცესი დაიწყო 1933 წლის 21 სექტემბერს. პირველ სხდომაზე სასამართლო ძალზე თავდაჭერილად იქცეოდა. ცერემონიისათვის საზეიმო ელფერი რომ მიეცათ და უკვდავეყოთ იგი, ფართოდ გამოიყენეს პროექტორები, მიკროფონები, გრამფირფიტები, კინოკამერები. ფართოდ გაუღეს სხდომის დარბაზის კარები უცხოელ კორესპონდენტებს, გარდა, რასაკვირველია, კომუნისტური პრესის წარმომადგენლებისა. თავდაპირველად არ დაუშვეს საბჭოთა პრესის კორესპონდენტებიც.

პირველ ორ დღეს სასამართლო სხდომები „ნორმალურად" მიმდინარეობდა. ნაციონალ-სოციალისტების რეაბილიტაციისა და მსოფლიო კომუნიზმის დისკრედიტაციის იმედები თითქოს მართლდებოდა, თითქოს ბერლინში მყოფი ვან დერ ლიუბეს ქცევა ნაცისტების წისქვილზე ასხამდა წყალს.

შემობრუნება მესამე დღეს მოხდა. 23 სექტემბერს სასამართლო შეუდგა გიორგი დიმიტროვის დაკითხვას. ამ დღეს შესრულდა ათი წელი ბულგარეთის 1923 წლის სექტემბრის აჯანყებიდან და დიმიტროვმა განსაცვიფრებელი ძალით დაუხატა გაოცებულ მსმენელებს რევოლუციური ბრძოლის სურათები, რომელშიც თვითონ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა. ის ყვებოდა ბულგარელი მუშებისა და გლეხების გმირულ ტრადიციებზე, იმ გაკვეთილებზე, რომლებიც მათ მიიღეს ამ ბრძოლიდან, აჯანყების სასტიკი ჩახშობის მიუხედავად რომ გრძელდებოდა. ამავე დროს დიმიტროვმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა სოფიის ტაძარ „წმ. ნედელიაში" მომხდარი აფეთქებისა და ინდივიდუალური ტერორისტული მოქმედების მიმართ, რაც შეუთავსებელი იყო მასობრივი ბრძოლის კომუნისტური პრინციპებისადმი. მისი სიტყვები ერთსა და იმავე დროს მგზნებარე მოწოდებადაც აღიერდნენ და გაფრთხილებადაც კომუნიზმის დაუძინებელი მტრების მიმართ.

არავითარი თავდაცვა, წუწუნი ან თავის დახსნის ცდა! ეს იყო სიტყვა პოლიტიკური ტრიბუნისა, რომელიც თავს ესხმოდა და დარტყმას დარტყმაზე აყენებდა ტენდენციურ ბრალდებას. დიმიტროვის გამოსვლამ განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება იმიტომაც მოახდინა, რომ იგი წარმოთქვა ჯალათის ცულის საფრთხის ქვეშ მყოფმა პიროვნებამ.

სასამართლოს თავმჯდომარე დოქტორი ბიუნგერი გრძნობდა, რომ პროცესის ხელმძღვანელობა ხელიდან ეცლებოდა. დიმიტროვი თვითონ აძლევდა გეზს სასამართლო ძიებას. მან ღირსეულად განაცხადა, რომ არის პროლეტარული რევოლუციონერი და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა წარმოადგენს მისი ცხოვრების არსს, რომ ივი

ერთგული მიმდევარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ყოველგვარი ანტიტურის პრინციპული მოწინააღმდეგე.

პროლეტარული რევოლუციონერის ვაჟკაცობამ აღაფრთოვანა მილიონობით მშრომელი. დიმიტროვის სახელი მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი და მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენების სიმპათია დაიმსახურა. მან საბრძოლო სულისკვეთებით აღავსო გერმანიის პროლეტარიატი და მისი გმირი კომუნისტური პარტია. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმა დიმიტროვს მამაცობისათვის, პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მედგარი დაცვისათვის.

მთელი მსოფლიოს კომუნისტური და პროგრესული პრესა აღნიშნავდა პროლეტარული რევოლუციონერის მორალურ სიდიადეს. „დიმიტროვი არ ფიქრობს საკუთარ თავზე, საკუთარ სიცოცხლეზე, — წერდა გაზეთი „პრავდა“ 1933 წლის 25 სექტემბერს, — იგი თავისი პარტიის საქმის მიმდევარია, კარგად იცის, რომ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქცევითაც რევოლუციური ბრძოლის გაკვეთილს აძლევს მილიონობით პროლეტარს“.

ბურჟუაზიული მეთვალყურენიც იძულებული გახდნენ ეღიარებინათ დიდი ტრიბუნის ძალა. „ამ ბულგარელს, როგორც ჩანს, თანდაყოლილი ღირსებები გააჩნია“ — აღნიშნა გაზეთმა „ტაიმსმა“. „გაზეტა ვარშავსკა“ წერდა: „დიმიტროვი არის ბრწყინვალე ინტელიგენტი და ყოველმხრივ შემკული პიროვნება, რომელმაც ბრალდებულის სკამი საბრალდებო ტრიბუნად აქცია“.

გიორგი დიმიტროვს სასამართლო პროცესზე ისე ეჭირა თავი, როგორც შეშვენოდა ჭეშმარიტ რევოლუციონერს. კომუნისტურმა იდეებმა, რომელთაც პროცესის ორგანიზატორები დასამარებას უპირებდნენ, ახალი მომხრეები შეიძინა, იზრდებოდა პირადი სიმპათიები თვით გიორგი დიმიტროვისადმი.

გ. დიმიტროვმა დიდი ყურადღება დაუთმო ვან დერ ლიუბეს როლის დადგენას. მან რამდენიმე შეკითხვა მისცა ლიუბეს, ცეცხლის წაკიდებაში მისი ჭეშმარიტი როლის დადგენის მიზნით. „...რატომ ჩაიდინა მან, — სვამდა კითხვას დიმიტროვი, — ასეთი საზარელი დანაშაული გერმანიის მუშათა კლასის მიმართ და ვისთან ერთად მოქმედებდა იგი?“[1].

დოქტორმა ბიუნგერმა გააუქმა კითხვა. სასამართლო გავიდა მოსათათბირებლად. ბრალდებულ დიმიტროვს აუკრძალეს კითხვების დასმა, რადგანაც იგი თითქოს ბოროტად იყენებდა ამ თავის უფლებას

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 323 (რუსულ ენაზე).

და კომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდა.

მაგრამ დიმიტროვს უკან არ დაუხევია. რამდენიმე დღის შემდეგ მან კვლავ მოსთხოვა ვან დერ ლიუბეს, რომ პირდაპირ ეთქვა — შეხვედრია თუ არა ოდესმე და ,საერთოდ, იცნობს თუ არა მას. ამ კატეგორიულ კითხვაზე ვან დერ ლიუბემ უპასუხა, რომ არასოდეს შეხვედრია დიმიტროვს და არც იცნობს მას. შემდეგ დიმიტროვმა ჰკითხა, თუ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მან მარტოდმარტომ შეძლო გადაეწვა რაიხსტაგის დიდი შენობა, მაშინ როცა ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე ვერ მოახერხა ცეცხლი წაეკიდებინა საქველმოქმედო დაწესებულების ბარაკისათვის, ვან დერ ლიუბეს არაფერი უპასუხია. გ. დიმიტროვმა მტკიცედ განაცხადა: „კომუნისტურ ინტერნაციონალს სურს ნათლად იცოდეს რაიხსტაგის ცეცხლის წაკიდების გარემოებანი. მილიონები მოელიან პასუხს"[1]. დოქტორმა ბიუნგერმა, შეშინებულმა იმით, რომ შესაძლოა ვან დერ ლიუბეს არასასურველი პასუხი გაეცა, სასამართლოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შემდეგ სხდომებზე გ. დიმიტროვმა დასვა რიგი კითხვები, რომლებიც ნიღაბს ხდიდნენ წინასწარი ძიების ტენდენციურობასა და უხეშობას. სხდომათა დარბაზი ხელჩართული ბრძოლის არენად იქცა. თავმჯდომარე დიმიტროვს სიტყვას აწყვეტინებდა და გაუთავებლად ემუქრებოდა. ამის მიუხედავად, ბრალდებულმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ გამომძიებელმა ფოგტმა სასამართლო ინსტანციის მიერ დაუდასტურებელი ბრალდება უტყუარად გაასაღა და ამით დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსი. სასამართლო გავიდა სათათბიროდ და შემდეგ გამოაცხადა გამაფრთხილებელი გადაწყვეტილება: „თუ ბრალდებული დიმიტროვი კიდევ რაიმეს იტყვის, იგი გაყვანილი იქნება სასამართლოს დარბაზიდან".

მაგრამ გ. დიმიტროვმა უკვე მოიყვანა ფალსიფიკაციის ახალი ფაქტები პოლიციური გამოძიების მხრივ. ლაპარაკი იყო მოწმე ქალზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მან ერთად ნახა ვან დერ ლიუბე და დიმიტროვი 1933 წლის 26 თებერვალს, დღის 3 საათზე რესტორანში დიუსელდორფშტრასეზე. როგორც კი დამტკიცდა, რომ დიმიტროვი იმ დღეს საერთოდ არ იყო ბერლინში, მოწმეს აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა პოლიციისათვის და იგი უკვალოდ გაქრა. უეცველია მის ჩვენებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. დიმიტროვი რომ იმ დღეს ბერლინში ყოფილიყო.

ბრალდებულთა დაკითხვით დამთავრდა პროცესის პირველი ეტაპი. ჩატარდა თორმეტი სხდომა, მაგრამ ცეცხლის წაკიდებაში კომუნი-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 323 (რუსულ ენაზე).

სტთა მონაწილეობა ვერ დამტკიცდა. ქედუხრელმა დიმიტროვმა ფარდა ახადა ბრალდებებს და დამაჯერებელი არგუმენტებით უარყო ბრალდების ყველა ცდა.

10 ოქტომბერს პროცესი განახლდა ბერლინში, რაიხსტაგის შენობაში. გამოიძახეს მოწმეთა ჯგუფები, რომელთაც მისცეს ჩვენებები თვით ხანძარზე, მასში ბრალდებულთა როლზე, აგრეთვე მოწმეები, რომელთა ჩვენებებსაც უნდა უარეყოთ ცეცხლის წაკიდებაში ნაცისტთა მონაწილეობა. სასამართლომ მოუსმინა მოწმეთა მთელ არმიას, რომელთა უმეტესობას შეადგენდნენ ნაცისტური პარტიის წევრები, აგრეთვე პროფესიული დამნაშავენი და ქურდები.

უკვე მეორე სხდომაზე ერთმანეთს შეეჯახნენ გ. დიმიტროვი და თავმჯდომარე. ამჯერად კონფლიქტის მიზეზი გახდა საპროცედურო საკითხი. დიმიტროვს უნდოდა კითხვის დასმა. ბიუნგერმა უცერემონიოდ უთხრა უარი. დიმიტროვმა გაბედულად განაცხადა, რომ ამ პროცესზე იგი არის არა მარტო ბრალდებული, არამედ ბრალდებულის დამცველიც. სასამართლომ მიმართა მორიგ ინკვიზიტორულ ღონისძიებას: „თავმჯდომარის მითითებათა შეუსრულებლობისათვის" დიმიტროვს სამ სხდომაზე დასწრება აეკრძალა. დარბაზის დატოვებისას მამაცმა მებრძოლმა განაცხადა, რომ პროცესის კულისებს მიღმა ორგანიზატორები ახლა უთუოდ კმაყოფილნი იქნებიანო.

დიმიტროვი განაგრძობდა ბრძოლას, წერდა წერილ-პროტესტებს. სასამართლო სხდომებისაგან ჩამოცილებულმა დიმიტროვმა ახლა სხვა გზით შეუტია სასამართლოს. „ჩემი გაძევება ყველაზე მნიშვნელოვანი სხდომებიდან და სესიებიდან, — სწერდა იგი თავმჯდომარეს მეორე დღეს, — არის აშკარა ხელყოფა ჩემი უფლებებისა, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩემი ბრალდებულები ვერ გრძნობდნენ მყარ ნიადაგს ფეხქვეშ. ეს ბევრ ადამიანს აუხელს თვალს და ამით კომუნისტურ პროპაგანდას ახალ საზრდოს მისცემს.

თუ ჩემთვის ყოვლად მიუღებელი ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდება, მაშინ — მე ამას პირდაპირ ვაცხადებ — იძულებული ვიქნები დავფიქრდე... საერთოდ აქვს კი აზრი სასამართლოს წინაშე ჩემს გამოსვლას?"[1].

დიმიტროვის არყოფნაში მოისმინეს მოწმეთა მნიშვნელოვანი ჩვენებები. დაჰკითხეს სამი ექსპერტი. ისინი უარყოფდნენ რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებას ერთი კაცის მიერ. მათი აზრით, ხანძრისათვის მზადება დიდ დროს მოითხოვდა და მასში რამდენიმე პირი მონაწილეობდა. გამოყენებული იყო თვითაალებადი სითხე და წასაკი-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 327 (რუსულ ენაზე).

დებელი პატრუქი. ცეცხლის წამკიდებლებმა კარგად იცოდნენ რაიხ-სტაგის დარბაზთა განლაგება.

გ. დიმიტროვი კმაყოფილი დარჩა სპეციალისტთა ჩვენებებით. ექსპერტთა შეხედულება, რომ ვან დერ ლიუბე მარტო არ მოქმედებდა, ემთხვეოდა მის აზრს. ეს იყო საბრალდებო აქტის ერთადერთი პუნქტი, რომელსაც დიმიტროვი ეთანხმებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ ვან დერ ლიუბეს თანამზრახველნი „მუშათა კლასის მტერთა" შორის უნდა ეძებნათ. სპეციალისტთა და ექსპერტთა ამ კონსტატაციასთან დაკავშირებით დიმიტროვმა მოგვცა თავისი ცნობილი ფორმულირება, რომელიც მოქცეული იყო გოეთეს გმირთა მხატვრულ სახეებში: „...ამ პროცესზე, — ხაზს უსვამდა იგი, — ვან დერ ლიუბე არის, ასე ვთქვათ, ფაუსტი რაიხსტაგის დაწვის საქმეში, რომლის ზურგს უკანაც, უეჭველია, იდგა მეფისტოფელი რაიხსტაგის დაწვისა. საბრალო ფაუსტი ახლა დგას საიმპერიო სასამართლოს წინაშე, ხოლო მეფისტოფელი გაქრა.

როგორც შემთხვევითი და უდანაშაულო ბრალდებული, მით უმეტეს, როგორც კომუნისტი და კომუნისტური ინტერნაციონალის წევრი, მე დიდად დაინტერესებული ვარ, რომ რაიხსტაგის დაწვის გარემობანი ყოველმხრივ და მთლიანად გაირკვეს, რათა აღმოჩნდეს გამქრალი მეფისტოფელი გადაწვისა"[1].

გიორგი დიმიტროვი დარწმუნებული იყო, რომ ვან დერ ლიუბე არ იყო წამყვანი ფიგურა ამ საქმეში. მისი ეს რწმენა დასტურდებოდა სასამართლოს ქიმიკოსის—დოქტორ შატცის დასკვნით, რომელიც აღნიშნავდა, რომ ხანძარი მომზადებული იყო ცეცხლის წამკიდებელთა ჯგუფის მიერ და რაიხსტაგის შენობაში მოხდა ორი ხანძარი — პატარა, ვან დერ ლიუბეს მოწყობილი რესტორანში, და დიდი — პლენარულ სხდომათა დარბაზში, ორგანიზებული თანამედროვე წასაკიდებელი საშუალებებით. ნათელი ხდებოდა, რომ ვან დერ ლიუბეს არავითარი კავშირი არ ჰქონდა დიდ ხანძართან. დიმიტროვი თვლიდა რომ ვან დერ ლიუბე დამოუკიდებლად მოქმედებდა და თავისი გულუბრყვილობის გამო ვერც კი წარმოედგინა, თუ მის „ცეცხლის წაკიდებას" სხვა „პირები" გამოიყენებდნენ ნამდვილი, დიდი ხანძრისათვის. ვან დერ ლიუბე, თავისდა შეუმჩნეველად, საკუთარი აღიარებით ფარავდა გამქრალი მეფისტოფელის საქმეს.

პროცესზე ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ პროკურორის მოწმეები, რომლებიც „ამტკიცებდნენ" ადრე ჩამოყალიბებულ თეზისს. სასამართლოს სცენაზე გამოჰყავდა სულ უფრო „სოლიდური" მოწმეები. კარვანე და ფრეი, ნაციონალ-სოციალისტური დეპუტატე-

---

[1] გ. დიმიტროვი, ლაიფციგის პროცესი, გვ. 82 (რუსულ ენაზე).

ბი ამტკიცებდნენ, რომ მათ თითქოს დაინახეს ტორგლერი ლიუბესა და პოპოვთან ერთად რაიხსტაგის შენობაში. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი რაიხსტაგში თადარიგის მაიორი ვებერშტედტი ამოწმებდა, რომ მან ნახა ტანევი ვან დერ ლიუბესთან ერთად. მისი თანამშრომელი დოქტორი დრიოშერი, რომელიც გ. დიმიტროვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სპეციალდებოდა, ამტკიცებდა, რომ იგი დიმიტროვს შეხვდა რაიხსტაგის შენობაში ტორგლერთან ერთად. ჰეშმარიტების „მაძიებელთა“ გალერეას ამთავრებდა ქურდობისათვის ნასამართლევი გუსტავ ლებერმანი. იგი ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ 1932 წელს ტორგლერი ეძებდა კაცს რაიხსტაგისათვის ცეცხლის წასაკიდებლად და გასამრჯელოს სთავაზობდა ამ საქმეში მონაწილეობისათვის. ჩავარდნის შემთხვევაში ურჩევდა თავი გამოეცხადებინა ნაციონალ-სოციალისტად, მაგრამ მან თითქოს უარი განუცხადა.

საერთოდ, პროკურორის მოწმეთა შორის როლები ტრაგიკომიკური პედანტიზმით იყო განაწილებული. დიმიტროვმა უარყო მოწმეთა აშკარა სიცრუე მარჯვედ დასმული კითხვებით და პირდაპირი პოლიტიკური დარტყმაც აგემა, როდესაც განაცხადა, რომ პროკურორის მოწმეთა წრე კომუნისტების წინააღმდეგ ჩაიკეტა ქურდი ლებერმანის მიერ. ის გაიხსნა ნაცისტი დეპუტატებით და ჩაიკეტა ქურდით. ვინ მოახდინა მოწმეზე გავლენა, ვინ აიძულა, რომ ასეთი სამარცხვინო ჩვენება მიეცა? — აგრძელებდა შემდგომ დიმიტროვი. ამას წამსვე მოჰყვა შენიშვნა, რომ ბრალდებული „შეურაცხყოფს“ მოწმეებს. ამ ეპიზოდის შემდეგ დიმიტროვმა შეადგინა თავისი განთქმული სქემა, რომელსაც „ეშმაკის წრე“ უწოდა. იგი თვალნათლვ ცხადყოფდა, თუ როგორ ითითხნებოდა პროკურორის მოწმეთა ჩვენებები.

გაზეთები „ფოლკიშერ ბეობახტერი“ და „ანგრიფი“ თავს დაესხნენ თავმჯდომარეს იმის გამო, რომ მან დუმილით აუარა გვერდი დიმიტროვის გამონათქვამს ჩაკეტილი წრის შესახებ. შემდგომსავე სხდომაზე დოქტორმა ბიუნგერმა სასწრაფოდ მისცა შენიშვნა. ამის თაობაზე, რაზეც დიმიტროვმა სარკასტულად შენიშნა: „ფოლკიშერ ბეობახტერი“ კმაყოფილი დარჩება!“ ამას მოჰყვა დიმიტროვის ხელმეორე გაძევება სასამართლოს დარბაზიდან, მაგრამ პროცესის კულისებსმიღმა დირიჟორები უკვე დასახელებული იყო! დიმიტროვმა გახსნა ნამდვილი როლი გაზეთ „ფოლკიშერ ბეობახტერისა“ — ნაცისტური პარტიის ორგანოსი.

მომდევნო სასამართლო სხდომაზე (1933 წლის 3 ნოემბერს) დიმიტროვი უმაღლეს პროკურორთან კამათისათვის კვლავ გაიყვანეს დარბაზიდან, ამჯერად სამი დღით. მაგრამ ეს გადაწყვეტილება შეცვა-

ლეს „მოწმე“ გერინგის დაკითხვის გამო. სასამართლო და პირველ რიგში კულისებსმიღმა ორგანიზატორები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. მათ სჯეროდათ, რომ გერინგი ბრწყინვალედ გაუსწორდებოდა კომუნისტ აგიტატორს, შებოჭავდა თავისი ყოფნით და ნათელყოფდა მესამე რაიხის სიძლიერეს. სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალეს. რათა საშუალება მიეცათ გერინგისათვის მორალურ-პოლიტიკურად გაენადგურებინა დიმიტროვი.

მართლაც, 4 ნოემბერი ღირსშესანიშნავ დღედ იქცა პროცესის ანალებში. გამოჩენა გერინგისა — პრუსიის პრემიერ-მინისტრისა და რაიხსტაგის თავმჯდომარისა — შემთხვევითი როდი იყო. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები ხედავდნენ, რომ მათ მიერ შეთითხნილი სასამართლო პროცესი იფუშებოდა. დიმიტროვის ვაუკაცური ბრძოლის წყალობით სასამართლო ძიება მისი ორგანიზატორების საწინააღმდეგოდ წარიმართა. მათ რაღაც უნდა ეღონათ. უნდა გადაერჩინათ ხომალდი. აი, რატომ გადაწყვიტა ნაცისტურმა ხელმძღვანელობამ, გაეგზავნა თავისი მძიმე არტილერია — ჯერ გერინგი და შემდეგ ჰებელსი.

გერინგი სასამართლოზე მოიერიშეთა ფორმით გამოცხადდა, დიდი ამალით გარშემორტყმული. გერინგმა, რომელმაც „კომუნიზმის აღმომფხვრელის“ მისია იკისრა, საათნახევარი ილაპარაკა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობაზე. შესვენების შემდეგ სიტყვა მოითხოვა დიმიტროვმა[1].

მისმა პირველივე კითხვებმა ნათელი გახადა შეუსაბამობანი გერინგისა და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი მოწმის ჩვენებებს შორის. გერინგი აირია, იმიზეზებდა სასამართლო ძიების დეტალების არცოდნას. გაირკვა, რომ ისე როდი იყო საქმე, როგორც თვითონ წარმოედგინა. დიმიტროვმა ჰკითხა, რა წყაროებს ეყრდნობოდა გერინგის განცხადება, რომ ვან დერ ლიუბეს ჰქონდა კომუნისტური პარტიის საწევრო ბილეთი, მაშინ როდესაც მისმა დამპატიმრებელმა სამმა პოლიციის ჩინოვნიკმა სასამართლოს უჩვენა, რომ მათ არავითარი ბილეთი არ აღმოუჩენიათ. კითხვა მეტად არასასიამოვნო იყო. გერინგი ანერვიულდა, თავდაჯერება უკვალოდ გაუქრა. მისი პასუხები, როგორც მოწმისა, ყოვლად უსუსური იყო.

ამას მოჰყვა ახალი, უფრო მწვავე კითხვა. გ. დიმიტროვმა ჰკითხა მოწმეს, რომელიც პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრიც იყო, რატომ იძიებდა პოლიცია საქმეს მხოლოდ ერთი მიმართულებით და რატომ უგულებელყოფდა ისეთ მნიშვნელოვან მომენტს, როგორიცაა

---

[1] იხ. გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 328 — 332 (რუსულ ენაზე).

ხანძრის წინ ვან დერ ლიუბეს გენინგსდორფის ღამისსათევში ყოფნა. აქ ხომ იგი გაეცნო ორ უცნობ პირს, რომლებიც დღემდე ვერ აღმოუჩენიათ. ცნობილია, რომ დიმიტროვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეგრეთ წოდებულ „გენინგსდორფის კომპლექსს“, სადაც ვან დერ ლიუბე კონტაქტში იმყოფებოდა პოლიციის წრეებთან ხანძრის წინ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ძიება ყოველნაირად ცდილობდა გვერდი აევლო მისთვის.

გერინგმა გაიმეორა თავისი მტკიცება, რომ ხანძარი კომუნისტების მოწყობილი იყო და რომ ამ დანაშაულს პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. თუ სასამართლო ძიებაზე გავლენა იქონია ჩემმა პირადმა რწმენამ კომუნისტებს შორის დამნაშავეთა ძიების თაობაზე, ეს ნიშნავს, რომ იგი სწორ გზას ადგასო — ამბობდა მინისტრი. გერინგს, რომელსაც ფაქტები არ გააჩნდა, სულ უფრო მეტად იპყრობდა სიშმაგე, ყვიროდა, ემუქრებოდა კომუნისტურ პარტიას, უწოდებდა მას დამნაშავეთა პარტიას, რომელიც უნდა განადგურებულიყო.

ახალი კითხვით დიმიტროვი კონტრიერიშზე გადავიდა. ცნობილია თუ არა ბატონი პრემიერ-მინისტრისათვის, რომ ეს პარტია, „რომელიც უნდა განადგურდეს“, მმართველი პარტიაა დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილისა? სწორედ საბჭოთა კავშირის წყალობითაა (რომელსაც გერმანიასთან დამყარებული აქვს დიპლომატური და ეკონომიკური ურთიერთობა), რომ ასეულ ათასობით გერმანელ მუშას სამუშაო გააჩნია. მოწმემ სრულიად დაკარგა თავდაჭერა. გერინგს დახმარების ხელი გაუწოდა თავმჯდომარემ, რომელმაც დიმიტროვს საყვედური გამოუცხადა და აუკრძალა „კომუნისტური პროპაგანდა“. მაგრამ ბრწყინვალე პოლემისტმა იგი თავის ადგილზე დააყენა ერთადერთი რეპლიკით: „ბატონი გერინგი აქ ეწევა ნაციონალ-სოციალისტურ პროპაგანდას!“[1].

უღონობით გაფრთებული გერინგი ბორგავდა, როგორც გამძვინვარებული მხეცი. გონებადაკარგულმა ბრალდებული ლანძღვა-გინებით აიკლო.

თავმჯდომარე ცდილობდა შეერბილებინა მძიმე შთაბეჭდილება. მაგრამ დიმიტროვს არ სურდა კომპრომისი. „მე, — სარკასტულად შენიშნა მან, — ძალიან კმაყოფილი ვარ ბატონი პრემიერ-მინისტრის პასუხით“. ამგვარმა შეფასებამ საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა გერინგს და დაიღრიალა: „გაეთრიე, არამზადავ!“ მოწმის ნიღაბს ამოფარებული დიქტატორი ვეღარ აზროვნებდა. ამრიგად, სასამართლო

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 331 (რუსულ ენაზე).

„ცერემონია“ ჩაიშალა. სკანდალი სენსაციური იყო! ბრალდების უსუსურობა დამტკიცებულ იქნა, ბრალდებულებმა წააგეს ბრძოლა.

თავმჯდომარემ სასწრაფოდ შეწყვიტა ორთაბრძოლა. ჩამოართვა დიმიტროვს სიტყვა და პოლიციელებს მისი გაყვანა უბრძანა. მაგრამ იმ მომენტში მოხდა ისეთი რამ, რამაც საბოლოოდ გატეხა გაბღენძილი ნაცისტი. დიმიტროვმა წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც ელვის სისწრაფით მოიარა მთელი მსოფლიო: „თქვენ, როგორც ჩანს, გაშინებთ ჩემი კითხვები, ბატონო პრემიერ-მინისტრო?“.

ანტიკომუნისტური სასამართლო კომედია სამარცხვინოდ ჩაფლავდა.

სასამართლომ და პროცესის ორგანიზატორებმა საბოლოოდ დაკარგეს ინიციატივა და თავდაცვაზე გადავიდნენ. ფაშისტური პროპაგანდის ლიდერს — ჰებელსს უნდა შეემსუბუქებინა მდგომარეობა. პროპაგანდისტული ტრიუკების ავტორი მოგვევლინა „ლიბერალის“ როლში, მზადმყოფი „თავისუფალი“ დისპუტისათვის. ჰებელსმა გაიცხადა, რომ მზად იყო ეპასუხა ყველა კითხვაზე, რომ იგი დიმიტროვზე გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესაც გამკლავებოდა და არ შეეშინდება ვიღაც წვრილი კომუნისტი აგიტატორისა.

მაგრამ ფაშისტური პროპაგანდის ორგანიზატორი თავს არიდებდა ნათელ პასუხებს, ამჯობინებდა განყენებულ მსჯელობას და გაურბოდა პირდაპირ ბრძოლას. ჰებელსმა ვერ შეძლო უარეყო დიმიტროვის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ხანძარი მიმართული იყო როგორც კომუნისტური, ისე სოციალ-დემოკრატიული და სხვა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის რომ ეჩვენებინა, თუ ვინ იყო მუშათა კლასის ნამდვილი მტერი, ფარდა აეხადა ჰიტლერელთა ნამდვილი სახისათვის, დიმიტროვმა აიძულა ჰებელსი ეღიარებინა, რომ ნაცისტებს მიზნად ჰქონდათ დასახული ამ ორივე მუშათა პარტიის განადგურება. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისათვის, დაანახვა ბევრ მემარცხენე სოციალ-დემოკრატს ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობა ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

ჰებელსის ჭიკიბულ-მოკიბული პასუხებიდანაც კი ნათელი იყო, რომ ნაციონალ-სოციალისტები ყველგან სისხლიან კვალს ტოვებდნენ. „წესრიგისა და კანონიერების“ დამცველებმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავეს თავი, როგორც დემოკრატიისა და თავისუფლების უბოროტესმა მტრებმა.

როგორი კონსტიტუცია მოქმედებდა გერმანიაში 1933 წლის 30

იანვარს და 27 თებერვალს? — კითხულობდა დიმიტროვი. ჰებელსის პასუხმა საშუალება მისცა დიმიტროვს შეენიშნა, რომ ნაცისტები კონსტიტუციას არად აგდებდნენ[1]. ჰებელსმა ვერ მოახერხა შეერბილებინა ის შთაბეჭდილება, რომელიც დატოვა გერინგის პასუხმა.

გადიოდა კვირები, საიმპერიო სასამართლო კი სულ ახალ-ახალ წინააღმდეგობებში იხლართებოდა. გერინგისა და ჰებელსის მისიის ჩაფუშვამ აიძულა პროცესის ორგანიზატორები, ეფიქრათ მის უსწრაფესად დამთავრებაზე, იგი ხომ სულ უფრო სკანდალურ ხასიათს იღებდა. მსოფლიო პრესა აღსავსე იყო კომუნისტური ტრიბუნის მიმართ გამოთქმული აღფრთოვანებული ეპითეტებით და აღიარებდა ფაშისტი ლიდერების ჩავარდნას.

ეპოქალური ორთაბრძოლის ექო მთელ მსოფლიოს მოედო. „იშვიათად, რომ იყოს რაიმე ისეთივე დამატყვევებელი, ამაღელვებელი და ფრთაშემსხმელი, როგორც ამ კაცის ბრძოლა გერმანულ ხელისუფალთა წინააღმდეგ", — წერდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი" 1933 წლის 5 ნოემბერს. „ტერორით გამოწვეული საერთო სასოწარკვეთილების ვითარებაში... კაცი მხნევდება და მშვიდდება, როცა მოიგონებს ბულგარელი კომუნისტის ამაყ ქცევას უმაღლესი სასამართლოს წინაშე ლაიფციგში" — ნათქვამი იყო სტატიაში „ხოტბა დიმიტროვს", რომელიც გამოქვეყნდა ბელგიურ გაზეთ „პეპლში" 1933 წლის 14 ნოემბერს.

ნაცისტი ხელისუფლები ძალზე გაამწარა იმ საცოდავმა მდგომარეობამ, რომელშიც აღმოჩნდება გერინგი დიმიტროვთან ბრძოლის შედეგად. კომუნიზმის იდეალებისათვის უდრეკ მებრძოლს საშინელი საფრთხე დაემუქრა. მისი გადარჩენა შეეძლო მხოლოდ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთსულოვან მხარდაჭერას.

კომუნისტურმა პარტიებმა, გერმანული ფაშიზმის მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა და სხვა ანტიფაშისტურმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ენერგიულად იწყეს მოქმედება. ისინი ატარებდნენ მასობრივ საპროტესტო კამპანიებს: ეწყობოდა დემონსტრაციები, კრებები, გაფიცვები; გერმანულ საკონსულოებსა და საელჩოებში იგზავნებოდა დელეგაციები, გზაში ჩერდებოდნენ მატარებლები, საბოტაჟი ეწეოდა გერმანიის საგარეო ვაჭრობას. საპროტესტო მოძრაობა მთელ მსოფლიოს აზანზარებდა. ფაშიზმის მსხვერპლისადმი სოლიდარობის კამპანიას ატარებდნენ საბჭოთა ადამიანები. ბულგარელი მშრომელები, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთის, ინგლისის, ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, კანადის, შვეიცის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ანტი-

[1] იხ. გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 9, გვ. 168—178 (ბულგარულ ენაზე).

ფაშისტები. თვით გერმანიაში იატაკქვეშ მყოფმა გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ პროცესის წინააღმდეგ ტიტანური ბრძოლა გაშალა. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სცემდა არალეგალურ ბიულეტენს პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც მასობრივად ავრცელებდნენ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მშრომელი ხალხის სოლიდარობის ზრდას დიმიტროვის ბრძოლისადმი.

პარიზის ბიულის დარბაზში 8 ნოემბერს გაიმართა ამაღელვებელი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა გ. დიმიტროვის დედა. ორატორები მიმართავდნენ ყველა პატიოსან ადამიანს, მოუწოდებდნენ მათ, ებრძოლათ ნაცისტური ტერორის მსხვერპლთა დახსნისათვის.

1933 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ბერლინში ჩავიდა დიმიტროვის დედა — პარაშკევა დიმიტროვა, თავისი უფროსი ქალიშვილის — მაგდალინა გარიმოვას თანხლებით. მათთან შეხვედრამ დიდი სიხარული მიანიჭა დიმიტროვს, ისინი ათი წელია არ ენახა მას და აი, ისინი კვლავ ერთად იყვნენ, დედა და შვილი, მძიმე ბრძოლის პირველ რიგებში.

დიმიტროვის არყოფნის დროს სასამართლომ დაჰკითხა ბულგარელთა წინააღმდეგ ბრალდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე — ოფიციანტი გელმერი. მისი ჩვენებანი აშკარად ინსპირირებული და წინააღმდეგობრივი იყო. ის ამტკიცებდა, რომ თითქოს ხშირად უნახავს რესტორანში ერთად ბულგარელები და ვან დერ ლიუბე. მოწმეს სრულიადაც არ აღელვებდა ის გარემოება, რომ მისი ჩვენებანი ეწინააღმდეგებოდა იმავე რესტორანის სხვა შვიდი ოფიციანტის ჩვენებას. თუ დავუშვებთ, რომ ბულგარელები ვან დერ ლიუბესთან ერთად რესტორანში განიხილავდნენ ხანძრის მომზადების გეგმას, საეჭვოა ამის შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნებულიყვნენ „ბაიერნჰოფში". სამი ბულგარელის ოფიციალური დამცველი დოქტორი ტაიპერტი იძულებული იყო აღენიშნა შეუსაბამობანი ოფიციანტის ჩვენებებში და მწუხარება გამოეთქვა იმის გამო, რომ მოწმემ გააცურა სასამართლოს გამომძიებელი.

1933 წლის 20 ნოემბერს დიმიტროვი და სხვა ბრალდებულები კვლავ გაგზავნეს ბერლინიდან ლაიფციგში, სადაც უნდა განეხილათ ეგრეთ წოდებული „პოლიტიკური კომპლექსი". პროცესის ამ მესამე ეტაპის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ დაემტკიცებინათ გერმანიის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის მორალური პასუხისმგებლობა რაიხსტაგის დაწვისათვის. მიიჩნევდნენ, რომ „პოლიტიკური კომპლექსის" განხილვა იხსნიდა ბრალდებას სრული კრახისაგან. თუ კომუნისტი-ბრალდებულები არ არიან ცეც-

ხლის წამკიდებლები, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ისინი უნდა ჩაითვალონ სახელმწიფო მოღალატეებად და პასუხისგებაში უნდა იყვნენ მიცემულნი, როგორც „მორალური“ წამქეზებლები. სასამართლოს წინაშე წარდგა პოლიციის კომისართა მთელი ჯგუფი, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია ემზადებოდა აჯანყებისათვის, ხოლო ხანძარი რაიხსტაგში — მისი ნიშანი იყო.

პირველად ჩვენებებს იძლეოდა კრიმინალური განყოფილების მრჩეველი, „კომუნისტურ მოძრაობაზე მეთვალყურეობის ცენტრალური სამსახურის“ ხელმძღვანელი გელერი. გ. დიმიტროვი დაძაბული ყურადღებით ისმენდა გრძელ მონოტონურ მოხსენებას — სხვადასხვა წყაროდან (კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებანი, სტატიები, არალეგალური მოწოდებანი, აგენტებისა და პროვოკატორების მოხსენებანი) ამოკრეფილი ციტატების ნარევს გამომძიებლის ინტერპრეტაციებითა და კომენტარებით. ამონაწერები დოკუმენტებიდან, კონტექსტიდან ამოგლეჯილნი, შერჩეული იყო გარკვეული მიზნით — დაემტკიცებინათ, რომ 1933 წლის დასაწყისში გერმანიის კომუნისტური პარტია უშუალო ამოცანად ისახავდა შეიარაღებულ აჯანყებას და თითქოს რაიხსტაგის დაწვა სწორედ პარტიის ამ კურსთან იყო დაკავშირებული. გ. დიმიტროვის კითხვაზე, შეუძლია თუ არა მოწმეს, წარმოადგინოს რაიმე დოკუმენტი — ბრძანება, ცირკულარი, განკარგულება, რომელიც ნათელყოფდა, რომ მთავრობამ, შეიარაღებული აჯანყების მოლოდინში, მზადყოფნაში მოიყვანა შეიარაღებული ძალები, მოწმემ უპასუხა, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობდა.

გ. დიმიტროვმა წინადადება წარმოაყენა, მოწმეებად გამოეძახათ ყოფილი კანცლერები — შლაიხერი, ფონ პაპენი, ბრიუნინგი, გერმანიის ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელი ჰუჰენბერგი და მათთვის კითხვები მოამზადა. ამ კითხვებიდან გამომდინარეობდა, რომ კოალიციურ მთავრობაში არსებობდა შინაგანი წინააღმდეგობანი და ნაციონალ-სოციალისტებმა ხანძარი გამოიყენეს სამთავრობო ‘სიძნელეთა’ დაძლევისათვის, ნაცისტთა ერთხელისუფლებიანობის დამკვიდრებისათვის. დიმიტროვის წინადადება უარყვეს, მაგრამ საზოგადოებრიობამ დაინახა, რომ კომუნისტებს როდი აშინებთ ხანძრის მომენტში გერმანიაში არსებული ვითარების ანალიზი, პირიქით, ესწრაფვიან დეტალურად გაერკვნენ მასში.

მეორე სპეციალისტმა კომუნისტური მოძრაობისა — გამომძიებელმა ლეშემ გააკეთა მრავალსაათიანი მოხსენება აჯანყების „იდეოლო-

გიური“ და „სამხედრო-ტექნიკური“ მომზადების შესახებ. გ. დიმიტროვმა სთხოვა მოწმეს, წარმოედგინა იმის კონკრეტული მტკიცება, რომ შეიარაღებული აჯანყება დანიშნული იყო სწორედ თებერვლის ბოლოსათვის და ხანძარი მისი დაწყების მაუწყებელი იყო. მოწმემ, რომელიც გაუთავებლად ყბედობდა პარტიის საპროგრამო მიზნებზე, ვერ შეძლო წარმოედგინა პარტიის კონკრეტული გადაწყვეტილება, დაკავშირებული აჯანყებასთან.

პროცესის 48-ე დღეს, 1933 წლის 1 დეკემბერს, სხდომათა დარბაზში გამოიძახეს მოწმეთა ახალი ჯგუფი — მუშები, კომუნისტები და უპარტიოები, გამოყვანილნი ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან. თითოეულ მათგანს აჩნდა გადატანილი ტანჯვის კვალი. არჩევანი მათზე იმიტომ შეჩერდა, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა ისინი საკმარისად „დამუშავებულ“ებად“ მიიჩნიეს. მათმა უმრავლესობამ უარი თქვა წინასწარი ძიების დროს მოცემულ ჩვენებებზე და სწორად ახსნა გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა.

6 დეკემბერს გამართულ 52-ე სხდომაზე თავმჯდომარემ სასამართლო ძიება დასრულებულად გამოაცხადა. 13 დეკემბერი დათქვეს უმაღლესი პროკურორის დღედ.

თავის სიტყვაში უმაღლესი პროკურორი დოქტორი ვერნერი კვლავ ებღაუჭებოდა ბევრ უკვე უარყოფილ „დამამტკიცებელ საბუთს“. ის ამტკიცებდა, რომ რაიხსტაგის დაწვა იყო „ნიშანი სახელმწიფოს საბჭოთა ფორმის დამყარებისა გერმანიაში III ინტერნაციონალის ლოცვა-კურთხევით“. გერმანიის კომუნისტური პარტიის მორალური პასუხისმგებლობა ხანძრისათვის, უმაღლესი პროკურორის მტკიცებით, გამომდინარეობდა მისი საპროგრამო მიზნებიდან და ამოცანებიდან. ყველა ბრალდებული კომუნისტია, თუმცა ვან დერ ლიუბე უპარტიოა, მაგრამ მაინც კომუნისტია თავისი რწმენითა და მოღვაწეობის ხასიათით.

უმაღლესმა პროკურორმა „დამტკიცებულად“ ჩათვალა ის, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია ამზადებდა აჯანყებას 1933 წლის თებერვალში. პარტიის მითითებებს, მიმართულს ინდივიდუალური ტერორის წინააღმდეგ, იგი თვალის ახვევად თვლიდა. თითქოს პარტიაში ამ საკითხზე ორი თვალსაზრისი არსებობდა და თითქოს ინდივიდუალური და მასობრივი ტერორი იდენტური იყო. პროკურორის თანაშემწემ პარიზიუსმა თავისი სიტყვა ძირითადად ვან დერ ლიუბესა და მის ნაღვაწს მიუძღვნა. ლიუბეს ქცევას იგი მიიჩნევდა იმის დასტურად, რომ ეს უკანასკნელი კომუნისტი იყო.

მეორე დღეს უმაღლესმა პროკურორმა მოითხოვა: სიკვდილით დაესაჯათ ვან დერ ლიუბე და ტორგლერი, ხოლო ბულგარელები გაე-

თავისუფლებინათ „დამტკიცებულ საბუთთა უქონლობის გამო“.

ოფიციალური დამცველების გამოსვლისა და ბრალმდებელთა პასუხების შემდეგ საბოლოო სიტყვა ბრალდებულებს მიეცათ. ვან დერ ლიუბემ უარი განაცხადა. ტორგლერმა ბულგარელების შემდეგ მოისურვა გამოსვლა. სიტყვა მისცეს გიორგი დიმიტროვს[1].

1933 წლის 16 დეკემბერს გ. დიმიტროვმა პროცესზე წარმოთქვა თავისი ცნობილი საბრალდებო სიტყვა. თავდაპირველად იგი შეეხო ზოგიერთ საპროცედურო საკითხს, ამას კი მაშინვე მოჰყვა მწვავე პოლიტიკური დეკლარაცია.

„მე საკუთარ თავს თვითონვე ვიცავ, — განაცხადა დიმიტროვმა, — როგორც ბრალდებული კომუნისტი.

მე ვიცავ საკუთარ კომუნისტურ რევოლუციურ ღირსებას.

მე ვიცავ საკუთარ იდეებს, საკუთარ კომუნისტურ რწმენას.

მე ვიცავ ჩემი ცხოვრების აზრსა და შინაარსს.

ამიტომ სასამართლოს წინაშე წარმოთქმული თითოეული სიტყვა, ასე ვთქვათ, ჩ ე მ ი ს ი ს ხ ლ ი ს ი ს ხ ლ თ ა გ ა ნ ი დ ა ხ ო რ ც ი ხ ო რ ც თ ა გ ა ნ ი ა. ჩემი თითოეული სიტყვა უდიდესი აღშფოთების გამომხატველია უსამართლო ბრალდების მიმართ, იმ ფაქტის მიმართ, რომ ასეთ ანტიკომუნისტურ დანაშაულს კომუნისტებს მიაწერენ“.

სრულ სიჩუმეში ეს სიტყვები განსაკუთრებული ძალით აჟღერდნენ. ეს იყო ტიტანური ბრძოლის დასკვნითი აკორდი.

დადგა დაუვიწყარი წამები, როცა დიმიტროვმა იკისრა თავისი ხალხის პატიოსნებისა და ღირსების დაცვა, ხალხისა, რომელსაც პროცესზე უწოდებდნენ „ველურსა“ და „ბარბაროსს“. დიმიტროვმა განაცხადა, რომ ხალხი, რომელიც 500 წელს ეწეოდა უცხოელთა ჭაპანს ისე, რომ არ დაუკარგავს საკუთარი ენა და ეროვნულობა, შეუძლებელია იყოს ველური და ბარბაროსი. „ველურები და ბარბაროსები ბულგარეთში მხოლოდ ფაშისტები არიან. მე თქვენ გეკითხებით, ბატონო თავმჯდომარე: რ ო მ ე ლ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ა რ ა რ ი ა ნ ფ ა შ ი ს ტ ე ბ ი ვ ე ლ უ რ ე ბ ი დ ა ბ ა რ ბ ა რ ო ს ე ბ ი?“ თავმჯდომარე შეეცადა შეეწყვეტინებინა: „თქვენ მბედველობაში ხომ არა გაქვთ პოლიტიკური დამოკიდებულება გერმანიასთან?“ — რა თქმა უნდა, ბატონო თავმჯდომარე, — სარკასტულად შენიშნა დიმიტროვმა, — მე არავითარი საფუძველი არა მაქვს, მრცხვენოდეს ბულგარელობისა. ვამაყობ, რომ ვარ შვილი ბულგარეთის მუშათა კლასისა“.

---

[1] იხ. გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 333 — 356 (რუსულ ენაზე).

შემდეგ დიმიტროვმა შეუტია საბრალდებო აქტის ძირითად თეზისს, რომ თითქოს რაიხსტაგის გადაწვა გერმანიის კომუნისტური პარტიის. მსოფლიო კომუნიზმის საქმე იყოს, თითქოს იგი იყო ნიშანი აჯანყებისა, რაიხის განადგურებისა. მან მოიყვანა მსოფლიო ისტორიისათვის ცნობილი პოლიტიკური პროვოკაციის მრავალი მაგალითი, როცა მუშათა კლასის მტრები კომუნისტებს მიაწერდნენ ამა თუ იმ დანაშაულებრივ საქმეს.

გიორგი დიმიტროვმა მაღალი შეფასება მისცა გერმანიის კომპარტიის საქმიანობას, ბრძოლას. მან უარყო ავანტიურისტული თეზისი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების სათავეში ფაშისტების მოსვლის შემდეგ გერმანიის კომუნისტურ პარტიას ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა — შეიარაღებული აჯანყება: „ახლა ან არასდროს". ასეთი ვარაუდი,—აღნიშნა მან,—ცხადყოფს, თუ რა ცუდად იცნობენ გერმანიის კომუნისტურ პარტიას მისი მტრები. ვისაც სურს წარმატებით ებრძოლოს მოწინააღმდეგეს, კარგად უნდა იცნობდეს მას. პარტიის აკრძალვა, მასობრივი ორგანიზაციების დათხოვნა — ყოველივე ეს მძიმე დარტყმებია რევოლუციური მოძრაობისათვის, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყოველივე დაიღუპა.

გ. დიმიტროვმა მოიყვანა ისტორიული მაგალითები, რომლებიც ცხადყოფს, რომ კომუნისტური პარტიები იბრძვიან ყველა ვითარებაში. მან დაიმოწმა რუსეთის კომუნისტური პარტიის დიადი მაგალითი, როცა იგი, იატაკქვეშ მყოფი, დევნას განიცდიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, წარმატებით განახორციელა სოციალისტური რევოლუცია. მაგალითისათვის მან დაასახელა აგრეთვე საკუთარი პარტია, რომელსაც, სექტემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ. არ შეუწყვეტია ბრძოლა. „გერმანიის კომპარტიამ შესანიშნავად იცოდა, — ხაზგასმით აღნიშნა დიმიტროვმა, — რომ არალეგალურ მუშაობას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, რომ იგი მოითხოვდა თავგანწირვასა და სიმამაცეს, მაგრამ მან ისიც უწყოდა, რომ მისი რევოლუციური ძალები განმტკიცდებოდა და შეძლებდა განეხორციელებინა მის წინაშე მდგარი ამოცანები. ამიტომ სრულიად გამორიცხულია, რომ თითქოს გერმანიის კომუნისტურ პარტიას ამ პერიოდში სურდა ვა-ბანკზე წასვლა. კომუნისტები, საბედნიეროდ, ისეთი ბეცები როდი არიან, როგორც მისი მოწინააღმდეგენი. მათ არ ღალატობთ თავდაჭერილობა ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებშიც ეი"[1]. გერმანიის კომუნისტური პარტია მიზნად არ ისახავდა მოეწყო შეიარაღებული

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 341 — 342 (რუსულ ენაზე).

აჯანყება 1933 წლის თებერვლის ბოლოს. ასეთი ამოცანა გერმანიის კომპარტიის წინაშე არც კომუნისტურ ინტერნაციონალს დაუსახავს, რომლის ერთ-ერთ სექციასაც იგი წარმოადგენდა.

დიმიტროვმა ბრწყინვალედ დაახასიათა კომუნისტური მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა. კომუნისტური ტაქტიკის ალფა და ომეგაა „მასობრივი მუშაობა, მასობრივი ბრძოლა, მასობრივი წინააღმდეგობა, ერთიანი ფრონტი, არავითარი ავანტიურა“[1]. ამ დებულებებში მოქცეულია ის იდეები, რომელთაც უნდა ეთამაშათ ისტორიული როლი ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გიორგი დიმიტროვმა ღრმა ანალიზი გაუკეთა სასამართლო ძიებას და მის შედეგებს. პროცესის დროს ის არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ხანძრის გამომწვევ მიზეზთა გასარკვევად აუცილებელი იყო პოლიტიკური ვითარების განხილვა გერმანიაში 1933 წლის თებერვალში. მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარე უკრძალავდა ამ საკითხზე მსჯელობას. არც ბრალდებასა და დაცვას სურდათ შეხებოდნენ პოლიტიკურ სიტუაციას. თავის უკანასკნელ სიტყვაში დიმიტროვმა შეძლო წარმოეჩინა წინააღმდეგობანი ბურჟუაზიულ ბანაკში, გაეხსნა კლასობრივი საფუძველი ფაშისტური დიქტატურისა, რომელიც დაკავშირებული იყო კაპიტალისტ-მაგნატთა მისწრაფებებთან, ეს უკანასკნელნი კი, როგორც ცნობილია, აფინანსებდნენ ნაციონალურ-სოციალისტურ მოძრაობას.

ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დახასიათებისას დიმიტროვმა გამოყო ორი მომენტი: პირველი — ნაციონალ-სოციალისტთა მისწრაფება ერთმმართველობისაკენ, მეორე — გერმანიის კომუნისტური პარტიის მცდელობა, მიმართული ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ კაპიტალისტთა მძარცველური პოლიტიკისა და ჰიტლერელების ძალადობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ნაციონალ-სოციალისტებს ესაჭიროებოდათ დივერსიული მანევრებით ყურადღება გადაეტანათ ბურჟუაზიული ბანაკის სიძნელეებისაგან და დაექსაქსათ ერთიანი ფრონტი. მათ სჭირდებოდათ პროვოკაციული საბაბი საგანგებო დეკრეტის გამოსაცემად, რომელიც წერტილს უსვამდა დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებას.

პროცესის დროს წამოჭრილ მთავარ საკითხზე, სახელდობრ, იმაზე, თუ ვის ინტერესებს შეესაბამებოდა ხანძარი, მიღებულ იქნა ამომწურავი პასუხი. დიმიტროვმა სასამართლო ძიების საფუძველზე ასეთი დასკვნა გამოიტანა: რაიხსტაგის დაწვა არავითარ შემთხვევაში

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 343 (რუსულ ენაზე).

არაა დაკავშირებული კომპარტიის მოღვაწეობასთან — არც აჯანყებასთან, არც დემონსტრაციასთან, არც გაფიცვასთან და არც ამ სახის სხვა რომელიმე გამოსვლასთან. ხანძარი არავის მიუჩნევია აჯანყების დაწყების ნიშნად. გერმანიის მუშათა კლასი ფაშიზმის შემოტევის გამო იძულებული იყო თავდაცვაზე გადასულიყო, ხოლო გერმანიის კომუნისტური პარტია ცდილობდა მასების წინააღმდეგობის ორგანიზებას.

პირიქით, მიუთითებდა დიმიტროვი, სასამართლო ძიებით დამტკიცდა, რომ ხანძარი მხოლოდ საბაბი იყო საიმისოდ, რომ გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ მუშათა კლასისა და მისი 'ავანგარდის — გერმანიის კომუნისტური პარტიისათვის. ამის დასტური იყო ის საგანგებო დეკრეტი, რომელიც მაშინვე მოჰყვა ხანძარს. დიმიტროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერორი შეეხო არა მარტო კომუნისტებს, არამედ სოციალ-დემოკრატ და ქრისტიან მუშებსაც, რომელთა ორგანიზაციებიც ასევე დაშალეს. ნაციონალ-სოციალისტური მთავრობა „კომუნისტური საფრთხის" საბაბით ცდილობდა გაენადგურებინა სხვა ოპოზიციური ორგანიზაციები და პარტიები, მოესპო ყველაფერი, რასაც კი რაიმე საერთო ჰქონდა დემოკრატიასთან. აქედან — დასკვნა, რომ ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ გაერთიანება დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, ფართო მასების სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა.

პოლიტიკური ვითარების გაანალიზების შემდეგ დიმიტროვი გადავიდა საბრალდებო აქტზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბრალდებულები ვან დერ ლიუბეს თანამზრახველნი იყვნენ. ექსპერტიზისა და სასამართლო განხილვის მონაცემთა საფუძველზე დიმიტროვმა გამოიტანა დასკვნა, რომ ვან დერ ლიუბეს მიერ მოწყობილი ხანძარი რესტორანში, ქვედა სართულზე, განსხვავდებოდა პლენარული დარბაზის ცეცხლის წაკიდებისაგან — იგი მოაწყვეს სხვა ადამიანებმა განსხვავებული ხერხებით. მაგრამ ეს სხვა ადამიანები საიმპერიო სასამართლოს წინაშე წარმდგარი კომუნისტები როდი არიან. რაიხსტაგის დაწვა, ასკვნიდა დიმიტროვი, არის ნაყოფი პოლიტიკური შეშლილობისა და პოლიტიკური პროვოკაციის საიდუმლო კავშირისა. პოლიტიკური შეშლილობის წარმომადგენელი ზის განსასჯელთა სკამზე, პოლიტიკური პროვოკაციის წარმომადგენლები კი თავისუფლად დასეირნობენ.

გ. დიმიტროვმა, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, ფარდა ახადა სასამართლო ძიების მეთოდებსა და მიმართულებას. მისი დასკვნა ასეთი იყო: ცეცხლის წამკიდებლებს ეძებდნენ არა იქ, სადაც ისინი იყვნენ, არამედ იქ, სადაც არავინ იყო — კომუნისტური პარტიის

რიგებში. შემთხვევითი როდია, რომ ბრალდების ყველა მთავარი მოწმე. ან აქტიური ნაციონალ-სოციალისტია, ან ნაციონალ-სოციალიზმის მომხრე.

სასამართლოს თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებდა დიმიტროვს, სიტყვის ჩამორთმევით ემუქრებოდა. მაგრამ სანამ ლაპარაკის უფლებას წაართმევდნენ, დიმიტროვმა მოასწრო მიეთითებინა იმ მთავარ გაკვეთილზე, რომელიც უნდა გამოეტანა გერმანიის მუშათა კლასს. ლაიფციგის გმირმა მოიშველია დიდი გერმანელი პოეტის — გოეთეს სიტყვები არჩევანის შესახებ, რომლის წინაშეც აღმოჩნდება ადამიანი — ურო იყოს, თუ გრდემლი — და თქვა: „დ ი ა ხ, ვ ი ს ა ც ა რ უ ნ დ ა ი ყ ო ს გ რ დ ე მ ლ ი, უ ნ დ ა ი ყ ო ს უ რ ო! ეს ჰეშმარიტება გერმანიის მუშათა კლასმა საბოლოოდ ვერ გაიგო...“ და ვერ შეძლო გაეერთიანებინა თავისი ძალები ერთიანი ფრონტის სახით, რათა გზა გადაეღობა ფაშიზმისათვის. როგორც პროლეტარული მასების ჰეშმარიტ მოღვაწეს, დიმიტროვს სურდა ეს მნიშვნელოვანი დასკვნა გაეზიარებინა არა მარტო გერმანელი მუშებისათვის, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

სასამართლოს მიერ ბრალდებულისათვის სიტყვის საბოლოოდ ჩამორთმევამდე დიმიტროვმა მოასწრო ჩამოეყალიბებინა თავისი წინადადებანი. ის არ დაეთანხმა განჩინებას, რომ ბულგარელები უნდა განთავისუფლებულიყვნენ სამხილთა უქონლობის გამო (სასამართლოს პროცესზე ხომ დადგინდა, რომ მათ არაფერი ჰქონდათ საერთო რაიხსტაგის გადაწვასთან). „ჩვენ, ბულგარელები, ისევე როგორც ტორგლერი, — აღნიშნა მან, — უნდა გაგვამართლონ არა სამხილთა უქონლობის გამო. არამედ იმიტომ, რომ ჩვენ, კომუნისტებს, არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს რაიმე საერთო ამ ანტიკომუნისტურ აქტთან“. სასამართლომ წაართვა დიმიტროვს სიტყვის უფლება იმ მომენტში, როცა იგი აყალიბებდა თავის ფრთიან გამოთქმას კაცობრიობის მომავლის შესახებ, ისტორიის ჩარხის შესახებ, რომელიც „ტრიალებს და შემდგომაც იტრიალებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე!“.

დასკვნითი სიტყვა სამთვიანი გმირული ომის ბრწყინვალე ფინალი იყო. იგი ეღერდა არა მხოლოდ ფაშიზმის უშიშარ მხილებად, არამედ მგზნებარე მოწოდებად მასების გაერთიანებისათვის ყველაზე რეაქციული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1933 წლის 23 დეკემბერს გამოცხადდა განაჩენი. საიმპერიო სასამართლომ გაამართლა სამივე ბულგარელი და ტორგლერი, ხოლო ვან დერ ლიუბეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. კომუნისტები გაამართლეს, თუმცა გერმანიის კომუნისტური პარტიის დამნაშავეობის

ტენდენციური ვერსია განაჩენში ძალაში დატოვეს. აღშფოთებულმა დიმიტროვმა სიტყვა მოითხოვა, მაგრამ თავმჯდომარემ სასწრაფოდ მოაგროვა ქაღალდები და სასამართლოს მთელ შემადგენლობასთან ერთად დატოვა სხდომათა დარბაზი.

ლაიფციგის პროცესი დასრულდა, მაგრამ გამართლებული ბულგარელები არ გაუთავისუფლებიათ. ორი თვის მანძილზე იმყოფებოდნენ ისინი ციხეში, ორი თვის მანძილზე აწყობდნენ ჰიტლერელები გეგმებს დიმიტროვის ლიკვიდაციისათვის, ორი თვის მანძილზე სასტიკად იბრძოდნენ მსოფლიო ანტიფაშისტური ძალები ლოზუნგით — „თავისუფლება დიმიტროვსა და მის ამხანაგებს!“ უკანასკნელი და გადამწყვეტი სიტყვა უდანაშაულო ბულგარელი კომუნისტების დასაცავად თქვა სოციალიზმის დიდმა ქვეყანამ. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც გ. დიმიტროვი, ბლ. პოპოვი და ვ. ტანევი აღიარებულ იქნენ საბჭოთა მოქალაქეებად. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტმა მძლავრ ანტიფაშისტურ მოძრაობასთან ერთად დადებითად გადაჭრა საქმე. ჰიტლერმა უკან დაიხია. რაიხსტაგის დაწვის წლისთავზე სამი ბულგარელი გაათავისუფლეს და ისინი ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში.

ისტორიული ბრძოლა დამთავრდა. ლაიფციგის ანტიკომუნისტური პროცესი დიმიტროვის წყალობით, საერთაშორისო პროლეტარული და ანტიფაშისტური სოლიდარობის, გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანელ მშრომელთა წინააღმდეგობის, საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციის წყალობით კომუნიზმის ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდა. ლაიფციგის პროცესის ზემოქმედება და მისი გმირის პოპულარობა როდი მცირდება წლების განმავლობაში. დიმიტროვის სიდიადე გამოვლინდა არა მხოლოდ მის ლეგენდარულ სიმამაცეში, უსაზღვრო ერუდიციაში, არამედ მის გამჭრიახობაშიც. ლაიფციგის პროცესზე მან მთელი მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავა ფაშიზმი არა მხოლოდ როგორც მუშათა კლასის, არამედ როგორც ყველა დემოკრატიული ძალის დაუძინებელი მტერი. აქედან კი გამომდინარეობდა გაშლილ ერთიან ფრონტად ყველა ძალის გაერთიანების გადაუდებელი ამოცანა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამჟამადაც გიორგი დიმიტროვის შეხედულებანი, გამოთქმული გერმანულ ფაშიზმთან უთანასწორო ბრძოლაში, შეუნელებელი ძალით ჟღერს და არ კარგავს აქტუალობას.

თავი მეოთხე

კომინტერნის გენერალური მდივანი

1. ახალი კურსის ინიციატორი

1929 — 1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მკვეთრად გააძლიერა კაპიტალიზმის ლპობის პროცესი, გააღრმავა მისი საერთო კრიზისი, კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, კოლონიებსა და მეტროპოლიებს, თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. მუშათა, ანტიკოლონიურმა და დემოკრატიულმა მოძრაობამ უფრო მასობრივი ხასიათი, ფართო მასშტაბები მიიღო.

იმპერიალისტურმა რეაქციამ, დამფრთხალმა მსოფლიო რევოლუციური აღმავლობით და რიგ ქვეყნებში ბურჟუაზიული რეჟიმების პოლიტიკური არასიმყარით, იწყო ბურჟუაზიული დემოკრატიის დათრგუნვა, სულ უფრო აქტიურად უჭერდა მხარს ფაშიზმს, რომელიც, გერმანიაში გამარჯვების შემდეგ, შეტევაზე გადავიდა მთელი ევროპის მასშტაბით. ხალხთა თავისუფლებასა და მსოფლიო კულტურას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა; წამოიმართა სისხლიანი ომების აჩრდილი.

იმპერიალიზმი ფაშიზმში ხედავდა არა მხოლოდ რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის საშუალებას თავიანთ ქვეყნებში, არამედ მიიჩნევდა დამკვრელ ძალადაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც თავისი გრანდიოზული წარმატებებით არევოლუციურებდა მასებს მთელ მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა გერმანულ ფაშიზმს, რომელიც ბატონობის პირველ თვეებშივე სასტიკად გაუსწორდა რევოლუციურ და დემოკრატიულ მოძრაობას, ყოველივე პროგრესულსა და ჰუმანურს გერმანიაში, იქცა მსოფლიო იმპერიალისტური რეაქციის დამკვრელ ძალად, ახალი ანტისაბჭოთა და მსოფლიო ომის ორგანიზატორად.

ფაშიზმს განზრახული ჰქონდა გამოეყვანა კაპიტალისტური წყობილება ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან, მოესპო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებისა და ინსტიტუტების ნარჩენები. ფაშიზმმა მიზნად დაისახა უპირველესად მოესპო მუშათა

მოძრაობა და მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტია, მაგრამ შეტევის პროცესში იგი კანონგარეშე აცხადებდა ყველა მუშათა პარტიასა და ორგანიზაციას, მიუხედავად მათი პოლიტიკური პლატფორმისა, ბღალავდა ქალაქისა და სოფლის მშრომელების სასიცოცხლო ინტერესებს და ყოველივე ამით თავის წინააღმდეგ იმხედრებდა თვით ბურჟუაზიის ლიბერალურ წრეებსა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას.

ასეთ ვითარებაში ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ყველა ანტიფაშისტურად განწყობილი დემოკრატიული ძალის მოქმედების ერთიანობისათვის. იქმნებოდა ობიექტური პირობები ანტიფაშისტური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის, რომელსაც მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეეძლო არა მარტო ჩაეშალა ხელისუფლების დაპყრობის ფაშისტური გეგმები, არამედ დაემხო ფაშისტური რეჟიმები, ამავე დროს, ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების საფუძველზე, მოესპო ბურჟუაზიის ბატონობა საერთოდ.

ერთიანი ანტიფაშისტური მოძრაობისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ჯერ კიდევ ლაიფციგის პროცესის დროს, როცა, დიმიტროვის სიტყვებით, „შეიქმნა ერთიანი ფრონტი მსოფლიო მასშტაბით, თუმცა საამისოდ ფორმალური პაქტი არ იყო დადებული“[1]. მშრომელთა ანტიფაშისტური ერთიანობის ახალი მასობრივი გამოვლინება იყო თებერვლის ამბები 1934 წელს საფრანგეთში, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის 4,5 მილიონი მშრომელი მონაწილეობდა გრანდიოზულ, გადამწყვეტ ბრძოლაში ქვეყნად ფაშისტური დიქტატურის დამყარების ცდების წინააღმდეგ. მალე ამის შემდეგ წარმოებულმა მუშათა ბარიკადულმა ბრძოლებმა ავსტრიაში ფაშისტების წინააღმდეგ თვალსაჩინო გახადა, რომ მუშათა მოძრაობის დაქსაქსულობა მხოლოდ და მხოლოდ ფაშისტურ რეაქციას აძლევდა ხელს.

ფაშიზმის შეტევებმა, ახალი მსოფლიო ომის საფრთხემ კომინტერნის, კომუნისტური პარტიების, მათი ხელმძღვანელების, აგრეთვე ყველაზე შეგნებული მუშების წინაშე დასახა ამოცანა, ეძებნათ ანტიფაშისტური ძალების შემჭიდროების გზები, პირველ რიგში კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების შეკავშირების შესაძლებლობანი. ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საერთაშორისო პროლეტარიატის მობილიზაციის საკითხებს ეძღვნებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის XIII პლენუმი, რომელიც გაიმართა 1933 წლის ნოემბერ-დეკემბერში. მან კვლავ განიხილა მუშათა ერთიანი ფრონტის საკითხი და ცნობილი შეფასება მისცა ფაშიზმს: „ფაშიზმი არის ფინანსური კაპიტალის ყვე-

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 10, გვ. 14-15 (ბულგარულ ენაზე).

ლაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური, ყველაზე იმპერიალისტური ელემენტების აშკარა ტერორისტული დიქტატურა“[1].

თუმცა უნდა ითქვას, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი კვლავ ემყარებოდა კომინტერნის ადრინდელ ტაქტიკურ და სტრატეგიულ მითითებებს, რაც ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდგომ ათწლეულის მანძილზე, მაგრამ უკვე მოძველდა და აღარ პასუხობდა ახალ ისტორიულ ვითარებას. კვლავ დასტურდებოდა, რომ კომუნისტური პარტიებისა და მუშათა კლასის უშუალო ამოცანაა პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. კომინტერნის XIII პლენუმმა დაადასტურა ძველი შეფასება სოციალ-დემოკრატიისა, როგორც ბურჟუაზიის მთავარი სოციალური ბურჯისა, როგორც ფაშისტური დიქტატურის „ზომიერი ფრთისა“.

ყოველივე ეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდა ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. მათ სულ უფრო გარკვეულად უმწიფდებოდათ აზრი ძირეული ცვლილებების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ. კომინტერნის ისეთი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ გ. დიმიტროვი, დ. ზ. მანუილსკი, ო. კუუსინენი, მ. ტორეზი, ე. ტელმანი, ვ. პიკი, პ. ტოლიატი, კ. გოტვალდი, ვ. კოლაროვი და სხვანი, სულ უფრო ხშირად გამოხატავდნენ საჭირბოროტო საკითხების ახლებურ გაგებას, გ. დიმიტროვის ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ოფიციალურად ითავა კომინტერნის ტაქტიკური და სტრატეგიული მითითებების გადახედვა და შემდგომი განვითარება, მსოფლიო კომუნისტური ორგანიზაციის ახალი პოლიტიკური ორიენტაციის, ახალი კურსის შემუშავება და დამკვიდრება.

გ. დიმიტროვი ღრმად სწავლობდა, პრაქტიკულად იყენებდა ვ. ი. ლენინის მოძღვრებას ერთიანი პროლეტარული ფრონტის შესახებ, რომელიც მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესმა 1921 წელს. ჯერ კიდევ ბულგარეთის 1923 წლის სექტემბრის ანტიფაშისტურ აჯანყებამდე მან დაწერა რიგი სტატიები, რომლებიც შეიცავდა ქვეყნის ყველა მშრომელისა და დემოკრატიული ძალის ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის კონკრეტულ პროგრამას. ლაიფციგის პროცესის დროს მან წამოაყენა ახალი დებულებანი გერმანიის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შესახებ. მან მოუწოდა გერმანიის მუშათა კლასს არა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, არამედ მასობრივი მუშაობის, მასობრივი წინააღმდეგობისა

---

[1] კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის XIII პლენუმი. სტენოგრაფიული ანგარიში, მ., 1934, გვ. 589 (რუსულ ენაზე).

და ერთიანი ფრონტისაკენ. მან გამოხატა აგრეთვე ახლებური დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიისადმი, ამასთანავე, წინა პლანზე წამოსწია ის, რაც აერთიანებდათ კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს.

გესტაპოს ჯურღმულებიდან დიმიტროვის განთავისუფლებამ და 1934 წლის 27 თებერვალს მოსკოვში ჩამოსვლამ შესაძლებლობა მისცა მას არა მარტო თავისუფლად გამოეთქვა ახალი შეხედულებანი, არამედ განევითარებინა, დაეკონკრეტებინა, დაეზუსტებინა ისინი პრესის, დოკუმენტების სისტემატური შესწავლის, კომუნისტური პარტიებისა და კომინტერნის პრაქტიკის განზოგადების პროცესში. ასევე საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან საუბრებსა და კონსულტაციებში. ეს იყო ჟამი ამაღელვებელი შეხვედრებისა საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვადასხვა წრეებთან, დაძაბული შრომისა და ახალი კურსის ფორმირებისათვის, თუმცა შერყეული ჯანმრთელობა აიძულებდა დიმიტროვს, ხანგრძლივად ეცხოვრა და ემკურნალა სანატორიუმ „არხანგელსკოეში" (მოსკოვის მახლობლად).

იმავე პერიოდში ლაიფციგის სახელგანთქმულმა ტრიბუნმა მრავალი ინტერვიუ მისცა საბჭოთა და უცხოელ კორესპონდენტებს. ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოებს, ის გამოდიოდა საზეიმო სხდომებზე და რადიოში, ეწვია გაზეთ „პრავდის" რედაქციას, იღებდა მუშათა და კოლმეურნეთა დელეგაციებს. დიმიტროვს მიწერ-მოწერა ჰქონდა მთელ რიგ საბჭოთა ორგანიზაციებთან, შრომით კოლექტივებთან და ცალკეულ პირებთან, აგრეთვე უცხოეთის ანტიფაშისტურ ორგანიზაციებთან და მოღვაწეებთან. საგულისხმოა მისი წერილი ავსტრიელი მუშებისადმი, რომლებიც მონაწილეობდნენ საბარიკადო ბრძოლებში ვენაში 1934 წლის თებერვალში. მან გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია გაზ. „პრავდაში", რომლებიც შემდგომ გადაბეჭდეს კომინტერნის ორგანოებმა და სხვადასხვა კომუნისტური პარტიის გაზეთებმა.

საჯარო გამოსვლებში გ. დიმიტროვი ღრმა მადლიერების გრძნობას გამოხატავდა ანტიფაშისტური მოძრაობის ეროვნული რაზმებისადმი, მუშათა კლასისადმი, განსაკუთრებით საბჭოთა საზოგადოებრიობისადმი, რომელთაც თავისი მასობრივი ბრძოლით იხსნეს ლაიფციგის პროცესის ბრალდებულთა სიცოცხლე. იგი ნიღაბს ხდიდა ფაშიზმს, როგორც ყველაზე სახიფათო მტერს მუშათა და კომუნისტური მოძრაობისა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, მშვიდობისა და პროგრესისა; ხაზს უსვამდა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის მნიშვნელობას პროლეტარიატის ბრძოლისათვის ფაშიზმის

წინააღმდეგ, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ. დიმიტროვს პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით მიაჩნდა ყველაზე საიმედო საშუალებად ფაშიზმის დასამარცხებლად. კითხვაზე, თუ რა განაპირობებდა მის ვაჟკაცურ ქცევას ფაშისტურ სასამართლოზე, გ. დიმიტროვს მუდამ ერთი პასუხი ჰქონდა: ბრძოლის ბოლშევიკური მეთოდები, პროლეტარული გმირობა, რევოლუციონერის ქცევის პრინციპები მტრის წინააღმდეგ. ამასთან, ის ხაზს უსვამდა საბჭოთა კავშირის როლს, მის წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ერთიანობისათვის.

ანტიფაშისტური ბრძოლის საკუთარი გამოცდილების გადმოსაცემად ლაიფციგის პროცესის დროს, აგრეთვე ანტიფაშისტური სოლიდარობისა და პროლეტარული ერთიანობის საერთაშორისო მოძრაობისათვის დახმარების გასაწევად, გ. დიმიტროვმა 1934 წლის გაზაფხულზე დაიწყო წიგნის წერა ლაიფციგის პროცესზე. მას ამ საქმეში ეხმარებოდნენ ჯერ ალფრედ კურელა, შემდეგ ლილი კაიტი. მაგრამ წიგნი მაინც დაუმთავრებელი დარჩა, თუმცა ბევრი რამ უკვე გაკეთებული იყო. იმავე ხანებში დიმიტროვმა დაწერა ამაღელვებელი ბროშურა „გადავარჩინოთ ერნსტ ტელმანი!“, რომელიც შემდგომ მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოიცა.

უნდა ითქვას, რომ მოსკოვში ჩამოსვლის პირველ თვეებში გ. დიმიტროვი იზიარებდა ძველ დებულებებსა და ფორმულირებებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შესახებ; ისინი კვლავ ძალაში რჩებოდნენ, მათ იზიარებდნენ კომუნისტური პარტიების უმრავლესი ხელმძღვანელები და მოღვაწეები. თვით დიმიტროვსაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული ახალი სტრატეგია და ტაქტიკა, ზოგიერთ ახალ დებულებას არცთუ ნათლად გადმოსცემდა. აუცილებელი იყო კომინტერნის მომავალი პოლიტიკის კოლექტიური განხილვა მისი დაზუსტებისა და გაფორმებისათვის, იმისათვის, რომ იგი ქცეულიყო პროპაგანდისა და მოქმედების ოფიციალურ გეზად. სწორედ ამას უძღვნიდა დიმიტროვი მთელ თავის ძალებს 1934 წლის გაზაფხულზე, როცა მას დაეკისრა ახალი ვალდებულებანი.

1934 წლის 29 აპრილს დიმიტროვი აირჩიეს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური სამდივნოს წევრად, მისი პოლიტიკური კომისიის წევრად და შუაევროპული ლენდერსამდივნოს ხელმძღვანელად, ამასთანავე იგი გახდა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 28 მაისს, ფართო განხილვის შედეგად, დადგინდა კომინტერნის VII კონგრესის დღის წესრიგი. დიმიტროვი გამოდიოდა უმნიშვნელოვანესი მოხსენებით დღის წესრიგის მეორე

საკითხზე — ფაშიზმის შემოტევა და კომინტერნის ამოცანები მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლაში. გ. დიმიტროვის არჩევა ხელმძღვანელ თანამდებობაზე საკმაოდ ბუნებრივი იყო, რადგანაც ფაშიზმზე დამაჯერებელი პოლიტიკური გამარჯვებით ლაიფციგის პროცესზე იგი იქცა კომინტერნის ჭეშმარიტი წარმომადგენლის, გამოჩენილი კომუნისტური ხელმძღვანელის განსახიერებად. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისა და ჯანმრთელობის გარკვეული გაუმჯობესების შემდეგ დიმიტროვმა კანონზომიერად დაიკავა კუთვნილი ადგილი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელ შტაბში. ის დიდი ხანია იყო წევრი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტისა, გააჩნდა ყველა აუცილებელი თვისება, მდიდარი რევოლუციური და ორგანიზაციული გამოცდილება, საფუძვლიანი მარქსისტულ-ლენინური მომზადება.

გ. დიმიტროვი იქცა კომინტერნის ფაქტიურ ხელმძღვანელად, როგორც მისი პოლიტიკური სამდივნოს ყველაზე ავტორიტეტული წევრი. მას დაევალა ძირითადი მოხსენების მომზადება კომინტერნის მომავალ კონგრესზე. ამიტომ მან თავი მოვალედ ცნო ყოველივე ეღონა, რათა ახალი პოლიტიკური გეზი, საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის ახალი კურსი განხილულიყო, მიღებულიყო და ოფიციალურად დამტკიცებულიყო. ამ მიზნით ჰან დახმარებისათვის მიმართა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ხელმძღვანელობას, პირადად ი. ბ. სტალინს, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა კომინტერნის ორგანოებსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. მოსამზადებელი კომისიის პირველი სხდომის წინ (კონგრესზე დიმიტროვის მოხსენებისათვის) ჰან სტალინს გაუგზავნა მოხსენების სქემა და არგუმენტირებულ წერილში დასვა საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელი იყო.

წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ერთიანი ფრონტისა და მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხმა ძირითადი ადგილი უნდა დაიკავოს მოხსენებაშიც და კონგრესის მუშაობაშიც. მაგრამ საკითხის მართებული გადაჭრისათვის აუცილებელი იყო რიგი მოძველებული დებულებების გადასინჯვა, რომელთა მიყოლაც წარუმატებლობამდე მიგვიყვანდა. იგულისხმებოდა, მაგალითად, უსაფუძვლო შეფასება სოციალ-დემოკრატიისა, როგორც სოციალ-ფაშიზმისა, უარყოფითი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი კადრებისადმი, მუშათა კლასის შეგნებული გამყიდველებისადმი, მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული დაჯგუფებანი ყველა შემთხვევაში მთავარი საფრთხის შემცველნი არიან. დიმიტროვის წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნუ-

ლი, რომ არ შეიძლება ერთიანი ფრონტის ტაქტიკა განვიხილოთ, მხოლოდ როგორც მანევრი, რომ ერთიანი ფრონტის შექმნა არ შეიძლება მხოლოდ ქვემოდან.დიმიტროვი მოითხოვდა, რომ ცალკეულ კომუნისტურ პარტიებს მინიჭებოდათ მეტი დამოუკიდებლობა და ინიციატივა, შეცვლილიყო „კომინტერნის ხელმძღვანელობისა და მუშაობის მეთოდები და ა. შ.[1]

გ. დიმიტროვმა, საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების) და კომინტერნის თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან მხარდაჭერამიღებულმა, თავის მომავალ მოხსენებაში დაწვრილებით ჩამოაყალიბა ახალი დებულებანი მოსამზადებელი კომისიის სხდომებზე, რომელიც დაიწყო 1934 წ. 2 ივლისს და თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. თავდაპირველად კომისიის ზოგიერთი წევრი იცავდა მოძველებულ დებულებებს და თანხმდებოდა ტაქტიკის მხოლოდ ნაწილობრივ შეცვლაზე. გ. დიმიტროვი, დ. მანუილსკი, ო. კუუსინენი, მ. მადალენა და სხვახი დასაბუთებულად იცავდნენ ახალ შეხედულებებს, რომლებიც დისკუსიის დროს სულ უფრო მისაღებნი ხდებოდნენ. კომისიის დანარჩენი წევრები თანდათან რწმუნდებოდნენ ახალი დებულებების მიღებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების აუცილებლობაში. ამავე დროს დიმიტროვი და მისი თანამებრძოლები ატარებდნენ გაძლიერებულ მუშაობას დანარჩენი კომუნისტური პარტიების მოღვაწეებთან, ეხმარებოდნენ მათ, სწორად აღექვათ მომხდარი ცვლილებები, არწმუნებდნენ მათ ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენების, კომუნისტების მხრივ ახალი მეთოდების დანერგვის აუცილებლობაში.

აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა გ. დიმიტროვს არ შეუწყვეტია 1934 წ. ზაფხულშიც, როცა სამკურნალოდ და დასასვენებლად ბორჯომში იმყოფებოდა. მკურნალობის მკაცრი რეჟიმის შემდეგ დიმიტროვი კვლავ შეუდგა მუშაობას. აქ მან დაწერა მრავალი წერილი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ორგანიზაციებისადმი, შესავალი ლასის წიგნისათვის „ვიხსნათ ამხ. ტელმანი!“, ცნობილი მისალმება საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობისადმი, სადაც სიტყვის ოსტატებს მოუწოდებდა შეექმნათ თვალსაჩინო ნაწარმოებები კაპიტალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მილიონიანი მასებისათვის. დიმიტროვი ხშირად ფიქრობდა თავის ქვეყანაზე, რომელსაც აგონებდა აქაური ადგილები და სტუმართმოყვარე ხალხი. ერთხელ, ქართველ ამხანაგებთან ერთად მოგზაურობისას, მან ნაღვლიანად თქვა: „თავისი უბრალოებითა და მგზნებარებით ქართვე-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, წერილები, 1805 — 1949, გვ. 297—300 (ბულგარულ ენაზე).

ლები მოეაგონებენ ჩემს ქვეყანას, ჩემს მრავალჭირნახულ ბულგარეთს. საქართველო კარგია, მაგრამ ბულგარეთიც ლამაზია"[1].

გიორგი დიმიტროვი ბორჯომიდან გაემგზავრა 1934 წლის აგვისტოს ბოლოს, ისე რომ არ გაუვლია მკურნალობის კურსი — მალე უნდა გამართულიყო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, ვიძღვნილი კომინტერნის VII კონგრესის მომზადებისადმი. სხდომა შედგა სექტემბრის დასაწყისში. გადაწყდა კონგრესის მოწვევა 1934 წლის მეორე ნახევრიდან გადაეტანათ 1935 წლის პირველი ნახევრისათვის. მალე სხდომის შემდეგ კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაგზავნა დირექტივა კომუნისტური პარტიების მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო პროლეტარული ფორუმის მოსამზადებლად, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მასობრივი მუშაობა უნდა წარმოებდეს მუშათა კლასის ერთიანობისათვის, ერთიანი, პროლეტარული ფრონტის შექმნისათვის ბრძოლის ნიშნით.

დადგა საკითხი კომინტერნის ახალი მითითებების, რომელთა ოფიციალურ მიღებაშიც დიმიტროვმა გადამწყვეტი როლი შეასრულა, უშუალო პრაქტიკული დანერგვისა. მალე ყველა კომუნისტურ პარტიაში დაიწყო ძველი მუშაობის სტილის გადახედვისა და გარდატეხის პროცესი სტრატეგიასა და ტაქტიკაში. იწვევდნენ ცენტრალური კომიტეტების სხდომებს, ზონალურ კონფერენციებს, ეროვნულ ყრილობებს. მიმდინარეობდა ბრძოლა დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, რომლებიც ეწეოდნენ კომუნისტურ მოძრაობას უკან, ეოძველებული დებულებებისაკენ.

გ. დიმიტროვი მუშაობდა ძალიან დაძაბულად, თუმცა შერყეული ჯანმრთელობა აიძულებდა დიდი ხნობით ეცხოვრა მოსკოვსახლო სანატორიუმში. მან დიდი ენერგია დახარჯა ახალ დებულებათა პოპულარიზაციისათვის, იმისათვის, რომ დაემტკიცებინა მათი თეორიული დასაბუთებულობა და პრაქტიკული მიზანშეწონილობა, რაც ხელს უწყობდა ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ახალი ხაზის გატარებისას. დიმიტროვი გამოდიოდა კომინტერნის ორგანოების სხდომებზე, ხვდებოდა კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებს, პოპულარიზაციას უწევდა ახალ დებულებებს თავის სიტყვებში, წერილებსა და სტატიებში, რომლებიც ქვეყნდებოდა საბჭოთა და კომინტერნის პრესაში.

განსაკუთრებით სასარგებლო იყო მისი სტატია „ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის", გამოქვეყნებული 1934 წლის 7 ნოემბერს გაზ. „პრავდაში". მასში ხაზგასმული იყო, რომ მსოფლიო კომუნისტური,

---

[1] ვ. გ. ცხოვრებაშვილი, გიორგი დიმიტროვი ბორჯომში, გაზ. „ნაროდნო დელო" (ვარნა), № 181, 3, VIII, 1967 (ბულგარულ ენაზე).

მუშა და დემოკრატიული მოძრაობის, მშვიდობისა და პროგრესის ᲗᲐᲕᲐᲠ მტერს წარმოადგენს ფაშიზმი. მისი შემოტევის შეჩერება შეიძლება მხოლოდ მუშათა გაერთიანებით ერთიან პროლეტარულ ფრონტად. ამიტომ კომუნისტური პარტიების მთავარ ამოცანას წარმოადგენს „კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული, ანარქო-სინდიკალური და სხვა მუშების გაერთიანებული ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ“[1]. ავტორი ამასთანავე მიუთითებდა ერთიანი ფრონტის პირველი წარმატებების შესახებ საფრანგეთში, სახავდა მის უახლოეს ამოცანებს, ნათელყოფდა შეცდომებსა და სისუსტეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ქვეყანაში ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბების პროგრამის განხორციელებისას.

გ. დიმიტროვი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური ერთიანობის საკითხებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის სიტყვას, წარმოთქმულს მოსკოვში 1934 წლის 20 ნოემბერს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების მეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით. დიმიტროვმა ილაპარაკა ახალგაზრდული კომუნისტური მოძრაობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, ისტორიის გაკვეთილებზე, ახალგაზრდობის როლზე რევოლუციურ და ანტიფაშისტურ ბრძოლაში. მან მიულოცა ესპანეთისა და ინგლისის კომკავშირელებს ანტიფაშისტური ერთიანობის მიღწევა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროლეტარიატისა და ᲗᲣᲨᲐ-ახალგაზრდობის ძირითადი ამოცანაა ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბება[2].

ახალ ვითარებაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა კომუნისტებისა და კომკავშირელების მუშაობა ბავშვებს შორის, რადგანაც ფაშისტები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ აღეზარდათ მოზარდი თაობა შოვინისტური და კონტრრევოლუციური სულისკვეთებით. ამ საკითხს მიეძღვნა გ. დიმიტროვის გამოსვლა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის საერთაშორისო საბავშვო ბიუროს თათბირზე 1934 წლის ოქტომბრის ბოლოს. თავის გამოსვლაში მან მიუთითა იმის თაობაზე, რომ ბავშვებს შორის მუშაობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, დაუშვებელია მისდამი შაბლონური მიდგომა, ხაზი გაუსვა დადებით გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა ზოგიერთ ქვეყანაში, სპეციალურად შეჩერდა ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მუშაობაზე ბავშვების აღზრდის საქმეში. „კომკავშირის ამოცანაა, — აღ-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ. ტ. 9, გვ. 509—510 (ბულგარულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 494—497.

ნიშნავდა დიმიტროვი, — ყოველდღიური ზრუნვა მოზარდ თაობაზე — იმ რეზერვუარზე, საიდანაც უნდა იკრებდეს ძალას ახალგაზრდული მოძრაობის ძალები"[1].

დაძაბულმა მუშაობამ კვლავ შეულახა ჯანმრთელობა გ. დიმიტროვს. 1934 წ. ნოემბრის მეორე ნახევარში ის იძულებული გახდა გამგზავრებულიყო სამკურნალოდ და დასასვენებლად ყირიმში, მუხალატკაში, მაგრამ ჯანმრთელობის აღდგენა ძალზე ძნელად ხდებოდა. თავი იჩინა ჰიტლერული ჯურღმულებისა და არალეგალური მუშაობის შედეგებმა. მუხალატკაში ის იმყოფებოდა 1935 წლის იანვრის ბოლომდე. მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი, დიმიტროვი იქაც აგრძელებდა მჩქეფარე საქმიანობას, რეგულარულად იღებდა მოსკოვიდან წიგნებს, გაზეთებს, წერილებსა და დოკუმენტებს. ის ყურადღებით ეცნობოდა ფოსტას და ტელეფონოგრამების საშუალებით იძლეოდა რეკომენდაციებს, რჩევას, მითითებებს, წერდა წერილებს, აწარმოებდა საუბრებს. მომჯობინების შემდეგ მან დაიწყო სეირნობა სანატორიუმის ხეივნებში, ხვდებოდა და საუბრობდა მშრომელებთან. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ჭისი შეხვედრა შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებთან 1934 წლის დეკემბერში.

საბჭოთა კავშირში ყოფნისას გ. დიმიტროვი ხშირად ხვდებოდა საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს. ეს უკანასკნელნი აღმაფრენითა და სიხარულით ხვდებოდნენ ლაიფციგის პროცესის გმირს, გამოხატავდნენ აღტაცებას ფაშისტურ სასამართლოში მისი გმირული თავდაჭერის გამო.

ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა პრესა დიდ ადგილს უთმობდა სტატიებს, რეპორტაჟებს, წერილებს, ფოტოსურათებს და სხვა მასალებს დიმიტროვის შესახებ. მშრომელთა კოლექტივები, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები, სკოლები და სამხედრო ნაწილები, დიდები და პატარები უგზავნიდნენ დიმიტროვს დეპეშებსა და მისალმებებს, ულოცავდნენ განთავისუფლებას და დაჟინებით იწვევდნენ სტუმრად.

მოსკოვში დიმიტროვი ესწრებოდა საზეიმო კრებებსა და სხდომებს, აწყობდა საქმიან შეხვედრებს საბჭოთა ადამიანებთან. ბორჯომში ყოფნისას იყო მეზობელ კოლმეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში, გამოდიოდა მუშების, სამხედრო მოსამსახურეების, პარტიული აქტივის წინაშე. ის ცდილობდა პასუხი გაეცა წერილზე, რომელსაც იღებდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. დიმიტროვი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მშრომელების წარმატებები

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ. 146, აღ. 2, ფურც. 18.

სოციალისტურ მშენებლობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის, საერთაშორისო ანტიფაშისტური და ანტიმილიტარისტული მოძრაობისათვის.

ამ შემთხვევაში გ. დიმიტროვს ამოძრავებდა არა მხოლოდ მადლიერების გრძნობა, სიყვარული და კეთილგანწყობა საბჭოთა კავშირის მიმართ, რაც მას მრავალგზის აღუნიშნავს თავის გამოსვლებსა და სტატიებში; იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ პირველი სოციალისტური სახელმწიფო გიგანტურ როლს ასრულებდა მსოფლიო რევოლუციურ პროცესში, ფაშისტური დანაშაულობებისა და ახალი იმპერიალისტური ომის მზარდი საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლასა და ანტიფაშისტურ მოძრაობაში. თავის ამ რწმენას გ. დიმიტროვი გამოთქვამდა საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილ სტატიებში, რომელთა უმრავლესობაც გამოქვეყნდა ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე 1934 წლის ნოემბერში[1].

გ. დიმიტროვი თავის სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშები სულ უფრო მეტად გრძნობენ ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობას. სსრ კავშირის მშრომელები მიესალმებიან ამ ფაქტს, რადგანაც ერთიანი პროლეტარული ფრონტი არა მხოლოდ რევოლუციური ძალების შინაგან შემჭიდროებასა და ერთსულოვნებას მოწმობს თითოეულ ქვეყანაში, არამედ საბჭოთა ხალხისადმი უშუალო მხარდაჭერას სოციალიზმის გამარჯვებისათვის ისტორიულ ბრძოლაში. ეს გამარჯვება კი, თავის მხრივ, მხოლოდ სსრ კავშირისათვის როდია მნიშვნელოვანი; იგი იძენს ფართო საერთაშორისო მასშტაბებს, ვინაიდან საბჭოთა კავშირი წარმოადგენს „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენ ბაზისს, სოციალიზმის ციხე-სიმაგრეს, ხალხთა შორის მშვიდობის ბურჯს, ყველა ქვეყნის მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს"[2].

თავის სტატიებში დიმიტროვი ღრმად და არგუმენტირებულად ამუშავებდა მარქსისტულ-ლენინურ დებულებას სოციალისტური სამშობლოს შესახებ, საბჭოთა კავშირის, როგორც მსოფლიო სოციალი-

---

[1] პირველი სტატია — „ერთიანი პროლეტარული ფრონტი და სსრ კავშირის მშრომელები" — დაიბეჭდა ერთდროულად „Пролетарская правда"-სა (კიევი) და «Ленинградская правда»-ში 1934 წლის 7 ნოემბერს; მეორე — „საბჭოთა კავშირი — ჩვენი სამშობლო" — დაისტამბა „რუნდშაუ"-ში (კომინტერნის ორგანო); მესამე წერილი — „მოსკოვი — ჰუმანიტარი ინტერნაციონალური ცენტრი" — გამოქვეყნდა გაზ. «Рабочая Москва»-ში (1934 წ. 20 ნოემბერი).

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 501 (ბულგარულ ენაზე).

ზმის ბურჯის, შესახებ, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის კლასობრივი სამშობლოს შესახებ. „საბჭოთა კავშირი, — აღნიშნავდა დიმიტროვი, — ჩვეულებრივი სახელმწიფო როდია; ისაა მსოფლიო პროლეტარიატის, მსოფლიო რევოლუციის პირმშო. მისი ბეშმარიტი საზღვრები მთელ მსოფლიოზე გადის, იგი მოიცავს ყველაფერს, რითაც ცხოვრობს მუშათა კლასი, იბრძვის მისი საქმისათვის. საბჭოთა კავშირი არის სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა, სადაც მსოფლიო პროლეტარიატის იდეალები ისხამს ხორცს“[1].

მუხალატკიდან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გ. დიმიტროვმა მიიღო მონაწილეობა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ამაღელვებელ შეხვედრებში. 1935 წლის 28 თებერვალს იგი გამოდის საბჭოთა მწერლობის წინაშე ანტიფაშისტურ ინტერნაციონალურ საღამოზე (მიძღვნილი რაიხსტაგის გადაწვის წლისთავისადმი). დიმიტროვმა კვლავ მოუწოდა მხატვრული სიტყვის ოსტატებს. შეეტანათ საკუთარი წვლილი რევოლუციურ და ანტიფაშისტურ ბრძოლაში, „ახალი რევოლუციური თაობის აღზრდაში“[2].

1935 წლის 18 მარტს გ. დიმიტროვმა მონაწილეობა მიიღო პარიზის კომუნისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაში. თავის სიტყვაში იგი ლაპარაკობდა რევოლუციონერებისადმი დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ამოცანებზე ფაშისტური შემოტევისა და ყველა ანტიფაშისტური ძალის მოქმედების ერთიანობის მიღწევის ახალ პირობებში. დიმიტროვმა დაახასიათა რევოლუციონერებისადმი დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც ხიდი, რგოლი, რომელიც აერთებს და ამჭიდროებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, განურჩევლად პოლიტიკური და ორგანიზაციული კუთვნილებისა.

1935 წლის 5 მაისს დიმიტროვი გამოვიდა მოსკოვში პრესის მუშაკთა ყოველწლიურ ტრადიციულ ზეიმზე. იგი მსჯელობდა რევოლუციური პრესის ძალაზე, კალმოსანთა მებრძოლი არმიის სერიოზულ ბოვალეობებზე, რომლის ვალია ემსახუროს სოციალიზმის მშენებლობას, თავდაცვის განმტკიცებას, მილიონობით მუშისა და კოლმეურნის ხელახალ აღზრდას.

დიმიტროვი თვითონ იძლეოდა კალმის ოსტატური ფლობის მაგალითს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საპატიო საქმეში. ამას მოწმობს საბჭოთა გამომცემლობა „ახალგაზრდა გვარდიას“ მიერ 1935 წ. გაზაფხულზე გამოცემული ბროშურა „სტუმრად ამხ. გ. დიმიტროვთან“. მასში შევიდა გამოჩენილი რევოლუციონერის წერილები, მისი საუბრების ჩანაწერები პიონერებთან და ბავშვების ჯგუფე-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 499.

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 1-4.

ბთან. ამაზე მეტყველებს აგრეთვე მის მიერ დაწერილი წინასიტყვაობანი ნ. გ. ჩერნიშევსკის წიგნისათვის „რა ვაკეთოთ?“ და ვ. ოსტენის „ჰუბერტი საოცრებათა ქვეყანაში“. მათში იგი მსჯელობს იმ თვისებებზე, რომლებიც აუცილებელია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის გმირული საქმეების აღსასრულებლად.

პირველი სოციალისტური სახელმწიფოსადმი დიმიტროვის დიდ სიყვარულს საბჭოთა ხალხი სიყვარულითვე პასუხობდა. ასობით ბრიგადა, საამქრო, ფაბრიკა, ქარხანა, სარკინიგზო დეპო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამხედრო ქვედანაყოფი, სკოლა, კულტურისა და დასასვენებელი სახლები, პიონერული რგოლი მის სახელს ატარებდა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებზე 1934 წლის დეკემბერში დიმიტროვი დეპუტატად აირჩიეს რიგი ქალაქებისა და სოფლების საბჭოებმა, რომელთა შორის იყო მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო საბჭოები.

მას შემდეგ, რაც ძირითადად განისაზღვრა კომინტერნის ახალი კურსი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და პოლიტიკურმა სამდივნომ განიხილა ცალკეული პარტიების პოლიტიკა, პრაქტიკული საქმიანობა და ეხმარებოდა მათ ამხანაგური კრიტიკით, რჩევით, რეკომენდაციებით. დიმიტროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში, ცდილობდა დახმარებოდა იმ წინააღმდეგობათა დაძლევაში, რასაც ადგილი ჰქონდა ცალკეულ პარტიებსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. კომინტერნის VII კონგრესის მზადების მთელი პერიოდის მანძილზე დიმიტროვი თვალს ადევნებდა პარტიის ცხოვრებასა და ბრძოლას, დამყარებული ჰქონდა უშუალო კონტაქტი მათ ხელმძღვანელებთან, არწმუნებდა მათ ახალ სტრატეგიულ და ტაქტიკურ მითითებათა ძლიერებაში.

გ. დიმიტროვმა დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას; როცა 1934 წლის თებერვლის ღირსახსოვარი ამბების შემდეგ საფრანგეთის კომუნისტები სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ და ერთიანი ფრონტის საკითხში ვერ თანხმდებოდნენ სოციალისტური პარტიისა და რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერებთან, როცა ფრაქციონერი და ავანტიურისტი დორიო უფრო აღრმავებდა ამ სიძნელეებს თავისი ოპორტუნისტული და შემთანხმებლური პოლიტიკით, დიმიტროვი 1934 წლის მაისის შუახანებში არხანგელსკოეში შეხვდა მორის ტორეზს. დიმიტროვმა, საფრანგეთის სინამდვილის ღრმა ცოდნის საფუძველზე, განსაზღვრა მოქმედების პერსპექტივა, რამაც ხელი შეუწყო კომინტერნის ახალი მითითებების მიღებას და სოციალისტურ პარტიასთან მოლაპარაკების დაწყებას. ამას კი შედეგად მოჰყვა ივლისის თვეში მასთან პაქტის დადება მოქმედების ერთია-

ნობის შესახებ. ეს იყო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში პირველი დოკუმენტი ეროვნული ფრონტის ორგანიზაციის თაობაზე.

დიდი ღვაწლი მიუძღვის დიმიტროვს გერმანიის კომუნისტური პარტიის წინაშეც, რომელიც იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში იშყოფებოდა და სასტიკ დარტყმებს განიცდიდა ფაშისტების მხრივ. ამას გარდა, ჰის ხელმძღვანელობაში არსებული სექტანტობის ელემენტები ეწინააღმდეგებოდა ერთიანი ფრონტის პოლიტიკას.

1935 წლის იანვარში მოწვეულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანელი კომუნისტების ხელმძღვანელები ვილჰელმ პიკის მეთაურობით. სექტანტები გააკრიტიკეს. აქვე განისაზღვრა ერთიანი პოლიტიკური ხაზი. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის და პირადად გ. დიმიტროვის ჰხარდაჭერით ვ. პიკმა შეძლო შეეკავშირებინა პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობა, შემდეგ კი — მთელი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის პოზიციებზე.

მუდმივ დახმარებას უწევდა დიმიტროვი ავსტრიის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ფაშისტები ასევე მძიმე დარტყმებს აყენებდნენ. განსაკუთრებით დადებითი როლი შეასრულა ამ მხრივ მისმა წერილმა ავსტრიელი მუშებისადმი. იგი დაეხმარა კომუნისტებსაც, სოციალ-დემოკრატ მუშებსაც და უპარტიოებსაც. შეეგნოთ რეფორმიზმისა და სექტანტურ შეხედულებათა დაჭღუპველობა, გამოეყენებინათ 1934 წლის თებერვლის მარცხის მწარე გამოცდილება, დასდგომოდნენ ერთიანი ფრონტის ხაზს და იატაკქვეშეთის პირობებშიც კი დაეწყოთ ბრძოლა ხალხის დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ.

დიმიტროვი დაეხმარა თურქეთის კომუნისტურ პარტიას, გაეშალა მუშაობა მასებში, შეეღწია ლეგალურ მასობრივ ორგანიზაციებში. ლეგალიზებული გაეხადა პროფკავშირები და ახალგაზრდული ორგანიზაციები. იგი დაეხმარა აგრეთვე საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც უნდა დასდგომოდა მოქმედების ერთიანობის კურსს ყველა ანტიფაშისტურ ძალებთან. გ. დიმიტროვი დაეხმარა უნგრელ კომუნისტებს, აღმოეფხვრათ სექტანტობა თავის რიგებში. აძლევდა რჩევას კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს, სადაც ვითარება ასევე მოითხოვდა ყველა ანტიიმპერიალისტური ძალის ერთიან მოქმედებას.

ეხმარებოდა რა ცალკეულ კომუნისტურ პარტიებს კომინტერნის ახალი დებულებების მიღებაში, გ. დიმიტროვი, ბუნებრივია, განსაკუ-

თრებულ ყურადღებას უთმობდა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც აღზარდა და წინ წამოსწია იგი. ეს მით უმეტეს აუცილებელი იყო, რომ პარტიის ხელმძღვანელობაში მოკალათებული იყვნენ დოგმატიკოსები და სექტანტები, რომლებიც უარყოფდნენ მის საბრძოლო წასრულს, ხელმძღვანელი ორგანოებიდან განდევნეს ძველი, გამოცდილი კადრები. რევოლუციური ფრაზეოლოგიის ამ მონებმა, მასობრივი ბრძოლის ნაცვლად, მოაწყვეს პარტიული აქტივისაგან შემდგარი მცირერიცხოვანი ჯგუფების გამოსვლა და ა. შ.

ლაიფციგის პროცესზე გმირული მოქმედებით გ. დიმიტროვმა რეაბილიტაცია უყო პარტიის „ტესნესოციალისტური" პერიოდის მოღვაწეებს, განაპტიცა მათი პოზიციები პარტიაში, ჯერ მოიპოვა და შემდეგ განიმტკიცა მდგომარეობა, როგორც ბულგარეთის კომუნისტების უპირველესმა ხელმძღვანელმა. შემდეგ გატარდა სხვადასხვა პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი სექტანტების მხილებისა და განიარაღებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ადგილები პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი ეინიშვნელობა ჰქონდა დიმიტროვის გამოსვლებს 1934 — 1935 წწ. მაისში დ. ბლაგოევის გარდაცვალებიდან მე-10 და მე-11 წლისთავზე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცხოვრებასა და ბრძოლაში დაისახა არსებითი გარდატეხა. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დახმარებით განახლდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სადაც შევიდნენ კომინტერნის ახალი კურსის თანმიმდევარი გამტარებლები. მათ დაიწყეს ბრძოლა სექტანტობის სრული დაძლევისათვის, ანტიფაშისტური მოქმედების ერთიანობის მიღწევისათვის, მასობრივი მუშაობისა და ბრძოლის გაშლისათვის, ჩიხიდან პარტიის გამოყვანისათვის. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა, რომელიც გაიმართა 1935 წლის იანვარში, ეიიღო ახალი, ლენინური პოლიტიკა მუშათა და ფართო ანტიფაშისტური მოქმედების ერთიანობისა. ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა პირველ წარმატებით ცდებს მოქმედების ერთიანობისა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ზოგიერთ განშტოებასთან.

ცალკეულ ქვეყნებში ანტიფაშისტთა დაახლოების საქმეში დიდი როლი შეასრულა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ მასობრივმა, ფართო კამპანიამ, რომელიც კომინტერნის ხელმძღვანელობით ჩაატარა რევოლუციონერებისადმი დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციამ. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა რწმენის ანტიფაშისტებმა. პროგრესული ინტელიგენციის ასობით წარმომადგენელი თავდაუზოგავად იბრძოდა ფაშისტური ეხეცობის, შუასაუკუნეობრივი ტან-

ჯვა-წამების წინააღმდეგ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მეცნიერებისა და კულტურის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: მ. გორკი, ა. ბარბიუსი, რ. როლანი, პ. ლანჟევენი, თ. მანი, ლ. ფოიხტვანგერი და სხვანი.

გიორგი დიმიტროვმა პირადი წვლილი შეიტანა ამ კამპანიის გაშლის საქმეში, ხელი შეუწყო მის მონაწილეთა რიცხვის ზრდას, აგრეთვე იმას, რომ ამ კამპანიის საშუალებით მიღწეულიყო მასობრივი ანტიფაშისტური ერთიანობა მოქმედებისა. ის ენერგიულად იბრძოდა აგრეთვე ე. ტელმანისა და ჰიტლერელთა ტერორის სხვა მსხვერპლთა დასახსნელად. წერდა წერილებს, ხელს აწერდა მოწოდებებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომელიც გამოჰქონდათ ბულგარეთში სხვადასხვა „ჯარისკაცთა პროცესზე", აგრეთვე გამომეღავნებული იატაკქვეშა სტამბების მუშაკებისათვის, „კონსპირაციული" მოღვაწეებისა და ა. შ. დიმიტროვი მოუწოდებდა, ეხსნათ ესპანელი რევოლუციონერები, რომლებიც მონაწილეობდნენ დემონსტრაციებსა და შეიარაღებულ შეტაკებებში 1934 წლის შემოდგომაზე. იგი მოწოდებით მიმართავდა მსოფლიო საზოგადოებრიობას, რათა გამოსულიყვნენ ფინეთის პროლეტარიატის მამაცი მებრძოლის ტ. ანტიკაინენის დასაცავად.

2. მონაწილეობა კომინტერნის VII კონგრესის მომზადებასა და მუშაობაში

კომინტერნის VII კონგრესის მოწვევის თარიღის მოახლოებასთან ერთად, რომელიც უნდა გახსნილიყო 1935 წლის ივლისის ბოლოს, სულ უფრო დაძაბული ხდებოდა მისთვის მზადება. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის აპარატის მუშაკთაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აგროვებდნენ და შეისწავლიდნენ მასალებს კონგრესზე მთავარი მოხსენებების ირგვლივ. სპეციალური კომისიები ამზადებდნენ დღის წესრიგის ძირითად პუნქტებს. შეუდგნენ თვით მოხსენებების წერას. ბევრი მათგანი რჩევისა და რეკომენდაციებისათვის მიმართავდა დიმიტროვს; ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფს, რომლებსაც უნდა დაემუშავებინათ ფაშიზმთან ბრძოლის კონკრეტული საკითხები.

ყოველდღიური სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმეებით დიდი დატვირთვა აფერხებდა დიმიტროვის მუშაობას დღის წესრიგის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ მოხსენებაზე, რომელიც ძირითადი იყო კონგრესის მუშაობაში. მიუხედავად ამისა, 1935 წლის მაისში მოხსენებისათვის მზადებამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ. მისი ძირითადი პოლიტიკური და თეორიული დებულებანი განხილულ იქნა ოფიციალური მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე. ამ საკითხებზე ჩატარდა სპეციალური კონსულტაციები საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო-

სთან და კომინტერნის სხვა სექციების წარმოვადგენლებთან. ამის შემდეგ დაიწყო მოხსენებაზე უშუალო მუშაობა.

უპირველეს ყოვლისა, გ. დიმიტროვმა შეადგინა დაწვრილებითი „საორიენტაციო გეგმა“. შემდეგ შეუდგა ცალკეული ბროშურების გაშუქებას. 1935 წლის ივნისში უკვე მზად იყო მოხსენების ოთხი ვარიანტი. ისინი განიხილეს მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე, სადაც გამოითქვა ზოგიერთი კონკრეტული შენიშვნა. პარალელურად დიმიტროვი ყურადღებით სწავლობდა ვ. ი. ლენინის შრომებში ჩამოყალიბებულ შესაბამის დებულებებს.

გ. დიმიტროვი, ფორმულირებას უკეთებდა რა ძირითად თეორიულ პრინციპებს, პოლიტიკურ შეფასებებს, ლოზუნგებს, ცდილობდა დაესახა ის, რაც აუცილებელი იყო მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ბრძოლისათვის, ეპოვა ყველაზე შესაფერისი და მისაწვდომი ფორმა.

ასევე იყო ორგანიზებული რეზოლუციის პროექტზე მუშაობაც. 1935 წლის ივლისის შუახანებამდე მომზადდა მისი რამდენიმე ვარიანტი. დიმიტროვი რედაქტირებას უწევდა მისი ტექსტის თითოეულ პუნქტს, უმატებდა ქვესათაურებს, აზუსტებდა ფორმულირებებს. რეზოლუციის პროექტში შეტანილ იქნა მოსამზადებელი კომისიის შენიშვნებიც. 18 ივლისს გ. დიმიტროვმა დაწვრილებით გააცნო თავისი უკანასკნელი შენიშვნები ო. კუუსინენს და სამუშაო ჯგუფის კიდევ ორ წევრს, რომელთაც საბოლოო რედაქტირება უნდა გაეკეთებინათ პროექტისათვის.

კომინტერნის VII კონგრესი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1935 წლის 25 ივლისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. კონგრესის მუშაობამ გასტანა თითქმის ერთ თვეს და დამთავრდა 21 აგვისტოს ღამით. მის მუშაობაში მონაწილეობდა 513 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ 65 კომუნისტურ პარტიას, ასევე კომინტერნის მომხრე რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები. კონგრესის დელეგატთა შორის იყვნენ საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა, ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მოღვაწენი.

კონგრესის დღის წესრიგში იდგა ოთხი ძირითადი მოხსენება, რომელთაც დიდი ისტორიული და თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. კონგრესის ძირითად პუნქტს წარმოადგენდა გიორგი დიმიტროვის მოხსენება „ფაშიზმის შემოტევა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები ფაშიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლაში“, რომელიც წაიკითხა 1935 წლის 2 აგვისტოს. მან, როგორც ფოკუსში, თავი მოუყარა ყველა მწვავე პრობლემას, რომელთაც საერთაშორისო ვითარება უყენებდა კომუნისტურ მოძრაობას.

მასში მოხაზული იყო ნათელი სტრატეგიული გეგმა, განსაზღვრული იყო კომუნისტური პარტიების მოქნილი ტაქტიკა ფაშიზმის შემოტევისა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ.

გ. დიმიტროვის მოხსენებაში, მის დასკვნით გამოსვლაში (კამათის შემდეგ), აგრეთვე კონგრესის საბოლოო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველაზე საშიში და სასტიკი მტრისა, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია ყველა ძალების მობილიზება.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისისა და მშრომელთა მასების სწრაფი გარევოლუციურების გამწვავებულ ვითარებაში, აღნიშნავდა დიმიტროვი, „გაბატონებული ბურჟუაზია ხსნას სულ უფრო მეტად ეძებდა ფაშიზმში, რათა განეხორციელებინა პირწავარდნილი მძარცველური ღონისძიებანი მშრომელთა წინააღმდეგ, მოემზადებინა მტაცებლური იმპერიალისტური ომი"[1].

განიხილავდა რა ფაშიზმის კლასობრივ არსს, დიმიტროვმა გაიმეორა ფაშისტური ხელისუფლების დახასიათება, მოცემული კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის XIII პლენუმის მიერ: „ფაშიზმი არის აშკარა ტერორისტული დიქტატურა ფინანსური კაპიტალის ყველაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური, ყველაზე იმპერიალისტური ელემენტებისა"[2]. ამგვარად, მან განსაზღვრა ფაშიზმის კლასობრივი ფუნქცია, როგორც მონოპოლისტური კაპიტალის იარაღისა, წერტილი დაუსვა კამათს ფაშიზმის სოციალური ბუნების შესახებ, სასტიკი დარტყმა მიაყენა სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს, რომლებიც ფაშიზმს განიხილავდნენ, როგორც დეკლასობრივ სახელმწიფოებრივ ძალას, როგორც წვრილბურჟუაზიულ ჰიმდინარეობას, როგორც წვრილი ბურჟუაზიის ანდა კუმპენ-პროლეტარიატის ხელისუფლებას ფინანსურ კაპიტალზე.

გ. დიმიტროვი აღნიშნავდა ფაშიზმის, როგორც მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე რეაქციული ჯგუფების იარაღის, როლს და ამავე დროს მიუთითებდა შაბლონის საფრთხეზე, იმაზე, რომ აუცილებელი იყო ფაშიზმისა და ფაშისტური დიქტატურის სხვადასხვა ფორმის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინება ცალკეულ ქვეყნებში. „აუცილებელია ყოველ ქვეყანაში გამოვიკვლიოთ, შევისწავლოთ, მოვძებნოთ ფაშიზმის ნაციონალური თავისებურებანი, ნაციო-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 375 (რუს. ენაზე).

[2] იქვე, გვ. 376.

ნალური სპეციფიკა და ამის შესაბამისად დავსახოთ ქმედითი მეთოდები და ფორმები ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად"[1].

დიმიტროვმა ხაზი გაუსვა გერმანული ფაშიზმის განსაკუთრებით სახიფათო ხასიათს, ფაშიზმის ყველაზე რეაქციულ სახესხვაობას, რომელშიც ხორცი შეისხა ყველაზე მხეცურმა და საშინელმა თვისებებმა ფაშისტური მოძრაობისა. გერმანული ფაშიზმი, მიუთითებდა დიმიტროვი, წარმოგვიდგება, როგორც „დამრტყმელი ძალა საერთაშორისო კონტრრევოლუციისა, როგორც მთავარი გამჩაღებელი იმპერიალისტური ომისა, როგორც წამომწყები ჯვაროსნული ლაშქრობისა საბჭოთა კავშირის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიადი სამშობლოს — წინააღმდეგ"[2].

დიმიტროვმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ფაშისტური და ბურჟუაზიულ-პარლამენტური რეჟიმების განსხვავების საკითხს, დაპირისპირებას ფაშიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის. „ხელისუფლების სათავეში ფაშიზმის მოსვლა — ეს არაა ერთი ბურჟუაზიული მთავრობის მეორით შეცვლა. ეს არის ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის ერთი სახელმწიფოებრივი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — აშკარა ტერორისტული დიქტატურით"[3]. ფაშისტური კონტრრევოლუცია უტევს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ვარდება მისდამი ღრმა წინააღმდეგობაში, ცდილობს მის შეცვლას ყველაზე ბარბაროსული ჩაგვრისა და ექსპლოატაციის რეჟიმით.

ამ დასკვნას დიდი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის იქცა საფუძვლად ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრისათვის კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. ფაშიზმის შემოტევის პირობებში რიგი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა წინაშე დადგა არჩევანი „არა პროლეტარიატის დიქტატურასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის, არამედ ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და ფაშიზმს შორის"[4]. ეს ნიშნავდა, რომ ამ ქვეყნების მშრომელთა ძთავარი ამოცანები აღნიშნულ ეტაპზე ატარებდა არა სოციალისტურ, არამედ ანტიფაშისტურ საერთო-დემოკრატიულ ხასიათს და მათი გადაჭრა გვაახლოვებდა სოციალისტურ პერსპექტივებთან. ამრიგად, პარტიების წინაშე დადგა კლასიკური ლენინური დე-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 456 (რუს. ენაზე).

[2] იქვე, გვ. 377.

[3] იქვე, გვ. 378.

[4] იქვე, გვ. 468.

ბულება ღრმა კავშირის თაობაზე დემოკრატიისათვის ბრძოლასა და სოციალიზმისათვის ბრძოლას შორის.

გარდა ამისა, უტევდა რა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ფაშიზმი ემუქრებოდა არა მხოლოდ კომუნისტურ და მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, არამედ მუშათა ყველა პარტიასა და ორგანიზაციას მათი პოლიტიკური ორიენტაციის განურჩევლად, ყველა ადამიანს, ვინც იბრძოდა დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, მხეცური ძალადობისა და ომის წინააღმდეგ. ამის შედეგად პროლეტარიატს ექმნებოდა ფართო შესაძლებლობანი, გაეერთიანებინა თავისი ძალები გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის, შინამრეწველების, მშრომელი ინტელიგენციის ძალებთან, ცალკეულ შემთხვევაში კი დაკავშირებოდა ბურჟუაზიის ანტიფაშისტურად განწყობილ ცალკეულ წრეებს ფაშიზმის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანობის მისაღწევად.

ობიექტური პირობების გათვალისწინებით კომინტერნმა დასახა მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის პოლიტიკის კონტურები. ამ საკითხს დიმიტროვმა ცენტრალური ადგილი დაუთმო მოხსენებაში, ხაზი გაუსვა მის წარმატებით განხორციელების წანამძღვრებს და ამ პოლიტიკის მნიშვნელობას პროლეტარიატის შემდგომ ბრძოლაში, დასახა სხვადასხვა ქვეყანაში ერთიანი ფრონტის შინაარსი და ფორმები, მისი განხორციელების ყველაზე მისაღები მეთოდები, ამასთან უარყო ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი და ა. შ.

გ. დიმიტროვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ფაშისტური დიქტატურა მძვინვარე, მაგრამ არამყარი ხელისუფლებაა, რადგანაც მას უნარი არ შესწევს გადალახოს წინააღმდეგობანი ბურჟუაზიის ბანაკში, ბოლო მოუღოს კლასობრივ ბრძოლებს. პირიქით, ფაშისტური დიქტატურა ამწვავებს ამ ბრძოლას, რითაც იწვევს მშრომელი მასების კიდევ უფრო ღრმა სიძულვილსა და აღშფოთებას კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ, ხელს უწყობს მასების გარევოლუციურებას, მძლავრ სტიმულს აძლევს პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნას ფაშიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფაშისტური დიქტატურა ავტომატურად დაემხობა. „მხოლოდ რევოლუციური აქტივობა მუშათა კლასისა შეუწყობს ხელს ბურჟუაზიის ბანაკში უცილობლად წარმოშობილი კონფლიქტების გამოყენებას ფაშისტური დიქტატურის მოსასპობად, მის დასამხობად"[1].

გ. დიმიტროვმა ხაზი გაუსვა, რომ ფაშიზმმა რიგ ქვეყნებში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო უპირატესად იმიტომ, რომ ბურჟუაზიასთან

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 391 (რუსულ ენაზე).

კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკის შედეგად (რომელსაც სოციალ-დემოკრატიის ბელადები ახორციელებდნენ), მუშათა კლასი „აღმოჩნდა გათიშული, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად დანიარაღებული ბურჟუაზიის შემოტევის წინაშე. კომუნისტური პარტიები კი არასაკმაოდ ძლიერნი იყვნენ საიმისოდ, რომ, სოციალ-დემოკრატიის საპირისპიროდ, დაერაზმათ მასები და გასძღოლოდნენ მათ ფაშიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში"[1]. აი რატომ იყო, რომ ფაშიზმზე გამარჯვების ძირითად პირობად ითვლებოდა ერთიანი ფრონტის შექმნა, მუშათა ერთიანობის მიღწევა. პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით — აი, „მძლავრი იარაღი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მუშათა კლასს არა მარტო წარმატებით დაიცვას თავი, არამედ ასევე წარმატებით გადავიდეს კონტრშეტევაზე ფაშიზმის კლასობრივი მტრის წინააღმდეგ"[2].

გ. დიმიტროვი განაზოგადებდა ფრანგი, ესპანელი და სხვა ქვეყნების კომუნისტურ გამოცდილებას მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ბრძოლის საქმეში და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთი ფრონტის შექმნა შეიძლებოდა მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით ანტიფაშისტური, საერთო-დემოკრატიული მოთხოვნების განხორციელებისათვის. მუშებს, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს, ჯერ კიდევ არ ძალუძთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ დარაზმული ბრძოლა, მაგრამ მათ შეუძლიათ გაერთიანდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, თავისი უშუალო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, სწორედ ეს საკუთარი ინტერესების დაცვა უნდა იქცეს მუშათა ერთიანი ფრონტის ამოსავალ პუნქტად და ძირითად შინაარსად. „რასაკვირველია, ერთიანი ფრონტის კონკრეტული ხორცშესხმა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წარმოგვიდგება, მიიღებს სხვადასხვა ფორმას მუშათა ორგანიზაციების ხასიათის მიხედვით, მათი პოლიტიკური დონის, ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული მდგომარეობის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მიმდინარე ძვრების მიხედვით და ა. შ."[3].

მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნა ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით დამოკიდებული იყო პირველ რიგში კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ურთიერთდამოკიდებულებაზე. გ. დიმიტროვი ხშირად მსჯელობდა ამის შესახებ. აღნიშნულ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო მოხსენებაშიც და დასკვნით სიტყვაშიც

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 384 (რუს. ენაზე).

[2] ი ქ ვ ე, გვ. 394.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 468.

კომინტერნის VII კონგრესზე. დიმიტროვი ხაზს უსვამდა სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკას ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის შესახებ, რამაც მუშათა კლასს ბევრი უბედურება არგუნა. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ფაშისტური რეაქციის შემოტევა არა მარტო პრობლემატურს ხდის ამ თანამშრომლობას, არამედ აძლიერებს მემარცხენე ძალებს სოციალ-დემოკრატიის რიგებში, რომლებიც გადადიან რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე. ეს კი ქმნის სოციალ-დემოკრატიასთან ერთიანი ფრონტის წარმოქმნის შესაძლებლობას საწარმოებში, ქალაქებში, ერთოვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

გ. დიმიტროვი მსჯელობდა მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ბრძოლის შესაძლებლობის შესახებ ისეთ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება ეპყრათ სოციალ-დემოკრატებს ანდა კოალიციურ მთავრობას სოციალისტების მონაწილეობით, მაგალითად დანიაში, ნორვეგიაში, შვეციაში, ჩეხოსლოვაკიასა და ბელგიაში. ამ ქვეყნებში კომუნისტებს უნდა წამოეყენებინათ ცალკეული მოთხოვნები, რომლებიც ფორმულირებული იყო თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიების პლატფორმებში, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული მინისტრების წინასაარჩევნო დაპირებანი სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან ერთობლივი მოქმედების თაობაზე, შემდეგ კი გაეშალათ კამპანია ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ უკვე მასების სხვა მოთხოვნების საფუძველზე. გარკვეულ პირობებში შესაძლებელია დამყარებულიყო პოლიტიკური ერთიანობა სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთასთან, ცალკეულ ქვეყნებში შეიძლებოდა შექმნილიყო მუშათა კლასის ერთიანი მასობრივი პოლიტიკური პარტია, მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე.

თავის მოხსენებაში გ. დიმიტროვმა ახლებურად დასვა საკითხი პროფკავშირული ერთიანობის მიღწევის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ძირითად რგოლს მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისა და განმტკიცების საქმეში. საფრანგეთის, ავსტრიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების გამოცდილება ადასტურებდა, რომ ასეთი ერთიანობის მიღწევა სავსებით შესაძლებელი იყო, რადგანაც რეაქციისა და ფაშიზმის შემოტევა აიძულებდა მუშებს, უფრო მჭიდროდ დარაზმულიყვნენ პროფკავშირთა ირგვლივ, რომელშიც მათ სურდათ დაენახათ საკუთარი სასიცოცხლო კლასობრივი ინტერესების დამცველი. სწორედ ამიტომ უნდა ეწარმოებინათ კომუნისტებს დაუღალავი ბრძოლა პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისათვის, ეძიათ ამ ბრძოლის ყველაზე ქმედითი მეთოდები და ფორმები, ცდილიყვნენ პროფკავშირთა გაერთიანებას ყოველ საწარმოში, ყოველ

ქვეყანაში, საერთაშორისო მასშტაბით. „ჩვენ ვემხრობით ერთიან კლასობრივ პროფკავშირებს, — აღნიშნავდა დიმიტროვი, — როგორც მუშათა კლასის ერთ-ერთ ძირითად ბურჯს კაპიტალისა და ფაშიზმის შემოტევის წინააღმდეგ. ამასთანავე, პროფორგანიზაციათა გაერთიანებისათვის ჩვენ ვაყენებთ მხოლოდ ერთ პირობას: ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ, ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, შიდაპროფკავშირულ დემოკრატიას"[1].

გ. დიმიტროვმა კვლავ შეაჩერა ყურადღება ახალგაზრდებს შორის მუშაობაზე, ახალგაზრდული ანტიფაშისტური ერთიანობისათვის ბრძოლაზე. მან მიუთითა იმ დაუდევრობაზე, რომელსაც კომინტერნის ზოგიერთი პარტია იჩენდა მოზარდ თაობასთან მუშაობის საქმეში. ფაშიზმმა ამით ისარგებლა და შეძლო ახალგაზრდობის ნაწილი წაეყვანა ანტიპროლეტარული გზით. კომუნისტებმა გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგან ამ მიმართულებით, რათა თავის მხარეზე გადაიყვანონ ახალგაზრდობა და შექმნან ახალგაზრდობის ერთიანი ფრონტი. ამ ამოცანის გადაჭრა საჭიროა არა შაბლონურად, არამედ კონკრეტული ეროვნული პირობების გათვალისწინებით. აუცილებელია, მიუთითებდა დიმიტროვი, მუშაობა გავშალოთ ყველა არაფაშისტურ ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან, „შეექმნათ სხვადასხვა სახის საერთო ორგანიზაციები ფაშიზმის წინააღმდეგ, ახალგაზრდობის გაუგონარი უუფლებობისა და მილიტარიზაციის წინააღმდეგ, ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური და კულტურული უფლებებისათვის საბრძოლველად"[2].

გარკვეული ადგილ დაუთმო დიმიტროვმა ქალთა ორგანიზაციების ერთიანი ფრონტის შექმნას, ასევე მასობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებში მუშაობის გაშლის შესაძლებლობას. ლენინურ მითითებათა შესაბამისად, რომლებიც ფორმულირებული იყო ვლადიმერ ილიჩის წიგნში „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში", დიმიტროვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფაშისტურ ქვეყნებში განსაკუთრებით აუცილებელია კომუნისტები იყვნენ „ყველგან, სადაც კი მასებია". „ფაშიზმმა, — ამბობდა დიმიტროვი, — წაართვა მუშებს მათი საკუთარი ლეგალური ორგანიზაციები. მან თავს მოახვია მუშებს ფაშისტური ორგანიზაციები და მასები იქ იმყოფებიან იძულებით, ანდა ნაწილობრივ ნებაყოფლობით. ფაშიზმის ეს მასობრივი ორგანიზაციები უნდა იქცნენ ჩვენს ლეგალურ ან ნახევრად ლეგალურ სამოქმედო ასპარეზად, სადაც საშუალება გვექნება მასებთან ურთიერთობისა.

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 424 (რუს. ენაზე).

[2] იქვე, გვ. 427.

მათ შეუძლიათ იქცნენ, და კიდევაც უნდა იქცნენ ლეგალურ ან ნახევრად ლეგალურ საყრდენ ძალად მასების ყოველდღიური ინტერესების დაცვისათვის. ამ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად კომუნისტები უნდა ეცადონ ასარჩევი პოსტების დაკავებას... და სამუდამოდ განთავისუფლდნენ იმ მავნე შეხედულებისაგან, რომ თითქოს ამგვარი საქმიანობა შეუფერებელია რევოლუციონერი მუშისათვის".[1]

კონგრესზე თავის მოხსენებასა და დასკვნით სიტყვაში გ. დიმიტროვმა პირველმა ფართოდ გააშუქა და ყოველმხრივ დაასაბუთა სახალხო ფრონტის პოლიტიკის ძირითადი პრობლემები, რომლის შესახებაც იმ ხანებში მსჯელობდნენ და წერდნენ დიდი სიფრთხილით.

ზოგიერთ კომუნისტურ მოღვაწეს კვლავ შიში ჰქონდა დემოკრატიულ მოთხოვნათა დადებითი ფორმულირებისა, შიში იმისა, რომ არ წარმოეშვათ მასებში დემოკრატიული ილუზიები. ასეთი შეხედულებანი გამოითქვა კონგრესზე პოლონეთის კომუნისტური პარტიის ზოგიერთი დელეგატის მიერ, მაგრამ ისინი თავს იჩენდნენ „ამა თუ იმ ფორმით არა მხოლოდ პოლონეთის კომპარტიაში"[2].

გ. დიმიტროვმა ცხადყო, რომ ამგვარი შიში მოჰდინარეობდა „საკითხის არასწორი, არადიალექტიკური დაყენებისაგან ბურჟუაზიული დემოკრატიის თაობაზე"[3], ლენინური მოძღვრების არასწორი გაგებისა და გამოყენებისაგან დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას შორის ორგანული კავშირის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, მან მოიტანა ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ: „როგორც შეუძლებელია ძლევამოსილი სოციალიზმი, თუ იგი სრულ დემოკრატიას არ ახორციელებს, ისევე პროლეტარიატი ვერ მოემზადება ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად, თუ იგი არ აწარმოებს ყოველმხრივს, თანმიმდევარსა და რევოლუციურ ბრძოლას დემოკრატიისათვის"[4].

იმ პირობებში, როცა ფაშიზმი უტევდა ყველა დემოკრატიულ მონაპოვარს, რომლებიც მუშათა კლასმა ჰოიპოვა მრავალწლიანი შეუპოვარი ბრძოლით, როცა ნადგურდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი ნარჩენები, კომუნისტებს უნდა ეწარმოებინათ გადამწყვეტი ბრძოლა მათი დაცვისა და გაფართოებისათვის. ეს აუცილებელი იყო არა მარტო იმის გამო, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია წარმოადგენდა „ნაკლებ ბოროტებას" ფაშისტურ ტერორისტულ დიქტატურასთან შედარებით, არამედ პირველ რიგში იმიტომ,

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 413 (რუს. ენაზე).

[2] იქვე, გვ. 466.

[3] იქვე.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 174.

რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის დაცვისა და გაფართოებისათვის ბრძოლის პირობებში ძირი ეთხრებოდა ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული ძალების პოზიციებს და ისახებოდა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ერთიანი მოქმედების ახალი პერსპექტივები.

იმ ქვეყნებში, სადაც ფაშიზმმა დაამყარა თავისი ტერორისტული დიქტატურა, ან სახელმწიფოებში, რომელთაც იგი ემუქრებოდა, ფართო სოციალური ფენები, ჯერ კიდევ მოუმზადებელნი პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად, დაინტერესებულნი იყვნენ და მზადაც იყვნენ დაეცვათ ტრადიციული დემოკრატიული თავისუფლებანი, რომლებსაც ფაშისტები თელავდნენ და სპობდნენ. ამ ფენებთან მუშათა კლასს შეეძლო და კიდევაც უნდა მიეღწია ანტიფაშისტური მოქმედების ერთიანობისათვის; ერთიანი პროლეტარული ფრონტის ბაზაზე ან მისგან დამოუკიდებლად უნდა შექმნილიყო სახალხო ანტიფაშისტური ფრონტები „მშრომელ გლეხობასთან ან ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ძირითად მასებთან, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებშიც"[1].

ანტიფაშისტური ძალების გაერთიანებისათვის ბრძოლაში თითოეული კაპიტალისტური ქვეყნის კომუნისტური პარტიები უნდა გამოსულიყვნენ სახალხო ფრონტის ისეთი პლატფორმით, რომელიც ასახავდა მოსახლეობის, ყველა მშრომელისა და დემოკრატიული ფენის საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მისწრაფებებს. „ძირითადი, გადამწყვეტი ფაქტორი ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებისათვის, — აღნიშნავდა დიმიტროვი, — ესაა რევოლუციური პროლეტარიატის მტკიცე გამოსვლა ამ ფენების, (კერძოდ, მშრომელი გლეხობის) მოთხოვნათა დასაცავად, იმ მოთხოვნათა დასაცავად, რომლებიც შეესაბამება პროლეტარიატის ძირეულ ინტერესებს"...[2].

ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ორგანიზაციებთან და პარტიებთან დაკავშირებას. რომლებშიც შედიოდნენ მშრომელი გლეხკაცობის მნიშვნელოვანი რაოდენობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ძირითადი მასები. მათ კომუნისტები დიფერენცირებულად უნდა მისდგომოდნენ. ერთ ნაწილთან უნდა ეცადათ მოქმედების ანტიფაშისტური ერთიანობის მიღწევა მათ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების გზით. სხვა შემთხვევაში საჭირო იყო ამ პარტიებისა და ორგანიზაციების ან მათი

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 402 (რუს. ენაზე).

[2] იქვე.

ცალკეული ნაწილების გადაყვანა ანტიფაშისტური ფრონტის მხარეზე ძათი ბურჟუაზიული ლიდერების პოზიციის გაუთვალისწინებლად. ზოგიერთ აგრარულ ქვეყანაში, სადაც მუშათა მოძრაობის პარალელურად იშლებოდა გლეხთა მძლავრი მოძრაობაც, სადაც გლეხთა მასებს გააჩნდათ საკუთარი ორგანიზაციები, საერთო-სახალხო ფრონტის გვერდით შეიძლება შექმნილიყო პროლეტარული ფრონტი, ზოგჯერ კი სახალხო ანტიფაშისტური ფრონტისათვის მოძრაობას „შეეძლო გადაესწრო მუშათა ფრონტისათვის მოძრაობისთვისაც კი"[1].

მოხსენებაში გ. დიმიტროვი შეეხო კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის საკითხსაც. მან ხაზი გაუსვა მასების ანტიიმპერიალისტური ბრძოლის პირობების განსხვავებულობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწყობილობის სხვადასხვა დონის, მასში პროლეტარიატის როლისა და კომუნისტური პარტიის ზემოქმედების გათვალისწინების აუცილებლობას.

ამ ფაქტორთა მიხედვით ანტიიმპერიალისტური ფრონტი შეიძლება ყოფილიყო შედარებით ვიწრო და შედარებით ფართო ხასიათისა. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით. მათ უნდა გაეერთიანებინათ ანტიიმპერიალისტური ძალები, „მზადმყოფნი, ეწარმოებინათ ბრძოლა საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის გადარჩენისათვის"[2].

გ. დიმიტროვის მოხსენების სპეციალური განყოფილება მიეძღვნა პროლეტარული ერთიანობის, ანუ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის მთავრობების საკითხს. გ. დიმიტროვმა თვალნათლივ წარმოაჩინა ის პირობები, რომლებშიც შეიძლება აღმოჩენილიყვნენ ეს მთავრობები, აღნიშნა შეცდომები, რომლებსაც უშვებდნენ ასეთ შემთხვევებში და განსაკუთრებით შეჩერდა აღნიშნული მთავრობების ამოცანებზე. მათთვის ყველაზე არსებითი იყო, გაეტარებინათ „გარკვეული, შესაბამისი ღონისძიებანი, ძირეული რევოლუციური მოთხოვნები, მაგალითად, წარმოებაზე, ბანკებზე კონტროლი, პოლიციის დაშლა, მისი შეცვლა მუშათა შეიარაღებული მილიციით და ა. შ."[3]. აღნიშნულ მთავრობათა პერსპექტივებზე მსჯელობისას გ. დიმიტროვი ფაშიზმის დამხობისათვის, დემოკრატიის აღდგენისათვის ბრძოლას უკავშირებდა სოციალიზმისათვის ბრძოლას.

დემოკრატია, რომლისთვისაც უნდა ებრძოლა მუშათა კლასს ახალ პირობებში, ლიბერალური, ბურჟუაზიულ-ფორმალური დემოკრატია

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 461 (რუსულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 429.

[3] იქვე, გვ. 461.

კი არ იყო, არამედ სხვაგვარი, უფრო პროგრესული, უმაღლესი დემოკრატია მკვეთრად გამოხატული სოციალური შინაარსით, რომელიც მოწოდებული იყო განემტკიცებინა პროლეტარიატის პოზიციები, გაეფართოებინა მისი უფლებები და შესაძლებლობანი, გზა გაეკვალა სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმისაკენ. ამგვარად, აღნიშნული პერიოდის მთავარი მტრის — ფაშიზმის მოსპობით, აღნიშნული პერიოდის მთავარი წინააღმდეგობის — დემოკრატიისა და ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგობის გადაჭრით შესაძლებელი იყო ლიკვიდაცია ძირითადი წინააღმდეგობისა — შრომასა და კაპიტალს შორის, დამარცხება და განადგურება არა მარტო მთავარი მტრისა — მონოპოლისტური კაპიტალისა, არამედ ბურჟუაზიისა საერთოდ.

ამ თვალსაზრისით გ. დიმიტროვი თვლიდა, რომ ერთიანი ფრონტის მთავრობა, შესაძლებელია, „რიგ ქვეყნებში იქცეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარდამავალ ფორმად“ პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმისაკენ. აქვე მოგვაგონებდა, რომ ვ. ი. ლენინი არაერთგზის მოუწოდებდა კომუნისტებს, მთელი ყურადღება გაემახვილებინათ „პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისთვის მიდგომის ფორმის გამონახვისათვის“[1]. ერთ-ერთი ამ ფორმათაგანი მოძებნილ იქნა. ახლა საჭირო იყო მისი გონივრული და მოქნილი გამოყენება არა მარტო ანტიფაშისტური ბრძოლის წარმოებისას, არამედ „მემარცხენე დოქტრინიორების“ და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც.

ერთიანი და სახალხო ფრონტების მთავრობათა პრობლემის დამუშავება და ანალოგიურად — ანტიიმპერიალისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტებისაც, როგორც პროლეტარულ დიქტატურაზე გარდამავალი ფორმისა, იყო შემდგომი შემოქმედებითი განვითარება ლენინური მოძღვრებისა სოციალისტური რევოლუციის გზების შესახებ, დემოკრატიისათვის ბრძოლის შეერთების თაობაზე სოციალიზმისათვის ბრძოლასთან, მუშათა კლასის კავშირზე მოსახლეობის სხვა შრომით ფენებთან. ეს აიარაღებდა კომუნისტებს ანტიფაშისტური ბრძოლის ნათელი პერსპექტივებით, რომლის დროსაც საჭირო იყო მასების ჩაბმა აქტიურ რევოლუციურ მოძრაობაში დემოკრატიის დასაცავად და გასაფართოებლად, ხოლო შემდეგ მათი გადაყვანა ბრძოლის შემდეგ ეტაპზე — სოციალისტურ რევოლუციაზე.

გ. დიმიტროვი დიდ ყურადღებას უთმობდა ფაშიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს. ეს ძალზე საჭირო იყო, რადგან ფაშისტები ეწეოდნენ დემაგოგიას მასობრივი ზეგავლენის მოსაპოვებლად, აყალბებდნენ ყველა ხალხის ისტორიას, რათა საკუთარი თა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 98.

ვი წარმოედგინათ ყოველგვარი ამაღლებულისა და გმირულის მეჩ-
ქეიდრედ და გამგრძელებლად ისტორიაში, მოეწამლათ ხალხთა მასები
აღვირახსნილი ნაციონალიზმით, შოვინიზმითა და რასიზმით. ამიტომ
კომუნისტური პარტიები გულგრილად არ უნდა მოპყრობოდნენ
თავიანთი ხალხის საერთო-ეროვნულ ინტერესებს. მათ უნდა დაეცვათ
ინტერნაციონალური პოზიციები, ამასთან ქცეულიყვნენ ჭეშმარიტად
ეროვნულ პოლიტიკურ ძალად.

დიმიტროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეროვნული ნი-
ჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ხალხთა ფართო მასების ეროვნული
გრძნობებისადმი სწორ მიდგომას. იხსენებდა რა ვ. ი. ლენინის სიტ-
ყვებს სტატიიდან „ველიკოროსების ეროვნული სიამაყის შესახებ",
დიმიტროვი აღნიშნავდა: „ჩვენ, კომუნისტები, ბურჟუაზიული ნაციო-
ნალიზმის ყველა ნაირსახეობის შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი, პ რ ი ნ ც ი-
პ უ ლ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ნ ი ვ ა რ თ. მაგრამ ჩვენ არა ვართ და
არც ვიქნებით ნაციონალური ნიჰილიზმის მომხრენი. ყველა კომუნის-
ტური პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მუშებისა და ყველა
მშრომელის აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულის-
კვეთებით. მაგრამ ის, ვინც ფიქრობს, რომ ეს ნებას აძლევს მიაფურ-
თხოს მშრომელთა ფართო მასების ეროვნულ გრძნობებს, შორსაა
ჭეშმარიტი ბოლშევიზმისაგან..."[1]

მოხსენებასა და დასკვნით სიტყვაში გ. დიმიტროვმა სწორი პასუ-
ხი გასცა კითხვაზე მსოფლიო იმპერიალისტური ომის თავიდან აცილე-
ბის შესაძლებლობის შესახებ, ამით განამტკიცა მშვიდობისათვის მოძ-
რაობა, რომელიც პროლეტარიატის მძლავრი მოკავშირე იყო რეაქ-
ციისა და ახალი იმპერიალისტური ომის წამქეზებელთა წინააღმდეგ
ბრძოლაში. „სრული სიმართლეა, — ამბობდა დიმიტროვი, — რომ
იმპერიალისტური ომები კაპიტალიზმის პროდუქტია, რომ კაპიტალის-
მის დამხობა ბოლოს მოუღებს ყველა ომს; მაგრამ ისიც სიმართლეა,
რომ მშრომელ მასებს თავისი საბრძოლო მოქმედებით შეუძლიათ ეკ-
ლი შეუშალონ იმპერიალისტური ომის გაჩაღებას"[2]. დიმიტროვმა მიუ-
თითა იმ ფაქტორებზეც, რომლებსაც შეეძლოთ აგრესორთა ალაგმვი-
სათვის ხელის შეწყობა და მშვიდობის გარანტირება. ეს იყო საბჭოთა
კავშირი და მისი წითელი არმია, კაპიტალისტური ქვეყნების პროლე-
ტარიატი, კოლონიური და ნახევრად კოლონიური ხალხები. „არა მარ-
ტო კომუნისტური ავანგარდის, არამედ მთელი საერთაშორისო მუშა-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 438 (რუსულ ენაზე).

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 112 (ბულგარულ ენაზე).

თა კლასისა და ყველა ქვეყნის ხალხების"[1] ფართო ომის საწინააღმდეგო ფრონტი.

გ. დიმიტროვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო კომუნისტური პარტიების განმტკიცების, მისი მუშაობის არსებითი გაუმჯობესების საკითხს, რადგან ამაზე ბევრად იყო დამოკიდებული ცალკეულ ქვეყნებსა და საერთაშორისო მასშტაბით ერთიანი, სახალხო და ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის მოძრაობის წარმატება. აუცილებელი იყო გადამჭრელი ბრძოლის დაწყება როგორც მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ, რომელმაც თავი იჩინა საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ხაზის გატარების დროს, ასევე (და განსაკუთრებით) „მემარცხენე" სექტანტური, დოქტრინული, დოგმატური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი შეზღუდულობით, შებოჭილობით. სქემატურობით, ცხოვრებისაგან მოწყვეტით ხელს უშლიდნენ ახალი კურსის გატარებას, კადრების სწორ შერჩევას, აღზრდასა და დაწინაურებას. სექტანტობა, ამბობდა დიმიტროვი, ხშირად უკვე აღარაა „საყმაწვილო სენი", როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, არამედ „ფესვებგადგმული სენია, რომლის მოშორების გარეშეც შეუძლებელია პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნა, მასების გადაყვანა რეფორმიზმის პოზიციებიდან რევოლუციის მხარეზე"[2].

კომინტერნის VII კონგრესს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მობრუნების პუნქტი იყო კომუნისტურ, მუშათა და ანტიფაშისტურ მოძრაობაში, ფაშიზმისა და ომის საწინააღმდეგო ყველა რევოლუციური და დემოკრატიული ძალის ბრძოლის ფართოდ გაშლაში. კონგრესმა შეიმუშავა ახალი პოლიტიკური ორიენტაცია, კომუნისტური მოძრაობის ახალი სტრატეგია და ტაქტიკა, ნათლად მიუთითა ანტიფაშისტური, საერთო-დემოკრატიული ამოცანების გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე, ამასთან, ნათელყო რევოლუციური ბრძოლის სოციალისტურ ეტაპზე გადასვლის ახალი პერსპექტივები. კონგრესის გადაწყვეტილებებში გამომჟღავნდა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ძალა, გამდიდრდა მარქსისტულ-ლენინური თეორია, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა.

ამ ისტორიული კონგრესისა და მისი მუშაობის ცენტრში იდგა გ. დიმიტროვის მოხსენება, მისი პიროვნება, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დიმიტროვი იყო ინიციატორი, ყველაზე ენერგიული გამომხატველი ახალი პოლიტიკური კურსისა, რომელიც დასახა და დაამტკიცა კონგრესმა. მის მოხსენებაში ყველაზე უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბდა ახალი პრობლემები, თუმცა ეს უკანასკნელნი გაშუქდა

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 10, გვ. 181—183 (ბულგარულ ენაზე).

[2] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 443 (რუს. ენაზე).

კონგრესის სხვა მოხსენებებშიც. ლაიფციგში გამარჯვებამ ისეთი პოპულარობა მოუპოვა დიმიტროვს, ისე აამაღლა მისი, როგორც პროლეტარული რევოლუციონერისა და ტრიბუნის, ავტორიტეტი, რომ კონგრესის თითოეული დელეგატი მადლიერებისა და აღტაცების გრძნობით განიმსჭვალა მისი პიროვნებისა და საქმეების მიმართ.

გ. დიმიტროვის ცენტრალური როლი კონგრესის მუშაობაში და უდავო დამსახურება მისი სწორი გზით წარმართვაში ბევრმა დელეგატმა აღიარა. მ. ტორეზმა, რომელიც გამოვიდა დიმიტროვის მოხსენებაში დაყენებულ საკითხებზე, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოხსენებაში დაისვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდათ. მან განაცხადა: —ვერავინ შეძლებდა ისეთი კომპეტენტურობითა და ავტორიტეტით გაეშუქებინა ეს საკითხები. როგორც ეს შეძლო ლაიფციგის ბრძოლაში გამარჯვებულმა ამხანაგმა გ. დიმიტროვმა...

ბოლ'შევიკ დიმიტროვის სახელს მადლიერების, სიყვარულისა და აღტაცების გრძნობით წარმოთქვამს ყველა, ვინც მზადაა გაერთიანდეს ფაშიზმის მხეცური შემოტევის წინააღმდეგ"[1].

გ. დიმიტროვის პიროვნების დიდ მომხიბვლელობასა და მის გავლენაზე მეტყველებს ის მქუხარე ოვაციები, რომლებიც ახლდა მის მოხსენებას, აგრეთვე საბოლოო სიტყვას მოხსენების განხილვის დასასრულს და დასკვნით მოხსენებას კონგრესის დახურვის დროს. ყველა დელეგატი ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს შესანიშნავ რევოლუციონერსა და თეორეტიკოსს. მქუხარე აპლოდისმენტებს ფარავდა „ინტერნაციონალის" საზეიმო ჰანგები, სხვადასხვა ქვეყნის საბრძოლო პროლეტარული სიმღერები, დიმიტროვისადმი მიმართული აღტაცებული შეძახილები სხვადასხვა ენაზე. სწორედ ასევე მიიღეს დელეგატებმა კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა, რომელიც პ. ტოლიატიმ გამოაცხადა. როდესაც გამოცხადდა, რომ კომინტერნის გენერალურ მდივნად წამოყენებულია დიმიტროვის კანდიდატურა, დარბაზში კვლავ ოვაციამ იქუხა.

კონგრესის დახურვის შემდეგ ახალი აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბა პრეზიდიუმისა და სამდივნოს ასარჩევად. მის შემადგენლობაში შევიდა ბულგარელი ხალხის ორი ცნობილი წარმომადგენელი — გ. დიმიტროვი და ვ. კოლაროვი. სამდივნოს შემადგენლობაში შეიღ კაცი აირჩიეს გ. დიმიტროვი (გენერალური მდივანი), პ. ტოლიატი, დ. ᲛᲐᲜᲣᲘᲚᲡᲙᲘ, ვ. პიკი, ო. კუუსინენი, ა. მარტი, კ. გოტვალდი; სამდივნოს წევრობის კანდიდატებად — მ. მოსკვინი, ვ. ფლორინი და ვან მინი.

მოგვიანებით, 1939 წელს, სამდივნოში შეიყვანეს ხ. დიასი და

---

[1] „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲩᲔᲡᲙᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ", № 25, I, IX, 1955, გვ. 3 (რუს. ენაზე).

დ. იბარური. გ. დიმიტროვის არჩევა კომინტერნის გენერალურ მდივნად ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მის ისტორიულ დამსახურებათა, შემოქმედებითად მოაზროვნე მარქსიზმ-ლენინელის პირად თვისებათა და მისი უდიდესი რევოლუციური პრაქტიკული გამოცდილების აღიარება იყო.

3. აქტიური მოღვაწეობა ცხოვრებაში ახალი კურსის გასატარებლად

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ახალი პოლიტიკური ორიენტაცია სხვადასხვა პირობებში მოღვაწე ცალკეული კომუნისტური პარტიისაგან მოითხოვდა დიდი ინიციატივის გამოვლენას, კომინტერნის ხელმძღვანელებისაგან კი — ყურადღების გამახვილებას ძირითად პოლიტიკურ და ტაქტიკურ მითითებათა შემუშავებაზე, პარტიებისათვის დახმარების გაწევაზე მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტისას. გ. დიმიტროვისა და მის თანამებრძოლთა წინაშე კონგრესის დამთავრებისთანავე დადგა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის აპარატის სტრუქტურისა და მუშაობის რეორგანიზაციის აუცილებლობა.

წყდებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებული სხდომებისა და პლენუმების მოწვევა, ითხოვდნენ რეგიონალურ სამდივნოებს (ლენდერსამდივნოებს). ცალკეულ პარტიებთან უქმდებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სრულუფლებიან წარმომადგენელთა ინსტიტუტი, აგრეთვე ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, რომლებსაც უფრო შეზღუდული უფლებები ჰქონდათ. პარტიების ოპერატიული ხელმძღვანელობა უშუალოდ მათი ცენტრალური კომიტეტების ხელში გადავიდა, ხოლო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობა მათზე—უშუალო გახდა. ახლა პარტიების სპეციალური დელეგაციები მოხსენებებითა და ინფორმაციით გამოდიოდნენ უშუალოდ პრეზიდიუმისა და კომუნისტური ინტერნაციონალის სამდივნოს სხდომებზე, რომლებიც ქმნიდნენ კომისიებს გადაწყვეტილებათა პროექტის მოსამზადებლად, ანდა ადგენდნენ რეკომენდაციებს დელეგაციების კონკრეტულ წინადადებებზე მათი პარტიების შემდგომი მუშაობის შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში ადრე არსებული განყოფილებების ნაცვლად შეიქმნა მხოლოდ ორი: კადრების განყოფილება და პროპაგანდისა და მასობრივი ორგანიზაციების განყოფილება (პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მოგვიანებით ეს განყოფილება გაიყო). კომუნის-

ტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს ჰქონდა ბიურო, საქმეთა სამმართველო და კავშირგაბმულობის სამსახური. გენერალური მდივანი და მდივნები თავის ფუნქციებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში ასრულებდნენ პარტიების წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირში; ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმ რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში, რომლებიც ეხებოდა მათ სექციებს ან პარტიებს. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული მდივანი გარკვეულ ქვეყნებზე იყო პასუხისმგებელი.

გ. დიმიტროვის, როგორც კომინტერნის გენერალური მდივნის, მოღვაწეობა ძალზე მრავალმხრივი იყო. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა (იმ დროისათვის ეს რთული საქმე იყო) ცალკეულ კომუნისტურ პარტიებთან, უშუალო პასუხისმგებელი იყო რამდენიმე კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაზე. ეს მოითხოვდა დიდ ყურადღებას, ხანგრძლივ მსჯელობას, დისკუსიებს, დაძაბულ ფიქრს. გარდა ამისა, დიმიტროვი ხელმძღვანელობდა ჟურნალ „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალის" რედაქციის მუშაობას, რომელიც ბევრ ენაზე გამოდიოდა. თვალ-ყურს ადევნებდა უცხოური ლიტერატურის გამომცემლობის მუშაობას. მას ევალებოდა ზრუნვა პოლიტიკურ ემიგრაციაზე. ამასთან, დიმიტროვი ეხმარებოდა კომინტერნის მთელ კოლექტივს ყოველდღიურ მუშაობაში (პარტიული კომიტეტის, პროფკავშირის კომიტეტის მუშაობა, საბინაო, საყოფაცხოვრებო საკითხები და სხვ.).

შერყეული ჯანმრთელობისა და ხშირი ავადმყოფობის მიუხედავად, დიმიტროვი გამოირჩეოდა დიდი შრომისუნარიანობით. ჩვეულებრივ, ადრე დგებოდა, დილის 8 საათზე, საუზმობდა, გადაიკითხავდა გაზეთებს და იწყებდა მუშაობას, რომელიც გვიან ღამემდე გრძელდებოდა. დილის საათებში, როგორც წესი, თავის კაბინეტში მუშაობდა. დროდადრო იძახებდა რომელიმე თანამშრომელს. როდესაც ეცნობოდა დოკუმენტს ან საუბრობდა კომუნისტურ მოღვაწეებთან, დიმიტროვი აკეთებდა შენიშვნებს, რომლებსაც ინახავდა საქაღალდეში, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ხელახლა მიბრუნებოდა მათ. იგი ბევრს კითხულობდა. თვალ-ყურს ადევნებდა არა მარტო პრესას და პოლიტიკურ ლიტერატურას, არამედ სიახლესაც მხატვრულ ლიტერატურაში. ყოველივეს აკეთებდა დაკვირვებით, დროულად; ცდილობდა არ გადაედო ან არ დაეგვიანებინა. ყველა მასალასა და დოკუმენტს ეცნობოდა დიდი ყურადღებით და უკეთებდა ბევრ შენიშვნას.

დიმიტროვი იყო საქმიანი, უნარიანი ხელმძღვანელი, ყოველთვის ითვალისწინებდა შემდგომი ძიების შესაძლებლობას. ის ცდილობდა ჩასწვდომოდა დეტალებს, ამასთან, მხედველობიდან არ რჩებოდა ძირითადი პრობლემები; შეეძლო სინამდვილის დახლართულ ფაქტებში

ეპოვა ყველაზე მთავარი, არსებითი და, მაშასადამე. გადამწყვეტი. დიდი კულტურა და მდიდარი გამოცდილება საშუალებას აძლევდა გაეხედა წინ, დაენახა მოვლენათა განვითარების ფარული გზები, გამოეყენებინა მისი გაკვეთილები.

დიმიტროვი უახლოესი თანამშრომლების მიმართ მომთხოვნი იყო, ამასთანავე — თბილი, ადამიანური. ის მოითხოვდა, რომ ყოველ მათგანს საკუთარი აზრი ჰქონოდა მოცემულ საკითხზე, ერჩივნა წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის, ვიდრე გულგრილად დასთანხმებოდნენ. იგი ებრძოდა თვითგანდიდებას, იმათ, ვინც პირველ რიგში საკუთარ „მეს“ აყენებდა. პირადად იცნობდა ყველას, ვისთანაც მუშაობდა, მას სჯეროდა მათი, მაგრამ არავის აიდეალებდა. იგი ცდილობდა ყველა თანამშრომელი აღეზარდა კონკრეტული მუშაობის პროცესში. დაუფარავად მიუთითებდა როგორც მათ ღირსებაზე, ასევე ნაკლზე. მაგრამ გაკრიტიკებული მისგან ისეთი გრძნობით მიდიოდა, რომ დაეხმარა დიდი მეგობარი, რომელიც იძლევა რჩევას, და არა პიროვნება, რომელიც ყურადღებას მხოლოდ შეცდომებზე ამახვილებდა.

როგორც პიროვნება, დიმიტროვი დაჯილდოებული იყო განსაკუთრებული უნარით, აღეძრა ადამიანში გულითადობის გრძნობა, განეწყო გულახდილი საუბრისათვის. იცოდა ძლიერი, მეგობრული ხელის ჩამორთმევა, ჰქონდა საოცარი ღიმილი, თვალები განსაკუთრებულ სითბოს ასხივებდა. როდესაც კაბინეტში ვინმეს იღებდა, ყოველთვის დგებოდა და ეგებებოდა მოსულს. ამით გამოხატავდა თავის პატივისცემას მისდამი. დიმიტროვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო უბრალოება. კომინტერნის ხელმძღვანელი ზედმეტის უფლებას არ აძლევდა თავს არც ქცევაში, არც ჩაცმულობაში. ხასიათის ყველა ეს შესანიშნავი თვისება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის მაღალ მოქალაქეობრივ მორალთან.

კომინტერნის ახალი ხელმძღვანელობის (რომელიც მოწოდებული იყო შეესრულებინა კონგრესის გადაწყვეტილებანი) ძირითადი ამოცანა იყო ახალი კურსის პოპულარიზაცია. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. დიმიტროვის მოხსენების, საბოლოო სიტყვისა და დასკვნითი მოხსენების თარგმნას სხვადასხვა ენაზე, გავრცელებას მასობრივი ტირაჟით. პირველ რიგში, ყველაზე მასობრივი ტირაჟით იგი გამოვიდა საბჭოთა კავშირში. შემდეგ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ეს ძვირფასი დოკუმენტი გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. იმ ქვეყნებში, სადაც კომუნისტური პარტიები ლეგალურ პირობებში მუშაობდნენ, ეს დოკუმენტები გამოქვეყნდა მათ ბეჭდვით ორგანოებში ან გამოიცა ცალკე ბროშურების სახით (საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, დანია, სკანდინავიის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა), ხოლო იქ, სადაც კომუნისტური და მუშათა პარტიები არალე-

გალურ პირობებში მოღვაწეობდნენ, ისინი იყენებდნენ იატაკქვეშა სტამბებს, როტატორებს, ზოგჯერ კი ხელით იწერდნენ ამ დოკუმენტებს (გერმანია, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი და სხვ.).

კონგრესზე წაკითხული გ. დიმიტროვის მოხსენების, საბოლოო სიტყვისა და დასკვნითი მოხსენების მასობრივი გავრცელების შემდეგ, მისი სახელი კიდევ უფრო ავტორიტეტული და პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში. ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი სტატია, ნარკვევი, ფოტოსურათი და სხვა მასალა დიმიტროვის შესახებ, რომლებიც გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის პრესაში, აგრეთვე აღფრთოვანებული წერილები, რომლებსაც იგი იღებდა. ლაიფციგის პროცესზე გამარჯვებული დიმიტროვის საერთაშორისო აღიარება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს თვით კონგრესის დოკუმენტების ავტორიტეტისა და ქმედითობის გაძლიერებას, დიმიტროვის სახელი, რომელსაც ენდობოდნენ არა მაოტო კომუნისტები, არამედ ყველა პატიოსანი დემოკრატი ან ანტიფაშისტი, ეხმარებოდა კომუნისტებს ანტიფაშისტური ერთიანობისათვის ბრძოლაში.

დიმიტროვი დიდ ენერგიას ახმარდა კონგრესის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციას. ამისათვის იყენებდა სხვადასხვა საშუალებას—წერილებს, რომლებსაც უგზავნიდა ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს, სტატიებს, მოხსენებებს. ასე მაგალითად, 1935 წლის 25 სექტემბერს დიმიტროვმა სიტყვა წარმოთქვა მოსკოვში ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესზე. მან ხაზი გაუსვა, რომ კონგრესის მთელი მუშაობა უნდა მიეძღვნას ანტიფაშისტური დროშის ქვეშ ახალგაზრდა თაობის გაერთიანებას, ახალგაზრდობის ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხს. დიმიტროვმა გამოთქვა რწმენა, რომ ახალგაზრდები გამოძებნიან ამ ამოცანის გადაჭრის გზებს. ერთ-ერთი ასეთი გზა იყო „ახალი ტიპის მასობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების"[1] შექმნა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, ახალგაზრდა თაობის უფლებებისათვის საბრძოლველად.

დიმიტროვმა ითავა უშუალოდ მეორე ინტერნაციონალის (მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის) ხელმძღვანელებთან ერთიანობის მიღწევა. ასე მაგალითად, 1935 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის სამდივნოს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გაუგზავნა წერილები და მიმართვა ეთიოპიაში აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების თაობაზე. მართალია, ეს წინადადება უარყვეს, მაგრამ მან დიდი გამოხმაურება პოვა დასავლეთის ქვეყნების მუშებს შორის და

---

[1] იხ. გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 10, გვ. 196—202 (ბულგარულ ენაზე).

შეუმსუბუქა მუშაობა კომუნისტურ პარტიებს სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების მოქმედების ერთიანობის საქმეში.

კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილებათა კონკრეტული განხორციელების საკითხები განიხილეს ყრილობებზე, კონფერენციებსა და კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე. მაგალითად, გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ჯერ კიდევ 1935 წლის ოქტომბერში მოიწვია კონფერენცია, რომელიც ცნობილია ბრიუსელის კონფერენციის სახელით. ნოემბერში შედგა ფინეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა, ხოლო 1936 წლის იანვარში — საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა. ცოტა ხნის შემდეგ მოიწვიეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI გაფართოებული პლენუმი.

კომუნისტური პარტიების ამ ისტორიულ ფორუმებზე ღრმა პატივისცემით წარმოთქვამდნენ დიმიტროვის სახელს, რომელსაც თან სდევდა ოვაციები. განსაკუთრებით მქუხარე იყო ოვაციები, როდესაც კითხულობდნენ მის მისალმებას ანდა იღებდნენ მიმართვას მისადმი. ასე მაგალითად, დიმიტროვმა გაუგზავნა მისალმება ფრანგი კომუნისტების ყრილობას, მათ კი, თავის მხრივ, უპასუხეს მხურვალე წერილით, მასში ნათქვამი იყო; „ყრილობა აღიარებს, რომ თუკი პარტიამ შეძლო ურყევად შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ეს შენი დამსახურებაა, ამხანაგო დიმიტროვო!

საფრანგეთის მუშები — კომუნისტები და სოციალისტები — მხურვალედ მიესალმნენ შენს არჩევას კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად...

შენი სახელი ისე ყღერს მათ გულში, როგორც ერთიანობისაკენ მოწოდება“[1].

განსაკუთრებული სიხარულითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ გ. დიმიტროვის კომინტერნის გენერალურ მდივნად არჩევის ცნობას ბულგარეთის კომუნისტები, მუშები და ყველა მშრომელი. ამასთან დაკავშირებით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიმიტროვს გაუგზავნა მისალოცი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჩვენ პარტიის, ბულგარელი ხალხისა და ყველა მშრომელის უდიდეს სიხარულს გამოვთქვამთ, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად შენი არჩევის გამო. ჩვენი პარტია, დიადი ბულგარეთის კომუნისტური პარ-

---

[1] „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალი“, № 3, 10, II, 1936, გვ. 28 (რუს. ენაზე).

ტია, და გმირი ბულგარელი ხალხი ამაყობს იმით, რომ შეძლო თავისი რიგებში გამოეზარდა კომინტერნის ასეთი ღირსეული მესაჭე"[1].

ასეთივე სულისკვეთებით იყო ვამსჭვალული დიმიტროვისათვის გაგზავნილი მისალმება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმისა, რომელმაც მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ბულგარეთის პირობებში კომინტერნის ახალი კურსის მიღების შესახებ. „ბულგარეთის კომუნისტური პარტია ამაყობს იმით, — ნათქვამია მიმართვაში,—რომ მისი ბელადი მსოფლიო მუშათა მოძრაობის საერთაშორისო შტაბის—კომინტერნის ხელმძღვანელია. მაგრამ ჩვენ ეს დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს: დიმიტროვის მსგავსად ვიბრძოლოთ ფაშიზმის წინააღმდეგ და ნებისმიერი მსხვერპლის ფასად პრაქტიკულად განვახორციელოთ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელმაც დააკონკრეტა, ბულგარეთის პირობებისათვის მისაღებად, კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის გადაწყვეტილებანი"[2].

იმ დროისათვის დადგინდა ორგანიზაციული ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევდა გ. დიმიტროვს, ეხელმძღვანელა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისათვის ქვეყანაში და ბულგარეთის პოლიტიკური ემიგრაციისათვის საბჭოთა კავშირში. დიმიტროვს, რომელიც ხელმძღვანელობდა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტსა და საზღვარგარეთის ბიუროს მოსკოვში, უშუალო დახმარებას უწევდა ვ. კოლაროვი, იგი კომინტერნში ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას წარმოადგენდა. მათი უშუალო დამხმარენი იყვნენ ანტონ ივანოვი და სტანკე დიმიტროვი-მარეკი, რომლებიც აერთიანებდნენ პარტიის მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს, ამზადებდნენ საჭირო დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავდნენ საზღვარგარეთის ბიუროს რეკომენდაციებს, გადაწყვეტილებებისა და დირექტივების პროექტებს. აუცილებლობის შემთხვევაში დიმიტროვი იწვევდა ბიუროს წევრებს, რათა კოლექტიურად გადაეწყვიტათ არსებითი საკითხები. ცალკეულ შემთხვევაში საკონსულტაციოდ მიმართავდნენ მოსკოვში მყოფ სხვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს.

გ. დიმიტროვის ავტორიტეტი და მაგალითი შთააგონებდა ბულგარელ კომუნისტებს რევოლუციურ მოღვაწეობაში, დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალების გაერთიანებისათვის, ერთიანი სახალხო და მუშათა ანტიფაშისტური ფრონტის დროშის ქვეშ მრავალრიცხოვანი მოკავშირეების მიზიდვისათვის ბრძოლაში. იზრდებოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, ქვეყნის დემოკრატიული ფენე-

---

[1] „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი", № 10, 20, XI, 1935 (ბულგარულ ენაზე).

[2] „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი", № 6, 29. II, 1936 (ბულგარულ ენაზე).

ბი უფრო მეტად იხრებოდნენ პარტიასთან მოლაპარაკებისაკენ, მასთან ერთობლივი მოქმედებისაკენ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროგრესული ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის, ძველი რუსოფილური წრეებისათვის, რომლებიც დიმიტროვს თვლიდნენ არა მარტო ცნობილ პროლეტარულ რევოლუციონერად, არამედ დიდ ბულგარელ პატრიოტად და ამიტომ გულწრფელად ესწრაფოდნენ ბულგარელი ხალხის მხარდამხარ მონაწილეობა მიეღოთ ანტიფაშისტურ ბრძოლაში.

იმ პერიოდისათვის მუშათა ერთიანი, ფართო სახალხო ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის ბრძოლა, რომელსაც სათავე დაედო ჯერ კიდევ კომინტერნის VII კონგრესამდე და მისი დამთავრების პირველ თვეებში, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მართალია, საფრანგეთში სახალხო ფრონტი ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზაციულად გაფორმებული, მაგრამ დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. 1936 წლის მარტში გაერთიანდა ორი დიდი პროფკავშირული ცენტრი — შრომის საყოველთაო კონფედერაცია და შრომის უნიტარული საყოველთაო კონფედერაცია, რომელთაც შესაბამისად კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში სახალხო ფრონტის მომხრე ორივე პარტიამ გაიმარჯვა პარლამენტის არჩევნებზე, ივნისში კი გაფორმდა სახალხო ფრონტის მთავრობა სოციალ-დემოკრატების ლიდერის ლეონ ბლიუმის ხელმძღვანელობით. კომუნისტები არ შესულან მთავრობის შემადგენლობაში, მაგრამ მხარს უჭერდნენ მას. 1936 წლის იანვარში კომუნისტებმა, სოციალისტებმა, რესპუბლიკელებმა და სხვა დემოკრატიულმა ჯგუფებმა ოფიციალურად შექმნეს ესპანეთში სახალხო ფრონტი, რომელმაც იმავე წლის თებერვალში მიაღწია გამარჯვებას პარლამენტის არჩევნებში და ჩამოაყალიბა მთავრობა. აპრილში კომუნისტური და სოციალისტური ახალგაზრდობა გაერთიანდა სოციალისტური ახალგაზრდობის ერთიან ორგანიზაციად.

სახალხო ფრონტის წარმატება რიგ ხელსაყრელ პირობაზე იყო დამოკიდებული, პირველ რიგში კი — ცალკეული ქვეყნების კომუნისტებისა და ანტიფაშისტების მზარდ ძალაზე. არანაკლებ როლს ასრულებდა სწორი ხელმძღვანელობა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი სამდივნოს მხრივ, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მოვლენათა განვითარებას და ეხმარებოდნენ კომუნისტურ პარტიებს, სწორად მისდგომოდნენ მოკავშირეებს, დროულად გამოესწორებინათ შეცდომები და ნაკლოვანებანი. მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ამ საქმეში გ. დიმიტროესაც, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა კომუნისტებსა და

ანტიფაშისტებზე თავისი საერთაშორისო ავტორიტეტისა და იმ პოზიციების წყალობით, რომელიც გამოვლინდა კომინტერნის VII კონგრესზე, მსოფლიო კომუნისტური ორგანიზაციის ორგანოებში თავისი ხელმძღვანელი როლის წყალობით (კონტაქტები ჰქონდა მის მოღვაწეებთან, ატარებდა საუბრებს, გამოდიოდა სტატიებით, სიტყვებით, წერდა წერილებს და ა. შ.).

დიმიტროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომებში, სადაც იხილებოდა ერთიანი, სახალხო და ანტიიმპერიალისტური ფრონტის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების საკითხები. იგი გამოდიოდა საფუძვლიანი მოხსენებებით, რეკომენდაციებსა და კონკრეტულ რჩევას აძლევდა ცალკეული კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებსა და მოღვაწეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ მოსკოვში ან ჩამოდიოდნენ საბჭოთა დედაქალაქში; მათ ან კომინტერნის კაბინეტში იღებდა, ან სახლში, დაწვრილებით ეკითხებოდა სამუშაოს შესახებ, სიძნელეებსა და წარმატებებზე, ეხმარებოდა მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში.

1936 წლის მარტ-აპრილში ტარდებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები, რომელზეც იხილებოდა ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის ტაქტიკის განხორციელების შედეგები, აგრეთვე ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. გ. დიმიტროვმა ვრცელი შესავალი სიტყვა წარმოთქვა, მიმართულება მისცა სხდომის მუშაობას, განმარტა საკითხთა განხილვისა და ძირითად გადაწყვეტილებათა მიღების წესი. დასკვნით გამოსვლაში მან განაზოგადა განხილვის მიმდინარეობა და დასახა ძირითადი მომენტები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას.

დიმიტროვი შეჩერდა კომინტერნის ახალი პოლიტიკის გატარების შედეგებზე და ხაზი გაუსვა, რომ ამ პოლიტიკის სისწორე „უკვე აშკარაა, უკვე დადგინდა, უკვე დამტკიცდა“[1], ამასთან, მან აღნიშნა ზოგიერთი მისი ნაკლი. ილაპარაკა რა ჰიტლერული გერმანიის აგრესიულ გეგმებზე, დიმიტროვმა აღნიშნა, რომ მისი მთავარი მიზანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. მაგრამ ამ მომენტში ჰიტლერული თავდასხმის მუქარა უშუალოდ ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, საფრანგეთის, პოლონეთისაკენ იყო მიმართული და „ალბათ, თავდასხმას აღმოსავლეთზე,

---

[1] სკკპ ისტორიის საკითხები, 1969, № 3, გვ. 10 (რუსულ ენაზე); „რაბოტნიჩესკი დელო“, № 89, 30. III, 1969 (ბულგარულ ენაზე).

საბჭოთა კავშირზე, — ამბობდა დიმიტროვი, — ჰიტლერი პირველ რიგში არ დაგეგმავს“.

კომუნისტური მოძრაობის რიგ მოღვაწეთა გამოსვლის შემდეგ მიიღეს დადგენილება საერთაშორისო ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო ბრძოლის შემდგომი გაფართოების შესახებ.

როგორც კომინტერნის ხელმძღვანელი, გ. დიმიტროვი დაინტერესებული იყო ცალკეული კომუნისტური პარტიებისადმი დახმარების გაწევით. ჟაკ დიუკლო ყვებოდა, მაგალითად, რომ 1935 წლის ბოლოს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა მას შეხვედროდა ესპანეთის სოციალისტურ ლიდერს ლარგო კაბალეროს და დაერწმუნებინა იგი სახალხო ფრონტის შექმნის აუცილებლობაში. მოლაპარაკება რთული იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კაბალერო დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ერთიანი ანტიფაშისტური მოქმედება კომუნისტებთან, რათა მოეგერიებინათ მოსალოდნელი რეაქცია ესპანეთში, ეხსნათ თავისუფლება და დემოკრატია. 1936 წლის დასაწყისში დიუკლო ჩამოვიდა მოსკოვში დიმიტროვისათვის მიღწეული შედეგების მოსახსენებლად. დიმიტროვი მეტად კმაყოფილი დარჩა ყოველივე ამით.

ერთიანი სახალხო ფრონტის პოლიტიკა არ იძლეოდა მოსალოდნელ შედეგებს ჩეხოსლოვაკიაში. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და სამდივნომ არაერთხელ განიხილა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ამოცანები. 1936 წლის მაისის ბოლოს მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი პროფკავშირებში პარტიის მოღვაწეობის შესახებ. გამოვიდნენ კ. გოტვალდი, ს. ლოზოვსკი და სხვა მოღვაწეები. გ. დიმიტროვმა შეაჯამა განხილვის შედეგები და შეჩერდა ჩეხოსლოვაკიაში კლასობრივი ბრძოლისა და ერთიანი ანტიფაშისტური მოძრაობის ძირითად პრობლემებზე. დასასრულ მან ურჩია ჩეხ კომუნისტებს, შეემუშავებინათ კონკრეტული ტაქტიკა, რათა თავი დაეღწიათ „შექმნილი ჩიხისათვის“. „ჩეხოსლოვაკიის გადარჩენის ერთადერთი საშუალება, — განაცხადა დიმიტროვმა, — სახალხო ფრონტის პოლიტიკაა“[1].

მონარქისა და მთავრობის ეშმაკური ფანდების მიუხედავად, ბულგარეთში სახალხო ფრონტის მოძრაობას სულ უფრო მეტი მომხრე უჩნდებოდა. მის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ, რომელიც შედგა 1936 წლის 10 ივლისს. ამ სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ერთიანი ანტიფა-

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ. 146, აღ. 2, ფურც. 1 (ბულგარულ ენაზე).

შისტური მოქმედების ძირითადი პრობლემების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ტრ. კოსტოვი. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გ. დიმიტროვმა. მან ილაპარაკა ბულგარეთში ფაშიზმის განვითარებისა და მისი პოლიტიკური რეჟიმების ხასიათის შესახებ. ამასთან, მიუთითა სახალხო ფრონტის შექმნის კარგ შესაძლებლობებზე, ამ მიზნით აუცილებელი იყო ერთობლივი მოქმედების უზრუნველყოფა ყველა დემოკრატიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ორგანიზაციასთან, ფართო პლატფორმის შემუშავება საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. მომდევნო თვეებში დ-ძიტროვის რეკომენდაციები გატარდა ცხოვრებაში — შეიქმნა სახალხო ფრონტი კონსტიტუციური კომიტეტების სახით.

კომინტერნის გენერალური მდივანი ეხმარებოდა კომუნისტურ პარტიებს, მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას თავისი პუბლიცისტური კალმითაც. მისი სტატიები, ინტერვიუები, წერილები, ჩვეულებრივ, საბჭოთა ბეჭდვით ორგანოებში ქვეყნდებოდა, შემდეგ კი კომინტერნისა და ცალკეული კომუნისტური პარტიების ორგანოების მეშვეობით ვრცელდებოდა მთელ მსოფლიოში. მათში მხილებული იყო ფაშიზმის მხეცური ბუნება, მისი აგრესიული გეგმები, განზოგადებული იყო ანტიფაშისტური მოძრაობის წარმატებანი და დასახული — მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. „მხოლოდ ფართო ანტიფაშისტური ფრონტი, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო მუშათა კლასის ძალებს, მოიპოვებს ყველა მშრომელის სიმპათიასა და მხარდაჭერას, — აღნიშნავდა დიმიტროვი, — ის შეძლებს საკმაოდ ეფექტური საშუალება გახდეს საიმისოდ, რათა დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვას ფაშისტ მოძალადეებს"[1].

ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მოძრაობის ზრდა, ერთიანი და სახალხო ფრონტების მნიშვნელოვანი წარმატებანი უბიძგებდა რეაქციონერებს, მოეკრიბათ ძალები და გაერთიანებულიყვნენ კონტრშეტევისათვის. 1936 წლის 18 ივლისს მსხვილმა ბურჟუაზიამ, შდიდარმა მიწათმფლობელებმა, უმაღლესმა ოფიცრობამ და კათოლიკურმა ეკლესიამ ესპანეთში კონტრრევოლუციური ამბოხება შოაწყვეს, რომელსაც ფრანკო ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებულნი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ რესპუბლიკური მთავრობისა და სახალხო ფრონტის მხრივ, მათ მაინც შეძლეს ცალკეულ რაიონში გამაგრებულიყვნენ და სათავე დაედოთ სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომისათვის, რომელიც სამ წელს გაგრძელდა და ფართო საერთაშორისო გამოძახილი პოვა.

ესპანეთის ომში, როგორც ფოკუსში, ისე აირეკლა მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები მეორე მსოფლიო ომის წინ. ფა-

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 235 (ბულგარულ ენაზე).

შისტური სახელმწიფოები — იტალია და გერმანია გულუხვად ამარაგებდნენ ამბოხებულებს საომარი ტექნიკით, სამხედრო სპეციალისტებით და სამხედრო ნაწილებით. საბჭოთა კავშირი უყოყმანოდ დადგა ესპანეთის რესპუბლიკის მხარეზე და პოლიტიკურ, დიპლომატიურ, მატერიალურ და სამხედრო დახმარებას უწევდა მას. ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა განაცხადეს, რომ „არ ერეოდნენ" ესპანეთის საქმეებში, რაც, არსებითად, დათმობას და ფაშისტებთან შეთანხმებას ნიშნავდა. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა, ხალხთა ფართო მასებმა და პროგრესულმა ინტელიგენციამ მასობრივი მოძრაობა გაშალეს მებრძოლი ესპანეთის მხარდასაჭერად. ამის ნათელი გამოხატულება იყო ინტერნაციონალური ნებაყოფლობითი ბრიგადების შექმნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 54 ქვეყნის 35 ათასმა ანტიფაშისტმა.

ესპანელი რევოლუციონერებისა და პატრიოტებისადმი დახმარების მოძრაობის ინიციატორები და ორგანიზატორები კომინტერნი და კომუნისტები იყვნენ. ჯერ კიდევ ომის პირველ თვეებში თავის დოკუმენტებში, მიმართვებსა და მისალმებებში კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებდა კომუნისტებსა და ანტიფაშისტებს, მორალურად და მატერიალურად დახმარებოდნენ ესპანეთის რესპუბლიკას. კომინტერნი ხშირად მიმართავდა სოციალისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას წინადადებით ერთობლივი მოქმედების შესახებ მებრძოლი ესპანელი ხალხის მხარდასაჭერად. დახმარების მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის პარიზში შეიქმნა საერთაშორისო კომიტეტი, ცალკეულ ქვეყნებში კი — ეროვნული კომიტეტები. ამ კომიტეტებში ცენტრალურ როლს კომუნისტები ასრულებდნენ. ისინი აგროვებდნენ სახსრებს, აყალიბებდნენ მოხალისეთა შენაერთებს, ატარებდნენ ფართო განმარტებით მუშაობას ესპანეთის რევოლუციის მხარდასაჭერად.

კომინტერის გენერალური მდივანი გ. დიმიტროვი დიდ ენერგიას ახმარდა ესპანელი ხალხის მხარდაჭერის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კომიტეტისა და კომინტერნში მის ქვეგანყოფილებათა მუშაობაზე უშუალო პასუხისმგებელი იყვნენ პ. ტოლიატი და მ. ტორეზი, გ. დიმიტროვს აინტერესებდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ესპანეთთან, და თავის ავტორიტეტულ აზრს გამოთქვამდა არსებით საკითხებზე. მისი უშუალო ჩარევის წყალობით ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დასაწყისში იქნა დაძლეული სერიოზული სასურსათო სიძნელეები, რომელსაც რესპუბლიკური არმია განიცდიდა. დიმიტროვი იყო ესპანეთში ინტერნაციონალური ბრიგადების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. მისი მოწოდებით გაიშალა მოხალისეთა შეკრების ფართო კამპანია. დიმიტროვის უშუალო ხელ-

მძღვანელობით მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა ენერგიული პროპაგანდა ესპანელ მებრძოლთა მხარდასაჭერად და ფაშისტური ინტერვენტების მხილებისათვის.

დიმიტროვი ზრუნავდა პოლიტიკურ მუშაობაზე ესპანეთის სახალხო არმიაში. იგი იყო სოციალისტური ინტერნაციონალისადმი მიმართული ყველა წინადადების ინიციატორი ესპანეთის რესპუბლიკის მხარდასაჭერად ერთობლივი მოქმედების შესახებ, რომელსაც, მიუხედავად რეფორმისტული ლიდერების წინააღმდეგობისა, დადებითი შედეგები მოჰქონდა.

გ. დიმიტროვმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ესპანეთის დემოკრატიული რევოლუციის ხასიათის განსაზღვრაში, რომელიც სცილდებოდა წინანდელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საზღვრებს და კომინტერნისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე აყენებდა არსებით თეორიულ პრობლემებს. ჯერ კიდევ 1936 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო არკვევდა ამ რევოლუციის ხასიათს, მის მამოძრავებელ ძალებსა და შემდგომ პერსპექტივებს. ცხოველი დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ვ. კოდოვილია, ვ. ფლორინი, ო. კუუსინენი, ვ. პიკი, კ. გოტვალდი, გ. პოლიტი და სხვანი, გრძელდებოდა ორ დღეს. სიტყვით გამოვიდა კომინტერნის გენერალური მდივანიც, რომელმაც განაზოგადა კამათი.

გ. დიმიტროვმა ხაზი გაუსვა, რომ კლასობრივი ძალების არსებული განლაგების, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის და, მეორე მხრივ, რიგ დიდ სახელმწიფოებში ფაშისტური დიქტატურის არსებობის პირობებში, საკითხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და სახელმწიფოს შესახებ არ შეიძლება ისე დაისვას, როგორც ადრე. ესპანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის გამარჯვებისთვისაც იბრძვის ხალხი, არ იქნება ძველი დემოკრატიული რესპუბლიკა, იგი გახდება „განსაკუთრებული სახელმწიფო ჭეშმარიტი სახალხო დემოკრატიით. ეს ჯერ კიდევ არ იქნება საბჭოთა სახელმწიფო, არამედ—ანტიფაშისტური, მემარცხენე სახელმწიფო, ბურჟუაზიის ჭეშმარიტად მემარცხენე ნაწილის მონაწილეობით“.

დიმიტროვი გამოვიდა ძველი დებულების წინააღმდეგ იმის თაობაზე, რომ თავისი შინაარსით სახელმწიფო შეიძლება იყოს ან კაპიტალისტური. ან სოციალისტური და ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად წარმოიშობა ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოები. რომლებშიც „სახალხო ფრონტს აქვს გადამწყვეტი გავლენა“. დიმიტროვი ამბობდა: „აქ დგას წარმოების ორგანიზაციის საკითხი კერძო-კაპიტალისტური საკუთრების საბოლოო მოსპობის გარეშე. წარმოების ორგანიზაცია

მუშათა კლასისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მის მოკავშირეთა ანუ წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის მონაწილეობითა და კონტროლით. თეორიულად იგი შესაძლებელია გამოისახოს როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის განსაკუთრებული ფორმა მოცემულ ეტაპზე"[1].

დიმიტროვის შეხედულებები, რომლებმაც კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მხრივ სრული მხარდაჭერა პოვა, რევოლუციაზე ლენინური მოძღვრებისა და კომინტერნის VII კონგრესის თეორიულ დებულებათა ახალი შემოქმედებითი განვითარება იყო. თეორიულად იქნა აღმოჩენილი და პრაქტიკულად ხორცშესხმული თავისებური მიდგომა ბრძოლისადმი სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად, რაც განხორციელდება ახალი ტიპის დემოკრატიული რევოლუციისა და „ახალი, სახალხო დემოკრატიის" დამყარების გზით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ესპანეთის კომუნისტურ პარტიას, შეემუშავებინა ამბოხებულთა და ინტერვენტთა, აგრეთვე სახალხო ფრონტის რიგებში ექსტრემისტული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისათვის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის წლებში.

გ. დიმიტროვი იყენებდა ყოველგვარ საბაბს იმისათვის, რათა დაეცვა ესპანელი ხალხი და დახმარებოდა მას. 1936—1937 წწ. „პრავდაში" გამოქვეყნებულ სტატიებში იგი აღნიშნავდა, რომ სახალხო ფრონტის გამარჯვებას ესპანეთში ექნება არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობაც, რადგან იგი მიაყენებს „საგრძნობ დარტყმას ჰიტლერისა და მუსოლინის აგრესიულ გეგმებს", „ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებას" და განაპირობებს დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას ყველა ქვეყანაში. და პირიქით, „ესპანელი ხალხის დამარცხება ისევ გაზრდის ომის საშიშროებას". ამიტომ დიმიტროვი მოუწოდებდა, გაძლიერებულიყო და გაფართოებულიყო ესპანეთისათვის დახმარება, რაც „საერთაშორისო პროლეტარიატის, ყველა ქვეყნის ხალხთა უმაღლესი მოვალეობაა"[2].

გ. დიმიტროვის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი იყო მებრძოლი ესპანელი ხალხის მხარდაჭერა. მაგრამ მის მოღვაწეობაში კვლავ

---

[1] „სკკპ ისტორიის საკითხები". 1969, № 3, გვ. 13 (რუსულ ენაზე); „რაბოტნიჩესკე დელო", № 89, 30, III. 1969 (ბულგარულ ენაზე).

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 280—302, 303, 307, 359—369 და სხვ. (ბულგარულ ენაზე).

მთავარი იყო ბრძოლა ყველა ქვეყანაში ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გაფართოებისათვის, ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და კაცობრიობის ცივილიზაციისათვის. ყოველივე აღნიშნული მოითხოვდა კომინტერნის გენერალური მდივნისაგან ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების განუწყვეტელ სრულყოფას. ამ მიზნით რეორგანიზებულ იქნა ჟურნალ „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალის“ სარედაქციო კოლეგიის მუშაობა, რომლის ძირითადი მოვალეობა იყო სახალხო ფრონტის ტაქტიკის განმარტება, ინფორმაციებისა და პრაქტიკული მითითებების მიცემა ამ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და მომენტებზე. გადაკეთდა აგრეთვე პროფკავშირთა მუშაობა, ხოლო პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი (პროფინტერნი) დაიშალა. გააქტიურდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქალთა კომისიის მუშაობა, სპორტული მოძრაობა. სხვა მასობრივი ორგანიზაციების მოღვაწეობა, რომელთაც კომინტერნი ხელმძღვანელობდა.

დიმიტროვი კვლავ დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა ცალკეული კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს. 1937 წელს საფრანგეთის სახალხო ფრონტი ღრმა კრიზისს განიცდიდა. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო და პირადად დიმიტროვი არაერთხელ დაინტერესებულა საფრანგეთის საქმეებით. იზრდებოდა ფაშიზმის საფრთხე ინგლისში, რაც დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ხალხთა მასების მხრივ. დიმიტროვი ესაუბრებოდა ინგლისელ კომუნისტთა ხელმძღვანელებს და პირადად გ. პოლიტს, აძლევდა რჩევას, მათთან ერთად აზუსტებდა პარტიის პოზიციებს. დიდ ინტერესს იჩენდა დიმიტროვი სხვა კომუნისტური პარტიების საქმიანობის მიმართ (ავსტრია, პოლონეთი, უნგრეთი, იუგოსლავია და სხვ.), რომლებიც განიცდიდნენ შინაგანი და საერთაშორისო ხასიათის სიძნელეებს. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო და პირადად დიმიტროვი ხშირად მსჯელობდნენ ჩინეთში, ინდოეთში, არაბულ ქვეყნებსა და ლათინურ ამერიკაში განმათავისუფლებელი ბრძოლების ძირითად საკითხებზე, აძლევდნენ რჩევა-დარიგებას, აზუსტებდნენ ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიების პოლიტიკურ ხაზს.

მეორე მსოფლიო ომის წინა წლები ევროპის ხალხებისა და მთელი კაცობრიობისათვის აღსავსე იყო საგანგაშო მოვლენებით, ღრმა ტრაგიზმით. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების მიერ წაქეზებული ფაშისტები აძლიერებდნენ შეტევით ოპერაციებს. 1937 წლის ნოემბერში გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ დადეს ყბადაღებული ანტიკომინტერნული

პაქტი და გააჩაღეს აღვირახსნილი პროპაგანდა კომუნისტური მოძრაობისა და სახალხო ფრონტის, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირის — მშვიდობის ერთადერთი ბურჯის — წინააღმდეგ. 1938 წლის მარტში ჰიტლერელებმა დაიკავეს ავსტრია. სექტემბერში, ეგრეთ წოდებული მიუნხენის თათბირის დროს, ჩეხოსლოვაკიის სუდეტის მხარის ოკუპაციის „უფლება“ მიიღეს. 1938 წლის 1 ოქტომბერს მათი ჯარები შევიდნენ ამ რაიონში, 1939 წლის მარტში კი დაიპყრეს მთელი ჩეხოსლოვაკია. ამავე დროს მადრიდში მოხდა კონტრრევოლუციური გადატრიალება, რომელმაც ბოლო მოუღო ესპანეთის რესპუბლიკას, იტალიის ჯარებმა კი დაიპყრეს ალბანეთი.

ასეთ პასუხსაგებ ვითარებაში, როდესაც წყდებოდა მსოფლიოს მომავალი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი და მისი ორგანოები, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო დაძაბულად მუშაობდნენ, უურადღებით ადევნებდნენ თვალს აგრესორთა დანაშაულებრივ გეგმებს ცალკეულ ქვეყნებში, კომუნისტური პარტიების მოღვაწეობას და ანტიფაშისტურ მოძრაობას. ისინი იღებდნენ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს, აქვეყნებდნენ დეკლარაციებს, ახალ წინადადებებს აძლევდნენ სოციალისტურ ინტერნაციონალს, ერთობლივად ემოქმედათ ომის გაძლიერების საფრთხის წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ კომუნისტებსა და ანტიფაშისტებს ფაშიზმისა და სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლებისაკენ საბჭოთა კავშირისა და მისი მშვიდობიანი პოლიტიკის დასაცავად.

კომინტერნისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გ. დიმიტროვი იყო. ყველა სხდომაზე გადაწყვეტილებათა, დადგენილებათა და დეკლარაციათა პროექტების მომზადება მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა. დიმიტროვი, ჩვეულებრივ, გამოთქვამდა ძირითად იდეებს, აზუსტებდა და აფორმებდა შესაბამის დოკუმენტებს, თვალყურს ადევნებდა მათ შესრულებას. მას ენერგიულად ეხმარებოდნენ დ. მანუილსკი, ვ. პიკი, ო. კუუსინენი, პ. ტოლიატი და სხვანი. უფრო ხშირად ტარდებოდა კონსულტაციები საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ხელმძღვანელებთან, აგრეთვე სხვა კომუნისტური პარტიების ხელმძღანელ მოღვაწეებთან.

დიმიტროვი ხშირად ხვდებოდა და ესაუბრებოდა ამხანაგებსა და თანამებრძოლებს, სხვა ქვეყნების კომპარტიათა ხელმძღვანელ მუშაკებს ან თავის ბინაზე (იგი ცხოვრობდა დიდი ქვის ხიდის მახლობლად), ანდა აგარაკზე ს. მუშჩერინოს რაიონში (ლენინის მთების მახლობლად). დიმიტროვი ცხოვრობდა თავის მეორე ცოლთან—როზა იულის ასულ დიმიტროვასთან ერთად, რომელზეც დაქორწინდა 1933

წლის მაისში, პირველი ცოლის — ლიუბა ივოშევიჩ-დიმიტროვას გარდაცვალების შემდეგ. მეორე ცოლთან მას შეეძინა ვაჟი-მიტია, რომელიც ძალზე უყვარდა. მის ოჯახში იზრდებოდა აგრეთვე ჩინელი კომუნისტის ვან მინის ქალიშვილი — ფანია. დიმიტროვები მას, როგორც საკუთარ შვილს, ისე ეექცეოდნენ.

ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა მეორე მსოფლიო ომს, დღითი დღე აძლიერებდა · დაძაბულობას გ. დიმიტროვის მრავალმხრივ მოღვაწეობაში. მატულობდა ზრუნვა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანი, ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური ფრონტების მომავალზე. სწრაფცვალებადი საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვდა ყველა ანტიფაშისტური და მშვიდობის-მოყვარე ძალის მობილიზაციის საკითხთა ჯეროვან შეფასებას. სწორ გაშუქებას, ზუსტ პროგნოზებსა და თამამ გადაწყვეტილებებს. და დიმიტროვი ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა ეპასუხა დროის მოთხოვნებისათვის.

გერმანიასთან ავსტრიის შეერთების წინ, შეერთების დროს და მას შემდეგ ავსტრიის კომუნისტურ პარტიას არ ჰქონდა კონკრეტულად შემუშავებული პოლიტიკა და ტაქტიკა. დავობდნენ ეროვნულ საკითხზე, ქვეყნის მომავალზე დემოკრატიულ ძალთა გამარჯვების შემდეგ და სხვ. გ. დიმიტროვი ურჩევდა ავსტრიელ კომუნისტებს, გაეერთიანებინათ პატრიოტული ძალები ჰიტლერული აგრესიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. თავისი ავტორიტეტით იგი მხარს უჭერდა მათ მოღვაწეობას ამ მიმართულებით.

მიუნხენის შეთანხმებისა და ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ გ. დიმიტროვმა წამოაყენა ევროპის ან მუშათა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის იდეა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მუშათა ყველა ორგანიზაციისა და პარტიის (მათი პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად) მოქმედების ერთიანი ხაზი მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვისათვის. ამასთან. მან ურჩია ჩეხოსლოვაკელ კომუნისტებს, შეექმნათ ანტიფაშისტურ და პატრიოტულ ძალთა ერთიანი ეროვნული ფრონტი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად[1]. დიმიტროვმა დიდი ენერგია მოახმარა ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური,

---

[1] იმ დროს კომინტერნი და დიმიტროვი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელი იყო ეროვნული ფრონტის შექმნა ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში და იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც ემუქრებოდა ფაშისტური აგრესია, ამ იდეამ ფართო გავრცელება პოვა მეორე მსოფლიო ომის წლებში.

მუშათა და ანტიფაშისტური კადრების დაცვასა და შენარჩუნებას. ბევრ მათგანს დახმარება გაუწია მოსკოვში გასამგზავრებლად.

მიუნხენის შემდეგ საფრანგეთის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობაში განხეთქილება მოხდა. მაგრამ დიმიტროვს მაინც სწამდა ერთიანი ანტიფაშისტური მოქმედების ძალისა ამ ქვეყანაში. ის ურჩევდა ფრანგ კომუნისტებს, გაეკეთებინათ ყველაფერი სახალხო ფრონტის შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის. ამასთან, მიაჩნდა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელი იყო „მასებზე მასობრივი მოქმედებისა და ზემოქმედების მაქსიმალური გაძლიერებით სახალხო ფრონტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მათ მიერ ჭეშმარიტად ანტიფაშისტური პოლიტიკის გატარებისათვის ყველა ძალის მობილიზაციით“[1].

1938 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ დემოკრატიული ფრონტის შექმნის მიმართულებით. გადაწყვეტილების პროექტის შესამუშავებლად აირჩიეს კომისია. დიმიტროვი გამოვიდა მის სხდომაზე და ურჩია ამერიკელ კომუნისტებს, მტკიცედ დაეჭირათ მხარი რუზველტის მთავრობის პროგრესული ღონისძიებებისათვის, მაგრამ არ გამხდარიყვნენ მისი აპოლოგეტები, საქმიანად გაეკრიტიკებინათ რუზველტის ის მოქმედებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ანტიფაშისტური დემოკრატიული ფრონტის მოთხოვნებს.

დიდ მზრუნველობას იჩენდა გ. დიმიტროვი ესპანელი კომუნისტებისა და ანტიფაშისტების მიმართ. როდესაც საფრანგეთის მთავრობამ დახურა ესპანეთის საზღვრები და დევნა დაუწყო ესპანელ მებრძოლებს, იგი ხელმძღვანელობდა მათ გადარჩენასა და საბჭოთა კავშირში გადაგზავნას. მადრიდში კონტრრევოლუციური გადატრიალებისა და ესპანეთში რევოლუციური ბრძოლის შემდეგ გ. დიმიტროვმა დიდი ძალა მოახმარა ტრაგიკულ მოვლენათა მიზეზების სწორ განსაზღვრას, საბჭოთა კავშირში ესპანელი ემიგრანტების მოწყობასა და დახმარებას.

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ. 146, აღწ. 2, ფურც. 60—61.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოებში განიხილეს ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის რიგი სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების მდგომარეობა და პოლიტიკა. დიმიტროვი ყოველთვის ამბობდა თავის ავტორიტეტულ სიტყვას, იძლეოდა ბრძნულ რჩევასა და კონკრეტულ რეკომენდაციებს.

დიმიტროვისათვის დიდად სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხალხმა კომინტერნის გენერალური მდივნისადმი პატივისცემისა და ნდობის ნიშნად იგი წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატობის კანდიდატად, რომელსაც, ახალი კონსტიტუციის თანახმად, მოქმედება უნდა დაეწყო როგორც ქვეყნის უმაღლეს ორგანოს. არჩევნების დროს, რომელიც შედგა 1937 წლის დეკემბერში, ის დათანხმდა კენჭი ეყარათ კოსტროომის საოლქო საარჩევნო ოლქის კანდიდატობაზე, სადაც ის ერთხმად აირჩიეს კიდეც დეპუტატად. საარჩევნო კამპანიის დროს ის ესტუმრა კონსტროომას და გამოვიდა კრებაზე, შემდეგ კი მოსკოვში მიიღო თავის ამომრჩეველთა დელეგაცია.

ომისწინა წლებში შექმნილი დაძაბული და რთული საერთაშორისო მდგომარეობა აიძულებდა გ. დიმიტროვს, გაეაქტიურებინა პუბლიცისტური მოღვაწეობა, რაც კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში მისი პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება იყო. იმ პერიოდში დიდ საერთაშორისო მოვლენებსა და დღესასწაულებთან დაკავშირებით გ. დიმიტროვმა დაწერა სტატიები, რომლებიც ქვეყნდებოდა „პრავდაში", შემდეგ კი ცალკე ბროშურების სახით იბეჭდებოდა რუსულ ენაზე, ერთდროულად ისინი ითარგმნებოდა სხვა ენებზე და ვრცელდებოდა მთელ მსოფლიოში კომინტერნისა და ცალკეულ კომუნისტურ პარტიათა პრესის მეშვეობით.

თავის სტატიებში დიმიტროვი ფართოდ აშუქებდა საერთაშორისო მოვლენათა მიმდინარეობას ომის წინ, მიუთითებდა მათ საშიშ განვითარებაზე, ამხელდა აგრესორთა გეგმებს, აღნიშნავდა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა დიდ პასუხისმგებლობას, რომლებიც საბოტაჟს უწევდნენ კოლექტიური უსაფრთხოების პოლიტიკას (რომლისკენაც მათ მოუწოდებდა საბჭოთა კავშირი) და ფაშისტ აგრესორებთან მოლაპარაკების პოზიცია ეჭირათ. დიმიტროვი მოუწოდებდა მუშათა კლასსა და ყველა დემოკრატიულ ძალას ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ, მშვიდობისა და კაცობრიობის კულტურის შენარჩუნებისაკენ.

დიმიტროვი სულ უფრო ხშირად ჩერდებოდა საბჭოთა კავშირის

ისტორიულ როლზე, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის, მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ურყევი ბურჯი, მათი ყველაზე საიმედო მხარდამჭერი იყო. და ეს სრულიად ბუნებრივიც იყო. იმ პირობებში, როდესაც ფაშისტური სახელმწიფოები გამალებით უბიძგებდნენ მსოფლიოს ახალი ომისაკენ, ხოლო დასავლეთის ქვეყნების რეაქციული წრეები საიდუმლოდ უთანხმდებოდნენ მათ, როდესაც ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო ფრონტები ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ ძლიერი, რომ შეეჩერებინათ საშინელი საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ემუქრებოდა, ამ ვითარებაში მსოფლიოს ბედი, რევოლუციური პროცესი და კაცობრიობის პროგრესი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირის ძალასა და ძლიერებაზე,

გ. დიმიტროვი ისევ და ისევ აღნიშნავდა საბჭოთა კავშირის, როგორც სოციალიზმის პირველი ქვეყნის, მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, რომელიც მთელ კაცობრიობას თავისუფალი, ბედნიერი, სოციალისტური საზოგადოების შექმნის გზას უჩვენებდა, სოციალისტური საზოგადოებისა, რომლის წარმატებანი კაპიტალისტური ქვეყნების მუშებსა და ყველა მშრომელს რწმენით აღავსებდა და რევოლუციისაკენ უბიძგებდა. ამასთან, დიმიტროვი საბჭოთა კავშირის წარმატებას სოციალიზმის მშენებლობაში უკავშირებდა ცალკეულ ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნის შესაძლებლობას. „საბჭოთა კავშირის მშრომელები, — აღნიშნავდა დიმიტროვი, — საკუთარი მაგალითით, სოციალისტური სამშობლოსადმი თავიანთი ერთგულებით... დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიო მუშათა კლასის გათიშული ძალების შეკავშირებაზე"[1].

იმ პერიოდში გ. დიმიტროვი თავის გამონათქვამებში საბჭოთა კავშირის შესახებ სულ უფრო ხშირად მიუთითებდა საბჭოეთის, როგორც აგრესორთა შეჩერებისა და სამხედრო ჯარების ლოკალიზაციის მძლავრი ფაქტორის, როლზე. დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე გამუდმებით იზრდება და „ეს ომი დიდი ხანია დაიწყებოდა, რომ არ ყოფილიყო მშვიდობის ისეთი ფაქტორი, როგორიც არის საბჭოთა კავშირი"[2].

მას მოჰქონდა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის მრავალი დამადასტურებელი საბუთი. ეს ანალიზი საშუალებას აძლევდა დიმიტროვს, დაბეჯითებით ეჩვენებინა, რომ „საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი გაძლიერებით, დიდ საბჭოთა ხალხსა და კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებს შორის კავშირის განმტკიცებით

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 6 (ბულგარულ ენაზე).

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 401 (ბულგარულ ენაზე).

სისხლხორცეულადაა დაინტერესებული მთელი მშრომელი კაცობრიობა. სწორედ ეს არის ფაშისტური აგრესიისა და ომის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი გარანტია"[1].

აქედან გამომდინარე, დიმიტროვმა ჩამოაყალიბა ცნობილი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან არის კრიტერიუმი, სასიცოცხლო ქვა ყოველი მუშისა და ანტიფაშისტური მოღვაწის გულწრფელობისა და პატიოსნების შესამოწმებლად, დასკვნა, რომელიც იქცა ყველა ქვეყნის კომუნისტებისა და პატიოსანი ანტიფაშისტების ლოზუნგად და დევიზად. „თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, — ამბობდა დიმიტროვი, — არ არის და არც შეიძლება იყოს უ ფ რ ო ზ უ ს ტ ი კ რ ი ტ ე რ ი უ მ ი იმის განსაზღვრისათვის, თუ ვინ არის მუშათა კლასისა და სოციალიზმის მტერი და მოყვარე, ვინ არის დემოკრატიისა და მშვიდობის მ ო მ ხ რ ე, ვიდრე დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. მუშათა მოძრაობის ყოველი მოღვაწის, მუშათა პარტიისა და მშრომელთა ორგანიზაციის, კაპიტალისტური ქვეყნების ყოველი დემოკრატის გულწრფელობისა და პატიოსნების განსაზღვრის სასიცოცხლო ქვა არის მათი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა სოციალიზმის დიად ქვეყანასთან"[2].

ამ დასკვნამ განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ბედი, მათი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მათი იდეალი და მისწრაფება რევოლუციური გარდაქმნებისაკენ, ახალი სამყაროს — დემოკრატიისა და სოციალიზმის სამყაროს შექმნისაკენ ორგანულადაა დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკასთან, საბჭოთა ხალხის გმირობასა და თავგანწირვასთან.

4. მეორე მსოფლიო ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომმა, რომლის კერებსაც თანდათანობით აღვივებდნენ აგრესორები წლების განმავლობაში, იფეთქა 1939 წლის 1 სექტემბერს, როდესაც ჰიტლერული ურდოები თავს დაესხნენ პოლონეთს. პირველი მსოფლიო ომის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარების გამო. თავისი ხასიათით მეორე მსოფლიო ომიც დასაწყისში იყო იმპერიალისტური ომი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ორ დიდ დაჯგუფებას შორის. მაგრამ მას დაღს ასვამდა და

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 413—419 (ბულგარულ ენაზე).
[2] იქვე, გვ. 392.

არსებით თავისებურებას ანიჭებდა ომში ფაშისტურ სახელმწიფოთა განსაკუთრებული მიზნები, რომლებიც ცდილობდნენ მსოფლიოს არა უბრალო გარდაქმნას, არამედ მის დაპყრობას, ადამიანების, მთელი ხალხების განადგურებას, რათა უკან დაეტრიალებინათ სოციალური პროგრესის ჩარხი.

ამიტომ ომის დასაწყისშივე დაიწყო ბრძოლა ორ ძირითად ტენდენციას შორის — იმპერიალისტურ და ანტიფაშისტურ, განმათავისუფლებელ ტენდენციას შორის. პირველი გამოვლინდა ფაშისტურ სახელმწიფოთა დაპყრობით ზრახვებში, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეების ფარულ მიზნებში — საბჭოთა კავშირის ხარჯზე ომის გზით გადაეჭრა საკუთარი წინააღმდეგობანი, იერიშის გაძლიერებაში ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიებისა და ყველა პროგრესული ძალის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ექციათ ომი ნამდვილ ანტიფაშისტურ ომად. განმათავისუფლებელი ტენდენცია მეღავნდებოდა ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული ქვეყნებისა და იმ ქვეყნების მზარდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელთაც ფაშისტური აგრესია ემუქრებოდათ. აგრეთვე კომუნისტებისა და ანტიფაშისტების ფართო მოძრაობაში მუშათა კლასისა და თავისი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად.

მაინც გარკვეულ პერიოდში, ომის დასაწყისში, მასში იმპერიალისტური ტენდენცია სჭარბობდა, თუმცა თანდათან ძლიერდებოდა განმათავისუფლებელი ტენდენციაც. 1939 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა კომინტერნის მოწოდებანი, რომელიც აფასებდა შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას, განსაზღვრული იყო კომუნისტური პარტიების ამოცანები ომთან დაკავშირებით: ომი დახასიათებული იყო როგორც ორმხრივ იმპერიალისტური. მთავარი ყურადღება ექცეოდა ომში კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეების იმპერიალისტურ მისწრაფებებს და მუშათა კლასის დამოუკიდებელ მოქმედებას კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის უღლისაგან ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მოწოდების სისუსტე ისაა, რომ ის არ ითვალისწინებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ტენდენციებს, რომლებიც ამ ომში ვლინდებოდა.

როგორც კომინტერნის გენერალური მდივანი, გ. დიმიტროვი ქმედით მონაწილეობას იღებდა იმ დებულებათა შემუშავებაში, რომლებიც დაკავშირებული იყო ომთან და კომუნისტური პარტიის ამოცანებთან. ჯერ კიდევ 1939 წლის სექტემბერში კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო თეზისები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიმუშა-

ვეს გ. დიმიტროვმა, დ. მანუილსკიმ და ო. კუუსინენმა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტში წინასწარი კონსულტაციისა და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს მიერ საგულდაგულო განხილვის შემდეგ. დიმიტროვმა კომუნისტური პარტიებისათვის დაწერა დირექტივების პროექტი, მასში აისახა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პოზიცია, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ მოწოდებას. მან ბევრი რამ გააკეთა კომინტერნის დებულებათა პოპულარიზაციისათვის —1939 და 1940 წლებში „პრავდაში" გამოაქვეყნა ორი დიდი სტატია („ომი და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი", „პირველი მაისი და ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ"), რომლებიც შემდეგ გავრცელდა კომინტერნისა და ცალკეული კომუნისტური პარტიების ბეჭდვითი ორგანოების მეშვეობით.

სტატიებში ძირითადად ყურადღება ექცეოდა ომის იმპერიალისტურ, რეაქციულ ტენდენციებს. იგი მიჩნეულ იქნა ორივე მხრიდან იმპერიალისტურ, უსამართლო ომად და აღინიშნა, რომ მასზე პასუხს აგებენ კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია და პირველ რიგში მებრძოლი სახელმწიფოების მმართველი წრეები. ამიტომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის უმნიშვნელოვანესი და პასუხსაგები ამოცანა იყო ყველა ძალის გაერთიანება, მშრომელთა სახალხო ფრონტის შექმნა, მათი ბრძოლის შერწყმა კოლონიური და დამოკიდებელი ქვეყნების მოძრაობასთან, ყველა რევოლუციური მიმდინარეობის შეკავშირება სოციალიზმის დიადი ქვეყნის გარშემო, რომელიც იცავდა მშვიდობის საქმეს, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ომის წინააღმდეგ, ხალხის დაცვისათვის ომის საშინელებისაგან[1].

დიმიტროვის სტატიები, თუმცა ვერც ისინი ასცდნენ კომინტერნისათვის დამახასიათებელ ცალმხრიობას ომის საკითხში, კომუნისტურ პარტიებსა და მათ ხელმძღვანელებს ეხმარებოდნენ, განესაზღვრათ მოქმედების კონკრეტული ხაზი ახალ ვითარებაში. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი და მისი გენერალური მდივანი უშუალო დახმარებას უწევდნენ მათ ამაში, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ განიხილავდნენ საარსებო პრობლემებს, იძლეოდნენ რჩევასა და მითითებებს, როგორ გარდაექმნათ მუშაობა სამხედრო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ამუშავებდნენ საკითხებს ღრმა იტაკქვეშ გადასვლის თაობაზე იქ, სადაც ეს აუცილებელი იყო, იძლეოდნენ რეკომენდაციებს ანტიფაშისტური ბრძოლის სტაბილური და მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ცენტრების შექმნის შესახებ და ა. შ.

---

[1] იხ. გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 25—48, 68—91. (ბულგარულ ენაზე).

ამ პერიოდში დიმიტროვი კიდევ უფრო დაძაბულად მუშაობდა. მისი ფართო, სადად მოწყობილი კაბინეტი მდებარეობდა კომინტერნის ახალი შენობის მეხუთე სართულზე, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გვერდით (სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა). ამ კაბინეტში დიმიტროვი ბევრ დროს ატარებდა, ხანდახან იქვე ათევდა კიდეც ღამეს.

გ. დიმიტროვს ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული საბჭოთა მშრომელებთან, აწარმოებდა მათთან გაცხოველებულ მიმოწერას, მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომებში, დღესასწაულებსა და ზეიმებში. იგი განუწყვეტლივ ხაზს უსვამდა ისტორიულ როლს საბჭოთა ქვეყნისა — საერთაშორისო პროლეტარიატის ამ ძლევამოსილი ბურჯისა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. „მეორე იმპერიალისტური ომი და მისი გარდაქმნის საფრთხე მსოფლიო ხორცსაკეპად, — სწერდა ის ქ. ტაგანროგის მეტალურგიული ქარხნის მუშებს, — საბჭოთა მშრომელებისაგან მოითხოვს სიფხიზლის გაძლიერებას კაპიტალისტური გარემოცვის მიმართ; ასევე სოციალიზმის დიდი ქვეყნის — ყველა მშრომელის სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას“[1].

ომის ცეცხლი სწრაფად ღვივდებოდა. 1940 წლის აპრილში ჰიტლერელმა ურდოებმა დაიპყრეს დანია და ნორვეგია. მაისში მათ მოახდინეს პოლონეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის ოკუპაცია და შეიჭრნენ საფრანგეთში, რომელმაც ივნისში ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. გერმანელები საქვეყნოდ გაპყვიროდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრის შესახებ, სინამდვილეში კი 1940 წლის ზაფხულში ამუშავებდნენ ცნობილ „ბარბაროსას გეგმას“, რომელიც ითვალისწინებდა „ელვისებურ ომს“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ნაცისტებმა გააძლიერეს დაწოლა შუა ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნებზე.

1940 წლის სექტემბერში ბერლინში ხელი მოაწერეს სამმხრივ აქტს გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის, რომელსაც მალე შეუერთდა სლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. 1940 წლის შემოდგომაზე იტალიამ ომი დაიწყო საბერძნეთის წინააღმდეგ. 1941 წლის გაზაფხულზე ჰიტლერული არმიები, რომლებიც რუმინეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, შეიჭრნენ იუგოსლავიასა და საბერძნეთში.

ფაშისტური აგრესიის გაძლიერებამ, დასავლეთ ევროპისა და

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, წერილები, 1905—1945 წწ., გვ. 377—378 (რუსულ ენაზე).

ბალკანეთის რიგი ქვეყნების ოკუპაციამ, განსაკუთრებით საფრანგეთის დამარცხებამ და ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრის საფრთხემ გამოიწვია პოლიტიკური ძალების ღრმა გადაჯგუფებანი ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, გააძლიერა ანტიფაშისტური, განმათავისუფლებელი ტენდენციები ომისა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი როლი შეასრულა ხალხის საყოველთაო აღშფოთების ზრდამ აგრესორებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ. ჰიტლერელების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ისახებოდა წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობა. საფრანგეთის კომუნისტური პარტია შეუდგა შეიარაღებული ჯგუფებისა და ეროვნული ფრონტის შექმნას. კურსს ეროვნული ფრონტის შექმნისა, რომელიც აერთიანებდა ერის ყველა პატრიოტულ ძალას, დაადგნენ აგრეთვე იტალიის, ნორვეგიის, ბელგიის, ჰოლანდიის, დანიის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების კომუნისტები.

ახალ საერთაშორისო ვითარებაში კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი, მისი სამდივნო და პირადად გ. დიმიტროვი სულ უფრო მეტი სიმკვეთრით უსვამდნენ ხაზს ობიექტურად კანონზომიერ, სამართლიან, განმათავისუფლებელ ტენდენციას ომისა. სამდივნოს მორიგ და გაფართოებულ სხდომებზე, აგრეთვე სპეციალური კომისიების სხდომებზე განიხილავდნენ რიგი ქვეყნების (საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ფინეთის, შვეიცის, ამერიკის, უნგრეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, და სხვათა) კომუნისტური პარტიების მდგომარეობასა და ამოცანებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებსა და დირექტივებს, იძლეოდნენ რეკომენდაციებსა და მითითებებს, მუდმივად ესმებოდა ხაზი ეროვნული და სოციალური თავისუფლების კავშირის გათვალისწინების, აგრესორებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ანტიფაშისტური და პატრიოტული ძალის გაერთიანების აუცილებლობას.

გიორგი დიმიტროვი ცენტრალურ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ამ დაძაბულ საქმიანობაში, აწარმოებდა წინასწარ მოლაპარაკებას ცალკეული პარტიების ხელმძღვანელებსა და მოღვაწეებთან, კონსულტაციას იღებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტისაგან, სინჯავდა და რედაქტირებას უწევდა დოკუმენტების პროექტებს, გამოდიოდა სხდომებზე საფუძვლიანი სიტყვებით, სადაც ახლებურად აშუქებდა მოვლენებს, კომუნისტების პოლიტიკურ ხაზს. ასეთი იყო, მაგალითად, მისი გამოსვლა 1941 წლის აპრილში კომუნისტური ინტერანაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ომის დახა-

სიათებისას დიმიტროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხის ბრძოლა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის ატარებს სამართლიან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს. ამგვარი ბრძოლის მაგალითად მან დაასახელა იუგოსლავიელი ხალხის ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ და მოუწოდა კომუნისტებს, სათავეში ჩასდგომოდნენ მას.

შეხედულებათა ამგვარი ევოლუცია თავს იჩენდა გ. დიმიტროვის რეკომენდაციებში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისადმი, რომელიც ბულგარეთში იმყოფებოდა. თავდაპირველად ეს რეკომენდაციები შეიცავდა ომის ხასიათის ცალმხრივ შეფასებას, ძირითადად მის იმპერიალისტურ ხასიათზე აქცენტირებით. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გ. დიმიტროვი თავის რეკომენდაციებში ყურადღებას აქცევდა ომის ანტიფაშისტურ ტენდენციასაც, თუმცა მაინც აფრთხილებდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ზედმეტი არ მოსვლოდათ მებრძოლი დაჯგუფებების ობიექტური როლის შეფასებისას. როცა ფაშისტური ჯარები დამკვიდრდნენ ბულგარეთში, გ. დიმიტროვი იძლეოდა რჩევას, რომ გაშლილიყო მასობრივი მოძრაობა ომში ქვეყნის საბოლოო ჩაბმის წინააღმდეგ, აეხსნათ სრული ეროვნული დამონების საფრთხე, დაერაზმათ ერის ჯანსაღი ძალები შემდგომი ბრძოლისათვის, განემტკიცებინათ სოლიდარობა ბალკანეთის ხალხებთან, მეგობრობა სსრ კავშირთან.

გ. დიმიტროვი დახმარებას უწევდა არა მარტო ევროპის, არამედ სხვა კონტინენტების კომუნისტურ პარტიებსაც. დიდ ყურადღებას უთმობდა იგი ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ეწეოდა გმირულ ბრძოლას იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მიჰყვებოდა რა ერთიანი ეროვნული ანტიიაპონური ფრონტის ტაქტიკას, მაგრამ ამავე დროს მტრულად ეკიდებოდა თავის მოკავშირეებს, არათანმიმდევრულად ატარებდა დემოკრატიული ცენტრალიზმისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინურ პრინციპს, შეუფასებლობას იჩენდა ხელმძღვანელ ორგანოებში მუშათა როლის მიმართ და ა. შ. დიმიტროვი შემოქმედებითად მონაწილეობდა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოსა და პრეზიდიუმში მოწყობილ ჩინელი კომუნისტების პრობლემების განხილვაზე, იძლეოდა დაწვრილებით რეკომენდაციებს, ჰქონდა პირადი მიმოწერა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებთან და ა. შ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი იყენებდა ყოველგვარ შესაძლებლობას, რათა შემწეობა გაეწია, მიეცა მეგობრული რეკომენდაციები ლათინური

ამერიკის ქვეყნების კომუნისტური პარტიებისათვის. მაგალითად, 1941 წლის თებერვალში იგი ხანგრძლივად ესაუბრა ჩილეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს. რომლის დროსაც შეეხნენ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. დიმიტროვი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას. რომ კომუნისტებს უნდა გაეშალათ მუშაობა გლეხობას შორის, არმიაში, ახალგაზრდობაში, მიუთითებდა ქვეყანაში სამხედრო გადატრიალებისა და ტერორისტული დიქტატურის დამყარების საშიშროებაზე. აღნიშნავდა რა ორგანულ კავშირს ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და პარტიის ინტერნაციონალურ მოღვაწეობას შორის, იგი მოუწოდებდა ამერიკისა და ევროპის პროლეტარიატს ერთობლივი ინტერნაციონალური მოქმედებისაკენ, „ასპროცენტიანი სოლიდარობისაკენ დიდ საბჭოთა კავშირთან"[1].

იმ დაძაბულ თვეებში, როცა ომი ევროპაში ფართოვდებოდა და სულ უფრო ემუქრებოდა საბჭოთა ქვეყანას, დიმიტროვს უნდა გადაეწყვიტა სხვა სპეციფიკური საკითხებიც, დაკავშირებული კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტსა და მის მუშაობასთან. ბევრი დრო დახარჯა მან პრესის მუშაობის, პროპაგანდის გასაუმჯობესებლად, უცხოურ ენებზე ლიტერატურის გამოსაცემად, სხვადასხვა ქვეყნებისათვის კომუნისტური კადრების მოსამზადებლად, პოლიტემიგრანტებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად. სამხედრო მოვლენები, რომელთაც თან ახლდა სიტუაციათა მოულოდნელი ცვლილებანი, საჭიროებდა მუდმივ მზადყოფნას, სწრაფ და გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღებას, მოქმედების უნარს ნებისმიერ სიტუაციაში.

მას შემდეგ, რაც ჰიტლერულმა გერმანიამ ოკუპაცია უყო და დაიმორჩილა ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, ხელთ იგდო უზარმაზარი ადამიანური და მატერიალური რესურსები, 1941 წლის 22 ივნისს იგი მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს სრულიად დარწმუნებული, რომ ელვისებურ ომში გაანადგურებდა მას. სერიოზული წარუმატებლობის მიუხედავად, ომის პირველ თვეებში, საბჭოთა ჯარებმა მაინც შეძლეს მძიმე ბრძოლებში დაეუძლურებინათ მოწინააღმდეგე და შეეჩერებინათ იგი მოსკოვის მისადგომებთან. 1942 წლის ზაფხულში მსხვილმა გერმანულმა სამხედრო შენაერთებმა მოკავშირეებთან ერთად შეტევა განავითარეს ქვეყნის სამხრეთით, მაგრამ იქაც წააწყდნენ საბჭოთა არმიის გმირულ წინააღმდეგობას, რომელიც შემოდგომით კონტრშეტევაზე გადავიდა სტალინ-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ. 146, აღ. 2, ფურც. 1—8.

გრადთან, ალყა შემოარტყა ჯარების მსხვილ დაჯგუფებას და 1943 წლის 2 თებერვალს მთლიანად გაანადგურა იგი.

ჰიტლერულმა აგრესიამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძირფესვიანად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის ხასიათი; იგი საბოლოოდ იქცა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომად იმ ხალხებისა და სახელმწიფოების მხრივ, რომლებიც დაუპირისპირდნენ აგრესიულ ფაშისტურ ბლოკს. ჯერ კიდევ 1941 წლის მიწურულში ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიცია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შემადგენლობით, რომელიც მალე იქცა იმ სახელმწიფოთა ფართო ბლოკად, რომლებიც იბრძოდნენ გერმანიისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ. ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ ქვეყანა-სატელიტებში იზრდებოდა წინააღმდეგობა პარტიზანული მოძრაობისა და საბოტაჟის ფორმით. ფაშიზმთან ბრძოლის ავანგარდში იდგა საბჭოთა კავშირი, რომელმაც წამოაყენა ჰიტლერელთა განადგურებისა და მათი უღლისაგან ხალხების განთავისუფლების ნათელი პროგრამა.

ომის ახალი პერიოდის დასაწყისშივე კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი გენერალური მდივნის წინაშე წამოიჭრა მრავალი რთული პრობლემა. აუცილებელი იყო ნათლად გაშუქებულიყო ომის ხასიათში მომხდარი ღრმა ცვლილებები, ფორმულირებულიყო ამოცანები, რომლებიც დადგა კაპიტალისტური სამყაროს კომუნისტური პარტიების წინაშე, შესაბამისად განხორციელებულიყო ღრმა ორგანიზაციული და იდეური გარდაქმნები ამ პარტიების ცხოვრებაში. აუცილებელი იყო ბრძოლა მკვეთრად გაძლიერებულიყო, ყველა დემოკრატიული და პროგრესული ძალა დარაზმულიყო ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ომის ახალ ეტაპზე განსაკუთრებით მწვავედ დგებოდა საკითხი ფაშისტების მიერ ოკუპირებული ქვეყნებისა და ქვეყანა-სატელიტების პატრიოტულ ძალებთან ერთიანობის შესახებ. ინიციატივა ამ ამოცანების გადაწყვეტაში უნდა გამოეჩინა დიმიტროვს, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივანს.

1941 წლის 22 ივნისის დილას, საბჭოთა ხელმძღვანელებთან მრავალსაათიანი შეხვედრის შემდეგ კრემლში, დიმიტროვმა მოიწვია კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს გაფართოებული სხდომა და გააცნო მის მონაწილეებს შექმნილი ვითარება, პოლიტიკური ორიენტაცია და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ამოცანები. ომის განმათავისუფლებელი ხასიათი და საბჭოთა კავშირის ცენტრალური როლი მასში კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიებისაგან მოითხოვდა ფართო მოძრაობის გაშლას სსრ კავშირის მხარდასაჭერად, მასობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ

მოძრაობას ფაშისტური ოკუპაციისა და დამონების წინააღმდეგ, მხარდაჭერას იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ომში საბჭოთა ქვეყნის მოკავშირეებად მოგვევლინენ. ძირითადი და მთავარი ის იყო, რომ ხელი შეეწყოთ ფაშიზმის მოსპობისათვის, ხალხის თავისუფლების მოპოვებისათვის, გაეწიათ სსრ კავშირისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება. შემდეგ დაადგინეს, რომ სასწრაფოდ გარდაექმნათ კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის აპარატის მუშაობა, რათა მიეღწიათ მისი ძალების სრული მობილიზაციისათვის, დასახული ამოცანების დამკვრელური გადაწყვეტისათვის. შეიქმნა ჯგუფი გ. დიმიტროვის, მანუილსკისა და პ. ტოლიატის შემადგენლობით, რომელსაც უნდა გაეწიათ ხელმძღვანელობა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის ყოველდღიური საქმიანობისათვის. დაადგინეს აგრეთვე, რომ ცალკეული კომუნისტური პარტიებისათვის გაეგზავნათ წერილები, რომელთაც საფუძვლად დაედო სხდომაზე დიმიტროვის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი. შემდგომ დღეებში კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა და პირადად გ. დიმიტროვმა მიიღეს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა სრული ინფორმაცია მიეწოდებინათ პარტიებისათვის კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პოზიციის თაობაზე, დამატებით გაეშუქებინათ ეს პოზიციები კონკრეტულ სიტუაციებში პარტიის ტაქტიკის დაზუსტებისათვის. ცალკეულმა პარტიებმა, თავის მხრივ, გამოაქვეყნეს ლეგალური და არალეგალური მოწოდებანი, დეკლარაციები და დოკუმენტები, რომლებშიც დაგმეს ფაშისტური აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოუწოდეს ხალხებს აქტიური ბრძოლისაკენ.

შეხედულებანი, რომლებიც განავითარა დიმიტროვმა და საფუძვლად დაედო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისა თუ ცალკეული კომუნისტური პარტიების დოკუმენტებს, ატარებდა იმ კურსს, რომელიც დასახა კომინტერნის VII კონგრესმა. ომამდელი პერიოდის ფართო ანტიფაშისტური კოალიციის იდეამ ხორცი შეისხა ყველა ანტიფაშისტის წინააღმდეგობის მოძრაობასა და ახალი სამამულო, ეროვნული თუ სხვა პატრიოტული ფრონტების ჩამოყალიბებაში. წინა პლანზე წამოიწია ლენინური იდეა დემოკრატიისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის განუყოფლობის შესახებ, ყოველ ქვეყანაში მიმდინარეობდა მისი გამოყენების სპეციფიკური ფორმებისა და პირობების ძიება. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ინტერნაციონალური და ეროვნული ამოცანების ორგანულ ერთიანობას პროლეტარიატისა, რომელიც მხარში ედგა საბჭოთა ხალხს დიდი სამამულო ომის წლებში და იბრძოდა საკუთარი განთავისუფლებისათვის. კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელება იწყო აგრეთვე კომუნისტური პარტი-

ების პასუხისმგებლობის იდეამ შინაპოლიტიკური ხაზის შეხამების შესახებ მათ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამ სეზრიოზულად გაართულა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის კავშირურთიერთობა ცალკეული ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან. ამიტომ იყო, რომ დიმიტროვის ინიციატივით მათთან დამყარდა რეგულარული რადიოკავშირი. დიდი როლი დაეკისრა ეროვნულ რადიოგადაცემებს, ასევე რადიოსადგურებს, რომლებიც გადაცემას აწარმოებდნენ ფაშისტური და ფაშისტების მიერ ოკუპირებული ქვეყნებისათვის, აგრეთვე ქვეყანა-სატელიტებისა და სხვა სახელმწიფოებისათვის. ამ რადიოგადაცემებს მიეცათ შემდეგი სახელწოდებანი; „ხრისტო ბოტევი" (ბულგარეთისათვის), „თადეუშ კოსტიუშკო" (პოლონეთისათვის), „ლაიოშ კოშუტი" (უნგრეთისათვის), „თავისუფალი იუგოსლავია", „გერმანიის სახალხო რადიოგადამცემი", და ა. შ. ბიმდინარეობდა აგრეთვე პარალელური რადიოგადაცემები ბერლინის, ვენის, ვარშავის, სოფიის, სკოპლეს და სხვათა ოფიციალური რადიოსადგურების ტალღებზე. სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების გამოჩეხილი მოღვაწეები, საბჭოთა კავშირში მცხოვრებნი პოლიტემიგრანტების სახით, მოსკოვის რადიოთი გამოიდოდნენ კვირის გარკვეულ დღეებში საუბრებითა და ინფორმაციებით მშობლიურ ენაზე. რადიოპროპაგანდაში მონაწილეობდნენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი. რადიოპროპაგანდის ორგანიზაციისა და მიმდინარეობისათვის შეიქმნა სარედაქციო კოლექტივები. მათდამი საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ცენტრალური რედაქცია, რომელსაც დიმიტროვი ედგა სათავეში. მას ეხმარებოდნენ პ. ტოლიატი და ჯ. ჩერეტი. დიმიტროვი ამტკიცებდა ყოველი ეროვნული რედაქციის შემადგენლობას, ამზადებდა ინსტრუქციას ცენტრალური რედაქციისათვის, იწვევდა სარედაქციო კოლექტივების თათბირებს, რომლებზეც მის წევრებს ან მხოლოდ ხელმძღვანელებს აცნობდა ომის მსვლელობას, რადიოგადაცემების მთავარ შინაარსს, უმნიშვნელოვანეს ლოზუნგებს და ა. შ. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ცალკეული რედაქციების მუშაობაში, წერდა მათთვის ყველაზე პასუხსაგებ პოლიტიკურ კომენტარებს. განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა გ. დიმიტროვი ბულგარული რადიოსადგურის — „ხრისტო ბოტევის" მიმართ, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1941 წლის 23 ივლისს და მუშაობდა 1944 წლის 22 სექტემბრამდე.

კომინტერნის ხელმძღვანელობა და პირადად გ. დიმიტროვი ცდილობდნენ გადაექციათ ყოველი რადიოსადგური ორგანიზაციულ ცენტრად, რომელიც გააერთიანებდა ანტიფაშისტურ ძალებს შესაბამის ქვეყანაში. ასეთ ცენტრს დროულად უნდა აღექვა ცვლილებანი შექმ-

ნილ ვითარებაში და დაუყოვნებლივ გაეკეთებინა ინფორმაცია მათ შესახებ. რეკომენდაცია გაეწია ბრძოლის საწარმოებელი ყველაზე მიზანშეწონილი საშუალებებისა და გზებისათვის. მის ამოცანას შეადგენდა აგრეთვე ანტიფაშისტური მოძრაობის გამოცდილების გავრცელება სხვა ქვეყნებში. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო პერიოდულად იხილავდა ეროვნული რადიოსადგურების მუშაობას, აანალიზებდა მათ გადაცემებს, იღებდა სათანადო დადგენილებებს, კონკრეტულ მითითებებს აძლევდა რადიოსადგურებს და მათ კომენტატორებს.

კომინტერნის ხელმძღვანელობისა და მისი გენერალური მდივნის წინაშე მდგარ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა პოლიტიკური მუშაობა სამხედრო ტყვეებს შორის, რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ესენი იყვნენ ფაშისტური არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც იმყოფებოდნენ რასიზმის, შოვინიზმის, მილიტარიზმისა და ანტიკომუნიზმის გავლენის ქვეშ. საჭირო იყო სისტემატური, შეუპოვარი, ენერგიული მუშაობის გაშლა მათი ხელახალი აღზრდისათვის ანტიფაშისტური და დემოკრატიული სულისკვეთებით, მათი რიგებიდან ანტიფაშისტ მებრძოლთა კადრების მომზადებისათვის, ისეთ მებრძოლთა მომზადებისათვის, რომლებიც შემდგომში იბრძოლებდნენ დემოკრატიული წყობილების ჩამოყალიბებისათვის თავის ქვეყნებში.

საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნომ უკვე 1941 წლის ზაფხულში სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, ძირითადად გერმანელი, ავსტრიელი, უნგრელი და რუმინელი პოლიტემიგრანტები, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ გეგმაზომიერ მუშაობას. 1942 წლის იანვარში კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნომ განიხილა საკითხი სამხედრო ტყვეებს შორის პოლიტიკური მუშაობის შესახებ და მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებანი. მოიწონა წინადადება სამხედრო ტყვეების ანტიფაშისტური სკოლის შექმნის თაობაზე, რათა მომზადებულიყო კადრები პოლიტიკური მუშაობისათვის ბანაკებში. სკოლა დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. გარდა ამისა, შეიქმნა ფილიალი ანტიფაშისტურად განწყობილი ტყვეოფიცრებისათვის. იმართებოდა აგრეთვე სამხედრო ტყვეთა დელეგატების კონფერენციები, რომლებზეც იხილავდნენ ფაშიზმთან ბრძოლის ამოცანებს.

გ. დიმიტროვი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ რთული ამოცანების გადაჭრას. იგი რჩევა-დარიგებას აძლევდა ამხანაგებს, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებულნი, პერიოდულად ისმენდა მათ მოხსენებებს გაწეული მუშაობის შესახებ, მიმართავდა დახმარები-

სათვის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის მოღვაწეობის შედეგად ათასობით ტყვე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ასევე მათი ყოფილი მოკავშირე სამხედრო ტყვეები ანტიფაშისტები გახდნენ, ხოლო კომუნისტები, რომლებიც სამხედრო ტყვეებს ეხმარებოდნენ პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაში, რწმუნდებოდნენ საკუთარი ინტერნაციონალური პოლიტიკის სისწორეში.

კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მნიშვნელოვან ამოცანას, რომლის განხორციელებას უშუალოდ დიმიტროვი ხელმძღვანელობდა, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში მყოფ პოლიტემიგრანტთა არალეგალური ჯგუფების ორგანიზაცია, სწავლება და გაგზავნა მათ მშობლიურ ქვეყნებში, იმ ქვეყნებში, რომლებიც ოკუპირებულნი იყვნენ ჰიტლერელების მიერ, ანდა სრულიად დაქვემდებარებულნი — ფაშისტური გერმანიის მხრივ. ამ ჯგუფებში შედიოდნენ გამოცდილი კომუნისტები, რომელთაგან ბევრს დამთავრებული ჰქონდა საბჭოთა სამხედრო სასწავლებლები, ანდა მონაწილეობდნენ ესპანეთის სამოქალაქო ომში. სამშობლოში ისინი უნდა დახმარებოდნენ თავის პარტიასა და ხალხს შეიარაღებულ ბრძოლაში ჰიტლერელი აგრესორებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჯგუფები გადიოდნენ აუცილებელ სამხედრო-პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებას, დიმიტროვი ფხიზლად ადევნებდა თვალს მათ საქმიანობას. ჯგუფის საბოლოო ფორმულირების შემდეგ ის იწვევდა მათ თავისთან, აცნობდა ვითარებას იმ ქვეყანაში, სადაც უნდა ემუშავათ, იმ ამოცანებს, რომლებიც მათ უნდა გადაეჭრათ, უზიარებდა თავის მდიდარ რევოლუციურ გამოცდილებას. დიმიტროვი თბილ, გულითად საუბრებში პატრიოტებს გზას ულოცავდა გამგზავრების წინ, მოუწოდებდა წინააღმდეგობების დაძლევისაკენ.

ჯგუფების გამგზავრების შემდეგაც გ. დიმიტროვი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს მათ საქმიანობას, კავშირი ჰქონდა მათთან რადიოს საშუალებით, აძლევდა დამატებით მითითებებსა და რჩევა-დარიგებას. თუ პატრიოტებს უბედურება ეწეოდათ, ის მძიმედ განიცდიდა ამას, უურადღებით სწავლობდა წარუმატებლობის მიზეზებს, მითითებებს იძლეოდა სასწრაფო ღონისძიებების მისაღებად ცოცხლად დარჩენილთა ხსნისათვის. ბულგარეთში წყალქვეშა ნავებითა და თვითმფრინავებით გადასმული პირველი ჯგუფების განადგურების შემდეგ (1941 წლის ზაფხულში) ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ, გ. დიმიტროვის წინადადებით, მიიღო გადაწყვეტილება თითქმის ორი წლის

მანძილზე შეეწყვიტა ქვეყანაში რევოლუციონერთა ახალი ჯგუფების შეგზავნა.

გ. დიმიტროვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო დახმარება გაეწია პარტიზანული მოძრაობისათვის, რომელიც სულ უფრო ფართოდ იშლებოდა ოკუპირებულ, დამოკიდებულ და ფაშისტურ ქვეყნებში. თავისი გენერალური მდივნის ინიციატივით კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს არაერთხელ განუხილავს ეს საკითხი. 1942 წლის 26 სექტემბერს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლითაც ეროვნულ რადიორედაქციებს ბევალებდა გაეწიათ ყოველდღიური პროპაგანდა პარტიზანული მოძრაობისათვის, თანაც მიეცათ პრაქტიკული რჩევა პარტიზანული ბრძოლის, საბოტაჟისა და დივერსიული აქტების განხორციელების საქმეში.

მთელი მსოფლიოს პარტიზანები ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალული დიმიტროვისადმი, შთაგონებული მისი მამაცობითა და გმირობით რევოლუციურ ბრძოლაში, მისი თავდადებით ლაიფციგის პროცესზე. ბერძენ პარტიზანებს შორის პოპულარობით სარგებლობდა სიმღერა „გიორგი დიმიტროვი“, რომელშიც ლაპარაკი იყო მის ორთაბრძოლაზე გერინგთან. სიმღერა მოუწოდებდა პატრიოტებს, გმირულად, დიმიტროვისებურად ებრძოლათ ფაშიზმის წინააღმდეგ.

ომის პირობები კომინტერნის გენერალური მდივნის წინაშე აყენებდა ახალ, სპეციფიკურ ამოცანებს კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან მუშაობის საქმეში. გ. დიმიტროვი, რომელიც ამ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან დაკავშირებული იყო რადიოთი, ეხმარებოდა მათ ეროვნული ფრონტების ჩამოყალიბებასა და პარტიზანულ მოძრაობასთან დაკავშირებული რთული საკითხების გადაწყვეტაში, ცდილობდა გადაეცა მდიდარი რევოლუციური გამოცდილება, თავისი, როგორც თეორეტიკოსი ლენინელისა და გამჭრიახი პოლიტიკოსის, ღრმა ცოდნა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა იმ პარტიების მიმართ, რომლებიც ყველაზე დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ, ანდა იბრძოდნენ ურთულეს პირობებში (პოლონეთის, გერმანიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის და ზოგიერთ სხვა ქვეყნის კომპარტიები).

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა ღრმა დაღი დაასვა არა მარტო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის ტაქტიკასა და მოღვაწეობას, არამედ მისი მუშაობის რიტმს, თანამშრომელთა ცხოვრების წესსაც.

კომინტერნის მთელი აპარატი საბრძოლო პოსტზე იმყოფებოდა, ბევრი თანამშრომელი კომინტერნის შენობაშივე ათევდა ღამეს. ცვლებში მორიგეობდა, რათა დაუბრკოლებლად მიეღო რადიოცნობა

სხვადასხვა ქვეყნებიდან, სწრაფად გადაემუშავებინა და მოეწოდებინა რადიომაუწყებლობის მთავარი რედაქციისათვის, ანდა გადაეწყვიტა სხვა გადაუდებელი საკითხები.

იმ ისტორიულ დღეებში კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწეობას ენერგიულად ხელმძღვანელობდა გ. დიმიტროვი. კომინტერნის გენერალური მდივანი ინტერესს იჩენდა ყოველგვარი, თვით ყველაზე უმნიშვნელო საკითხებისადმიც კი. მას უყვარდა თქმა, რომ ომის დროს არ არსებობს უმნიშვნელო საკითხები, ყველა მნიშვნელოვანი და გადაუდებელია. დიმიტროვი ეხმარებოდა კომინტერნის კოლექტივს, გადაეჭრა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი საკითხები საერთაშორისო კომუნისტური და ანტიფაშისტური მოძრაობისა, არამედ ყოველდღიურიც, დაკავშირებული სამხედრო მდგომარეობასთან (ცვება, დაბომბვისაგან თავდაცვა, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა, მისი ევაკუაცია და ა. შ.).

როცა ფაშისტური ურდოები მოსკოვს მოადგნენ, კომინტერნის აპარატი და ორგანოები ევაკუირებულ იქნა ქ. უფაში, კუიბიშევსა და სხვაგან. 1941 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსკოვი დატოვა დიმიტროვმაც, საერთო დისციპლინას დამორჩილებულმა. ერთხანს იგი იყო კუიბიშევში, დეკემბერში გადავიდა უფაში, ხოლო 1942 წლის მარტში დაბრუნდა მოსკოვში.

საბჭოთა დედაქალაქს უშუალო საფრთხე თავიდან ასცილდა და ბრძოლებმა ძირითადად სამხრეთში გადაინაცვლა, კომინტერნის თანამშრომლებმაც თანდათანობით იწყეს დაბრუნება მოსკოვში. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში როსტოკინოში კვლავ გაჩაღდა მჩქეფარე ცხოვრება. გადატვირთულობის მიუხედავად, დიმიტროვი უდიდეს ყურადღებას იჩენდა ადამიანებისადმი. მან გასცა ოფიციალური განკარგულება, რომლის მიხედვითაც კომინტერნის ყოველ თანამშრომელს უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს მიემართა მისთვის პირადი ხასიათის ნებისმიერ საკითხზე. არა მარტო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლები, არამედ მრავალი საბჭოთა მოქალაქეც მიმართავდა დიმიტროვს, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პირადი თხოვნით და დიმიტროვიც თავს მოვალედ რაცხდა გამოხმაურებოდა მისდამი მიწერილ ყველა წერილს.

გ. დიმიტროვის გულითად დამოკიდებულებას თანამშრომლებიც ასეთივე გულითადობით პასუხობდნენ. ამან განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი 1942 წლის 18 ივნისს, როცა აღინიშნა გ. დიმიტროვის დაბადების 60 წლისთავი. კომინტერნის შენობაში გაიმართა საერთო კრება, რომელზეც გამოვიდნენ დ. მანუილსკი, ვ. პიკი და სხვა ამხანაგები. ყოველი ორატორი გამოხატავდა კომუნისტების, ანტიფაშის-

ტებისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანების საყოველთაო სიყვარულის გრძნობას ბულგარელი ხალხის დიდი შვილისადმი, ხაზს უსვამდა მის დამსახურებას მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე. მისი დაბადების დღის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა მოეწყო აგრეთვე ქ. უფაში, სადაც კვლავ აგრძელებდა მუშაობას კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი განყოფილება.

1943 წლის აპრილში დიმიტროვს ეწვია დიდი მწუხარება: მოულოდნელად მძიმედ გახდა ავად მისი შვიდი წლის ვაჟიშვილი მიტია. ვარაუდობდნენ, რომ მას ანგინა ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა დიფტერიტი. ბიჭი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. დიმიტროვმა მძიმედ განიცადა საყვარელი შვილის სიკვდილი. დიდი დრო გავიდა, სანამ ცხოვრების ჩვეულ წესს დაუბრუნდებოდა. იგი სულის მეოხებას პოულობდა მხოლოდ დაუღალავ შრომაში, დაძაბულ საქმიანობაში, რომელიც ახალ ეტაპში შევიდა.

სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ საბჭოთა არმიამ 1943 წლის ზაფხულში ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერულ ურდოებზე კურსკის რკალის რაიონში, რის შემდეგაც შეტევაზე გადავიდა ფართო ფრონტზე და წლის ბოლომდე გაანთავისუფლა საბჭოთა ტერიტორიის ორი მესამედი, დროებით ოკუპირებული მტრის მიერ. 1944 წელს მძლავრი დარტყმების შედეგად საბჭოთა მეომრებმა მთლიანად გაათავისუფლეს მშობლიური მიწა-წყალი და ომი მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს; ამრიგად, შეუდგნენ ფაშიზმის უღლისაგან ევროპის ხალხების უშუალო განთავისუფლებას. 1944 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე თავისუფლების სიტკბო იგემეს რუმინეთის, ბულგარეთის, ფინეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის ხალხებმა. საბჭოთა არმიის წარმატებებით შეშფოთებული ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყვნენ გაეაქტიურებინათ სამხედრო ოპერაციები. ინგლისისა და ამერიკის ჯარები გადმოსხდნენ ნორმანდიაში, ასე გაიხსნა მეორე ფრონტი დასავლეთ ევროპაში.

ახალ ვითარებაში, როცა ფაშიზმის წინააღმდეგ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა (რომელსაც, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები ერის პატრიოტულ ძალებთან მტკიცე კავშირში) სულ უფრო ფართო და მასობრივ ხასიათს იღებდა, ობიექტურ აუცილებლობად იქცა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ორგანიზაციული გარდაქმნები. კომუნისტური პარტიების განმტკიცება იდეური და ორგანიზაციული თვალსაზრისით, მათი გაზრდილი როლი საერთო-ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლაში, იმის აუცილებლობა, რომ სწრაფად და ოპერატიულად გადაჭრილიყო ანტიფაშისტური ბრძოლის კონკრეტული საკითხები — პარტიებისაგან

მოითხოვდა გაცილებით მეტ დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, მათ მართვაზე უარისთქმას ერთი ორგანიზაციული ცენტრიდან, როგორც იყო კომუნისტური ინტერნაციონალი. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვებების შემდეგ აუცილებელს ხდიდა მუშათა კლასისა და ანტიფაშისტური ძალების მტრებისათვის მოესპოთ იმის შესაძლებლობა, რომ ემტკიცებინათ, თითქოს მოსკოვს განზრახული ჰქონდა „ჩარეულიყო სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში", რომ კომუნისტური პარტიები თითქმის მოქმედებდნენ გარედან ბრძანებით, თითქოს ისინი „სხვისი ინტერესების" გამომხატველნი იყვნენ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1943 წლის გაზაფხულზე დააყენა საკითხი კომინტერნის დაშლის შესახებ. რადგანაც ომის პირობებში შეუძლებელი იყო მორიგი კონგრესის მოწვევა, გადაწყდა, რომ თითოეულ პარტიას გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე. ყოველი მხრივ მოდიოდა დადებითი პასუხები. არც ერთი კომუნისტური პარტია არ წასულა წინააღმდეგი. მიღებული პასუხების გაცნობის შემდეგ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1943 წლის 8 ივნისს გამოაცხადა ერთსულოვანი მხარდაჭერის შესახებ კომინტერნისა და მისი ყველა ორგანოს დათხოვნის თაობაზე 1943 წლის 10 ივნისიდან. ამავე დროს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეწყდა ამ ორგანიზაციის საქმიანობაც.

გ. დიმიტროვი უშუალოდ ხელმძღვანელობდა მუშაობას, დაკავშირებულს კომინტერნის დათხოვნის მომზადებასთან. იგი თავკაცობდა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა სხდომას, რომელზეც ეს საკითხი იხილებოდა. დიმიტროვი მანუილსკისთან ერთად საკმაო ხანს მუშაობდა კომინტერნის დათხოვნის დადგენილების პროექტზე. იგი საკმაოდ გაისარჯა საიმისოდ, რომ დაერწმუნებინა კომინტერნის ხელმძღვანელები მისი დათხოვნის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობაში. დიმიტროვი ესაუბრებოდა მრავალ მოღვაწეს, ეწეოდა ენერგიულ ახსნა-განმარტებით მუშაობას.

კომინტერნი დაიშალა, მაგრამ მისი ლენინური ტრადიციები და მდიდარი რევოლუციური გამოცდილება გავლენას ახდენდა და ამჟამადაც ახდენს მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაზე. კომინტერნმა ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას და განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუტოვა იდეური, პოლიტიკური, სტრატეგიული და ტაქტი-

კური ღირებულებანი, დაგროვილი ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით და შემოწმებული მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიული პრაქტიკით. „კომინტერნის მიერ ცალკეულ პერიოდში დაშვებული შეცდომები და სუბიექტური დანაშრევები ვერ დაჩრდილავს მის სახელოვან ტრადიციებს, გამდიდრებულს და განვითარებულს კომუნისტური მოძრაობით თანამედროვე პირობებში... მრავალი ძირეული პრობლემა, რომელთაც ამჟამად წყვეტს კომუნისტური მოძრაობა, თავის დროზე დასვა და გადაწყვიტა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა“[1].

გ. დიმიტროვი დიდ ყურადღებას უთმობდა კომინტერნის განყოფილებების, სამსახურების ქვეგანყოფილებათა მუშაობის თანდათანობით შეჩერების პროცესს და მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციების კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობისადმი გადაცემას. ის ზრუნავდა თანამშრომელთა სამსახურით უზრუნველყოფაზე, არქივის, მატერიალური ნაწილის დაცვაზე. ყოველივე ეს საჭიროებდა შორსმჭვრეტელობას, პრაქტიკულ გამოცდილებას. დიმიტროვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტემიგრანტებს. მათი უმრავლესობა სამუშაოდ დარჩა ეროვნული რადიოსადგურების რედაქციებში, უცხოური ენების ლიტერატურის გამომცემლობასა და სხვა დაწესებულებებში, რომელიც არსებობდნენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტთან, მოსკოვში არსებულ კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიების უცხოეთის განყოფილებებთან.

კომინტერნის დათხოვნის, მისი ორგანოებისა და სამსახურების ლიკვიდაციის შემდეგ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცეხტრალურ კომიტეტში შეიქმნა საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილება, რომელსაც ჯერ ხელმძღვანელობდა ა. ს. შჩერბაკოვი, შემდეგ გ. დიმიტროვი. განყოფილების ამოცანა იყო დაემყარებინა კავშირი მოსკოვში მდებარე ცალკეული კომუნისტური პარტიების უცხოეთის განყოფილებებთან, დახმარება გაეწია მათი მრავალმხრივი საქმიანობისათვის, ეროვნულ ენებზე რადიოგადაცემების მოწყობაში, სამხედრო ტყვეებს შორის მუშაობაში, მათ ქვეყნებთან კავშირურთიერთობის შენარჩუნებაში.

დიმიტროვის კაბინეტი, ახალი პოსტის დაკავების შემდეგ, მდებარეობდა ძველ მოედანზე მდებარე შენობაში. ეს იყო ფართო ოთახი. ოთახის სიღრმეში მდგომ საწერ მაგიდაზე ყოველთვის ელაგა წიგნები, დოკუმენტები, საინფორმაციო ცნობები და სხვა მასალები. დი-

---

[1] კომუნისტური ინტერნაციონალი, მოკლე ისტორიული ნარკვევი, გვ. 550 (რუსულ ენაზე).

მიტროვს ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე საზღვარგარეთის პარტიების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ცხოვრობდნენ მოსკოვში ან ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში, რათა შეხვედროდნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, რჩევა მიეღოთ მისგან, ანდა დახმარება ეთხოვათ რთული და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში. დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე დიმიტროვმა ბევრი რამ გააკეთა კომუნისტური პარტიების დახმარებისათვის, რომლებიც ისტორიული განვითარების ახალ პერიოდში შევიდნენ.

დიმიტროვი აგრძელებდა დაძაბულ, ენთუზიაზმით აღსავსე საქმიანობას. ცხოვრობდა კომუნისტური პარტიებისა და საბჭოთა ადამიანების სიხარულითა თუ საზრუნავით, თუმცა თავს საკმაოდ ცუდად გრძნობდა. იგი ხშირად ავადმყოფობდა, ესაჭიროებოდა ხანგრძლივი დასვენება, რის უფლებასაც ხშირად ვერ მისცემდა საკუთარ თავს ომის მძიმე პირობებში. 1943 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში დიმიტროვმა რამდენჯერმე გადაიტანა ფილტვებისა და ნაღვლის ბუშტის ანთება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეექმნა მას შემოდგომაზე. ექიმების დაჟინებული მოთხოვნით იგი იძულებული გახდა საავადმყოფოში დაწოლილიყო, სადაც რამდენიმე თვის ·მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა მისი გადარჩენისათვის.

დიმიტროვი, ჯერ ისევ ლოგინში მწოლი, კვლავ შეუდგა მუშაობას.

იმ პერიოდში დიმიტროვის მთელი ფიქრები, მთელი მისი არსება ბულგარეთისაკენ მიისწრაფოდა, სადაც ძლიერდებოდა ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რაც რევოლუციური სიტუაციის დადგომის მომასწავებელი იყო. დიმიტროვი ფხიზლად აფასებდა ქვეყნად მიმდინარე მოვლენებს, ზუსტად წინასწარმეტყველებდა მის მომავალ გეზს, მიუთითებდა გზას, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა მისი ქვეყანა, რათა თავი დაეღწია ჰიტლერელი მმართველობის მიერ გამზადებული უფსკრულისათვის. ხსნის ეს გზა მან დასახა ორ ისტორიულ სტატიაში, რომლებიც გამოაქვეყნა „პრავდაში“ 1943 წლის სექტემბერსა და დეკემბერში: „საით მიდის ბულგარეთი?“ და „კრიზისი ბულგარეთში“. 1944 წლის აგვისტოში ისინი გამოქვეყნდა ცალკე ბროშურის სახით სათაურით „რაშია ბულგარეთის ხსნა?“ რომელსაც ახლდა წინასიტყვაობა „ბულგარეთის ხსნის გზა“.

თავის სტატიებში გ. დიმიტროვი ხაზს უსვამდა: „კრიზისიდან ნამდვილ გამოსავალს ბულგარეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში იპოვის, თუ გაატარებს ჭეშმარიტად ეროვნულ პოლიტიკას, რაც მოითხოვს ნაცისტური დამონებისაგან განთავისუფლებას. იგი აანალიზებდა საერთაშორისო ვითარებას და მიუთითებდა ამ მიზნის მიღწევის სავსებით რეალურ შესაძლებლობაზე. მაგრამ ბულგარეთის მმართველები არც ფიქრობდნენ რადიკალურად შეეცვალათ საგარეოპოლიტიკური

კურსი, რადგანაც პირად ინტერესებს ეროვნულზე მაღლა აყენებდნენ. მხოლოდ ბულგარელი ხალხი, გაერთიანებული სამამულო ფრონტში, აღნიშნავდა დიმიტროვი, ხედავდა მართებულ გამოსავალს კრიზისიდან, მოითხოვდა პროგერმანული კურსის სრულ ლიკვიდაციას ყველა თავისი გამოვლინებით.

ახალი, 1944 წელი სულ უფრო ითრევდა ბულგარეთს საერთაშორისო მოვლენათა მორევში. საბჭოთა არმია ძლევამოსილად მიიწევდა სამხრეთისაკენ და უახლოვდებოდა ბალკანეთს. ღრმავდებოდა ბულგარეთის მმართველი წრეების კრიზისი. პროჰიტლერული წრეები გამოსავალს ეძებდნენ პოლიტიკურ მანევრებში, მთავრობების ცვლაში, ტერორის გაძლიერებაში კომუნისტებისა და ყველა პატრიოტის წინააღმდეგ. დიმიტროვი ყურადღებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას, ანალიზს უკეთებდა ბულგარეთის საშინაო მდგომარეობას, მის საერთაშორისო ვითარებას, აძლევდა დროულ რჩევასა და მითითებებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყურადღებას ამახვილებდა მის ზოგიერთ სისუსტესა და შეცდომაზე, სახავდა მოქმედებისა და ბრძოლის სწორ გეზს.

გ. დიმიტროვმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ბულგარეთის მთავრობის მხილებაში, რომელსაც მეთაურობდა ივ. ბაგრიანოვი და რომელიც შეიქმნა 1944 წლის 1 ივნისს. აღნიშნული მთავრობა ცდილობდა გადაერჩინა მონარქიული ფაშიზმი და საამისოდ არ თაკილობდა ლოდინის პოლიტიკას, ლავირებას, დემაგოგიას. როდესაც 1944 წლის აგვისტოში III უკრაინული ფრონტის ჯარები ბულგარეთს მოადგა, ბაგრიანოვის მთავრობამ უკანასკნელ ღონისძიებას მიმართა, რათა არ გასულიყო ქვეყანა ფაშისტური გერმანიის ორბიტიდან, ანდა მონარქია და კაპიტალიზმი მაინც გადაერჩინა. გ. დიმიტროვმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთის ბიუროს სახელით ქვეყნის შინაგან რევოლუციურ ძალებს კონკრეტული მითითება მისცა, დაეწყოთ უკანასკნელი შტურმი ძირმომპალი და საზიზღარი რეჟიმის წინააღმდეგ.

1944 წლის 9 სექტემბერს პარტიზანული არმიისა და მეფის არმიის პატრიოტული ელემენტების გაერთიანებულმა ძალებმა საბჭოთა არმიის გადამწყვეტი მხარდაჭერით დაამხეს მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურა. საბჭოთა არმიას ბულგარეთი შეხვდა, როგორც განმათავისუფლებელს. დამყარდა ხელისუფლება „ხალხის უზარმაზარი უმრავლესობისა, ქალაქისა და სოფლის მშრომელებისა, რაც განპირობებული იყო მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური ავანგარდის აქტიური და ხელმძღვანელი როლით“[1].

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 271 (ბულგარულ ენაზე).

ბულგარელი ხალხის მიერ 9 სექტემბერს მოპოვებულმა გამარჯვებამ გ. დიმიტროვს დიდი მღელვარება და სიხარული მოუტანა. ასრულდა მისი სანუკვარი იმედები და ოცნებები, ენახა თავისი ქვეყნის მუშათა კლასი, თავისი მრავალტანჯული ხალხი — თავისუფალი, სოციალიზმის გზაზე დამდგარი. წარმატებით დასრულდა თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა კაპიტალიზმისა და ფაშიზმის პირქუშ ძალებთან მისი ძვირფასი. საყვარელი ბულგარეთის თავისუფალი, ბედნიერი განვითარებისათვის.

თავი მეხუთე

სოციალისტური ბულგარეთის მშენებელი

1. სახალხო ხელისუფლების პირველი ღონისძიებების სულისჩამდგმელი

კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბულგარელ მშრომელთა მრავალწლიანი და სისხლისმღვრელი კლასობრივი ბრძოლების შემდეგ, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ სამამულო ფრონტის დროშის ქვეშ ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ხელმძღვანელობით, 1944 წლის 9 სექტემბერს დამხობილ იქნა ბურჟუაზიისა და მონარქიული ფაშიზმის ბატონობა. გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ძლევამოსილი საბჭოთა არმიის გადამწყვეტი დახმარების წყალობით, რომელიც იქცა ხალხთა განმათავისუფლებლად ფაშისტური უღლისაგან. გამოთავისუფლდა ბულგარეთის მშრომელი ხალხის რევოლუციური ძალები.

9 სექტემბრის შეიარაღებული აჯანყება იყო ერთ-ერთი უდიდესი, დიადი მოვლენა ბულგარელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. გამარჯვებით დამთავრდა მუშათა კლასისა და ქვეყნის ყველა მშრომელის მრავალწლიანი მძიმე ბრძოლა კაპიტალიზმისა და ფაშისტური დიქტატურის დამხობისათვის. 1944 წლის 9 სექტემბერს ერთიან ნაკადში მოექცა მშრომელთა შეიარაღებული ბრძოლა მონარქიული ფაშიზმის დიქტატურის წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, ანტიკაპიტალისტური კლასობრივი ბრძოლისათვის სოციალიზმის დასამყარებლად.

კაპიტალისტთა კლასი ჩამოაცილეს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომელიც გადავიდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ხელში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. თუმცა აჯანყება მიზნად ისახავდა ძირითადად დემოკრატიული ამოცანების გადაჭრას, ფაშიზმის ლიკვიდაციას, ხალხის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფას, იგი შემდგომ აღარ განვითარდებოდა, რომ არ გამოსულიყო ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებიდან. ამან შესაძლებელი გახადა სოციალიზმის მშენებლობა ბულგარეთში. ეს იყო 9 სექტემბრის შეიარაღებული აჯანყების ძირითადი თავისებურება.

იგი გახდა დასაბამი სოციალისტური რევოლუციისა, ახალი ეპოქისა ბულგარელი ხალხის განვითარებაში — სოციალიზმისა და კომუნიზმის ეპოქისა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ბულგარეთში 1944 წლის 9 სექტემბერს მიღწეულ იქნა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ხელმძღვანელობით, იგი ნათელ დადასტურებად იქცა მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკისა და ტაქტიკის სისწორისა, იყო შედეგი მისი უდიდესი გავლენისა და ავტორიტეტისა ბულგარელ ხალხს შორის; ეს იყო შედეგი პარტიის უნარისა, თავისი პოლიტიკური ხაზის ირგვლივ დაერაზმა ყველა ჯანსაღი დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალა ერისა, წაეყვანა ისინი გადამწყვეტ შტურმზე. როგორც გაგრძელებამ დიადი ოქტომბრისა და მისი უკვდავი იდეების ზეიმმა, 9 სექტემბერმა თავისი წვლილი შეიტანა გიგანტურ ორთაბრძოლაში მსოფლიოს კომუნისტური გარდაქმნისათვის.

სამამულო ფრონტში გაერთიანებული იყვნენ პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებანი, რომელთაც განსხვავებული პროგრამები ჰქონდათ. ისინი გამოხატავდნენ ბულგარელი ხალხის სხვადასხვა კლასებისა და კლასობრივი ფენების ინტერესებს. სწორედ ამან შეუწყო ხელი ორი პოლუსის ჩამოყალიბებას სამამულო ფრონტში — სოციალისტურისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულისა, რაც აისახა კიდეც სოციალისტური რევოლუციის განვითარების ტენდენციებში. აქ ერთმანეთს ებრძოდა სოციალისტური ტენდენცია, რომელიც დომინირებდა და ეკავა ხელმძღვანელი, მმართველი პოზიციები, და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, რომელიც სხვადასხვა გზებით ცდილობდა შეეფერხებინა სოციალისტური რევოლუციის განვითარება და შესაფერის საშინაო და საერთაშორისო პირობებში შეეჩერებინა კიდეც იგი.

სამამულო ფრონტის სოციალისტური ტენდენცია გამოხატავდა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის ძირითადი ნაწილისა და კუსტარების, აგრეთვე დემოკრატიულად, პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის ინტერესებს. ისინი მხარს უჭერდნენ ღრმა და თანმიმდევრულ დემოკრატიულ გარდაქმნებს ბულგარეთის საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში. სამამულო ფრონტში სოციალისტური ტენდენციის პოლიტიკური წარმომადგენლები იყვნენ ბულგარეთის მუშათა პარტია (კომუნისტებისა), ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირისა და ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ძალები. საგარეო პოლიტიკაში ისინი გეზს იღებდნენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე.

სამამულო ფრონტში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტენდენციის

მომხრენი გამოდიოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, შეზღუდული დემოკრატიული რეფორმების გატარებისათვის, რომლებიც არ სცილდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებს. ისინი ესწრაფოდნენ კერძო კაპიტალის ბატონობის და საერთოდ კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებას. მათ ძირითად სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა ბურჟუაზია, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძლიერ ეკონომიკურ საფუძვლებს. მათ ემხრობოდნენ აგრეთვე ქალაქისა და სოფლის (გლეხთა გარკვეული ნაწილი, ხელოსნები და ვაჭრები) „ბურჟუაზია, ინტელიგენციის ნაწილი. სამამულო ფრონტში ამ სოციალური ძალების პოლიტიკური წარმომადგენლები იყვნენ ბულგარეთის სამეწათმოქმედო სახალხო კავშირი, ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია, სახალხო კავშირის „რგოლის", რადიკალური პარტიის მემარჯვენე და ცენტრის ნაწილი, აგრეთვე „დამოუკიდებელი ინტელიგენტები". ეს ძალები ემხრობოდნენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ძალებს სამამულო ფრონტში აერთიანებდათ მისწრაფება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესრიგის დამყარებისაკენ, მისწრაფება—შეეფერხებინათ და შემდეგ სულაც შეეჩერებინათ წინსვლა ღრმა დემოკრატიული გარდაქმნებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ამიტომ იყო, რომ ისინი ასე მკაცრად ილაშქრებდნენ სახალხო ხელისუფლების განმტკიცების, ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ, გადამწყვეტი ღონისძიებების მიღების წინააღმდეგ ფაშისტური ელემენტებისადმი, სპეკულანტებისადმი, კაპიტალისტებისადმი.

1944 წლის 9 სექტემბერს, რთული საერთაშორისო მდგომარეობის ვითარებაში, როცა ჯერ კიდევ გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომი, ბულგარეთში მოხდა ძირეული ცვლილებები სახელმწიფო აპარატში; დაიწყო მშენებლობა ახალი, სოციალისტური სახელმწიფოსი. საბოლოოდ მოისპო ფაშისტური პოლიცია და ჟანდარმერია, დაიწყო ფორმირება სახალხო მილიციისა, როგორც სამამულო ფრონტის ხელისუფლების შეიარაღებული ძალებისა. პარტიამ და სახელმწიფომ არმია საკუთარ კონტროლსა და ხელმძღვანელობას დაუქვემდებარეს. პარალელურად დაიწყო რევოლუციური გარდაქმნები. არმიას სათავეში ჩაუდგნენ სამამულო ფრონტის საქმისათვის თავდადებული ანტიფაშისტები. სამამულო ფრონტის მთავრობამ აღადგინა სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, ორგანიზაციების თავისუფლება და სხვა. დაიშალა ყველა ფაშისტური ორგანიზაცია.

სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის პირველ ღონისძიებებთან ერთად ბულგარეთის მუშათა პარტია (კომუნისტებისა) შეუდგა თავისი

რიგების განმტკიცებას და ახალი ორგანიზაციების შექმნას. მან ფართო მუშაობა გაშალა თავისი წევრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის, მასებთან კავშირის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. მტკიცდება და ფართოვდება მუშათა ახალგაზრდული კავშირი, შექმნა იწყო ერთიანმა პროფესიულმა კავშირებმა და ა. შ.

ასე გადაწყდა პირველი და უშუალო ამოცანები სოციალისტური რევოლუციისა. ეს პარტიას შესაძლებლობას აძლევდა, განემტკიცებინა სამამულო ფრონტის მოძრაობა და სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება ქცეულიყო ქვეყნის გადამწყვეტ პოლიტიკურ ფაქტორად.

გ. დიმიტროვმა იმავე დღეს მიიღო ცნობა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შესახებ ბულგარეთში. და მაშინვე გაგზავნა დეპეშა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის სახელზე. იგი ურჩევდა პარტიის ხელმძღვანელობას, განემტკიცებინა თავისი ორგანოები ცენტრში და ადგილებზე, ამასთანავე, სამამულო ფრონტის ეროვნულ კომიტეტთან ერთად უფრო აქტიურად გაეშალა მუშაობა მშრომელთა შესაკავშირებლად და სამამულო ფრონტის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად. იმ დაძაბულ დღეებში დიმიტროვი ხელმძღვანელობდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს რამდენიმე სხდომას, რომლებზეც დაზუსტდა პარტიის პოზიცია ზოგიერთი პოლიტიკური საკითხის თაობაზე. იმავე ხანებში მან ჩაატარა თათბირი რადიოსადგურ „ხრისტო ბოტევის“ ხელმძღვანელობასთან, რათა გარკვეულიყო მისი როლი ახალ ვითარებაში.

11 სექტემბერს ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა ახალი დეპეშა, რომელშიც მიუთითებდა, რომ აუცილებელი იყო სახალხო სასამართლოების შექმნა ფაშისტი დამნაშავეების დასასჯელად. დაუყოვნებლივ მიიღეთ ღონისძიებანი, სწერდა ის, ქვეყანაში მკაცრი დემოკრატიული წესრიგისა და დისციპლინის დამყარებისათვის პროვოკატორებისა და მესაბოტაჟეების ასალაგმავად. გაითვალისწინეთ, მოაგონებდა დიმიტროვი, რომ ფაშისტური რეაქცია ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი, ხოლო გერმანელები ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ბალკანეთში.

სექტემბრის ბოლოს მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი დიმიტრი განევი. დიმიტროვს ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბრები, მიიღო დაწვრილებითი ინფორმაცია სამამულო ფრონტის მთავრობის პირველი ღონისძიებების, ასევე პარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ, გ. დიმიტროვმა დასახა რიგი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პარტიის

ტაქტიკას, პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციასა და შემადგენლობას.

1944 წლის 24 სექტემბერს დიმიტროვი ყურადღებით გაეცნო ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციას კომუნისტების — მთავრობის წევრების მუშაობის შესახებ. მან მოიწონა მათი საქმიანობა და საჭიროდ მიიჩნია ყურადღება გაემახვილებინა იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ეკისრებოდა პარტიას, როგორც მმართველ პარტიას, ბულგარელი ხალხის წინაშე. მან მიუთითა აგრეთვე იმის აუცილებლობაზე, რომ გატარებულიყო რეალური ლენინური პოლიტიკა, განმტკიცებულიყო საბრძოლო კავშირი სამამულო ფრონტში შემავალ ყველა ანტიფაშისტურ და დემოკრატიულ ძალასთან საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახალი, დემოკრატიული ბულგარეთის შესაქმნელად.

1944 წლის 28 სექტემბრის წერილში ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტისადმი დიმიტროვმა გამოხატა ღრმა კმაყოფილება პარტიის მუშაობით 9 სექტემბრის შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციასა და ჩატარებასთან დაკავშირებით. იგი კომუნისტებს ურჩევდა, მუდამ დაეცვათ აუცილებელი ტაქტი და ფხიზლად შეეფასებინათ საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, ნათლად გაეთვალისწინებინათ კლასობრივ და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ქვეყანაში. ბულგარეთის მუშათა პარტიას (კომუნისტებისა) არ უნდა გამოეტოვებინა სოციალიზმისათვის ბრძოლის ეტაპები, გადაეწყვიტა ყველაზე გადაუდებელი და მომწიფებული პოლიტიკური თუ სამეურნეო ამოცანები. პირველ რიგში, თვლიდა დიმიტროვი, საჭირო იყო დახმარება ფაშიზმის საბოლოოდ გასანადგურებლად. ამ მთავარ ამოცანას უნდა დაქვემდებარებოდა დანარჩენი ამოცანები, პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობა. „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვებისათვის, გერმანელ ბოროტმოქმედებსა და მონათმფლობელებზე საბოლოო გამარჯვებისათვის“ — ასეთი იყო მთავარი ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა დიმიტროვმა ბულგარელი ხალხის წინაშე. ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო იყო პარტიის, სამამულო ფრონტის, მისი მთავრობისა და ქვეყნის სამეურნეო რესურსების მთელი ძალების მობილიზაცია.

ახალ პირობებში, კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გ. დიმიტროვი მიუთითებდა, რომ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება სამამულო ფრონტის ერთიანობის მუდმივ განმტკიცებას. იმ მომენტში იგი ერთადერთ სწორ პოლიტიკურ გეზად თვლიდა „თვით სამამულო ფრონტის განმტკიცებას, როგორც ერთადერთი მძლავრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორისა ჩვენს

ქვეყანაში, როგორც საბრძოლო კავშირისა ჩვენი ხალხის ქეშმარიტად ეროვნული, სახალხო-დემოკრატიული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალებისა. სამამულო ფრონტისა და მისი რევოლუციური მოძრაობის გარეშე შეუძლებელი იყო 9 სექტემბრის გამარჯვება. მაგრამ სამამულო ფრონტის განმტკიცების გარეშე ასევე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა ომის ძლევამოსილ დაგვირგვინებაშიც და ბულგარეთისათვის მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფაც"[1].

თუმცა დიმიტროვი სამშობლოდან შორს იმყოფებოდა, იგი ყურადღებას არ აკლებდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ორგანიზაციულ მშენებლობას და ზრდას, დაინტერესებული იყო პარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკური მდგომარეობის უმნიშვნელო დეტალებითაც კი. დიმიტროვი პარტიის ხელმძღვანელობას ურჩევდა ყველა საკითხი გადაეწყვიტა ლენინური სიბრძნითა და საქმის ცოდნით, განემტკიცებინა და გაეფართოვებინა კავშირი მშრომელებთან, განუწყვეტლივ ეზრუნა საკუთარ გამობრძმედაზე მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, ცენტრალური კომიტეტისათვის დახმარების მიზნით, დიმიტროვმა ბულგარეთში გაგზავნა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) უცხოეთის ბიუროს ზოგიერთი წევრი.

დიმიტროვი დიდად ზრუნავდა მუშათა ახალგაზრდული კავშირის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ამასთანავე, იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დიდად საპასუხისმგებლო ამოცანათა შესრულებისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და ახალი ბულგარეთის აშენებაში ახალგაზრდობას ესაჭიროება ერთიანი, მებრძოლი, პროგრესული, ანტიფაშისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია. დიმიტროვი მიუთითებდა, რომ მუშათა ახალგაზრდული კავშირი უნდა იქცეს ბულგარეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის გაერთიანების პიონერად და ორგანიზატორად. მან კონკრეტულად მიუთითა ბავშვთა პიონერული ორგანიზაციის „სეპტემვრიიჩეს" („სექტემბრელის") ამოცანებზე, სტრუქტურასა და მუშაობის ფორმებზე.

ბულგარეთის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით პარტიამ და სამამულო ფრონტის მთავრობამ 9 სექტემბრის სახალხო შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ დარაზმა მთელი ხალხი ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ სამამულო ომში. ეს ომი დაიწყო 1944 წლის 9 სექტემბრის აჯანყების დროსვე, როცა გერმანელი ჯარები ემუქრებოდნენ ბულგარეთის დასავლეთ საზღვრებს.

მაგრამ სამამულო ომში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის ბულ-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, 1957, გვ. 38 (რუსულ ენაზე).

გარეთის არმიას ესაჭიროებოდა გარდაქმნა და განახლება. აქედან გამომდინარე, დიმიტროვი ჯერ კიდევ 1944 წლის 11 სექტემბერს სწერდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალურ კომიტეტს, რომ საჭირო იყო არმიის წმენდა ფაშისტი მეთაურებისაგან, მათი შეცვლა სამამულო ფრონტის საქმისათვის თავდადებული ოფიცრებით, არმიაში საგანმანათლებლო-პოლიტიკური მუშაობის გაშლა მისი ძირითადი შემადგენლობის ხელახალი აღზრდისათვის და ა. შ.

ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა დიმიტროვის დროული რეკომენდაციები და შეუდგა მის განხორციელებას. არმიაში შემოიღეს მეთაურის მოადგილის ინსტიტუტი პოლიტიკური მუშაობის დარგში, მოხდა ოფიცერთა შემადგენლობის წმენდა, მას შეუერთდა პარტიზანული რაზმები. ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალურმა კომიტეტმა ხალხს მიმართა მოწოდებით, მოეკრიბათ ძალები სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრებისათვის. ფრონტზე წავიდა ათასობით მოხალისე, ქვეყანაში გაიშალა მასობრივი მოძრაობა ფრონტისათვის დახმარების გასაწევად.

ამ პერიოდში გ. დიმიტროვი შეხვდა საბჭოთა ხელმძღვანელებს იმასთან დაკავშირებით, რომ მზადდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ბულგარეთსა და, მეორე მხრივ, სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. მას ხანგრძლივი საუბრები ჰქონდა აგრეთვე ბულგარეთის მთავრობის დელეგაციასთან, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა ზავის საკითხებზე მოსალაპარაკებლად. ასე, დიმიტროვის დახმარებითა და საბჭოთა მთავრობის თანადგომით ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რაც სამამულო ფრონტის მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური წარმატება იყო.

გ. დიმიტროვი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბულგარეთის არმიის საბრძოლო მოქმედებას. მას არაერთხელ მიუმართავს მისალმებით მებრძოლებისა და მეთაურებისათვის, სადაც აღნიშნავდა მათ უმაგალითო მამაცობას ჰიტლერულ ჯარებთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში. როგორც დეპეშებში, ისე პირად საუბრებში არმიის ხელმძღვანელობასთან დიმიტროვი დაბეჯითებით მოითხოვდა სამხედრო ოსტატობის ამაღლებას, სისტემატურ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის, სამამულო ფრონტის მომხრე საკმარისად კვალიფიცირებული საოფიცრო კადრების მომზადებას.

1945 წლის 24 ივნისს დიმიტროვი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმიდან ესალმებოდა გმირი ბულგარული სახალხო არმიის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გამარჯვების პარადში.

თავის ბინაში მან მიიღო ბულგარელ გენერალთა და ოფიცერთა ჯგუფი, რომელსაც დიდხანს და გულითადად ესაუბრა. მათ განიხილეს ჯარის წინაშე მდგარი ამოცანები, შეეხნენ ბულგარეთის ნათელ მომავალს.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1945 წლის 27 ივნისს დიმიტროვი დააჯილდოვა უმაღლესი საბჭოთა ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ამ ორდენის მინიჭებით საბჭოთა მთავრობამ გამოხატა მადლიერების გრძნობა დიმიტროვის მიმართ ფაშიზმის წინააღმდეგ მრავალწლიანი ბრძოლისათვის.

გ. დიმიტროვი, ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტი და სამამულო ფრონტის მთავრობა არა მარტო ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის მორალური და მატერიალური ძალების მობილიზაციისათვის სამამულო ფრონტის წარმატებით დასამთავრებლად, არამედ სახალხო-დემოკრატიული წყობილების განსამტკიცებლადაც, რათა ჩაეშალათ რეაქციის რესტავრატორული გეგმები. თავის რეკომენდაციებში სახალხო სასამართლოს მუშაობის თაობაზე დიმიტროვი მიუთითებდა ბულგარელი ხალხის ჯალათებისათვის ღირსეული სასჯელის გამოტანის აუცილებლობაზე. მან ენერგიული საქმიანობა გააჩაღა ბურჟუაზიის გეგმების ჩაშლისათვის, რომლის მიზანი იყო კაპიტალიზმის რესტავრაცია.

სამამულო ფრონტში შემავალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალები, დაშინებულნი ფაშიზმის ლიკვიდაციისათვის რევოლუციური ბრძოლით, ახალი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნით, ასევე მშრომელთა კაპიტალისტური ექსპლოატაციის შეზღუდვით (როცა სულ უფრო აშკარად დგებოდა საკითხი ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების შემდგომი ბედის შესახებ), ჯერ გაუბედავად. შემდეგ კი სულ უფრო და უფრო აშკარად ემუქრებოდნენ ფრონტის ერთიანობას. მათ ამ მოქმედებას მარჯვედ აშუქებდნენ და აქეზებდნენ როგორც ბულგარეთის, ისე ინგლისისა და ამერიკის რეაქციული წრეები.

რეაქცია, რომელიც ვერ ბედავდა სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ უშუალო პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას, ინგლის-ამერიკული იმპერიალისტური წრეების მხარდაჭერით ცდილობდა გამოეყენებინა სამამულო ფრონტის მემარჯვენე ძალები თავისი ანტიხალხური მიზნების განსახორციელებლად. გაიშალა კულისებსმიღმა კამპანია კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, საბოტაჟი ეწეოდა მთავრობის ღონისძიებებს, იყო ცდები — ხელი აეღებინებინათ ბულგარელი ხალხისათვის სამამულო ომში მონაწილეობაზე და დაეშალათ სამამულო ფრონტი. ყველაზე თავხედური აქტი იყო იმის ცდები, რომ პასუხისმ-

გებლობისაგან გაენთავისუფლებინათ დამნაშავე ფაშისტი ოფიცრები, რათა მათგან შეექმნათ შეიარაღებული დასაყრდენი სამამულო ფრონტის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც დიმიტროვმა შეიტყო რეაქციის მზაკვრული გეგმები, მან 1944 წლის 27 ნოემბერს გაგზავნილ დეპეშაში ბულგარეთის მუშათა პარტიას, (კომუნისტებისა) ცენტრალურ კომიტეტს ურჩია ეცადა პროვოკაციული განხეთქილების თავიდან აცილება სამამულო ფრონტში, გამოეჩინა მაქსიმალური მოქნილობა და მანევრირება მოკავშირეებთან ურთიერთობაში. ახლა, აღნიშნავდა დიმიტროვი, აუცილებელია თავიდან ავიცილოთ მთავრობის კრიზისი, რითაც ჩავშლით საშინაო და საგარეო რეაქციის გეგმებსო.

ითვალისწინებდა რა დიმიტროვის რჩევას, პარტიამ გამოააშკარავა რეაქციის მანევრები და მოუწოდა მშრომელებს გამთიშველებთან ბრძოლისაკენ, სამამულო ფრონტის ერთიანობის განმტკიცებისაკენ. ხალხის მასების მოთხოვნით მთავრობამ გააუქმა ეგრეთ წოდებული დადგენილება № 4, რომელიც მიღებულ იქნა 23 ნოემბერს კომუნისტი მინისტრების არყოფნისას. ეს დადგენილება შესაძლებლობას აძლევდა ფაშისტ ოფიცრებს, თავი აერიდებინათ ხალხის შურისძიებისათვის. ბულგარეთის მუშათა პატრიამ (კომუნისტებისა) გამოააშკარავა რეაქციონერები და გამთიშველები, მან შეძლო ჩაეშალა მათი ანტიხალხური გეგმები და კიდევ უფრო განემტკიცებინა სამამულო ფრონტი.

გ. დიმიტროვის მეთაურობით წარმოებულ პარტიის ბრძოლაში ხელმძღვანელი როლისათვის რეაქციის რესტავრატორული საქმიანობის წინააღმდეგ და სახალხო ფრონტის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვან მომენტად იქცა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის VIII გაფართოებული პლენუმი, რომელიც გაიმართა 1945 წლის 27—28 თებერვალსა და 1 მარტს. დიმიტროვმა დიდი დახმარება გაუწია პარტიის ხელმძღვანელობას პლენუმის მომზადებაში. მან მიუთითა, რომ პარტიამ უნდა გამოიჩინოს უმკაცრესი სიფხიზლე სამამულო ფრონტის მტრების მიმართ, გააძლიეროს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა და სხვა. მან აღნიშნა პარტიის უდიდესი პასუხისმგებლობა ბულგარელი ხალხის წინაშე და ის სიძნელენი, რომლებიც მომავალში უნდა დაძლეულიყო. VIII გაფართოებულმა პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა გ. დიმიტროვის ხელმძღვანელობით.

გ. დიმიტროვმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამამულო ფრონტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას, მის ერთიანობას რეაქციული ძალების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალურ კომი-

ტეტს წინადადება მისცა მოეწვიათ სამამულო ფრონტის კომიტეტების I კონგრესი. მისი რწმენით, კონგრესს ხელი უნდა შეეწყო სამამულო ფრონტის ავტორიტეტის განმტკიცებისა და ამაღლებისათვის.

ეს საკითხი დიმიტროვმა განიხილა მოსკოვში ჩამოსულ ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობდა ძისი მდივანი ტრაიჩო კოსტოვი. დიმიტროვის ხელშეწყობით დელეგაცია შეხვდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ხელმძღვანელებს და საბჭოთა მთავრობის წევრებს, რამაც დიდი როლი შეასრულა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხაზის გამომუშავებაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

სამამულო ფრონტის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლასა და მემარჯვენე რეაქციული ძალების განადგურების საქმეში დიდი როლი შეასრულა პარლამენტის არჩევნებმა, რომელიც დანიშნული იყო 1945 წლის 25 აგვისტოს. ამ ღონისძიებისათვის მზადება მიმდინარეობდა ბულგარეთის მუშათა პარტიისა (კომუნისტებისა) და სამამულო ფრონტის ჯანსაღი ძალების გადამწყვეტი პოლიტიკური შეტევის ნიშნით ხალხის მტრების წინააღმდეგ. სახალხო ერთიანობის ნიღაბახდილმა გამთიშველებმა, რეაქციულმა ელემენტებმა, რომლებიც სამამულო ფრონტში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ძალებს წარმოადგენდნენ, მოახდინეს ძალების გადაჯგუფება და გაერთიანდნენ ოპოზიციის ლიდერების — ნიკოლა პეტკოვის, კოსტა ლულჩევის და სხვათა ირგვლივ. ისინი განცალკევდნენ პოლიტიკური ოპოზიციის სახით და გაშალეს სისტემატური, აქტიური ბრძოლა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ. ოპოზიციურმა ბლოკმა, რომლის შენადგენლობაში შევიდა ბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიაც, ძირითადი დარტყმა მიმართა სამამულო ფრონტის საფუძვლის — მუშათა და გლეხთა ერთიანობის წინააღმდეგ.

ამ უკიდურესად რთულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში გ. დიმიტროვი სათავეში ჩაუდგა პარტიის ბრძოლას ყველა პროგრესული და დემოკრატიული ძალის დარაზმვისათვის, სამამულო ფრონტისა და სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების განმტკიცებისათვის. როცა ოპოზიციამ მიაღწია მთავრობის კრიზისს, გ. დიმიტროვმა ურჩია ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალურ კომიტეტს, მოთმინებით ეწარმოებინა მოლაპარაკება მათ წარმომადგენლებთან, ხოლო როცა ეს მოლაპარაკებაც ჩაიშალა, კვლავ მისი რჩევით, გადაწყვიტეს დამოუკიდებლად დაეშვათ ოპოზიცია არჩევნებში და გამოეყენებინათ საარჩევნო კამპანია მის გამოსააშკარავებლად. დიმიტროვი პარტიას მოუწოდებდა სიმტკიცის შენარჩუნებისაკენ, რათა

ამ დიდი პოლიტიკური ბრძოლის პირობებში ყოფილიყო დარაზმული, „ძლევამოსილად შემტევი პოლიტიკური ძალა“. დიმიტროვი მისთვის დამახასიათებელი რევოლუციური ოპტიმიზმით წერდა, რომ კომუნისტები ამ შემთხვევაში გაუძლებენ ყველა გამოცდას და მოიგებენ ბრძოლას „მიუხედავად საშინელი სიძნელეებისა, სულმდაბლობისა და ვერაგობისა ჩვენი მტრების მხრივ“.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილებში გ. დიმიტროვმა ნათელყო ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობდა კონტრევოლუციურ ოპოზიციასა და სამამულო ფრონტში დარჩენილ მემარჯვენე ელემენტებს შორის. მან წამოაყენა ამოცანა — არ დაეშვათ ერთიანი ანტიკომუნისტური ბლოკის შექმნა. ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მას დიდი ჯაფა გადახდა, რათა ფარდა აეხადა ინტრიგებისათვის და მოეგერიებინა უხეში დაწოლა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების მხრივ, რომლებიც მოითხოვდნენ არჩევნების გადადებას.

მოვლენების განვითარება ბულგარეთში სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდა სამშობლოში დიმიტროვის სასწრაფო დაბრუნებას, რათა ადგილზე უშუალოდ ჩასდგომოდა სათავეში სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლას. 1945 წლის 21 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა დიმიტროვი დეპუტატის მოვალეობის შესრულებისა და საბჭოთა მოქალაქეობისაგან ბულგარეთის სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატად მის წამოყენებასთან დაკავშირებით. სამშობლოში დაბრუნების წინ დიმიტროვმა დაუფასებელი წვლილი შეიტანა ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაში, აგრეთვე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური კავშირების პერსპექტივების გარკვევაში. როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და საკავშირო კომუნიტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების გამგე, დიმიტროვი უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მუშათა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, კონკრეტულ დახმარებას უწევდა მას. დიდად დაეხმარა იგი იმ პერიოდში გერმანიის კომუნისტურ პარტიას. ვ. ულბრიხტთან და ვ. პიკთან ერთად დიმიტროვი იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიც იყო მუშაობა გერმანელ სამხედრო ტყვეებთან საბჭოთა კავშირში, არალეგალური ანტიფაშისტური რადიოსადგურების გადაცემათა ხარისხი, ეროვნულ კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ მდგომარეობა და საქმიანობა. გარდა ამისა, იგი მონაწილეობდა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგი ძირი-

თადი დოკუმენტების შემუშავებაში დემოკრატიული და თავისუფლ-ებისმოყვარე გერმანიის შექმნის თაობაზე.

„ჯერ კიდევ 1944 წლის გვიანი შემოდგომით, — წერდა თავის მოგონებებში ამბ. ვ. ულბრიხტი, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანხმობითა და მხარდაჭერით გ. დიმიტროვმა წინადადება წამოაყენა შეემუშავებინათ პროგრამა ახალი, დემოკრატიული გერ-მანიის მშენებლობისა. დიმიტროვის მოწოდებას, რომელიც ჩამოყა-ლიბებული იყო მის გამოსვლაში ნაცისტური სასამართლოს წინაშე ლაიფციგში, გამოეხმაურნენ გერმანიის პროგრესული ძალები: ქვეყ-ნის მუშათა კლასის ავანგარდი მშრომელ გლეხობასა და დემოკრა-ტიულად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად იბრძოდა იმისათვის, რომ ყოფილიყო არა გრდემლი, არამედ ურო“[1].

გ. დიმიტროვი ხშირად ხვდებოდა და ესაუბრებოდა კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებს: მ. ტორეზს (საფრანგეთი), დ. იბარურის (ესპანეთი), პ. ტოლიატს (იტალია), ი. კოპლენიგს (ავსტრია), კ. გოტ-ვალდს (ჩეხოსლოვაკია), გ. გეორგიუ დეჟს (რუმინეთი), ასევე პოლო-ნეთის, უნგრეთის კომპარტიების ხელმძღვანელებს და ა. შ. იგი ეხმარე-ბოდა მათ, გაერკვიათ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის ზოგიერთი ძირითადი საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. დიმიტროვმა თავისი წვლილი შეიტანა მოძმე პარტიების მიერ სწორი მარქსისტულ-ლენინური გე-ზის შემუშავების საქმეში ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობ-ლემებზე, როგორიცაა ომის შემდეგ კომუნისტების მუშაობა ბურ-ჟუაზიულ-დემოკრატიულ მთავრობებში, მასობრივი კომუნისტური პარტიების შექმნა, ბრძოლა ფაშიზმის ძირფესვიანად ამოგდებისათვის და სხვა.

გ. დიმიტროვი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლასაც. მან მნიშვნელო-ვანი დახმარება გაუწია მას ამ ბრძოლაში თავისი რჩევითა და რე-კომენდაციებით ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავების თაობაზე. ამასთანავე, ყურადღებას არ აკ-ლებდა საერთაშორისო პროფკავშირულ, ახალგაზრდულ და ქალთა დემოკრატიულ მოძრაობას. მის სახელთან უშუალოდ დაკავშირე-ბულია პროფესიული კავშირების მსოფლიო ფედერაციის, საერთაშო-რისო ახალგაზრდული დემოკრატიული მოძრაობის მთავარი დოკუ-მენტების შემუშავება, ასევე დოკუმენტისა, რომელიც ეხება ყველა დემოკრატიული და ანტიფაშისტურად განწყობილი ძალის ბრძოლას მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

---

[1] მოგონებანი გიორგი დიმიტროვზე, ტ. 2, გვ. 133—134 (ბულგარულ ენაზე).

გ. დიმიტროვი ბულგარეთში დაბრუნდა გაცხარებული წინასაარჩევნო ბრძოლის დროს, 1945 წლის 4 ნოემბერს. იმავე საღამოს და მეორე დღეს იგი ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან ერთად იხილავდა პოლიტიკურ მდგომარეობას ქვეყანაში და პარტიის ამოცანებს.

ცნობა დიმიტროვის დაბრუნების შესახებ ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. ხალხი მას არნახული სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდა. 6 ნოემბერს გ. დიმიტროვი ესწრებოდა სახალხო თეატრში გამართულ საზეიმო სხდომას, მიძღვნილს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისადმი. მას მხურვალე შეხვედრა მოუწყო ხალხმა. გაისმოდა შეძახილები: „ეაშ!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგო დიმიტროვო!“ სხდომაზე დიმიტროვმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა. „ოცდაორი წელი გავიდა მას შემდეგ, — მღელვარედ ლაპარაკობდა დიმიტროვი, — რაც მე ფეხი არ დამიდგამს ბულგარეთის მიწაზე. ეჭვი არ შეგეპაროთ იმაში, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, სადაც უნდა ვყოფილიყავი, რაც უნდა მეკეთებინა, არასოდეს, ერთი წამითაც არ მავიწყდებოდა ჩემი, ბულგარელი ხალხი, ფიქრი და ზრუნვა მასზე, მის ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე“[1]. ის დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირზე, რუს ხალხზე — განმათავისუფლებელზე. დიმიტროვი შეეხო აგრეთვე სამამულო ფრონტის ერთიანობას და ოპოზიციის ვერაგულ საქმიანობას. დასასრულ მან მოუწოდა ხალხს, ხმა მიეცა სამამულო ფრონტის კანდიდატებისათვის.

მომდევნო დღეებში დიმიტროვი იღებდა მრავალრიცხოვან წერილებსა და დეპეშებს. მშრომელების ბულგარეთი გულითადად ესალმებოდა მას ტრადიციული ფორმით — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ იგი გამოხატავდა მზადყოფნას, დიმიტროვის ხელმძღვანელობით გაენადგურებინა ბურჟუაზიული რეაქცია და უზრუნველეყო საკუთარი კეთილდღეობა. დიმიტროვის სიტყვამ მეტი რწმენა შემატა სამამულო ფრონტის რიგებს, სტიმული მისცა ხალხს კიდევ უფრო შეუპოვარი ბრძოლისათვის წინასაარჩევნო კამპანიაში.

სახალხო კრების არჩევნებში, რომელიც დასავლეთის წრეების გავლენით 1945 წლის 25 აგვისტოდან გადატანილ იქნა 18 ნოემბერს, საარჩევნო სიის თავში ბულგარეთის დედაქალაქში ეწერა გ. დიმიტროვი. წინასაარჩევნო დღეებში მან გააჩაღა აქტიური პოლიტიკური

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 11, გვ. 286 (ბულგარულ ენაზე).

მოღვაწეობა. 15 ნოემბერს მან სახალხო თეატრში წარმოთქვა ვრცელი წინასაარჩევნო სიტყვა. მისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტითა და დამჯერებლობით გამოააშკარავა დიმიტროვმა ოპოზიციის ანტიხალხური და კონტრრევოლუციური არსი, ხაზი გაუსვა იმას, რომ ქვეყნისა და მთელი ბულგარელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების განმტკიცებას, პარლამენტს, თავისუფლად არჩეულს ხალხის მიერ. ბოლოს გ. დიმიტროვმა კვლავ მოუწოდა ყველა მშრომელს, ხმა მიეცათ სამამულო ფრონტის კანდიდატებისათვის.

არჩევნების შედეგებმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაადასტურა, რომ ბულგარელი ხალხის დიდი უმრავლესობა მტკიცედ დგას 9 სექტემბრის რევოლუციის პოზიციებზე და მზად არის მტკიცედ დაიცვას ის. ამგვარად, კიდევ უფრო განმტკიცდა სამამულო ფრონტის რიგები, გაძლიერდა ბულგარეთის საშინაო და საგარეო პოზიციები. პირველი სახალხო კრების წინ დიმიტროვის თავმჯდომარეობით გაიმართა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი, რომელმაც შეაჯამა საარჩევნო კამპანიის შედეგები და დასახა პარტიის შემდგომი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი. პლენუმმა განიხილა აგრთვე ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) საპარლამენტო ჯგუფის ორგანიზაციისა და მუშაობის საკითხები სახალხო კრებაში. საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. დიმიტროვი.

1945 წლის 25 დეკემბერს დიმიტროვმა წარმოთქვა თავისი პირველი პოლიტიკური სიტყვა სამამულო ფრონტის პარლამენტში. მან დაახასიათა ის დიდი ეროვნული ამოცანები, რომლებიც უნდა გადაეჭრა ბულგარელ ხალხს —სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება, საძულველი კობურგების მონარქიის ლიკვიდაცია, სახალხო რესპუბლიკის შექმნა და სხვ.

XXVI ჩვეულებრივი სახალხო კრების დეპუტატად გახდომის შემდეგ დიმიტროვმა გაშალა ენერგიული საქმიანობა. მისი წინადადებით, გარკვეული ცვლილება იქნა შეტანილი მინისტრთა საბჭოსა და ზოგიერთი სამინისტროს სტრუქტურასა და მუშაობაში. თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი კანონი, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების განმტკიცებისათვის (როგორიცაა კანონი ქონების კონფისკაციისა, რომელიც შეძენილია სპეკულაციით და სხვა კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით, კანონი მიწის შრომითი საკუთრების შესახებ — აგრარული რეფორმა და სხვ.), მომზადდა დიმიტროვის უშუალო მონაწილეობით. მისი ხელმძღვანელობით ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) და სამამულო ფრონტის

ხელისუფლება საკანონმდებლო წესით გადამწყვეტ შეტევაზე გადადის კაპიტალისტების კლასის წინააღმდეგ.

სახალხო ხელისუფლების მიერ გატარებულმა გაბედულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გააძლიერა წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა და წინააღმდეგობა ბურჟუაზიის მხრივ. ამის საფუძველზე, აგრეთვე იმპერიალისტური ძალების აქტიური დახმარებით ფორმირება იწყო ანტიკომუნისტურმა ბლოკმა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ოპოზიციური პარტიები, ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ძალები და მემარჯვენე ელემენტები, ჯერ კიდევ შემავალნი სამამულო ფრონტში. ამიტომ 1946 წლის დასაწყისში ბულგარეთის მუშათა პარტიამ (კომუნისტებისა) დიმიტროვის ხელმძღვანელობით განავითარა შეუპოვარი პოლიტიკური შეტევა, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი სამხედრო კონტრრევოლუციური გადატრიალება. ტრ. კოსტოვთან, ვ. კოლაროვთან და გ. დამიანოვთან ერთად დიმიტროვი რამდენჯერმე ესაუბრა სამხედრო მინისტრს, გენერლებსა და ოფიცრებს, რომლის დროსაც მოითხოვდა არმიის ოფიცერთა შემადგენლობის დაუყოვნებლივ განახლებას. ამავე თემაზე მსჯელობდა იგი თავის გამოსვლაში სამხედრო სასწავლებლის ოფიცრებისა და კურსანტების წინაშე. გ. დიმიტროვი იყო ინიციატორი იმ კანონისა, რომლის საფუძველზეც წესდებოდა კონტროლი არმიასა და მის ხელმძღვანელობაზე. მის შესაბამისად 1946 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა ოფიცერთა შემადგენლობის წმენდა. ასე იქნა აღკვეთილი ბურჟუაზიული რეაქციისა და ანტიხალხური ოპოზიციის კონტრრევოლუციური ზრახვანი, მოგებულ იქნა კიდევ ერთი მძიმე და გადამწყვეტი ბრძოლა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში.

დიმიტროვის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიკვეთა ბულგარეთის სახალხო არმიის სახალხო-დემოკრატიული ხასიათი. იგი შემდგომშიც დიდ ყურადღებას უთმობდა ჯარის განმტკიცებისა და განვითარების საქმეს. დიმიტროვი ზრუნავდა იმაზეც, რომ იგი აღჭურვილიყო საუკეთესო თანამედროვე საბჭოთა იარაღით, ნიადაგ შეესწავლა საბჭოთა არმიის მდიდარი საბრძოლო გამოცდილება. ჯარისკაცებთან და მეთაურებთან შეხვედრისას იგი მუდამ ხაზს უსვამდა იმის აუცილებლობას, რომ სრულყოთ სამხედრო ოსტატობა, აემაღლებინათ პოლიტიკური მომზადების დონე, რათა არმია ყოველწამს ყოფილიყო მზად სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

რთულ, დაძაბულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში, როცა პარტია შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა ჯარის განახლებისათვის, გაიშალა პოლიტიკური კამპანია მონარქიის ლიკვიდაციისა და არჩევნების მომზადებისათვის დიდ სახალხო კრებაში. ამ კამპანიას ჰქონდა განსაკუთ-

რებით დიდი მნიშვნელობა რეაქციული ძალებისათვის ახალი მძლავრი დარტყმის მისაყენებლად და იქცა სტიმულად სოციალისტური რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის.

მონარქიის ინსტიტუტის ლიკვიდაციისა და დიდ სახალხო კრებაში არჩევნებისათვის მზადების საკითხი პირველად დააყენა გ. დიმიტროვმა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1946 წლის 16 ივლისს. ამ საკითხზე იგი ესაუბრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კიმონ გეორგიევს; პარტიის პოზიცია გააშუქა მან აგრეთვე სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის სხდომაზე. სპეციალური კომისია დიმიტროვის ხელმძღვანელობით შეუდგა კანონპროექტის მომზადებას. სახალხო კრებაში კანონპროექტის შეტანისას დიმიტროვი ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) საპარლამენტო ჯგუფის სახელით გამოვიდა დეკლარაციით. სადაც დახასიათებული იყო სახალხო რესპუბლიკა, რისთვისაც იბრძოდა პარტია.

ეს უნდა ყოფილიყო „ისეთი სახალხო რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფდა აუცილებელ მატერიალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და მორალურ გარანტიას შავბნელი და სამარცხვინო წარსულისაკენ დაბრუნების წინააღმდეგ; ისეთი სახალხო რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას სულ წინ და წინ; ისეთი სახალხო რესპუბლიკა, სადაც ადგილი არ ექნებოდა მტაცებლურ, სპეკულანტურ, პარაზიტულ კაპიტალს. სადაც არ იქნებოდნენ მუქთახორები, სპეკულანტები, მძარცველები და ხალხის მჩაგვრელები...[1].

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) საპარლამენტო ჯგუფის დეკლარაციაში განმარტებული იყო აგრეთვე მომავალი დიდი სახალხო კრების ამოცანები; ამ უკანასკნელს უნდა შეემუშავებინა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც დაიცავდა ხალხის მონაპოვრებს კაპიტალიზმისა და ფაშიზმის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში, უზრუნველყოფდა ქვეყნის შემდგომ პროგრესულ განვითარებას.

ხალხისა და პარტიის მიერ რესპუბლიკისათვის რეფერენდუმის კამპანიის ჩატარების პერიოდში მნიშვნელოვან მომენტად იქცა გამოქვეყნება დიმიტროვის სტატიისა „სამი დიდი ეროვნული ამოცანა“. მასში მითითებული იყო, რომ სამამულო ფრონტის მთავრობის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: სამართლიანი და ღირსეული მშვიდობის მიღწევა, მონარქიის ლიკვიდაცია, დიდი სახალხო კრების არ-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 2, სოფია, 1954, გვ. 126 (ბულგარულ ენაზე).

ჩევა, რომელიც მიიღებს ახალ კონსტიტუციას. დიმიტროვის რწმენით, ამ ამოცანათა განხორციელებისათვის აუცილებელი იყო მტკიცე ანტიფაშისტური ერთიანობა.

პარტიის პოლიტიკური ხაზის განსაზღვრისათვის შომავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში 1946 წლის 9—10 აგვისტოს გაიმართა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტურისა) ცენტრალური კომიტეტის X პლენუმი, რომელზეც ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ საფუძვლიანი მოხსენებით გამოვიდა გ. დიმიტროვი. მომხსენებელმა გამოააშკარავა მსოფლიო იმპერიალისტური რეაქციის ხრიკები ატომური ბომბის გაბუქების საშიშროებისა და საერთაშორისო ვითარების გამწვავების შესახებ. ქვეყნის საშინაო მდგომარეობის დახასიათებისას დიმიტროვმა მიუთითა პარტიისა და სამამულო ფრონტის მიერ კიდევ უფრო მტკიცე და შეუპოვარი შეტევის განხორციელების აუცილებლობაზე რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

1946 წლის 8 სექტემბერს ბულგარელი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა კობურგების მონარქიის წინააღმდეგ, სახალხო რესპუბლიკას. იმ დღეს დიმიტროვი იმყოფებოდა აღტაცებულ თანამემამულეებს შორის. იგი გახარებული იყო ხალხის გამარჯვებით, რაც ტრიუმფალური დაგვირგვინება იყო მისი საუკუნოვანი დემოკრატიული ტრადიციებისა. მონარქია იმდენად დამაჯერებლად იქნა უარყოფილი, რომ იმპერიალისტურმა რეაქციამაც კი ვერ გაბედა ხმა ამოეღო მის დასაცავად.

მონარქიის ლიკვიდაცია და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება 1946 წლის 15 სექტემბერს წარმოადგენდა უდიდეს პოლიტიკურ მოვლენას ქვეყნის უახლეს ისტორიაში. პროლეტარულმა დიქტატურამ კიდევ ერთი მძლავრი პოლიტიკური დარტმა აგემა კაპიტალისტურ რეაქციას, რითაც მტკიცე ნაბიჯი გადადგა წინ მმართველობის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმების შექმნის გზაზე.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო სახალხო ზეიმი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების გამო, რომ დაიწყო მზადება დიდი სახალხო კრების არჩევნებისათვის. დიმიტროვმა კვლავ გაშალა აქტიური პოლიტიკური და ორგანიზაციული მოღვაწეობა. ის ესაუბრებოდა სამამულო ფრონტში შემავალი პარტიების ხელმძღვანელთ. თავკაცობდა სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის სხდომებს, ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან ერთად საზღვრავდა პარტიის პოლიტიკურ გეზს. დიმიტროვი გამოვიდა მასობრივ წინასაარჩევნო მიტინგებზე ვარნასა და სოფიაში, მოუწოდებდა მშრომელებს, ხმა მიეცათ სამამულო ფრონტის პარტიების დეპუტატობის კანდიდატები-

სათვის, რათა ჩაეშალათ კონტრევოლუციური ოპოზიციის ხრიკები.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) და სამამულო ფრონტის სხვა პარტიების მრავალმხრივი აქტიური მოღვაწეობის, ასევე ბულგარელი ხალხის მიერ გამოჩენილი უკიდეურესად მაღალი შეგნებულობის წყობილობით სამამულო ფრონტმა დიდი სახალხო კრების არჩევნებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ბულგარეთის მუშათა პარტიამ (კომუნისტებისა) ხმათა უმრავლესობა მიიღო. პარტიამ, რომელიც ამყღავნებდა ლენინურ მომწიფებულობას და პოლიტიკურ ტაქტს, გადაწყვიტა შეექმნა არა დამოუკიდებელი, ერთპარტიული, არამედ კოალიციური მთავრობა. 1946 წლის 21 ნოემბერს დიდმა სახალხო კრებამ დაავალა გ. დიმიტროვს, შეედგინა ახალი მთავრობა. იგი ჩამოყალიბებულ იქნა ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, რაც განაპირობებდა სამამულო ფრონტის შემდგომ განმტკიცებას.

დიმიტროვი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 1946 წლის 28 ნოემბერს გამოვიდა დიდი სახალხო კრების წინაშე მნიშვნელოვანი საპროგრამო დეკლარაციით. მასში ხაზი ესმოდა იმას, რომ ახალი მთავრობა უფრო მეტი ენერგიით იმუშავებდა სამამულო ფრონტის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ქვეყანას ექმნებოდა შესაძლებლობა საშინაო და საგარეო მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. მასში დიდი ყურადღება ეთმობოდა სამეურნეო პრობლემებს, საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს, ასევე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამომუშავებას. ახალი მთავრობის უმნიშვნელოვანესმა ისტორიულმა დოკუმენტმა გააშუქა ქვეყნის განვითარების უახლესი პერსპექტივები, რწმენა განამტკიცა მშრომელთა შეგნებაში.

გ. დიმიტროვმა, სახელმწიფოს სათავეში მდგომმა, კიდევ უფრო ნათლად, მთელი ძალით გამოავლინა თავისი უნარი სახელმწიფოს ხელმძღვანელობისა. იგი იყო ნიმუში ახალი, სოციალისტური ტიპის სახელმწიფო ხელმძღვანელისა. მის მოღვაწეობაში ჰარმონიულად იყო შერწყმული პოლიტიკური სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, ურყევი ნებისყოფა და სიმამაცე, ცხოვრების ღრმა, ყოველმხრივი ცოდნა, მშრომელი ხალხის სისხლხორცეული ინტერესები, მისი საუკუნოვანი ოცნებები და მისწრაფებანი. დიმიტროვი იყო სახალხო ხელმძღვანელი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, აღჭურვილი ცხოვრებისეული, რევოლუციური, პოლიტიკური გამოცდილებით, გამჭრიახი გონებით, უკიდურესი თავმდაბლობით. იგი მშრომელებს ეპყრობოდა უსაზღვრო სიყვარულით, ზრუნავდა როგორც კადრის მუშაკებზე, ისე რიგით მშრომელებზე. გ. დიმიტროვს ღრმად სჯეროდა ბულგარელი ხალხის ამოუწურავი ძალებისა და შესაძლებლობებისა,

მტკიცედ და განუყრელად იყო დაკავშირებული მასთან. სარგებლობდა ხალხის უსაზღვრო ნდობით, სიყვარულითა და მხარდაჭერით.

როგორც სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაური, დიმიტროვი ყველას აოცებდა მოღვაწეობის მრავალმხრივობით, ამოუწურავი ენერგიით, შემართებითა და შრომისუნარიანობით. მას შეეძლო დაძაბული პოლიტიკური საქმიანობისათვის შეეხამებინა ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების ყველაზე რთული პროცესების თეორიული განზოგადების უნარი. დიმიტროვი, ლენინური ტიპის ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე, წარმოადგენდა საუკეთესო ნიმუშს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის განუყოფელი ერთიანობისა. იგი განსაკუთრებული უნარით, შეუპოვრობითა და მასშტაბურობით სახავდა და წარმართავდა რევოლუციურ სოციალისტურ გარდაქმნებს ცხოვრების ყველა სფეროში.

მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოებრივ მმართველობას, დიმიტროვი შეუდგა სახელმწიფო აპარატის სრულყოფას, ცდილობდა აემაღლებინა მისი როლი ქვეყნად სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მინისტრთა საბჭოს სხდომები წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ჭეშმარიტ სკოლას. ამ სხდომებზე, მიუხედავად მკაცრი განაწესისა და მაქსიმალური საქმიანი ატმოსფეროსი, მეფობდა თავისუფალი დემოკრატიული და ამხანაგური განწყობილება.

გ. დიმიტროვი ამა თუ იმ საკითხზე მართებული გადაწყვეტილების მიღებას თვლიდა მხოლოდ საქმის დასაწყისად. მთავარ მნიშვნელობას იგი ანიჭებდა შესრულების ორგანიზაციას. ის მკაცრად ამოწმებდა, თუ როგორ სრულდებოდა მთავრობის დადგენილებანი, ყოველი სახელმწიფო მოღვაწისაგან მოითხოვდა დაკისრებული საქმისადმი მაღალ პასუხისმგებლობას და შეგნებულობას, ინიციატივას, დამოუკიდებლობას, საქმიან განწყობილებას, ამა თუ იმ გადასაწყვეტი პრობლემისა თუ ამოცანის პოლიტიკური მნიშვნელობის დანახვის უნარს. დიმიტროვი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში იყენებდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, ცდილობდა ქვეყნის მართვაში მშრომელთა სულ უფრო ფართოდ ჩაბმას, კანონიერების მკაცრ დაცვას.

ერთ-ერთი პირველი ამოცანა, რომლის გადაჭრასაც შეუდგა დიმიტროვის მთავრობა, იყო სამართლიანი სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მონაწილეობდა პარლამენტის უცხოეთის საქმეთა კომისიის სხდომებში, რომელიც მუშაობდა სამშვიდობო ხელშეკრულების მომზადებისათვის, მშვიდობის საკითხებზე მთავრობის მემორანდუმის შემუშავებისათვის და ა. შ. მოსკოვში ყოფნისას, 1946 წლის აგვისტო-სექტემბერში, დიმიტროვმა

საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად განიხილა რიგი საკითხები, რომლებიც ეხებოდა ბულგარეთის მხრივ სამართლიანი სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერას.

დიმიტროვმა განიხილა საკითხები, დასმული ბულგარეთის დელეგაციის წევრების მიერ, რომლებიც მიემგზავრებოდნენ პარიზში სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. წინასწარ ესაუბრა თავის ამხანაგს ვ. კოლაროვს, რომელმაც სამშვიდობო კონფერენციაზე პარიზში ბრწყინვალედ დაიცვა ბულგარელი ხალხის ეროვნული ინტერესები. მან გამოააშკარავა უსამართლო მოთხოვნები იმპერიალისტური რეაქციისა, რომელიც ცდილობდა ბულგარელი ხალხისათვის დაეკისრებინა მძიმე რეპარაცია და მიეტაცებინა ქვეყნის ერთი ნაწილი.

1947 წლის 10 თებერვალს ხელმოწერილ იქნა იმ პერიოდისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი სამშვიდობო ხელშეკრულება, ეს იყო ბულგარელი ხალხის დიდი საგარეოპოლიტიკური გამარჯვება. მან დაიცვა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, ძირითადად მოწესრიგებულ იქნა მისი საერთაშორისო მდგომარეობა. პარტიასა და მთავრობას შესაძლებლობა მიეცა მეტი ყურადღება დაეთმო შინაპოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაჭრისათვის.

გ. დიმიტროვის ხელმძღვანელობით მინისტრთა საბჭომ მოამზადა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინა დიდ სახალხო კრებას. ასე გახდა პირველად შესაძლებელი. ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება დამყარებოდა გეგმურ საფუძველს, მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიისა და საბჭოთა კავშირის მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე. ორწლიანი გეგმის მეოხებით ბულგარეთი თავს დააღწევდა სამეურნეო ნგრევის ატმოსფეროს, რაც მას მემკვიდრეობით ერგო ფაშიზმისაგან, და ბიძგს მისცემდა ეკონომიკურ განვითარებას.

დეპუტატებმა, რომლებიც სამამულო ფრონტს წარმოადგენდნენ, ერთსულოვნად მოიწონეს გეგმის პროექტი. ოპოზიცია კი გამოვიდა გეგმის პროექტის მიღების წინააღმდეგ, წინააღმდეგ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისა და მისი ცდისა — მშრომელთა ინტერესების შესაბამისად წარემართა ქვეყნის სამეურნეო განვითარება. გ. დიმიტროვმა ცხადყო კანონპროექტის რეალურობა და გამოააშკარავა ოპოზიციის წარმომადგენელთა შეხედულებანი. დიდმა სახალხო კრებამ ხმათა მნიშვნელოვანი უმრავლესობით მიიღო პროექტი ორწლიანი გეგმისა.

აქტიური საქმიანობა გააჩაღა დიმიტროვმა დიდ სახალხო კრებაში

რამდენიმე სხვა კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით. ასეთები იყო მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოსყიდვა შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის, მეთამბაქოების სახელმწიფო მონოპოლია, 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ა. შ. ის ამხელდა ოპოზიციურ პარლამენტურ ჯგუფს, რომელიც უარყოფითად ეკიდებოდა ბთავრობის ყველა საკანონმდებლო ინიციატივას, აწყობდა ღვარძლიან ობსტრუქციასა და სკანდალს, ამუხრუჭებდა დიდი სახალხო კრების შემოქმედებით და აღმშენებლობით საქმიანობას, რაც სავსებით შეესაბამებოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებს. ოპოზიცია სულ უფრო აშკარად გამოდიოდა ბურჟუაზიის, ბულგარელი ხალხისათვის საძულველი კაპიტალისტური წყობილების დასაცავად.

გ. დიმიტროვის, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩაითვალოს პროექტის შემუშავება და შემდეგ დიდი სახალხო კრების მიერ ახალი კონსტიტუციის მიღება. პირველად დიმიტროვმა ეს საკითხი დააყენა ჯერ კიდევ 1945 წლის ბოლოს. მისი ხელმძღვანელობით პირველი პროექტი მომზადდა 1946 წლის ივნისის შუახანებში. პროექტის მოტივირებით დიმიტროვი გამოვიდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე, აგრეთვე სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის რამდენიმე სხდომაზე. პროექტის საერთო-სახალხო განხილვის შემდეგ, 1947 წლის 4 დეკემბერს, დიდმა სახალხო კრებამ მიიღო იგი. დიმიტროვმა მაშინ წარმოთქვა მოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომელშიც დაახასიათა ძირითადი კანონი, ხაზი გაუსვა მის როლსა და მნიშვნელობას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი განვითარების საქმეში. „ახალი კონსტიტუცია ამტკიცებს სახალხო დემოკრატიის პრინციპებს, — განაცხადა გ. დიმიტროვმა, — წმენდს გზას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვება ყოველგვარი კაპიტალისტური ნაშთების, ექსპლოატატორული სისტემის საბოლოო განადგურება. მშრომელთა განთავისუფლება ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან, ე. ი. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სრული მოსპობა“.

დიდი სახალხო კრების მიერ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებით, რომლის შექმნისთვისაც გ. დიმიტროვი ასე შეუპოვრად იბრძოდა, კანონმდებლობით განმტკიცდა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების ისტორიული ძონაპოვრები, დაისახა ნათელი პერსპექტივები სოციალისტური გზით ქვეყნის განვითა-

რებისათვის. გამომუშავებულ და მიღებულ იქნა რესპუბლიკის ძირითადი კანონი. მის საფძველზე უნდა მომხდარიყო სახელმწიფოებრივი აპარატის სრული რეორგანიზაცია.

კონსტიტუციის დებულებებიდან გამომდინარე, დიდმა სახალხო კრებამ 1947 წლის 11 დეკემბერს დააკისრა დიმიტროვს ახალი მთავრობის შექმნა. ასე ჩაუდგა სათავეში დიმიტროვი მეორედ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

რეფერენდუმსა და დიდი სახალხო კრების არჩევნებზე სასტიკი დამარცხების შემდეგ ოპოზიციურმა ძალებმა, გაბოროტებულმა საძამულო ფრონტის ხელისუფლების განუწყვეტელი განმტკიცებით და თავისი რიგების სულ უფრო მზარდი მერყეობით, საერთაშორისო იმპერიალისტური ძალების წაქეზებით, მიმართეს შეთქმულებებს, საბოტაჟსა და მკვლელობებს. წარმოიქმნა თავისებური კავშირი ლეგალურ ორგანიზაციასა (რომელიც კლასობრივი ბრძოლის ლოგიკით სულ უფრო ეფლობოდა კონტრრევოლუციის ჭაობში) და რეაქციულ ფაშისტურ ელემენტებს შორის (რომლებიც გაანადგურეს 1944 წლის 9 სექტემბერს, მაგრამ არ კარგავდნენ თავისი ხელისუფლების აღდგენის იმედს).

მაგრამ ანტიხალხური ოპოზიციის რესტავრატორულმა და შეთქმულებრივმა გეგმებმა სრული კრახი განიცადა. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვითარებაში თავჩენილმა სერიოზულმა სახეცვლებმა შესაძლებლობა მისცა პარტიასა და სახალხო მთავრობას, ენერგიულად შეეტიათ კონტრრევოლუციური ძალებისათვის და გაენადგურებინათ ისინი.

გ. დიმიტროვის წინადადებით დაიწყო მძლავრი იდეურ-პოლიტიკური შეტევა ოპოზიციის წინააღმდეგ. დიდმა სახალხო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, არალეგალური საქმიანობისათვის, რომლის მიზანი იყო არაკანონიერი გზით სამამულო ფრონტის ხელისუფლების დამხობა, დაეთხოვათ ოპოზიციური პარტიები და ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის ჩამოერთმიათ დეპუტატობის ხელშეუხებლობა. დიმიტროვის რეკომენდაციით, რომელიც იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში მკურნალობდა, მთავრობამ მტკიცედ უარყო ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების უხეში ჩარევა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ბულგარეთის მთავრობის კანონიერ მოქმედებასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების მმართველობის წინააღმდეგ. დიმიტროვი გამოვიდა განცხადებით პრესაში, რომელშიც გამოააშკარავა იმპერიალისტური რეაქციის მუქარა და შანტაჟი, გამოწვეული ოპოზიციის ლიდერის — ნიკოლა პეტკოვისადმი გამოტანილი განაჩენით.

გ. დიმიტროვის მთავრობამ სხვა ნაბიჯებიც გადადგა, რითაც საგრ-

ძნობლად შეზღუდა ბურჟუაზიის ეკონომიკური საფუძვლები. 1947 წელს მიღებულ იქნა კანონები თამბაქოს, სპირტიანი სასმელების წარმოების მონოპოლიის შესახებ. სულ უფრო ხშირად იყენებდნენ კანონს ქონების კონფისკაციის თაობაზე, შეძენილს სპეკულაციითა და სხვა უკანონო საშუალებებით. ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად გ. დიმიტროვი მუშაობდა სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის კანონის პროექტზე, ხოლო მას შემდეგ, რაც 1947 წლის 24 დეკემბერს დიდმა სახალხო კრებამ მიიღო კანონი კერძო სამრეწველო და სამთამადნო საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ, იბრძოდა მისი ზუსტი განხორციელებისათვის. დიმიტროვის მონაწილეობით შემუშავებულ იქნა კანონი საბინაო საქმეში სახელმწიფოებრივი მონოპოლიის შემოღების შესახებ. ამ კანონთა ცხოვრებაში გატარებით დასრულდა კერძო კაპიტალისტური საკუთრებისა და კაპიტალისტთა კლასის ლიკვიდაციის პროცესი ქალაქად, განუყოფლად გაბატონდა სოციალისტური სექტორი მრეწველობაში. ამრიგად, განხორციელდა მნიშვნელოვანი რევოლუციური გარდაქმნები, რომლებმაც ხელი შეუწყო პროლეტარიატის დიქტატურის კიდევ უფრო განმტკიცებას, გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პირობების შექმნას.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მეთაურობდა დიმიტროვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დარგში მთელ ძალებს წარმართავდა საყოველთაო მშვიდობის შესანარჩუნებლად, კეთილმეზობლური დამოკიდებულების დასამყარებლად ბალკანეთის ყველა ქვეყანასთან, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის სახელმწიფოებთან, განსხვავებული საზოგადოებრივი წყობით. დიმიტროვის რწმენით, ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის „საფუძველთა საფუძველი" უნდა იყოს კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის ყოველმხრივი განმტკიცება-გაფართოება მომმე სოციალისტურ ქვეყნებთან და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირთან — საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ბურჯთან. ამ საგარეოპოლიტიკურ ხაზს განსაზღვრავდა როგორც თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი ბულგარეთის მუშათა პარტიისა (კომუნისტებისა), ისე ბულგარელი ხალხისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს, სასიცოცხლო ინტერესები.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, გ. დიმიტროვის კლასიკური განსაზღვრით, არის „სამწახნაგოვანი ქვა" ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა, მძლავრი ფაქტორი, მამოძრავებელი ძალა ბულგარელი ხალხის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და

კულტურული განვითარებისა სოციალიზმის გზაზე. „ბულგარელი ხალხისათვის, — განაცხადა დიმიტროვმა, — საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ისევე სისხლხორცეულად აუცილებელია, როგორც მზე და ჰაერი ყველა ცოცხალი არსებისათვის“[1]. ვერავითარი გრიგალი ვერ შეძლებს შეარყიოს ბულგარელი ხალხის რწმენა იმისა, რომ „ჩვენი ისტორიული გზა ნებისმიერ პირობებში არის ხელიხელჩაკიდებული სიარული, მუდმივი ურღვევი მეგობრობა დიდ რუს ძმასთან — საბჭოთა კავშირთან. ამაშია ჩვენი ხსნა. ამაშია ჩვენი ბედნიერი მომავალი, როგორც ერისა“[2].

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას გააჩნია მტკიცე და სისხლხორცეული ხასიათი, რადგანაც იგი არის ნაყოფი ორივე ხალხის საერთო ინტერესებისა და მისწრაფებისა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისაკენ, მათთვის საერთო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულებისა, რადგანაც იგი გამოხატავს ბულგარელთა ღრმა მადლიერების გრძნობას დიდი რუსი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირისადმი ორმაგი განთავისუფლებისათვის — ოტომანთა უღლისა და ფაშისტური ბარბაროსობისაგან. ბულგარეთ-საბჭოთა მეგობრობა მტკიცედაა შედუღაბებული ერთობლივად დაღვრილი სისხლით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მთავრობა გ. დიმიტროვის ხელმძღვანელობით შეუდგა შინაპოლიტიკური და სამეურნეო პრობლემების გადაჭრას, ხოლო პარალელურად ენერგიულად განამტკიცებდა ქვეყნის საერთაშორისო პოზიციებს. საგარეო პოლიტიკის დარგში ბულგარეთის მთავრობის მნიშვნელოვან ამოცანად რჩებოდა აქტიური წინააღმდეგობის ხაზი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული კურსისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ამისათვის საჭირო იყო ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების დარაზმვა სახელმწიფოებს შორის კავშირის ხელშეკრულებათა დადების გზით. 1947 წლის ბოლოს და 1948 წლის დასაწყისში გ. დიმიტროვის მთავრობამ თანმიმდევრობით დადო მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი რუმინეთთან, იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკასთან, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასთან, პოლონეთის რესპუბლიკასთან, უნგრეთთან. ამავე დროს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 315 (რუსულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 370.

ეძებდა შესაძლებლობებს საბერძნეთსა და თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, რათა ექცია ბალკანეთი „დენთის კასრიდან“ მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ზონად.

ითვალისწინებდა რა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმის გზით ქვეყნის განვითარებისათვის, რესპუბლიკის მთავრობამ 1948 წლის 18 მარტს საბჭოთა კავშირთან დადო მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. დიმიტროვის განსაზღვრით, ეს იყო „მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა“, რომლის შედეგადაც ბულგარელი ხალხი გახდა არა მარტო ერთგული მეგობარი საბჭოთა ხალხისა, არამედ მისი ერთგული მოკავშირეც მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ხელშეკრულება იყო ბუნებრივი შედეგი ისტორიულად დამკვიდრებული ძმური ურთიერთობისა ბულგარეთის ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. ეს ხელშეკრულება იყო აუცილებელი, გადამწყვეტი პირობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის არა მარტო ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის. არამედ მისი განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ წინსვლის განმაპირობებელი ფაქტორიც. ეს იყო თანაბარ საწყისებზე დამყარებული ხელშეკრულება, „ხელშეკრულება დამყარებული პრინციპზე: ერთგულება—ერთგულებისათვის, მეგობრობა—მეგობრობისათვის“[1].

დიმიტროვის მთავრობის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კავშირი სოციალისტურ ქვეყნებთან, მისი ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ამავე დროს სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა ახალი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობანი, დამყარებული ძმურ თანამშრომლობაზე, ურთიერთდახმარებაზე, ურთიერთპატივისცემაზე.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობა და ურთიერთდახმარება არის კანონზომიერი შედეგი ამ ქვეყნებში დამყარებული ერთგვარი საზოგადოებრივი წყობილებისა, შედეგი მათი ინტერესების ერთგვაროვნებისა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ეს მეგობრობა ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს. ამიტომ საგარეო პოლიტიკის დიმიტროვისეული პრინციპებით დღესაც ხელმძღვანელობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ დარგში.

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 516 (რუსულ ენაზე).

გ. დიმიტროვი დიდად ზრუნავდა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისა და განმტკიცებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებისათვის, იგი დიდ ყურადღებას, დროს და ენერგიას უთმობდა კომუნისტური პარტიისა და სამამულო ფრონტის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განვითარება-განმტკიცებას. ის მუდმივად ესწრაფოდა იმას, რომ აემაღლებინა, კიდევ უფრო განემტკიცებინა პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა ხალხის ერთიანობა სახალხო ფრონტის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანი პირობა იყო ბულგარეთის წინსვლისათვის სოციალიზმის გზაზე.

პარტიის იდეური და ორგანიზაციული განმტკიცება-განვითარების პრობლემები განსაკუთრებით ფართოდ იყო გაშუქებული გ. დიმიტროვის შესანიშნავ სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა 1946 წლის 26 თებერვალს ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) სოფიის საოლქო კონფერენციაზე. მან ფართოდ მიმოიხილა საკითხი ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ისტორიული მოწოდების შესახებ, ხაზი გაუსვა, რომ ბულგარეთის კომუნისტთა პარტია — ეს არის „ისტორიული პარტია", რომელსაც ბულგარეთის სახალხო სამიწათმოქმედო კავშირთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა ბულგარელი ხალხის ბედზე. დიმიტროვი, რომელიც მიუთითებდა ძირეულ სხვაობაზე კომუნისტურ პარტიასა და ბურჟუაზიულ პარტიებსა თუ დაჯგუფებებს შორის, აღნიშნავდა, რომ ბულგარეთის მუშათა პარტია (კომუნისტებისა) არის საუკეთესო გამომხატველი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე პროგრესული კლასის — მუშათა კლასის კლასობრივი ინტერესებისა, სოციალისტური რევოლუციის ინტერესებისა.

დიმიტროვი, რომელიც ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მოძღვრებით საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) მსოფლიო ისტორიული გამოცდილებით, ნიადაგ ხაზს უსვამდა პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება-ამაღლების აუცილებლობას, როგორც უცილობელ პირობას მარქსისტულ-ლენინური, კლასობრივი პოლიტიკის გატარებისა, სოციალიზმის გამარჯვებისა. თუ რამდენად დასაბუთებული იყო დიმიტროვის ეს მოთხოვნები, ჩანს იმ გაშმაგებული შეტევიდან, რომელიც მიაქვთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის პრინციპზე იმპერიალიზმის იდეოლოგიურ დიეერსანტებს და მათ რევიზიონისტულ თუ ტროცკისტულ ლაქიებს.

დიმიტროვი დიდ მოთხოვნებს უყენებდა პარტიის წევრებს, რომ-

ლებიც აღჭურვილნი უნდა ყოფილიყვნენ მაღალი მორალური თვისებებით, თავისუფალნი კარიერიზმისაგან. დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ „პარტიის ძალა და გავლენა დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი რიგების რაოდენობაზე, არამედ, პირველ რიგში, ხარისხზე. მათ მარქსისტულ-ლენინურ მომზადებაზე, პარტიისა და სოციალიზმის საქმისადმი მათ თავდადებაზე, მათ უნარზე ხალხის მასებთან კავშირის დამყარებისა, უნარზე მათი გააქტიურებისა და მათთვის ხელმძღვანელობის გაწევისა პარტიისა და მთავრობის მიერ საერთო-სახალხო ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში“[1]. გიორგი დიმიტროვი, რომელიც დიდ მზრუნველობას იჩენდა კომუნისტის მორალურ და პოლიტიკურ თვისებათა ამაღლებისადმი, სერიოზულ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე პარტიის მუდმივი წმენდის აუცილებლობას მის რიგებში შეღწეული უცხო, შემთხვევითი და კარიერისტული ელემენტებისაგან.

გ. დიმიტროვი მგზნებარედ იცავდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ლენინურ მონოლითურ ერთიანობას, გვასწავლიდა, რომ პარტიისათვის მთავარია მტკიცე. შეგნებული და ხებაყოფლობითი რკინისებური დისციპლინა. პარტიაში „ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ დაჯგუფებებს და ფრაქციებს, საერთოდ, მტრულ, ანტიპარტიულ ბუდეებს იქ, სადაც ასეთი ბუდეები ჩნდება, დაუნდობლად უნდა მოვსპოთ ისინი. თუკი საჭიროა, პარტიული ქირურგიული დანაც კი უნდა გამოვიყენოთ“[2].

დიმიტროვი თვლიდა, რომ პარტიის რიგებში უნდა სუფევდეს ერთსულოვნება, რომელიც დამყარებული იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე და დაქვემდებარებული — პარტიის მიზნებსა და ამოცანებზე.

გ. დიმიტროვი შეურიგებელი მტერი იყო წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობისა და ძირმომპალი ლიბერალიზმისა. იგი დაუცხრომლად იბრძოდა როგორც ოპორტუნიზმისა და ბურჟუაზიულ გავლენათა, ისე მაღალფარდოვანი „მემარცხენე“ ფრაზეოლოგიისა და ყალბი მომარცხენო რევოლუციურობის წინააღმდეგ.

მისი რწმენით, ძირითადი, წარმმართველი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომუნისტების პოლიტიკურ თვისებებს. ამიტომ ის ნიადაგ მოითხოვდა, რომ კომუნისტებს აემაღლებინათ პოლიტიკური ცოდნის დონე, ესწავლათ მართვა მუშაობის პროცესში, შემოქმედებითად გადაეჭრათ კონკრეტული საკითხები. იგი პარტიის წევრებისაგან მოი-

---

[1] გ. დიმიტროვი, თხზ., ტ. 14, გვ. 55 (ბულგარულ ენაზე).

[2] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 151 (რუსულ ენაზე).

თხოვდა საქმიან სულისკვეთებას, სრულყოფილად ცოდნას ძისთვის მინდობილი პარტიული, სამეურნეო თუ ადმინისტრაციული საქმისა.

როგორც პარტიის ხელმძღვანელი, გ. დიმიტროვი მოითხოვდა პარტიაში შემოქმედებითი, საქმიანი ატმოსფეროს შექმნას, შინაპარტიული დემოკრატიის მკაცრ დაცვას და თვითონაც მტკიცედ ასრულებდა მას რთულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ, როგორც აღნიშნა თავის მოხსენებაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხ. ტოდორ ჟივკოვმა, „გიორგი დიმიტროვი იცავდა ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს, მუშაობაში კოლექტიურობის მეთოდს. ბოროტად არასოდეს იყენებდა ხელისუფლებას, არასოდეს არღვევდა კანონიერებას ქვეყანაში. კანონი დაცული იყო სახალხო ხელისუფლების უბოროტესი მტრების მიმართაც ეი“[1].

დიმიტროვისათვის განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო ყოველგვარი ქება-დიდება და ხოტბა მისი დამსახურებისა და როლის მიმართ პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწეობაში. იგი მოითხოვდა, რომ როდესაც მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში მისი მოღვაწეობის შესახებ წერდნენ, ყოველივე ყოფილიყო „რეალური ფაქტების ჩარჩოებში, უმცირესი შელამაზებისა და გადაჭარბების გარეშე...“[2] ერთ-ერთ თავის წერილში ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის მდივნისადმი მან მოითხოვა აღეკვეთათ მისი განდიდების პრაქტიკა პრესასა და საჯარო გამოსვლებში, როგორც „უდიდესისა“ და „გენიალურისა“. პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების მიმდევარი დიმიტროვი გამოდიოდა კოლექტივზე პარტიის ხელმძღვანელის ამაღლების წინააღმდეგ, „პიროვნების კულტის, როგორც პარტიული ბელადის“, წინააღმდეგ.

გ. დიმიტროვი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მკაცრად იცავდა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ ნორმებს, ამხანაგურად ურჩევდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებსაც, ცეცხლივით შინებოდათ წარმატებისაგან თავბრუსხვევისა და თვითგანდიდებისა, ყოფილიყვნენ მაქსიმალურად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. ყველა პარტიულ და სახელმწიფო საკითხს იგი წყვეტდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის

---

[1] ტ. ჟ ი ვ კ ო ვ ი, რჩეული სიტყვები, მოხსენებები და სტატიები, ტ. 4, სოფია, 1965, გვ. 490 (ბულგარულ ენაზე).

[2] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ: 146, აღ. 2, ფურც. 42 (ბულგ. ენაზე).

პოლიტბიუროსა და მინისტრთა საბჭოს წევრებთან ერთად. მუდამ გაურბოდა ერთპიროვნულ ხელმძღვანელობას. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, პოლიტბიუროს სხდომები, ყრილობები და კონფერენციები, რომელთაც დიმიტროვი ხელმძღვანელობდა, იყო ჭეშმარიტი პოლიტიკური სკოლები ყველა დამსწრესათვის.

დიმიტროვი ასწავლიდა პარტიას, გაეშალა თავის რიგებში გაბედული და დაუნდობელი კრიტიკა და თვითკრიტიკა, შეურიგებლობა გამოეჩინა მუშაობაში ნაკლოვანებებისადმი. ის სასტიკად ამათრახებდა ცალკეული „გუბერნატორების" და „გუბერნატორჩიკების". ხელმძღვანელობის მეთოდებსა და თვითნებობას, რომელთაც შეუძლიათ „დაღუპონ ყოველივე ცოცხალი და სასარგებლო პარტიის საქმისა". იგი ვერ ურიგდებოდა აგრეთვე დაშვებული შეცდომების მიფუჩეჩებას. მიუხედავად პარტიული მუშაკებისადმი მაღალი მომთხოვნელობისა, იგი არასოდეს მისცემდა თავს უფლებას, შეურაცხყოფა მიეყენებინა დამნაშავისათვის. პირიქით, იჩენდა მშობლიურ ყურადღებას. ამხნევებდა მათ, ეხმარებოდა შეეგნოთ და გამოესწორებინათ დაშვებული შეცდომები.

პასუხსაგებ პარტიულ და სახელმწიფო მუშაობაში ჩაფლული გ. დიმიტროვი ყოველმხრივ ყურადღებას იჩენდა კადრის პარტიული მუშაკებისადმი, მიუხედავად მათ მიერ დაკავებული პოსტებისა. ყველა, ვისაც უსაუბრია ანდა უმუშავია მასთან, მუდამ იგებდა რაღაც ახალსა და ღირებულს მისგან, იძენდა რწმენას, თავდაჯერებულობას მუშაობაში, სულიერად მდიდრდებოდა. დიმიტროვს არასოდეს ავიწყდებოდა ეკითხა მოსაუბრისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური, ცხოვრებისეული ამბები. „ბულგარეთისათვის ბედნიერება იყო, — წერდა ამხ. ტ. ჟივკოვი, — რომ იმ მრისხანე წლებში პარტიასა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობდა ისეთი გამოცდილი და ბრძენი მეთაური, როგორიც იყო გიორგი დიმიტროვი.

მან, კომუნისტებისა და მშრომელი ხალხის სიყვარულით გარემოცულმა, მტკიცედ, გაბედულად წაიყვანა სამშობლოს ხომალდი სოციალიზმის ნაპირებისაკენ. მისი ხელმძღვანელობით სახალხო ხელისუფლება განმტკიცდა, დაძლია საშინაო და საერთაშორისო კონტრრევოლუციის წინააღმდეგობა, გზა გაუწმინდა მომავალს"[1].

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგული გ. დიმიტროვი მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ პარტია შეძლებს წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე მდგარ ამოცანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მუდმივად დაემყარება მშრომელთა ფართო მასებს, მტკიცე და ურ-

---

[1] ტ. ჟივკოვი, მოგონებანი გიორგი დიმიტროვზე, ტ. I, გვ. 12 (ბულგარულ ენაზე).

ღვევი კავშირი ექნება მასთან, მობილიზაციას გაუკეთებთ ხალხის უზარმაზარ, ამოუწურავ შემოქმედებით ძალებს. პარტია მუდამ გულისყურით უნდა მოექცეს ხალხის მასებს, ისწავლოს მისგან საუკუნოვანი სიბრძნე და თავად ასწავლოს მას, აქტიურად ჩააბას იგი დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

სამამულო ფრონტის ახალგაზრდული ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების და სხვა მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების სახით დიმიტროვი ჭვრეტდა იმ მძლავრ ბერკეტებს, რომელთა საშუალებით პარტია მობილიზაციას უწევს მშრომელებს, აფართოებს და განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. მას დიდი დამსახურება მიუძღვის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების განსაზღვრაში, მათ შექმნასა და განვითარებაში, აგრეთვე ახალგაზრდობის ერთიანობის ჩამოყალიბებაში.

გ. დიმიტროვი განუყრელად იყო დაკავშირებული მშრომელებთან. მას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა დამყარებული მუშებთან, გლეხებთან, სახალხო ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა კონგრესის, კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში, გამოდიოდა მიტინგებსა და კრებებზე, ათვალიერებდა ქალაქისა და სოფლის სამშენებლო ობიექტებს, ძალდაუტანებელ ურთიერთობას ამყარებდა რიგით მშრომელებთან. ყოველდღიურად მასთან სახლში, ცენტრალური კომიტეტის ან მინისტრთა საბჭოს სამუშაო კაბინეტში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიდიოდნენ მრავალრიცხოვანი დელეგატები და ცალკეული პირები. დიმიტროვს უყვარდა მათთან საუბარი, გეგმებისა და ფიქრების გაზიარება, მათი აზრის გათვალისწინება და ამით თავისი დასკვნებისა და წამოწყებების შემოწმება. მას გააჩნდა საოცარი მიმზიდველობა, მდიდარი სულიერი თვისებები, ღრმა სოციალისტური ჰუმანიზმი, ხალხისადმი, კომუნისტური იდეალებისადმი რწმენა.

ადამიანებთან ურთიერთობაში დიმიტროვი უშუალო, გულითადი, უბრალო იყო. მისი ნათელი ღიმილი ატყვევებდა ყველას, სპობდა ყოველგვარ დისტანციას და თანამოსაუბრე გრძნობდა, რომ ესაუბრებოდა არა მარტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, პარტიისა და ხალხის ბელადს, არამედ ბრძენ და გულითად ადამიანს, გამოსულს ხალხის წიაღიდან, რომელსაც ამის გამო შესანიშნავად შეეძლო გაეგო ადამიანის სულიერი მდგომარეობა.

როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, დიმიტროვი გამოირჩეოდა იშვიათი თავმდაბლობითა და გულისხმიერებით ადამიანთა მიმართ. იგი აურაცხელი რაოდენობის წერილებს იღებდა ცალ-

კეული მშრომელებისა და ორგანიზაციებისაგან და თითოეულს პასუ-ხობდა პირადად.

გ. დიმიტროვი წარმმართველ როლს ასრულებდა სამამულო ფრონტის წარმოქმნა-განმტკიცებაში, როგორც მძლავრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალისა სოციალისტური გზით ბულგარეთის განვითარების საქმეში. მისი მეოხებით ბულგარეთის მუშათა პარტიამ (კომუნისტებისა) შეძლო სამამულო ფრონტში დაერაზმა ხალხის პატრიოტული და დემოკრატიული ძალები სამშობლოს კეთილდღეობისათვის საბრძოლველად. მათ სოციალიზმის საქმე თანდათან საკუთარ, ღვიძლ საქმედ მიიღეს, იგრძნეს, რომ ბულგარეთის კომუნისტთა პარტია არა მარტო მუშათა კლასისა და მშრომელთა პარტიაა, არამედ ერის გადამრჩენელიც, ბულგარელი ხალხის ჰეშმარიტი ეროვნული იდეალების თანმიმდევრული დამცველი.

დიმიტროვი მუდმივ კონკრეტულ დახმარებას უწევდა სამამულო ფრონტს, არიგებდა კომუნისტებს და სამამულო ფრონტის ყველა მომხრეს, არასოდეს დაევიწყათ, რომ სამამულო ფრონტი არის არა მარტო თვითმიზანი, არამედ ბულგარეთის ყველა მშრომელისა და პროგრესული ადამიანის დარაზმვის მძლავრი საშუალება დიადი იდეის მიღწევისათვის — სოციალიზმის აშენებისათვის. გ. დიმიტროვს ეკუთვნის იდეა სამამულო ფრონტის გარდაქმნის შესახებ ერთიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად. ამ თვალსაზრისით იგი სამამულო ფრონტის პროგრამის პროექტზე მუშაობდა 1948 წლის დასაწყისში, მისი II კონგრესისათვის მზადების პერიოდში.

სამამულო ფრონტის II კონგრესზე, რომელიც გაიხსნა 1948 წლის 2 თებერვალს, გ. დიმიტროვი გამოვიდა ვრცელი სიტყვით. მან ღრმად გააანალიზა განვლილი ისტორიული გზა, საშინაო და საერთაშორისო ვითარება და ჩამოაყალიბა ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები მისი განვითარების შემდგომ ეტაპზე. გ. დიმიტროვის აზრით, სამამულო ფრონტს უნდა აღეზარდა მშრომელები სახალხო-დემოკრატიული და სოციალისტური სულისკვეთებით, ხელი შეეწყო ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, ასევე მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის გატარებისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ, სახალხო დემოკრატიისა და დემოკრატიული ქვეყნების მიმართ. მოხსენების დასკვნით ნაწილში დიმიტროვმა დამაჯერებლად ცხადყო სამამულო ფრონტის გარდაქმნის აუცილებლობა ერთიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად (საიდანაც საბოლოოდ განიდევნებოდა კოალიციურობის ელემენტები) და მისი გადაქცევა ქალაქის და სოფლის მშრომელთა საბრძოლო კავშირად, სადაც ხელმძღვანელ როლს შეასრულებდა მუშათა კლასი და მისი პოლიტი-

კური ავანგარდი — ბულგარეთის მუშათა პარტია (კომუნისტებისა).

სამამულო ფრონტის II კონგრესმა საესებით გაიზიარა გ. დიმიტროვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და მიიღო შესაბამისი პროგრამა და წესდება. სამამულო ფრონტმა, როგორც ერთიანმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, უდიდესი როლი შეასრულა პარტიის ირგვლივ მშრომელთა შემდგომ დარაზმვაში, მისი ხელმძღვანელი როლის დამკვიდრებაში ქვეყნის საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში. კონგრესმა ერთსულოვნად აირჩია გ. დიმიტროვი სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ.

სამამულო ფრონტის ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნით მასში შემავალმა სახალხო კავშირმა „რგოლმა" და რადიკალურმა პარტიამ ამოწურეს თავისი პროგრამები. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მომხდარ ეკონომიკურ გარდაქმნებს მოჰყვა მათი სოციალური ბაზის მნიშვნელოვანი შევიწროება. ამის შედეგად ჩამოყალიბდა მტკიცე რწმენა, რომ აღარ იყო აუცილებელი ამ პარტიათა დამოუკიდებელი არსებობა მათ ხელმძღვანელ ორგანოთა წინადადებით და გ. დიმიტროვთან კონსულტაციის შემდეგ ორივე ამ პარტიამ შეწყვიტა არსებობა.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) და ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შემდეგ, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო გ. დიმიტროვმა, მოხდა სოციალ-დემოკრატთა შეერთება ბულგარეთის მუშათა პარტიასთან (კომუნისტებისა) მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად გ. დიმიტროვმა ძმური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირს მისი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, დაეხმარნენ თავისი რიგების წმენდაში მტრული და რეაქციული ელემენტებისაგან, რის შედეგადაც იგი მტკიცედ დადგა სოციალიზმის პოზიციებზე. გ. დიმიტროვმა მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის XXVII ყრილობის მუშაობაში, სადაც მან ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. მან ხაზი გაუსვა ყრილობის დიდ მნიშვნელობას კავშირის შემდგომი განვითარების საქმეში. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ხელმძღვანელებთან შეხვედრებსა და საუბრებში გ. დიმიტროვი ხაზგასმით აღნიშნავდა კავშირში გაერთიანებულ მიწათმოქმედთა დიდ როლსა და ამოცანებზე ქვეყნად სოციალიზმის აშენებაში.

ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირმა, — რომელმაც

ეარი თქვა დამოუკიდებელი საგლეხო ხელისუფლების მცდარ თეორიაზე, აღიარა მუშათა კლასისა და ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ხელმძღვანელი როლი, მიიღო სოციალიზმის აშენების პროგრამა, — მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ცხოვრების აშენების საქმეში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრული კავშირების განმტკიცება-განვითარებაში პროგრესულ, დემოკრატიულ მოძრაობასთან უცხოეთში, მისი ავტორიტეტის ამაღლებაში.

გ. დიმიტროვი, რომელიც შეუნელებელ ზრუნვას იჩენდა პარტიისა და სამამულო ფრონტის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის, დიდ ყურადღებას უთმობდა მუშათა და გლეხთა ერთიანობას, რომელსაც სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების ხერხემლად მიიჩნევდა. თავის სტატიებსა და მოხსენებებში იგი ნიადაგ აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა არის „გრანიტული სოციალური საფუძველი სამამულო ფრონტისა, ბულგარელი ხალხის ერთიანობისა"[1]. დიმიტროვი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის ბრძოლას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის, იგი მოუწოდებდა კომუნისტებსა და სამიწათმოქმედო კავშირის წევრებს, თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ მუშურ-გლეხურ კავშირს, არ დაეკარგვინათ 1923 წლის 9 ივნისის მწარე გამოცდილება, როცა გათიშული მუშები და გლეხები გაანადგურა ფაშისტურმა რეაქციამ.

გ. დიმიტროვის შემოქმედებით მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა კულტურული რევოლუციის საკითხებს, როგორც საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ერთ-ერთ გადამწყვეტ რგოლს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა ბულგარეთის მუშათა პარტიამ (კომუნისტებისა) მიზნად დაისახა ანტიფაშისტური ხასიათის რიგი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა, ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა ფაშისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამიტომ, დიმიტროვის აზრით, აუცილებელი იყო რკინის ცოცხით „განწმენდა ველიკობულგარული შოვინიზმის „მიაზმისაგან", ყოველგვარი ბნელეთის მოციქულობისაგან იდეოლოგიურ და კულტურულ ფრონტზე"[2]. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ამოძირკვა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობის უზრუნველყოფა.

ლენინურ დებულებებსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დიმიტროვი

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები. ტ. II, გვ. 103 (რუსულ ენაზე).

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 191 (ბულგარულ ენაზე).

პარტიას ასწავლიდა, რომ კულტურული რევოლუცია წარმოადგენს ობიექტურ კანონზომიერებას, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის პროცესის ერთ ნაწილს. თავის მოხსენებებში, სიტყვებში, წერილებსა და გამონათქვამებში იგი უდიდესი სიღრმით ხსნიდა მის მთავარ მიზნებს: მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სრული გამარჯვების უზრუნველყოფა, ხალხის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება, კულტურულ ღირებულებათა ქცევა მის მონაპოვრად, ხალხის, როგორც ქვეყნის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონის, შეგნებაში გადატრიალების მოხდენა, მისი გადაქცევა სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლად.

დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური კულტურა ცარიელ ადგილზე როდი იქმნება. იგი წარმოადგენს ყველა სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის, ბულგარელი ხალხის საუკუნოვან კულტურულ მიღწევათა კანონიერ მემკვიდრეს, ამიტომ დიმიტროვი მუდამ მიუთითებდა, რომ დაეფასებინათ და დაეცვათ კულტურული მემკვიდრეობა.

დიმიტროვი არაერთგზის მიუთითებდა, რომ კულტურის სფეროში არ არსებობენ უნარიანი და უუნარო ხალხები. „თითოეულ ხალხს, — აღნიშნავდა იგი, — რაც უნდა პატარა იყოს, უნარი შესწევს შეიტანოს ძვირფასი წვლილი კულტურის საერთო საგანძურში“[1].

კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში დიმიტროვი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. მისი ხელმძღვანელობით 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ გატარდა განათლების სისტემის ღრმა დემოკრატიზაცია, რამაც შესაძლებელი გახადა მოსწავლეთა აღზრდა ანტიფაშისტური და დემოკრატიული სულისკვეთებით. 1948 წელს დიმიტროვის უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა დებულებანი სახალხო განათლების კანონის შესახებ, რომელთა შესაბამისად განისაზღვრა განათლების ფორმა და ხასიათი. დიმიტროვი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული პროფსასწავლებლებისა და მუშათა საღამოს სკოლების შექმნა-მუშაობით. იგი არაერთგზის მიუთითებდა, რომ ახალგაზრდა მუშებსა და მუშა-ქალებს აუცილებლად უნდა მიეღოთ საშუალო და უმაღლესი განათლება.

გ. დიმიტროვი და ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ უმაღლესი განათლების რეორგანიზაციასა და განვითარებას. დი-

---

[1] გიორგი დიმიტროვი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 676 (რუსულ ენაზე).

მიტროვის აზრით, უნივერსიტეტი უნდა ქცეულიყო ახალგაზრდობის კულტურის, განათლებისა და აღზრდის მძლავრ კერად. რათა იგი გამხდარიყო ენთუზიაზმით აღსავსე, მტკიცე მშენებელი სოციალიზმისა და კომუნიზმისა, ხალხის მისწრაფებებსა და საჭიროებებთან განუყრელად დაკავშირებული კულტურის კერად. უმაღლესმა სასწავლებლებმა, აღნიშნავდა იგი, ფართოდ უნდა გაუღონ კარი მშრომელი ხალხის შვილებს, ისინი უნდა იქცნენ სამჭედლოდ კადრებისა, რაც აგრერიგად აუცილებელია ქვეყნის ყოველმხრივი კულტურული, საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარებისათვის.

კულტურული რევოლუციის განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციას, მის გადაქცევას მეცნიერული მუშაობის წამყვან ცენტრად. ახალი, სოციალისტური ტიპის აკადემიად. გ. დიმიტროვის ინიციატივით, დიდმა სახალხო კრებამ 1947 წელს მიიღო კანონი ბულგარეთის აკადემიის მოწყობისა და მუშაობის შესახებ. კანონპროექტის შემუშავებისას დიმიტროვი თათბირობდა გამოჩენილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, იჩენდა სახელმწიფოებრივ სიბრძნეს. იგი მიუთითებდა, რომ სახალხო ხელისუფლებას კავშირი არ უნდა გაეწყვიტა ეროვნულ სამეცნიერო და კულტურულ ტრადიციებთან. პირიქით, შემოქმედებითად გაეგრძელებინა და განევითარებინა ისინი, შეევსო ახალი, სოციალისტური შინაარსით. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მეცნიერება არ უნდა მოქცეულიყო ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში, პირიქით, მტკიცედ უნდა აეღო სოციალისტური გეზი; გამოეყენებინა მდიდარი საბჭოთა და მსოფლიო სამეცნიერო აზრის გამოცდილება.

სერიოზულ ყურადღებას აქცევდა დიმიტროვი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. ჯერ კიდევ 1946 წელს, ჟურნალ „ფილოსოფსკა მისლის“ მთავარ რედაქტორთან — ტოდორ პავლოვთან საუბრისას. მან დასახა იდეოლოგიური ფრონტის მიერ გადასაჭრელი უშუალო ამოცანები. ამასთან, დიმიტროვი ყურადღებით ადევნებდა თვალს გაზეთებისა და გამომცემლობების მუშაობას, წარმართავდა მას, აღნიშნავდა რადიოს, კინოსა და ზეპირი პოლიტიკური პროპაგანდის დიდ როლს კულტურულ რევოლუციაში. დიმიტროვი აღნიშნავდა, რომ ლიტერატურა, სახვითი და თეატრალური ხელოვნება წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამიტომ ისინი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდნენ ხალხის ცხოვრებას, ღრმად, სიმართლით, სრულყოფილად ასახავდნენ რევოლუციურ სინამდვილეს, პოპულარიზაციას უწევდნენ და მასებში ნერგავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, ზრდიდნენ ახალ ადამიანს სამშობლოს სიყვარულისა და ფაშიზმის სიძულვილის სულისკვეთებით,

იბრძოდნენ სიბნელის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ მშრომელებს სოციალიზმის მშენებლობისათვის საბრძოლველად. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიმიტროვი ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიულ-კლასობრივ მიდგომას, კულტურის ფრონტისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგი იყო ადმინისტრირებისა და მეურვეობისა.

დიმიტროვი გვასწავლიდა, რომ ადამიანთა შეგნებაში გარდატეხის მოხდენა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ აუცილებელია ყურადღებით, მოთმინებით გავატაროთ პრინციპული პოლიტიკა ყველას, განსაკუთრებით კი მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა მიმართ, რათა ვაზიაროთ ისინი სოციალიზმის საქმეებს, დავეხმაროთ მათ, გახდნენ ახალი ცხოვრების შემოქმედნი. დიმიტროვი პირადად იძლეოდა მართებული, პარტიული მიდგომის მაგალითს კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მოღვაწეებისადმი. იგი მათ მიმართ იჩენდა მოთმინებასა და ტაქტს, პოულობდა ყველაზე შესაფერის სიტყვებს მოწონების, კრიტიკისა და დამოძღვრისათვის. თავისი უზარმაზარი ავტორიტეტისა და პირადი ადამიანობის, აგრეთვე სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით კულტურული ფრონტის მუშაკების მიმართ დიმიტროვი აღაფრთოვანებდა მათ, ხელს უწყობდა მათ შეკავშირებასა და სახალხო ხელისუფლებასთან მტკიცე თანადგომას.

4. სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისაკენ

ღრმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კლასობრივმა გარდაქმნებმა, რასაც ადგილი ჰქონდა ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ბულგარელი ხალხის წინაშე დააყენა საარსებო და პრაქტიკული ამოცანა — შესდგომოდნენ სოციალიზმის გაშლილ მშენებლობას. ამიტომ სოციალისტური მშენებლობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები დიმიტროვისა და ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში იდგა. ისინი ყოველდღიურად წყვეტდნენ სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის განვითარების პრობლემებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის სამეურნეო გეგმების შემუშავებას, ღრმად სწვდებოდნენ ეკონომიკის ყველა სფეროს.

ისეთ ვითარებაში, როცა შეიქმნა ხელსაყრელი საშინაო და საერთაშორისო პირობები სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიის V ყრილობის მოწვევის შესახებ 1948 წლის ბოლოს. ცენტ-

რალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოსვლა დაევალა გ. დიმიტროვს.

მაგრამ დიმიტროვი 1948 წლის სექტემბერში მძიმედ ავად შეიქნა (გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა და დიაბეტი) და იძულებული გახდა სამკურნალოდ მოსკოვს გამგზავრებულიყო. მიუხედავად შრომისუნარიანობის დაქვეითებისა, მან, ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების დახმარებით, დაიწყო მუშაობა მოხსენებისა და ყრილობის სხვა დოკუმენტების პროექტებზე. ბულგარეთში დაბრუნებისას, ნოემბრის ბოლოს, დიმიტროვი აქტიურად ჩაება V ყრილობის მოსამზადებელ სამუშაოებში.

ახალი ეტაპი ქვეყნის განვითარებაში მოითხოვდა რთული პრობლემების გადაჭრას. დიმიტროვი ამ შემთხვევაშიც ბრძნულ რჩევასა და მითითებებს იძლეოდა. იგი რჩევას იძლეოდა, რომ ქვეყნის განვითარების გენერალური პერსპექტივების დასახვას მისდგომოდნენ რეალურად. მოვლენებისათვის წინ არ გაესწროთ, არ გადახტომოდნენ „განვითარების აუცილებელ ეტაპებს, არ ეფიქრათ, თითქოს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შესრულებით ავაშენებთ სოციალიზმს". დიმიტროვი ხაზს უსვამდა, რომ პარტია უნდა ამოდიოდეს „იმ მართებული პრინციპული მითითებიდან, რომ ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში, ბაზის შექმნისა და აუცილებელი პირობების მომზადების პერიოდში ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების დასამკვიდრებლად"[1].

პარტიის V ყრილობა გაიმართა 1948 წლის 18-25 დეკემბერს სოფიაში. იგი იყო განსაკუთრებული, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ბულგარელი ხალხის ცხოვრებაში. ყრილობა შედგა ქვეყანაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. დელეგატების ყურადღების ცენტრში იყო ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, რომელიც გააკეთა დიმიტროვმა. მან თეორიულად ღრმად გააანალიზა და განაზოგადა შედეგები იმ გმირული გზისა, რომელიც განვლო პარტიამ კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიმიტროვმა ღრმამეცნიერულად დაახასიათა პარტიის განვითარების მთავარი პერიოდები და მიუთითა იმ ისტორიულ გაკვეთილებზე, რომლებიც მისი წარსულიდან გამომდინარეობდა. მან დაასაბუთა და მოხაზა პარტიის შემდგომი განვითარების ძირითადი ეტაპები, საფუძვლიანად გააანალიზა მისი საგარეო პოლიტიკა. პარტიის ისტორიულ დამსახურებად დიმიტროვმა ის მიიჩნია, რომ მან „შეძლო კიდევ

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პოლიტიკური არქივი, ფ. 146, აღ. 2, ფურც. 186—187.

უფრო გაეღრმავებინა ბულგარელი ხალხის მადლიერების გრძნობა თავისი განმათავისუფლებლებისადმი და საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ექცია ჩვენი სახალხო რესპუბლიკის ქვაკუთხედად საგარეო პოლიტიკის დარგში"[1].

პოლიტიკურ ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თეორიულმა დებულებებმა 9 სექტემბრის აჯანყების არსისა და ხასიათის შესახებ, ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნების, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს არსისა და როლის დახასიათებამ. მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებმა და ა. შ. ხაზი გაუსვა რა საბჭოთა არმიის გადამწყვეტ როლს 9 სექტემბრის აჯანყების გამარჯვებაში, დიმიტროვმა იგი დაახასიათა, როგორც დიდი რევოლუციური აქტი, რომელმაც სათავე დაუდო სოციალისტურ რევოლუციას ბულგარეთში და გახსნა „გზა სოციალიზმის აშენებისაკენ"[2].

ბულგარეთში 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ მომხდარი ძირეული გარდაქმნების გაშუქებისას გ. დიმიტროვმა გამოიჩინა ჭეშმარიტი თეორიული ოსტატობა. იგი გამოვლინდა უპირატესად იმ ღრმა ანალიზში, რომელიც გენერალურმა მდივანმა გაუკეთა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კლასობრივ და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში თავჩენილ ცვლილებებს როგორც მსოფლიო არენაზე, ისე ბულგარეთში, უნარში მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამოყენებისა სოციალისტურ მშენებლობაში ბულგარეთის კონკრეტულ მაგალითზე.

საბჭოთა კავშირის ისტორიულმა როლმა ფაშიზმის განადგურებაში და ამ გამარჯვების შედეგად მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ შესაძლებელი გახადა წარმოქმნა სახალხო-დემოკრატიისა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ახალი ფორმისა. დიმიტროვი მიუთითებდა, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მშრომელთა ჩაგვრის იარაღიდან (კაპიტალისტური ურთიერთობის დროს) გადაიქცა კაპიტალიზმის მოსპობისა და მშრომელთა თანდათანობითი განთავისუფლების იარაღად ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან"[3]. სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც წარმატებით ასრულებდა პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციას სოციალისტური მშენებლობის პირობებში, ამკვიდრებს ფართო და სრულ დემოკრატიას, როგორსაც წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია. „განასახიერებდა რა მშრომელთა ბატონობას მუშათა კლასის ხელმძღვანელობით,—

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 640 (რუსულ ენაზე).

[2] იქვე, გვ. 612.

[3] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 295 (ბულგარულ ენაზე).

განაცხადა დიმიტროვმა,—სახალხო დემოკრატიის რეჟიმს უნარი შესწევს არსებულ ისტორიულ ვითარებაში, როგორც უკვე გვიჩვენა გამოცდილებამ, წარმატებით განახორციელოს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციები"

მდიდარმა რევოლუციურმა გამოცდილებამ და ფართო მარქსისტულ-ლენინურმა თვალთახედვამ, გაქანებამ და მასშტაბებმა, რომლითაც დიმიტროვი წყვეტდა დროის რთულ პრობლემებს, შესაძლებლობა მისცა მას, დაესახა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების შემდგომი პერსპექტივები. ეს პერსპექტივა იყო სოციალიზმი. ამრიგად, დიმიტროვმა ნათელი მოჰფინა საკითხს სოციალიზმის მშენებლობის მეთოდებისა და გზების შესახებ არა მხოლოდ ბულგარეთში, არამედ სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებშიც, შეაიარაღა ბულგარელი მშრომელები ნათელი პროგრამით. გ. დიმიტროვმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ თეორიული პრობლემების შემუშავებასა და განვითარებაში, რომლებიც დაკავშირებული იყო სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმესთან.

სოციალისტური რევოლუციის საერთო კანონზომიერებიდან გამომდინარე, გ. დიმიტროვმა პოლიტიკურ ანგარიშში ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თავისებური ფორმა არა ცვლის და არც შეუძლია შეცვალოს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონზომიერებანი, რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისათვის"[1]. როგორც თანმიმდევრული პროლეტარული ინტერნაციონალისტი, დიმიტროვი ასწავლიდა ბულგარელ კომუნისტებს, სრულყოფილად დაუფლებოდნენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მდიდარ გამოცდილებას, ფართოდ გამოეყენებინათ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება, რომელიც, „შეხამებული ჩვენს პირობებთან, წარმოადგენს ერთადერთ, საუკეთესო ნიმუშს სოციალიზმის მშენებლობისათვის როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში"[2].

სოციალიზმის მშენებლობის საქმეში პარტიის გენერალური ხაზის განსაზღვრისას გ. დიმიტროვი ნათლად ითვალისწინებდა ქვეყნის რეალურ ვითარებას, მიუთითებდა, არ გამოეტოვებინათ ცალკეული ეტაპები სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ამიტომ იგი მიუთითებდა იმის აუცილებლობაზე, რომ თავდაპირველად შეექმნათ სოციალიზმის ეკო-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 670-671 (რუსულ ენაზე).

[2] ი ქ ვ ე, გვ. 671.

ნომიკური და კულტურული საფუძვლები, შემდეგ კი შესდგომოდნენ თვით სოციალიზმის შენობის აგებას. ძირითადი რგოლები სოციალიზმის აშენების გენერალური ხაზისა იყო: ყრილობის მიერ დასახული სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფართო პროგრამის შესრულება მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარებით, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და კულტურული რევოლუციის გაშლა. „...აუცილებელია, — აღნიშნავდა ყრილობაზე დიმიტროვი, — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის საშუალებით, აგრეთვე მიწათმოქმედების მექანიზაციით 15-20 წელიწადში იმას მივაღწიოთ, რისთვისაც სხვა ქვეყნებს სხვა ვითარებაში მთელი საუკუნე დასჭირდებოდათ“[1].

ლენინური კოოპერაციული გეგმის შემოქმედებით დებულებებზე, საბჭოთა კოლმეურნეობის მდიდარ გამოცდილებაზე, აგრეთვე შრომით კოოპერატიულ სამიწათმოქმედო მეურნეობებზე დაყრდნობით დიმიტროვმა თავის მოხსენებაში შრომითი კოოპერატიული სამიწათმოქმედო მეურნეობები ბულგარეთის პირობებში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საუკეთესო ფორმად მიიჩნია (მიწის წინასწარი ნაციონალიზაციის გარეშე). იგი მოითხოვდა, რომ კოოპერატიევების ჩამოყალიბებისას უმკაცრესად დაეცვათ ნებაყოფლობითობისა და მატერიალური დაინტერესებულობის ლენინური პრინციპები, აგრეთვე კოოპერატიული მოძრაობის განვითარების ტემპები. ასე მისცა დიმიტროვმა პარტიას ხელში კიდევ ერთი იარაღი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში დიმიტროვმა საფუძვლიანად გააშუქა საკითხი მუშათა კლასისა და პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ სოციალისტურ მშენებლობაში. მან ხაზი გაუსვა პარტიული და მასობრივი პოლიტიკური მუშაობის მუდმივი ამაღლების აუცილებლობას პარტიის წინაშე მდგარ პოლიტიკურ ამოცანათა დონემდე. როგორც აღნიშნავდა დიმიტროვი, პარტიის ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ლენინური ერთიანობის, პარტიული დისციპლინის განმტკიცება, კოლექტივიზმის ლენინური პრინციპების მუდმივი დანერგვა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობაში, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დამკვიდრება და ა. შ.

როცა დიმიტროვმა მოხსენება დაამთავრა ლოზუნგით: „წინ სოცია-

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 644 (რუსულ ენაზე).

ლიზმისაკენ, კომუნიზმისაკენ!", ყველა დამსწრე ფეხზე წამოდგა, დარბაზში ოვაცია გაიმართა. ჰქქდა „ვაშა!", შემდეგ დელეგატებმა იმღერეს „ინტერნაციონალი" და რევოლუციური სიმღერები: „მეგობრული სიმღერა", „მუშებო, მუშა-ქალებო". ყველა დელეგატი დიმიტროვის მიერ დახატული ნათელი მომავლისადმი განიმსჭვალა ურყევი რწმენით, იმის რწმენით, რომ, სიძნელეების მიუხედავად, სოციალიზმი მაინც აშენდება!

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შემდეგ დელეგატებმა მოისმინეს ცენტრალური კონტროლის კომისიის, სამანდატო კომისიის მოხსენებები, აგრეთვე მოხსენება მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის შესახებ. შემდეგ დაიწყო კამათი, რომელიც გახსნა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) სოფიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ტოდორ ჟივკოვმა. მან აღნიშნა, რომ გ. დიმიტროვის მოხსენება „ჩვეულებრივი მოხსენება კი არ არის, არამედ ესაა პროგრამა, რომელიც მობილიზაციას უწევს ბულგარეთის ყველა მშრომელს ახალი შრომითი თავდადებისათვის"[1].

კამათის დამთავრების შემდეგ გ. დიმიტროვმა წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა. მან ხაზი გაუსვა პარტიის მხრივ სისტემატური და დაჟინებული მუშაობის აუცილებლობას მშრომელთა ძალების მობილიზაციისათვის ყრილობის მიერ დასახული გენერალური ხაზის განსახორციელებლად.

პარტიის V ყრილობამ მიიღო ახალი წესდება, შეუცვალა პარტიას სახელი და უწოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტია, აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც თავის სხდომაზე აირჩია პოლიტბიურო. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად იქნა არჩეული გიორგი დიმიტროვი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობის შემდეგ პარტია აქტიურად ჩაება პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, სამეურნეო და იდეოლოგიურ მუშაობაში ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ქვეყანაში სუფევდა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა.

დიმიტროვი მუდამ გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისუნარიანობით და ამოუწურავი ენერგიით. ახლაც იგი თავდაუზოგავად მუშაობდა კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის. თითქმის ყოველ-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობა, 18-25, XII, 1948 წ. სტენოგრაფიული ოქმი. ნ. 1, სოფია, 1949,გვ. 331 (ბულგარულ ენაზე).

დღე დიმიტროვი გვიან ღამემდე მუშაობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში ან საკუთარ სახლში. ავადმყოფი, ლოგინში მწოლიც კი ერთი წუთითაც არ რჩებოდა უსაქმოდ, კითხულობდა საინფორმაციო ცნობებს, მოხსენებებს, წერილებს და სხვა, იძლეოდა რჩევას, თუ როგორ გადაეჭრათ ესა თუ ის საკითხი პარტიული ან სახელმწიფოებრივი ხასიათისა. დაძაბულმა მუშაობამ და ტანჯვა-წამება, რაც გადაიტანა დიმიტროვმა ჰიტლერელთა ჯურღმულებში, შეარყია მისი ჯანმრთელობა. განსაკუთრებით ცუდად იგრძნო მან თავი 1949 წლის დასაწყისში. მიუხედავად სამუშაო დროის შემცირებისა, ძლიერი გადაღლილობა და გამოფიტულობა სულ უფრო ხშირად იჩენდა თავს. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მინისტრთა საბჭოს სხდომები მის ბინაზე იმართებოდა.

დიმიტროვი განთავისუფლებულ იქნა ოპერატიული, პარტიული და სახელმწიფო მუშაობისაგან. 1949 წლის 7 მარტს იგი სასწრაფოდ გაგზავნეს სამკურნალოდ საბჭოთა კავშირში, სადაც მოათავსეს მოსკოვის ახლოს სანატორიუმ „ბარვიხაში", მაგრამ აქაც, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, იგი მონაწილეობას იღებდა პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, კვლავ დიდი სითბოთი იყო გამსჭვალული ადამიანების მიმართ.

ცნობამ გ. დიმიტროვის მძიმე ავადმყოფობის შესახებ ღრმად დაამწუხრა ბულგარელი მშრომელები. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სანატორიუმ „ბარვიხაში" მოდიოდა ღრმა სიყვარულითა და იმედებით გამსჭვალული წერილები და დეპეშები. ყოველივე ეს ამხნევებდა გ. დიმიტროვს. სამშობლოსთან კავშირი იყო მისთვის მაცოცხლებელი იმპულსი, სძენდა სასიცოცხლო ძალებს, ეხმარებოდა ავადმყოფობის დაძლევაში. იგი ხუმრობდა, ინტერესდებოდა ამხანაგების ჯანმრთელობის მდგომარეობით...

საბჭოთა მედიცინამ ყველა ღონე იხმარა, რათა განეკურნა დიმიტროვი მძიმე სნეულებისაგან (დიაბეტი და ღვიძლის დაავადება). მაგრამ ავადმყოფობის ახალი შეტევების შემდეგ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გიორგი დიმიტროვი 1949 წლის 2 ივლისს გარდაიცვალა, 67 წლის ასაკში.

გ. დიმიტროვის სიკვდილმა ღრმა მწუხარებით აღავსო ბულგარელი ხალხი და მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელი, რომლებმაც მისი სახით დაკარგეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, კომუნიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლი, მხურვალე მომხრე საბჭოთა კავშირისა და ლენინის დიდი პარ-

ტიისა. ბულგარეთმა დაკარგა თავისი საყვარელი მასწავლებელი და ბელადი, ბრძენი და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და სამამულო ფრონტის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნეს ერთობლივი ცნობა დიმიტროვის გარდაცვალების შესახებ. „მგზნებარე და უდრეკი კომუნისტის, ლენინის ერთგული მოწაფის — გ. დიმიტროვის სიკვდილი, — ნათქვამი იყო ცნობაში, — რომლის ნათელი სახელი განუხრელადაა დაკავშირებული ბულგარეთის კომუნისტური პარტიის განვითარებასთან, რომლის ხელმძღვანელობითაც ხალხმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება და დაადგა სოციალიზმის გზას, მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისია პარტიის, ხალხის, სახალხო რესპუბლიკისათვის.

ამხ. გ. დიმიტროვის სახით ჩვენმა პარტიამ და ხალხმა დაკარგა საყვარელი ბელადი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებელი, ჩვენი ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო საერთაშორისო მუშათა კლასმა — ფაშიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთი უთვალსაჩინოესი მებრძოლთაგანი, პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი“[1].

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თავის მხრივ, მოწოდებით მიმართა პარტიის წევრებს, მთელ ხალხს, კიდევ უფრო შეემჭიდროვებინათ თავისი რიგები და უფრო მეტი ენერგიით შესდგომოდნენ დიმიტროვის ანდერძის შესრულებას.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურმა კომიტეტმაც გამოაქვეყნა ნეკროლოგი გ. დიმიტროვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელშიც მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული მის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას. ნეკროლოგში ნათქვამი იყო, რომ ლაიფციგის პროცესის დროს დიმიტროვი იქცა „ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშედ“, რომ მისმა გმირულმა ქცევამ სასამართლოზე, მრისხანე სიტყვებმა, რომლებსაც პირში ახლიდა ფაშისტებს, „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მშრომელთა ახალი მილიონები აამხედრეს მთელ მსოფლიოში“, რომ დიმიტროვმა დიდი მუშაობა გასწია საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების, ერთგული კომპარტიების ხელმძღვანელი კადრების გამოსაჭედად“. ნეკროლოგში ხაზგასმული იყო, რომ გიორგი დიმიტროვის სახით „მთელი მსოფ-

---

[1] მოგონებანი ბულგარეთის დიდ შვილზე — გიორგი დიმიტროვზე, სოფია, 1950, გვ. 8—9 (ბულგარულ ენაზე).

ლიოს მშრომელებმა დაკარგეს მგზნებარე მებრძოლი, რომელმაც მთელი თავისი გმირული ცხოვრება უძღვნა მუშათა კლასის საქმისადმი, „კომუნიზმის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს", რომ მისი გარდაცვალება არის „მძიმე დანაკლისი საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისათვის, მტკიცე მშვიდობისა და სახალხო დემოკრატიისათვის მებრძოლთათვის"[1].

სპეციალური მატარებლით გ. დიმიტროვის ნეშტი მოსკოვიდან სოფიაში გადაასვენეს. მთელ ამ გრძელ გზაზე რუსები, უკრაინელები, რუმინელები, ბულგარელები მასობრივად იკრიბებოდნენ რკინიგზის სადგურებზე ან ლიანდაგის გაყოლებით, რათა გამოეხატათ თავისი ღრმა მწუხარება, უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ამდენი გააკეთა მათთვის.

სოფიაში კუბო გ. დიმიტროვის ნეშტით დაასვენეს სახალხო კრების დარბაზში საჯარო გამოთხოვებისათვის. უსასრულო ნაკადად მოედინებოდნენ ბულგარელი მშრომელები, რომლებიც ეთხოვებოდნენ დიდ და ვალმოხდილ შვილს და მტკიცე პირობას დებდნენ, განუხრელად ეევლოთ მის მიერ დასახული გზით.

1949 წლის 10 ივლისს სოფიაში, 9 სექტემბრის მოედანზე, გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. ახლად აგებული მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგნენ 23 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა პატივი ეცათ ლაიფციგის გმირისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელის ხსოვნისათვის. „გიორგი დიმიტროვი, — განაცხადა მაშინ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, — ყველა ჩვენთაგანის გულში დარჩება, როგორც მებრძოლი-რევოლუციონერი, პროლეტარიატის ნიჭიერი, ენერგიული, მტკიცე ბელადი, დაუღალავი მებრძოლი თავისი ხალხისათვის, ლენინის დიადი იდეისათვის..."[2] ინგლისური და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ ჰარი პოლიტმა თქვა: „მიჰყვებოდა რა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაკვალევს... გიორგი დიმიტროვმა ღრმა კვალი გაავლო მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და დრო ვერასოდეს წაშლის მას"[3].

---

[1] Газ. «Правда», 1949 წლის 3 ივლისი.

[2] მოგონებანი ბულგარელი ხალხის დიდ შვილზე—გიორგი დიმიტროვზე, გვ. 187, (ბულგარულ ენაზე).

[3] იქვე, გვ. 215.

სამგლოვიარო მიტინგზე წარმოითქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთელი ბულგარელი ხალხის ფიცი, თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ დიმიტროვის დიად და უჭკნობ მემკვიდრეობას, გაეგრძელებინათ მისი საქმე, აეშენებინათ ბულგარეთში სოციალიზმი და კომუნიზმი.

დ ა ს კ ვ ნ ა

დიმიტროვის ანდერძის ერთგულნი,

განუხრელად ლენინური გზით

გიორგი დიმიტროვმა, რომელმაც პარტიის ისტორიულ V ყრილობაზე განაზოგადა კლასობრივი ბრძოლის უდიდესი გამოცდილება და შემდგომ განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიღწევები, კომუნისტებსა და მთელ ბულგარელ ხალხს უანდერძა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის გამარჯვების მეცნიერულად დასაბუთებული გენერალური ხაზი. მის `ძირითად რგოლებს შეადგენდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების კოოპერირება და კულტურული რევოლუცია. არსებითად ეს იყო სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა, მიყენებული ბულგარეთის კონკრეტული პირობებისადმი.

ძირითადი ობიექტური ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა მისი განხორციელება, შემდეგი იყო: სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება, როგორც თავისებური ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა, მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან პროლეტარიატისა და მისი კომუნისტური ავანგარდის ხელმძღვანელობით, სამრეწველო საწარმოთა, შახტებისა და ბანკების ნაციონალიზაცია, ქვეყნის საწარმოო ძალების გეგმური და დაჩქარებული განვითარება, შრომითი კოოპერატიული სამიწათმოქმედო მეურნეობა, როგორც ფორმა ღარიბი და საშუალო გლეხების გაერთიანებისა, საუკუნო და ურღვევი მეგობრობა დიდ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

გ. დიმიტროვი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალიზმს აშენებს არა მარტოდმარტო, არამედ საბჭოთა კავშირის ძმური და აქტიური დახმარებით, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობით. ამ ხელსაყრელი ობიექტური პირობების წყალობით ბულგარეთი არ საჭიროებდა მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას; მან განავითარა მხოლოდ ისინი, რომელთათვისაც არსებობდა ყველაზე მეტი შესაძლებლობანი და რომლებიც ყველაზე რენტაბელურნი იყვნენ. ამის შედეგად ისახებოდა რეალური შესაძლებლობანი ეკონომიკური გან–

ვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფისათვის, ქვეყნის საუკუ-ნოვანი ჩამორჩენილობის სწრაფი დაძლევისათვის.

V ყრილობის ტრიბუნიდან დიმიტროვი თანამედროვე ბულგარეთს ხედავდა განვითარებული მრეწველობითა და სოციალისტური სოფ-ლის მეურნეობით, აყვავებული სახალხო კულტურით, საზოგადოების ახალი სოციალური სტრუქტურით, დამკვიდრებული საერთაშორისო ავტორიტეტით, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის აქტიურ წევრად, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კომუნიზმის დამყარებისათვის დაუღალავ მებრძოლად.

დიმიტროვის ანდერძი რომ შეესრულებინა, მუშათა კლასს, მშრო-მელ გლეხობასა და სახალხო ინტელიგენციას ბულგარეთის კომუნის-ტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი ძალ-ღონე უნდა დაეძაბა და დიდი შემოქმედებითი ენერგია გამოევლინებინა. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას თან ახლდა მწვავე კლასობრივი ბრძოლა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, ექსპლოატატორული კლა-სების ლიკვიდაციისათვის, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერ-თობათა გამარჯვებისათვის, ბულგარეთის საზოგადოების ახალი სო-ციალური სტრუქტურის ფორმირებისათვის.

მუშათა კლასის ისტორიული მიზნებისა და მოწოდების პროგრა-მად გარდაქმნის პროცესი, შეგნებული ყველა სოციალური ჯგუფის მიერ, მძიმე და შედარებით ნელი იყო. ეს ავალდებულებდა კომუ-ნისტურ ავანგარდს, დაეცვა დიდი ტაქტი, გამოევლინა უნარი, სიმ-ტკიცე და თანმიმდევრულობა, რათა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები ღრმად შეჭრილიყო ყველა მშრომელის შეგნებაში, დაერაზმა ისინი შემოქმედებითი შრომისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. დიმიტროვის მაგალითით შთაგონებულმა ბულგარელმა კომუნისტებმა ღირსეულად შეასრულეს ეს ეროვნული და ინტერნაციონალური მო-ვალეობა.

ყველაზე ხელსაყრელ, ომამდელ 1939 წელს ბულგარეთის მო-სახლეობის თითქმის ორი მესამედი სასოფლო-სამეურნეო შრომის ხარჯზე არსებობდა. ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა ძლიერ ჩამორჩებოდა ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. 1947 წელს მრეწველობის ნაციონალიზაციის შემდეგაც კი ბულგარეთი კვლავ რჩებოდა ტექნიკური განვითარების დაბალ დონეზე. მრეწვე-ლობის რიგი დარგები საერთოდ არ იყო განვითარებული. ბულგა-რეთს არ გააჩნდა მძიმე მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობის შემდეგ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია იქცა პარტიის მთავარ ეკონომიკურ ამოცანად და მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის

საფუძვლად. ბულგარეთის კომპარტიის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის, მშრომელთა მაღალი შეგნებულობის, საბჭოთა კავშირის ძმური უანგარო დახმარების შედეგად მაღალი შედეგები იქნა მიღწეული ბულგარეთის სოციალისტური მრეწველობის განვითარების საქმეში, დიდი ცვლილებები მოხდა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში. მეხუთე ხუთწლედის ბოლოს (1970 წ.) მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თანაფარდობამ შეადგინა 80/20-თან მრეწველობის სასარგებლოდ, მაშინ როცა 1939 წელს ეს თანაფარდობა შეადგენდა 24,8/75,2 სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ. შეივსო მუშათა კლასის რიგები, ამაღლდა მისი განათლებისა და კულტურის დონე, მისი რწმენა და დაჯერებულობა, როგორც მმართველი კლასისა, სოციალისტურ საზოგადოებაში.

1939 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1970 წელს 36-ჯერ გაიზარდა. სწრაფად მატულობდა ენერგეტიკული სიმძლავრეები, ხოლო ელექტრო და თბოენერგიის გამომუშავება 67-ჯერ აღემატებოდა ომამდელ დონეს. უახლოეს წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა პირველი ატომური ელექტროსადგური. სწრაფი ტემპით იზრდება მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტრო და ქიმიური მრეწველობა.

ძირითადი დარგების — მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, მეტალურგიისა და ქიმიის ხვედრითმა წილმა საერთო სამრეწველო პროდუქციაში 1970 წელს შეადგინა 41,2%. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ეკონომიკის ზრდის ტემპების მიხედვით.

გარდამავალი პერიოდის ბოლოს, რომელიც დასრულდა 1958 წელს, მიღწეულ იქნა დიდი გამარჯვება — სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა საბოლოოდ გაბატონდა სოფლად. ბულგარეთმა, მეორემ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის შემდეგ, წარმატებით დაასრულა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. დიმიტროვის მითითებების გათვალისწინებით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ბულგარელმა კომუნისტებმა შეძლეს, მიწის წინასწარი ნაციონალიზაციის გარეშე, დაერწმუნებინათ წვრილი და საშუალო გლეხობის მრავალათასიანი მასა წარმოების სოციალისტური წესის დიდ უპირატესობაში. „რევოლუციური გარდაქმნების შედეგად შეიცვალა ბულგარელი გლეხის შრომის, ეკონომიკური ურთიერთობისა და ცხოვრების წესის ხასიათი“[1]. სოფლის მეურნეობაში დაიწყო მართვისა და წარ-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა, მ., 1972, გვ. 235 (რუსულ ენაზე).

მოების სამრეწველო შეთოდების დანერგვა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა უფრო სრული გამოყენებისათვის, სასოფლო-სამეურნეო შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობის ამაღლებისათვის. 1939 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1970 წელს გაიზარდა 2.1-ჯერ; ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა შემცირდა ორჯერ და მეტად. ბულგარეთის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელმაც კონცენტრაციისა და განვითარების სამი ეტაპი გაიარა, ამჟამად გაერთიანებულია თითქმის 170 აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში (საშუალოდ, 2,6—2,7 ათასი ჰექტარი დასამუშავებელი მიწისა). სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის ძირეული ცვლილებების, ბულგარეთის კომპარტიის მართებული სოციალური პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. განათლება და სამედიცინო მომსახურება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში უფასოა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფონდები, რომელსაც სახელმწიფო გამოყოფს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, განსაკუთრებით საპენსიო უზრუნველყოფისათვის. პენსიის მიღების უფლება გააჩნიათ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს. სოციალისტური სახელმწიფო გამოყოფს მნიშვნელოვან თანხებს მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარებისათვის, განათლების, მეცნიერების და კულტურის საჭიროებისათვის.

კულტურულ რევოლუციას შედეგად მოჰყვა სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბება მშრომელებში, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის დაძლევა, რომლებიც ინერგებოდა მრავალი ათეული წლების განმავლობაში. მუშათა კლასის იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი დამკვიდრდა, როგორც გაბატონებული იდეოლოგია და მძლავრ როლს ასრულებს საზოგადოებრივი შეგნების განვითარებაში. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა ობიექტური პირობები საზოგადოების კულტურული განვითარებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი სულიერი ზრდისათვის. სოციალისტური ბულგარეთის მიღწევებმა დაადასტურა გ. დიმიტროვის შესანიშნავი აზრი იმის შესახებ, რომ კულტურის სფეროში არ არსებობენ ძალიან ნიჭიერი ან უნიჭო ხალხები, რაგინდ დიდნი ან მცირენიც უნდა იყვნენ ისინი.

ქვეყნის ისტორიული არენიდან სამუდამოდ გაქრა ბურჟუაზია. მუშათა კლასი გადაიქცა ბულგარეთის საზოგადოების წამყვან, ხელმძღვანელ ძალად. დიდი ცვლილებანი მოხდა მის შემადგენლობასა და სტრუქტურაში. წარმოიქმნა ახალი კლასი — გლეხ-კოოპერატორთა

კლასი. ასრულდა გ. დიმიტროვის წინასწარმეტყველება — გლეხმა კოოპერატორებმა თვითონვე განაცხადეს უარი მიწის რენტაზე, რომელიც მათ შრომით კოოპერატიულ სამიწათმოქმედო მეურნეობებს გადასცეს. მიწა იქცა საზოგადოებრივ კოოპერატიულ საკუთრებად. ამგვარად, შრომითი კოოპერატიული სამიწათმოქმედო მეურნეობები საბოლოოდ იქცნენ სოციალისტური ტიპის საწარმოებად. ყალიბდება აგრეთვე ხელოსან-კოოპერატორთა სოციალური ჯგუფი.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აგრეთვე ინტელიგენციის შემადგენლობასა და სოციალურ ფუნქციებში. სოციალისტური სახელმწიფოს მიერ შეგნებულად და გეგმაზომიერად გატარებული პოლიტიკის შედეგად ინტელიგენციის დიდი ნაწილი ამჟამად შედგება მუშათა და გლეხთა ქალიშვილებისა და ვაჟებისაგან. ინჟინერ-ტექნიკური კადრების ძირითადი ბირთვი წარმომდგარია მუშათა კლასისა და კოლმეურნე-კოოპერატორებისაგან.

გადალახულია ანტაგონისტური წინააღმდეგობანი ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. განმტკიცდა კავშირი მუშათა კლასს, კოლმეურნე-კოოპერატორებსა და სახალხო ინტელიგენციას შორის. გაძლიერდა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი დარაზმულობა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკის ირგვლივ, რომლის დევიზია: ყველაფერი ადამიანისათვის, მისი ბედნერებისა და კეთილდღეობისათვის.

სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის სულ უფრო მზარდი პროცესი წარმოადგენს ლენინური დებულების ნათელ დადასტურებას, რომელიც დაიცვა და განავითარა დიმიტროვმა: პროლეტარიატის დიქტატურა არის ხალხის უზარმაზარი უმრავლესობის ხელისუფლება, დემოკრატიის უმაღლესი ფორმა.

ბულგარეთში სოციალისტური მშენებლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1956 წ.) პლენუმს. ამ პლენუმით, რომელიც გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ და მისი ნიშნით მიმდინარეობდა, დაიწყო დაძლევა გადახვევისა იმ პოლიტიკური ხაზიდან, რომელიც პარტიის V ყრილობაზე დასახა გ. დიმიტროვმა, დაძლევა გადახვევისა, რომელსაც პიროვნების კულტის დროს ჰქონდა ადგილი. სინამდვილის ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე პლენუმმა გამოააშკარავა სისუსტენი და ნაკლოვანებანი პარტიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ მოღვაწეობაში, მის ხელმძღვანელობაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში და განსაზღვრა მისი დაძლევის გზები. ცენ-

ტრალური კომიტეტის აპრილის ამ პლენუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტოდორ ჟივკოვი, გამოავლინა დიდი პოლიტიკური სიმამაცე და გაბედულება, რამაც სასიკეთო როლი შეასრულა პარტიისა და ქვეყნის შემდგომ განვითარებაში.

აღდგენილ იქნა დიმიტროვის პერიოდისათვის დამახასიათებელი კოლექტიურობა პარტიულ ორგანოთა მუშაობაში, მათი მჭიდრო კავშირი მშრომელებთან, ყურადღებიანი დამოკიდებულება ადამიანისადმი, ყველაზე ღირებული კაპიტალისადმი სოციალისტურ საზოგადოებაში, მხრუნველობა და პატივისცემა რევოლუციური კადრებისადმი, რომლებმაც თავი გაწირეს 9 სექტემბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, უნარი — დაერაზმა პარტიის პოლიტიკის ირგვლივ მოღვაწეთა ყველა თაობა. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1956 წ.) პლენუმმა, ხაზგასულია პარტიის ახალ პროგრამაში, შესაბამისობაში მოიყვანა „პარტიის შემოქმედებითი მუშაობა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნებთან, უზრუნველყო პირობები პარტიისა და ხალხის შემოქმედებითი ინიციატივისა და ენერგიის ფართოდ გაშლისათვის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დასრულებისა და სოციალისტური წყობილების შემდგომი განვითარებისათვის“...[1].

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის აპრილის პლენუმი არის გაგრძელება და განვითარება გ. დიმიტროვის მიერ ნაანდერძევი გენერალური კურსისა, მან აღადგინა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის შემოქმედებითი მიდგომა საზოგადოებრივი განვითარების პრობლემათა გადაჭრისადმი, დააჩქარა სოციალიზმის გამარჯვება ბულგარეთში.

აპრილის პლენუმმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საერთო კანონზომიერებათა მნიშვნელობას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, რომელთა იგნორირებასაც, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, მივყავართ სერიოზულ შეცდომებამდე, აფერხებს ახალი საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას. სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში დაგროვილი ისტორიული გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს, რომ არაა საკმარისი კომუნისტურმა პარტიამ გაითვალისწინოს მხოლოდ საერთო კანონზომიერებანი; აუცილებელია ღრმად და მეცნიერულად დასაბუთდეს მათი გამოვლენის კონკრეტული ფორმები, გაირკვეს ყოველი ეტაპის შინაარსი, გამოვლინდეს შემოქმედებითობა იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც თავს

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა, გვ. 216 (რუსულ ენაზე).

იჩენს ყოველი კომპარტიის წინაშე.

„კომუნისტები, — გვასწავლიდა დიმიტროვი, — ფანტაზიორები კი არა, რეალისტი პოლიტიკოსები არიან. ისინი მუდამ ითვალისწინებენ რეალურ ვითარებას და საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობას. თავის საქმიანობაში კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ ხალხის ცხოვრებისეული, საარსებო ინტერესებით, ქვეყნის საერთო-ეროვნული ინტერესებით ყოველ მოცემულ მომენტში“[1].

პარტიის V ყრილობის შემდეგ განვლილი გზის მეცნიერულმა ანალიზმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე წარმატებითი გადასვლის შემდეგ, საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში განხორციელებული ღრმა ცვლილებების შემდეგ მოდის ახალი, უფრო მაღალი ეტაპი — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეტაპი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია, სოციალისტური საზოგადოების განვითარების შესახებ თავისი შეხედულებების ჩამოყალიბებისას, ეყრდნობოდა, პირველ რიგში, მარქსისტულ-ლენინურ დებულებას კომუნისტური ფორმაციის ორი ფაზის თაობაზე, აგრეთვე ვ. ი. ლენინის წვლილს სოციალიზმის მთავარი ეტაპების განსაზღვრის საქმეში. თავის ამ მოღვაწეობაში ბულგარეთის კომპარტია ითვალისწინებდა ასევე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებას, თეორიულ მიღწევებს, პარტიის V ყრილობის გენერალური ხაზის შესრულების შედეგებს, ბულგარეთის საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების მეცნიერულ ანალიზს.

ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის შემცველმა პარტიის კონცეფციამ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესახებ ასახვა პოვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, განსაკუთრებით ივლისის (1968 წ.) პლენუმის დოკუმენტებში. ამ მიმართულებით პარტიის მოღვაწეობის გვირგვინი იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა და მის მიერ მიღებული ახალი პროგრამა.

მიჰყვებოდა რა გიორგი დიმიტროვის მაგალითს, ბულგარეთის კომპარტიამ პროგრამის შემუშავებისას გამოავლინა ღრმა რეალიზმი, წინ არ უსწრებდა მოვლენებს, არ ტოვებდა განვითარების ცალკეულ ეტაპებს. საბჭოთა კავშირის გამოცდილება, რომელმაც ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და ამჟამად ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ასევე მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნების გამოცდილება ნათლად ადასტუ-

---

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 71 (რუსულ ენაზე).

რებს — ეს არ არის ხანმოკლე ეტაპი, იგი მოიცავს მთელ ისტორიულ პერიოდს. მისი ხანგრძლიობა სხვადასხვა ქვეყნებისათვის განსხვავებულია და პირდაპირდამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაზე, რომლის დროსაც მოხდა სოციალისტური რევოლუცია. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმულია, რომ „სოციალისტური მშენებლობის განუწყვეტელ, მრავალფეროვან და რთულ პროცესში საზოგადოება გადის სხვადასხვა ეტაპებს — სოციალისტური საზოგადოების უდაბლესი ფორმებიდან უმაღლესისაკენ“, რომ „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს უმაღლეს და დამამთავრებელ ეტაპს სოციალიზმის, როგორც კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის, განვითარებაში“[1].

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება უმაღლეს ეტაპზე განსაკუთრებით ნათლად ამჟღავნებს თავის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ვითარდება საკუთარ, სოციალისტურ საფუძველზე და ყველაზე სრულად იყენებს ობიექტურად მოქმედ ეკონომიკურ კანონებსა თუ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს, უზრუნველყოფს საწარმოო ძალების შემდგომ ზრდას, საწარმოო ურთიერთობათა სრულყოფას, მშრომელთა კულტურისა და ცხოვრების დონის ამაღლებას, რასაც მივყავართ პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებისაკენ.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, რაც მთავარი საშუალებაა ადამიანთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის. ღრმა ცვლილებები შეეხება შრომის შინაარსსა და ხასიათს, რაც დააჩქარებს გონებრივ და ფიზიკურ შრომას, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების დაძლევის პროცესს. სასოფლო-სამეურნეო შრომა სულ უფრო ხშირად მოგვევლინება, როგორც სამრეწველო შრომის სახესხვაობა. ამ ეტაპზე საკუთრების ორი ფორმა — სახელმწიფო და კოოპერაციული — სულ უფრო დაუახლოვდება ერთმანეთს, რათა შემდგომ გაერთიანდეს და იქცეს საერთო-სახალხო საკუთრებად. გაგრძელდება საზოგადოებრივი კლასებისა და სოციალური ჯგუფების დაახლოების პროცესი, რომლებიც სულ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მუშათა კლასისა და მისი ისტორიული მიზნის — კომუნიზმის მშენებლობის ირგვლივ. მათ შო-

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა, გვ. 240—241 (რუსულ ენაზე).

რის სხვაობა იმდენად შემცირდება, რომ საზოგადოება მივა სოციალური ერთგვაროვნების კარიბჭემდე. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო თანდათანობით გადაიქცევა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ისტორიულად წარმოადგენს კომუნიზმის წინადღეს. კომუნისტური ფორმაციის მეორე ფაზაში საბოლოოდ მოისპობა განსხვავება ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას, კლასებს შორის; საბოლოოდ დაიძლევა წარსულის გადმონაშთები მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში, ფსიქოლოგიასა და იდეოლოგიაში, მემკვიდრეობით მიღებულთ კაპიტალიზმისაგან.

პროგრამაში ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი პროგრესის ამაჩქარებელ ფაქტორად განვითარებული სოციალიზმისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ორ მსოფლიო სისტემას შორის გამძაფრებული ბრძოლის პირობებში ითვლება თანამშრომლობა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის, რომელიც თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა საერთაშორისო სოციალისტურმა ინტეგრაციამ. ისინი წარმოადგენენ ობიექტურ კანონზომიერებას, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესს და რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, დაიწყო კაპიტალიზმის პირობებში.

საერთაშორისო სოციალისტური ინტელიგენცია გულისხმობს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებას, მათი საწარმოო ძალებისა და ეკონომიკური რესურსების კოორდინაცია-გაერთიანებას, საერთაშორისო არენაზე მოქმედების ერთიანობას.

ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე წლებში დიმიტროვი არაერთხელ უსვამდა ხაზს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის, პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან ერთიანობის მნიშვნელობას.

ყოველგვარი ტენდენცია, მიუთითებდა იგი, მიმართული ურთიერთთანამშრომლობის, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის წინააღმდეგ, ძირს უთხრის სოციალიზმს, მის საფუძვლებს.

საერთაშორისო სოციალისტური ინტეგრაცია ამაღლებს მსოფლიო სოციალიზმის ძლიერებას და შესაძლებელს ხდის უფრო ხელშესახებად გამოვლინდეს მისი უდიდესი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა იქცა პარტიის თეორიული სიმწიფის დემონსტრაციად. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მომზადება შესაძლებელი გახდა ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემოქმედებითი სულისკვეთების მეოხებით. „არსებითად, პარტიის პროგრამა წარმოადგენს აპ-

რილის ხაზის გაგრძელებასა და განვითარებას, აპრილის პროგრამა არის ბულგარეთის განვითარების პროგრამა შემდგომ ათწლეულში"[1].

თავისი მნიშვნელობისა და როლის მეოხებით X ყრილობა ღირსეულ ადგილს დაიჭერს ბულგარეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, ისეთ მოვლენათა შორის, როგორიცაა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის I ყრილობა, გამართული 1891 წელს, რომელმაც სოციალიზმი აღიარა პარტიის საბოლოო მიზნად; ბულგარეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობა, გამართული 1919 წელს, რომელმაც მიიღო საპროგრამო განცხადება, სადაც აღიარეს „შემჭიდროებული" სოციალისტების პარტიის დარაზმვა ლენინიზმის დროშის ქვეშ; პარტიის V ყრილობა და ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი, რომელთა გადაწყვეტილებანი საპროგრამო ხასიათს ატარებდა. და თუმცა მათ შორის არის არსებითი, თვისებრივი განსხვავებანი, ახალ პროგრამაში, ისევე როგორც ეს გააკეთა დიმიტროვმა V ყრილობაზე, მოცემულია მარქსისტულ-ლენინური შეფასება პარტიის წარსულისა და თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელი ნიშნებისა, გაანალიზებულია საშინაო და საერთაშორისო ვითარება ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე. ისევე როგორც დიმიტროვის მოხსენებაში, რომელშიც მეცნიერულად იყო დახასიათებული სახალხო დემოკრატია, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ახსნილი და დასაბუთებულია ძირითადი თვისებები და კანონზომიერებანი სოციალისტური ფაზის ახალი ეტაპისა — განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა. დასახულია პარტიის მთავარი ამოცანები ახალ პერიოდში, განსაზღვრულია მათი გადაჭრის ძირითადი მეთოდები და საშუალებანი მომდევნო ათწლეულებში.

დიმიტროვის მიერ ფორმულირებულმა გენერალურმა ხაზმა პარტიის საქმიანობა წარმართა ნათელი მიზნისაკენ — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისაკენ და სოციალიზმის ფორმირებისაკენ ერთიან სოციალურ სისტემად. ახალმა პროგრამამ მეცნიერულად დაასაბუთა მომდევნო ისტორიული ამოცანა — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ამგვარად, X ყრილობა წარმოადგენს პარტიის მეხუთე ყრილობის ეპოქალური საქმეების თავისებურ გაგრძელებას, თვისებრივად ახალ ნაბიჯს პარტიის შემოქმედებითი აზრის განვითარებაში.

„ამჟამად, — წერდა ამხ. ტოდორ ჟივკოვი სტატიაში „ფასდაუდებელი ეროვნული კაპიტალი", — როცა ვამბობთ, რომ დიმიტროვის გარეშე მივდივართ დიმიტროვის გზითო, მხედველობაში გვაქვს ის, რომ გიორგი დიმიტროვის გზა — ესაა გზა მძლეთამძლე ლენინური

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა, გვ. 207 (რუსულ ენაზე).

მოძღვრებისა, მხედველობაში გვაქვს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება, შემოქმედებითი (ქვეყნის თავისებურებებისა და საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით) გამოყენება სოციალისტური მშენებლობის კანონზომიერებისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებისა"[1].

მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებამ კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესისა და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბოლოოდ დაადასტურა დიმიტროვის წინასწარჭვრეტა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თაობაზე,

თავის დასკვნით სიტყვაში კონგრესზე დიმიტროვი ხაზს უსვამდა ერთიანი და სახალხო ანტიფაშისტური ფრონტების მნიშვნელობას და აღნიშნავდა, რომ „საძირკველი აქვს ჩაყრილი მშრომელთა ისეთ ფართო მობილიზაციას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არ ახსოვს მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას"[2].

სრულიად სხვადასხვაგვარი დემოკრატიული ძალები, მიუხედავად მათი სოციალური წარმომავლობისა, პარტიულობისა და სარწმუნოებისა, გაერთიანდნენ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მთელ რიგ ხალხებს.

მთელი მსოფლიოს კომუნისტურმა პარტიებმა დამსახურებულად მოიპოვეს ხალხთა ნდობა და პატივისცემა ფაშიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრული და თავდადებული ბრძოლით. კომუნისტებმა, რომლებიც, დიმიტროვის ბითითების თანახმად, არ უწევდნენ აფიშირებას თავის ხელმძღვანელ როლს ერთიან, სახალხო და ეროვნულ ფრონტებში, მიაღწიეს ყოველივე ამას მოწინავე პოზიციებზე თავგანწირული ბრძოლით.

კომუნისტური და მუშათა პარტიები მასობრივნი გახდნენ, გაღრმავდა მათი კავშირები მუშათა კლასთან და სხვა მშრომელებთან, ხოლო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა იქცა თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად.

მსოფლიოს ყველა ხალხები საბჭოთა კავშირის სახით ხედავდნენ იმ გადამწყვეტ ძალას, რომელმაც იხსნა კაცობრიობა ჰიტლერელთა ბარბაროსობისაგან, ხოლო ამჟამად განაპირობებს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის წარმატებას დედამიწის ყველა რაიონში.

გიორგი დიმიტროვი ღრმა რწმენით აღნიშნავდა, რომ ფაშიზმი,

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული სტატიები და სიტყვები, გვ. 4 (რუსულ ენაზე).

[2] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 178 (ბულგარულ ენაზე).

რომელმაც თავს იდო განუხორციელებელი ამოცანა — გაენადგურებინა მარქსიზმ-ლენინიზმი, მუშათა რევოლუციური მოძრაობა და მისი პირმშო — საბჭოთა კავშირი, კლასობრივი ბრძოლის ობიექტური განვითარების შედეგად ვერ აღუდგება წინ იმ ძალთა განმტკიცებასა და გაძლიერებას, რომელნიც, საბოლოო ჯამში, მის მესაფლავედ უნდა იქცნენ. მართლაც, დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, მსოფლიოს ყველა ანტიფაშისტურ ძალასთან კავშირში ამ ძალებმა გაანადგურეს ფაშიზმი და იხსნეს კაცობრიობა გადაშენებისა და სიბნელის კოშმარისაგან.

როგორც დიმიტროვმა განკვრიტა, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები კაპიტალიზმის ლიკვიდაციისათვის (უშუალოდ ან შუალედური ეტაპების გავლით) ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში. წარმატებით იქნა ნაპოვნი „გადასვლა ან მისვლა“ სოციალისტურ რევოლუციასთან, როგორც ამას ასწავლიდა ვ. ი. ლენინი ახალგაზრდა კომუნისტურ მოძრაობას, და რასაც განსაკუთრებით უსვამდა ხაზს დიმიტროვი კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესზე.

მეორე მსოფლიო ომმა და ფაშისტურ სახელმწიფოთა საბოლოო განადგურებამ გამოიწვია ღრმა ცვლილებანი სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალთა თანაფარდობას შორის მსოფლიო არენაზე. ეს ცვლილებანი შეუქცევადად ხდის კომუნიზმისაკენ კაცობრიობის ძლევამოსილი წინსვლის მსოფლიო-ისტორიულ პროცესს.

სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის საზღვრებს და იქცა მსოფლიო სისტემად, რომელიც ძალას იკრებს და ამკვიდრებს საკუთარ უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ დარგებში. ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანა გაჰყვა გზას, რომელიც გაკაფა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მსოფლიო სოციალისტური სისტემა ხდება მსოფლიო პროცესის გადამწყვეტი ფაქტორი. ძირითად შინაარსს, ძირითად მიმართულებას და ძირითად თავისებურებებს კაცობრიობის ისტორიული განვითარებისა ამჟამად განსაზღვრავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, ძალები, რომლებიც იბრძვიან საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნები გამოიმუშავებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების ერთ მესამედს, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების წილად მოდის ერთი მეოთხედი, ხოლო დასავლეთ ევროპის წილად — ერთ მეხუთედზე ნაკლები. სოციალიზმის დროშა ფრიალებს ამერიკის კონტინენტზეც. კუბის მაგალითმა მძლავრი

ბიძგი მისცა რევოლუციური ბრძოლის განვითარებას ლათინურ ამერიკაში.

მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას მეორე მსოფლიო ომმა ძალზე შეურყია პოზიციები. რევოლუციურ ძალთა მძლავრი დარტყმების შედეგად მას ჩამოსცილდა რამდენიმე ქვეყანა. მსოფლიო კაპიტალიზმი იძულებულია შეეგუოს ახალი ვითარებას, მაგრამ იგი კვლავ ემუქრება მშვიდობას და ხალხის უშიშროებას. ის ცდილობს დაიბრუნოს ისტორიული ინიციატივა, დაიწყოს ტოტალური იდეოლოგიური ომი მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, გადავიდეს კონტრშეტევაზე, მაგრამ იმპერიალიზმს მოესპო შესაძლებლობა, უცერემონიოდ განაგოს ხალხების ბედი. მას წინ აღუდგა თანამედროვეობის სამი მძლავრი რევოლუციური ნაკადი: მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თანამედროვე ეპოქა ხასიათდება იმ ძალთა გიგანტური ზრდით, რომელნიც მონაწილეობენ მსოფლიო რევოლუციურ პროცესში.

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი მტკიცედ უპირისპირდება მონოპოლიების შემოტევას, რომელნიც სულ უფრო აძლიერებენ ექსპლოატაციას და ხელყოფენ მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. განსაკუთრებით ფართო გაქანება პოვა კლასობრივმა ბრძოლამ უკანასკნელ წლებში, როდესაც კაპიტალისტებმა ხალხს გადააკისრეს სავალუტო და ფინანსური კრიზისების, აგრეთვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული კურსის დამღუპველი შედეგები.

მკაცრი ბრძოლები აძლიერებს მერყეობასა და წინააღმდეგობას თვით კაპიტალისტურ სისტემაში, პროლეტარიატის მხარეზე გადაჰყავს მოსახლეობის ახალი და ახალი ფენები.

ფართოვდება მუშათა კლასის სოციალური საზღვრები. მის რიგებს ავსებენ ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია, მოსამსახურენი და სხვა სოციალური ფენები, რომელთაც მონოპოლიები აქცევენ დაქირავებულ მუშაკებად. გასული საუკუნის შუახანებში განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი შეადგენდა სულ 10 მილიონს, ხოლო მიმდინარე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მათმა რაოდენობამ 200 მილიონ კაცს გადააჭარბა.

ამ ობიექტური პროცესის საპირისპიროდ, უკანასკნელ წლებში ჩნდება ოპორტუნისტებისა და იმპერიალიზმის აპოლოგეტების მიერ წამოყენებული სხვადასხვა თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მუშათა კლასის რევოლუციური აქტიურობა თითქოს შესუსტდა, რომ პროლეტარიატმა არსებობაც კი შეწყვიტა და ტრანსფორმირდება „ახალ, საშუალო კლასად", ხოლო მის როლს თითქოს უკვე

ასრულებენ ინტელიგენცია და გლეხობა. ამგვარი შეხედულებების მიზანია ზიანი მიაყენონ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს მსოფლიო რევოლუციურ პროცესში, ხელი შეუწყონ მუშათა მოძრაობის ინტეგრაციას კაპიტალისტურ სისტემაში.

კლასობრივი ბრძოლის წარმატება, როგორც ხშირად აღნიშნავდა გ. დიმიტროვი, დამოკიდებულია მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ერთიანობაზე. ამიტომ კომინტერნის VII ისტორიული კონგრესის გადაწყვეტილებანი, მისი მგზნებარე მოწოდება პროლეტარიატისა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისაკენ დღესაც ინარჩუნებს აქტუალურ მნიშვნელობას. მოსკოვის სამი თათბირის დოკუმენტებში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა ჩაწერეს, რომ ამგვარი ერთიანობის მიღწევა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმპერიალიზმზე ახალი, გადამწყვეტი გამარჯვებებისათვის.

ფაშიზმის განადგურების შემდეგ და მსოფლიო სოციალისტური სისტემის მძლეთამძლე ზემოქმედებით, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში თავი იჩინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა, მძლავრმა აღმავლობამ.

კომუნისტური ინტერნაციონალი და გ. დიმიტროვი ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების წარმატებას არ უკავშირებდნენ პროლეტარიატის გამარჯვებას მეტროპოლიებში. საკითხის ასეთმა დაყენებამ ფართო ასპარეზი მისცა ანტიიმპერიალისტურ რევოლუციურ ინიციატივას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში; იგი დაადასტურა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის არნახულმა გაშლამ, რასაც მოჰყვა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრახი.

დიმიტროვმა ახალი მოტივაციით გაამდიდრა ლენინური ლოზუნგი ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის შესახებ. დღესაც აქტუალურია მისი რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში „პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ იმ პირობათა ნაირგვარობა, რომლებშიც მიმდინარეობს მასების ანტიიმპერიალისტური ბრძოლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომწიფებულობის სხვადასხვა დონე, მასში პროლეტარიატის როლი და კომუნისტური პარტიის გავლენა ხალხის ფართო მასებზე“[1].

რეკომენდაციებს ამჟამად ახორციელებს ანტიიმპერიალისტური ფრონტები, რომლებიც წარმოიქმნება საკუთარი განთავისუფლები-

---

[1] გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 428 (რუსულ ენაზე).

ნათვის მებრძოლ ქვეყნებში, და ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც ყველა პატრიოტულ ძალას აერთიანებს.

ცხოვრებამ დაადასტურა აგრეთვე გ. დიმიტროვის მოსაზრება ამ ქვეყნებში ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის მთავრობათა ჩამოყალიბების შესაძლებლობის შესახებ, რომლებშიც შევიდოდნენ პატრიოტულ ძალთა წარმომადგენლები, მათი ჩათვლით, ვინც ეროვნული ბურჟუაზიის რიგებში ირიცხებოდა.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის მძლავრი ზემოქმედება შესაძლებლობას უქმნის კოლონიური მონობისაგან თავდაღწეულ ქვეყნებს, დაადგნენ განვითარების არაკაპიტალისტურ გზას. ამ ქვეყნების სოციალისტური ორიენტაცია კიდევ ერთი უდავო დადასტურებაა იმისა, რომ კაპიტალიზმმა, როგორც საზოგადოებრივმა სისტემამ, შოჭამა თავისი დრო, რომ მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის. ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა იმის თაობაზე, რომ „სოციალისტური რევოლუცია არ იქნება მარტოოდენ და უმთავრესად რევოლუციური პროლეტარების ბრძოლა თითოეულ ქვეყანაში თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — არა, იგი იქნება იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ყველა კოლონიისა და ქვეყნის, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ“[1].

ფაშიზმი დიმიტროვის თვალწინ განადგურდა, მაგრამ იგი იყო არა უბრალო მოწმე ამისა, არამედ ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი. მაგრამ ძალები, რომლებმაც წარმოშვა ფაშიზმი, არ განადგურებულა, განაგრძობს არსებობას — თანამედროვე ნეოფაშიზმი, რომელმაც უკანასკნელ წლებში წამოყო თავი ზოგიერთ ქვეყანაში, თუმცა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ არსებითად არაფრით განსხვავდება თავის წინამორბედისაგან. კომუნისტური ინტერნაციონალი, გიორგი დიმიტროვი არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ ფაშიზმი არის ტერორისტული დიქტატურა მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური წრეებისა, რომელიც მიზნად ისახავს ჩაშალოს მუშათა რევოლუციური მოძრაობა, მოსპოს მსოფლიო სოციალიზმი.

თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობის მთავარ მტრად კვლავ რჩება ის წრეები, რომლებიც უკვე დაღდასმულნი არიან სირცხვილის ბეჭდით. სწორედ მათ აკისრიათ ისტორიული პასუხისმგებლობა ადამიანთა ურიცხვი უბედურებისათვის, რაც მათი კაცთმოძულე პოლიტიკის შედეგია. ამ წრეების სინდისზეა მილიონობით მსხვერპლი, დაღუპულნი ორ მსოფლიო ომსა და ათობით ლოკალურ ბრძოლაში, იმპერიალიზმი დამნაშავეა შიმშილსა და ტანჯვა-წამებაში, რასაც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 175—176.

იწვევს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების არაადამიანური ექსპლოატაცია, აგრეთვე სამარცხვინო ომი ვიეტნამში და ისრაელი ექსტრემისტების მოქმედება ახლო აღმოსავლეთში.

იმპერიალიზმი ხელყოფს არა მარტო მუშათა კლასის, არამედ კაპიტალისტურ განვითარებად და დამოკიდებულ სახელმწიფოთა მოსახლეობის ყველაზე ფართო წრეების სასიცოცხლო ინტერესებს. ბურჟუაზიული იდეოლოგების მიერ ფართოდ რეკლამირებული „სოციალური პარტნიორობის", „შემოსავლებში რევოლუციის", „საყოველთაო მოხმარების საზოგადოების" „თეორიების" არსებობის მიუხედავად, კაპიტალისტური ექსპლოატაცია განუწყვეტლივ იზრდება და გაცილებით უსწრებს ხელფასის მინიმალურ მატებას, რომელიც ჩამორჩება საწარმოო ძალების ზრდის ტემპს და მშრომელთა კანონიერ მოთხოვნებს.

ძლიერდება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების უნარიანობა, ღრმავდება წინააღმდეგობანი მათ შორის, მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა ბაზრებისა და გავლენის სფეროებისათვის. პერიოდულად თავს იჩენს სავაჭრო და სავალუტო ომები, ერთ იმპერიალისტურ ზვიგენს უპირისპირდება მეორე.

სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ძალთა თანაფარდობის დიდი ცვლილებების შედეგად იზრდება უთანხმოება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს შორის. მიმდინარეობს ბრძოლა სამხედრო წრეებსა (რომლებიც ატარებენ აგრესიულ საგარეოპოლიტიკურ კურსს, ძირმომპალ ძალის პოზიციის პოლიტიკას) და მათ შორის, ვინც, მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით, მეტ რეალიზმს იჩენენ საერთაშორისო ურთიერთობებში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად რეალური შესაძლებლობანი იქმნება ყველა დემოკრატიული მიმდინარეობის გაერთიანებისა ანტიმონოპოლისტურ და ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე, რომლის მიზანია მსხვილი კაპიტალის ლიკვიდაცია, ძირეული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელება, რამაც უნდა უზრუნველყოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან სტრატეგიულ გეგმებად ითვლება მშვიდობის შენარჩუნება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ხელისშემშლელ ფაქტორთა ლიკვიდაცია, ევროპის გადაქცევა მტკიცე მშვიდობის კონტინენტად, ომის კერების მოსპობა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა ინდოჩინეთში, ისრაელის აგრესიის შედეგთა ლიკვი-

დაცია არაბი ხალხების წინააღმდეგ, პლანეტის გაწმენდა კოლონიალიზმის ნარჩენებისაგან.

30-იან წლებში დიმიტროვი, ანალიზს უკეთებდა რა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ და მშვიდობის დამცავ ძალთა თანაფარდობას, ღრმა რწმენას გამოთქვამდა, რომ ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება შესაძლებელია, რომ შეიძლება კაცობრიობის ხსნა მასობრივი ურთიერთჟლეტის საშინელებისაგან. დიმიტროვმა, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა, ბევრი გააკეთა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად. და თუ ომი მაინც გაჩაღდა, — ეს მოხდა იმიტომ, რომ ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები მცირე რაოდენობისანი აღმოჩნდნენ. მიუხედავად უდიდესი მცდელობისა და მიღწეული დროებითი წარმატებებისა, ვერ მოხერხდა მუშათა კლასისა და ანტიფაშისტური ძალების მტკიცე ერთიანობის მიღწევა. სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელმა ორგანოებმა მეორე მსოფლიო ომის წინ ვერ შეძლეს გაეწყვიტათ კავშირი ბურჟუაზიის ტრადიციულ შემთანხმებლურ პოლიტიკასთან, ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას საბჭოთა კავშირთან — ანტიფაშისტური ფრონტის მთავარ ძალასთან, ზიანს აყენებდნენ მუშათა კლასის ერთიანობას. არაფაშისტური სახელმწიფოების — ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა არ მიიღეს საბჭოთა კავშირის წინადადება აგრესიის წინააღმდეგ კოლექტიური უშიშროების შექმნის შესახებ, დიდი ჯაფა გასწიეს იმისათვის, რომ ფაშისტური ურდოები აღმოსავლეთისაკენ მიემართათ. ანტიფაშისტურ ძალთა წარუმატებლობა მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში — სასტიკი გაკვეთილია დღევანდელი თაობებისათვის, ყველა პარტიისათვის, დემოკრატიულ ძალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთათვის. აი, რატომ ჟღერს დღესაც აქტუალურად კომინტერნისა და დიმიტროვის მგზნებარე მოწოდებანი მუშათა კლასისა და ყველა დემოკრატიული ძალის ერთიანობის შესახებ, იმ ძალების შესახებ, რომლებიც იბრძვიან ომისა და მისი გამჩაღებლების — მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის სამმა თათბირმა გააანალიზა მთავარი ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, აღნიშნა, რომ იმპერიალიზმისა და ომების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანდება თანამედროვეობის დიადი ძალები: მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ისინი გაცილებით მძლავრნი არიან იმ ძალებზე, რომლებიც იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, ომის შეწყვეტისათვის 30-იან წლებში. ანტისაომარი და ანტიიმპერიალისტური ფრონტის

გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, სოციალიზმის პირველი ქვეყანა.

საბჭოთა კავშირი, თავისი უზარმაზარი და მუდმივადმზარდი ეკონომიკური თუ სამხედრო პოტენციალი, თავისი აქტიური მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკით, ბორკავს იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემას, ზღუდავს მის შესაძლებლობებს „ძალის პოზიციის“ გამოყენებისას. და თუ დღევანდლამდე კაცობრიობა თავს აღწევდა თერმოატომურ ომს და საყოველთაო განადგურებას, თუ უკანასკნელ წლებში ევროპისა და მსოფლიოს ცის ტატნობი გადაიწმინდა, ამაში, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირს მიუძღვის წვლილი.

იმპერიალიზმის გლობალურ სტრატეგიაში, რომელიც მსოფლიო სოციალიზმისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგაა მიმართული, ცენტრალური ადგილი საბჭოთა კავშირს უკავია. ანტიკომუნიზმი, პირველ რიგში კი ანტისოვეტიზმი, იმპერიალიზმის სახელმწიფო პოლიტიკად იქცა, რომელიც მობილიზაციას უკეთებს ყველა ძალასა და რესურსს, თავისი პროპაგანდისტული მანქანის მთელ ძლიერებას, რათა შელახოს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ავტორიტეტი, ეს ჩაუქრობელი ლამპარი კომუნიზმისა და ჰუმანიზმისა.

ისტორიამ არაერთხელ დაადასტურა, თუ რაოდენ მართალი იყო დიმიტროვი, როცა ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის ძირითად კრიტერიუმად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას მიიჩნევდა. მისი ეს აზრი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და იქცა შეურყეველ პრინციპად საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისა, ყველა იმათი, ვინც ნამდვილად იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვისათვის მთელ მსოფლიოში.

იმპერიალიზმი და მისი პროპაგანდისტული ცენტრები შემთხვევით როდი უწყობენ ხელს მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიონისტულ დამახინჯებას, რომლის მიზანია გააყალბოს მისი რევოლუციური არსი, დაქსაქსოს მუშათა მოძრაობა კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებში.

წარმატებით ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომი გაფართოებისათვის, იმპერიალიზმზე ახალი გამარჯვებებისათვის. ამ საერთო ძალებს უპირისპირდებიან ჩინელი ხელმძღვანელები, რომლებიც თავისი ანტილენინური და ანტისაბჭოთა კურსით არსებითად ახალ ფრონტს ხსნიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, ანტიიმპერიალისტური

ძალების წინააღმდეგ და ამით აფერხებენ ბრძოლას სოციალიზმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

მაო ძე-დუნის ჯგუფი, რომელიც დიდი ხანია ცდილობს, რომ მარქსიზმი მაოიზმით შეცვალოს, ეყრდნობა ნაციონალისტურად განწყობილ არაპროლეტარულ, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს ჩინეთში, იგი, გამსჭვალული ჰეგემონისტური და დიდმპყრობელური მიზნებით და მსოფლიო ბატონობის მოსურნე, უარს ამბობს კლასობრივ მიდგომაზე მსოფლიო მასშტაბით ძალთა შეფასებისას და ობიექტურად მხარში უდგას იმპერიალიზმს. მსოფლიო რევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მაოისტები ეწევიან ცილისმწამებლურ კამპანიას ყველაზე ავტორიტეტული კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, პირველ რიგში ლენინის დიდი პარტიის წინააღმდეგ.

ანტისოვეტიზმი მუდამ იყო გამაერთიანებელი რგოლი სოციალიზმის ყველა მტრისა, დაწყებული იმპერიალიზმით და დამთავრებული შემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმით, ნაციონალიზმით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ანტიიმპერიალისტური ფრონტების ფართოდ გაშლა, რომლებშიც მონაწილეობს ეროვნული ბურჟუაზიაც, განაპირობებს მისი იდეოლოგიის გამოვლინებას. მაგრამ ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა ნათელყო დიდი სხვაობა დამმონებელი ერების რეაქციულ ნაციონალიზმსა და კოლონიალიზმის უღლისაგან საკუთარი განთავისუფლებისათვის აღმდგარი ერის ნაციონალიზმს შორის. „კომუნისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჩაგრული ერებისა და განვითარებული ქვეყნების ნაციონალიზმის საერთო-დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ხასიათს, ითვალისწინებენ იმასაც, რომ ნაციონალიზმში შეიძლება გამოვლინდეს რეაქციული, ექსპლოატატორული მმართველი წრის იდეოლოგიაც, რომელიც ცდილობს გააბას ახალგაზრდა სახელმწიფოები იმპერიალიზმის უღელში“[1].

თავისი მჩქეფარე ცხოვრების მანძილზე დიმიტროვი შეუპოვრად იბრძოდა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დასაცავად, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ერთიანობისათვის ცალკეული პარტიების პოლიტიკასა და პრაქტიკაში. „ჩვენ, კომუნისტები, — ამბობდა იგი, — შეურიგებელი, პრინციპული მოწინააღმდეგენი ვართ ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა ყველა მისი გამოვლინებით. მაგრამ ჩვენ მომხრენი არა

---

[1] ბ. პონომარიოვი, მსოფლიო რევოლუციური პროცესის თეორიის აქტუალური პრობლემები, ჟურნ. „კომუნისტი“, 1971, № 15, გვ. 55 (რუსულ ენაზე).

ვართ ნაციონალური ნიჰილიზმისა და არც არასოდეს უნდა გამოვიდეთ მათ დამცველთა როლში"[1].

გ. დიმიტროვი ურჩევდა კომუნისტურ პარტიებს, „შეეგუებინათ" ყოველი ქვეყნისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რათა მას გაედგა ღრმა ფესვები. იგი დარწმუნებული იყო, და ისტორიამ სავსებით დაადასტურა ეს, რომ კლასობრივი ბრძოლის ეროვნული ფორმები არ ეწინააღმდეგება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. თუ აქ მაინც თავს იჩენს გარკვეული დაპირისპირება, ეს იქნება მხოლოდ დაპირისპირება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმსა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს შორის. ინტერნაციონალური და ნაციონალური — ესაა ორი ურთიერთგანმაპირობებელი და დიალექტიკურად დაკავშირებული მხარე პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა.

დიმიტროვი მედგრად იბრძოდა ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, კლასობრივი ბრძოლის საერთო კანონზომიერებათა უგულებელყოფის ცდების, ეროვნულ თავისებურებათა გადაჭარბების ან აბსოლუტიზაციის წინააღმდეგ. იგი მოითხოვდა, არასოდეს დაევიწყათ, რომ კომუნისტები არიან მძლავრი საერთაშორისო არმიის მებრძოლები, შეკავშირებულნი მარქსის, ენგელსისა და ლენინის ერთიანი, მძლეთამძლე მოძღვრებით და საერთო სტრატეგიული მიზნით — კომუნიზმის გამარჯვებით მთელ მსოფლიოში.

* * *

ცხოვრება და საქმენი გიორგი დიმიტროვისა — გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელისა, თანმიმდევარი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტისა, ლენინის დიადი ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მგზნებარე მომხრენი — დღესაც შთამაგონებელი მაგალითია მილიონობით რევოლუციონერისა მთელ მსოფლიოში. მისი შრომები, სტატიები და სიტყვები, განსაკუთრებით შესანიშნავი მოხსენება კომინტერნის VII კონგრესზე დღესაც ითვლება სახელმძღვანელოდ იმ პარტიებისათვის, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და ომების წინააღმდეგ ფართო ფრონტის შექმნისათვის.

გ. დიმიტროვის თხზულებანი, 14 ტომად გამოსული ბულგარეთში, მრავალ ენაზე გამოცემული ერთტომეული და ორტომეული კრებულები წარმოადგენს იდეურ იარაღს იმპერიალიზმისა და ომების წინააღმდეგ ბრძოლაში. მის მეორე სამშობლოში — საბჭოთა კავშირში დიმიტროვის შრომები დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველებს შორის. მისი ნაწარმოებები აქ გამოიცა დაახლოებით 200-ჯერ

[1] გ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. I, გვ. 438 (რუსულ ენაზე).

საბჭოთა კავშირის ხალხთა 35 ენაზე. მათი საერთო ტირაჟი 5 მლნ ეგზემპლარს აჭარბებს[1].

საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც სიტყვით გამოდიოდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ყრილობებზე 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ, ხშირად აღნიშნავდნენ ღრმა პატივისცემას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწისადმი, აღნიშნავდნენ მის უდიდეს წვლილს რევოლუციური ბრძოლის ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარების საქმეში.

ბულგარეთის შვილმა, — აღნიშნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე ბრაზილიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, — საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობას მისცა თეორიული მითითებანი და ბრძოლაში სიმტკიცის მაგალითები. დიდმა გიორგი დიმიტროვმა უჩვენა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტებს... როგორ უნდა იბრძოლონ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის იმპერიალიზმისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ, სექტანტობისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ეს მითითებანი ამჟამადაც ეხმარებიან ლათინური ამერიკის კომუნისტებს, სწორი პოზიცია დაიკავონ თავისი ქვეყნების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში"[2].

ბულგარელი კომუნისტები კანონიერი სიამაყის გრძნობით ხვდებიან თავისი ბელადისა და მასწავლებლის ღვაწლის ღირსეულ შეფასებებს. „ჩვენ ღრმად აღელვებულნი ვუსმენდით, — აღნიშნა ამხ. ტოდორ ჟივკოვმა ბულგარელი კომუნისტების სახელით მოძმე პარტიების წარმომადგენლებისადმი მიმართვაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობაზე, — რა სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამდით თქვენ ბულგარელი ხალხის დიდი შვილის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, უდრეკი კომუნისტის, მგზნებარე პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის — გიორგი დიმიტროვის სახელს. თქვენ, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სტუმრები, გამოხატავდით ერთსა და იმავე გრძნობას, — დიდ პატივისცემას და მადლიერებას გიორგი დიმიტროვისადმი მისი რევოლუციური საქმისათვის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ბულგარეთის მუშათა კლასის მგზნებარე დაცვისათვის, სახალხო და ანტიიმპერიალისტურ ფრონტებში მშრომელთა დარაზმვისათვის, მისი თავდადებული ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირის, საბჭოთა კავ-

---

[1] იხ. „რაბოტნიჩესკო დელო", № 179, 28, VII, 1971 (ბულგარულ ენაზე).

[2] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა, სოფია, 1963, გვ. 641—642 (რუსულ ენაზე).

შირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნიზმის დასაცავად"[1].

გიორგი დიმიტროვი მხოლოდ წარსულს როდი ეკუთვნის, მისი შესანიშნავი საქმე მსოფლიო ისტორიის მხოლოდ ნათელი ფურცელი როდია. თავისი შრომებით, მომავლის წინასწარხედვით, მეცნიერული კომუნიზმის ახალი პრობლემების დამუშავებაში თავისი წვლილის მეოხებით გიორგი დიმიტროვი ჩვენს თანამედროვედ გვევლინება მარქსის, ენგელსისა და ლენინის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიმიტროვის საქმესა და ბრძოლაში დიალექტიკურ ერთიანობად შენივთდა კომუნიზმი და ჰუმანიზმი. მსოფლიოს მილიონობით ადამიანი დიმიტროვის სახით ხედავს ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს ჰუმანისტს. თავისი შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლით ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, ხალხის ბედნიერებისა და სოციალური თანასწორობისათვის დიმიტროვი ხელს უწყობდა იმას, რომ კომუნისტური იდეალი უფრო მეტი ძალითა და ელვარებით გაბრწყინებულიყო.

მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა არსებობს ყველა ობიექტური პირობა კაპიტალისტური სისტემის ახალ-ახალი რღვევისათვის, კაცობრიობისათვის საძულველ იმპერიალიზმზე გასამარჯვებლად, კომუნისტებს შეუძლიათ გაიმეორონ დიმიტროვის საქვეყნოდ ცნობილი, რევოლუციური პათოსით აღსავსე სიტყვები:

„ისტორიის ჩარხი ტრიალებს, წინ მიიწევს... ის ტრიალებს და კვლავ იტრიალებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე!".

---

[1] ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა, მ., 1967, გვ. 247 (რუსულ ენაზე).

შენიშვნები

აბინსკი, ნიკოლა ტოდოროვი (1889—1959) — ბულგარეთის სამეწათმოქმედო სახალხო კავშირის უხუცესი წევრი. 1923 წელს, სექტემბრის აჯანყების წინ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთავარი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის უფროსად დანიშნა. დაიპიოეს აჯანყებაში მონაწილეობის გამო.

სამეცნიერო შრომების ავტორი სოციოლოგიაში. 1944 წლის შემდეგ მუშაობდა ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირში.

ანარქოლიბერალები — წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტურ-ინდივიდუალისტური მიმდინარეობა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. უარყოფდნენ პარტიის ორგანიზაციულ პრინციპებს, გამოდიოდნენ პარტიაში დისციპლინისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის წინააღმდეგ.

ოპორტუნიზმის ეს გამოვლენა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პარტიის XII ყრილობაზე (1905 წ.), ანარქოლიბერალები კი გარიცხეს პარტიის რიგებიდან. მოგვიანებით ისინი გაერთიანდნენ „ობშჩედელცებთან“.

ბაგრიანოვი, ივან ივანოვი (1891—1951) — ბულგარეთის ბურჟუაზიული რეაქციული მოღვაწე. მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეფის კართან. 1938 წლიდან 1941 წლის ჩათვლით მიწათმოქმედების მინისტრი იყო. 1944 წლის 1 ივნისიდან 2 სექტემბრამდე — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. დემაგოგიურად ცდილობდა თავიდან აეცილებინა ხალხთა შეიარაღებული აჯანყება, ფორმალურად გამოცხადებული ნეიტრალიტეტის საფარქვეშ გამოეყვანა ჰიტლერული ჯარები და ამავე დროს სისხლში ჩაეხშო ანტიფაშისტური ბრძოლა.

ბალკანეთის ომი (1912—1913) — ბალკანეთის კავშირის ქვეყნების (ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბია და ჩერნოგორია) ომი თურქეთის წინააღმდეგ. ბალკანეთის ქვეყნების მმართველმა ბურჟუაზიულმა წრეებმა და მონარქებმა დაპყრობითი მიზნებისათვის გამოიყენეს ხალხთა მასების სიძულვილი ოტომანი დამპყრობლების მიმართ, აგრეთვე ფართო ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა ბალკანეთის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ჯერ კიდევ ბატონობდნენ. ბალკანეთის პირველი ომი დამთავრდა ლონდონის შშვიდობიანი მოლაპარაკებით, რომლის თანახმად, თურქეთმა დათმო თავისი ევროპული სამფლობელოები სტამბულისა და იმ მიწების გარდა, რომელიც იმყოფებოდა მიდია-ენების ხაზის აღმოსავლეთით.

მიუხედავად იმისა, რომ ომი მოიცავდა ბურჟუაზიულ-დინასტიურ ინტერესებსაც, ობიექტურად მას პროგრესული ხასიათი ჰქონდა. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე გაუქმდა ფეოდალური წესები და გზა გაეხსნა კაპიტალიზმის განვითარებას.

ბალკანეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია — გაიმართა ბელგრადში 1909 წლის 25—27 დეკემბერს (1910 წლის 7—9 იანვარს). მოწვეულ იქნა ბულგარეთისა და სერბიის სოციალ-დემოკრატიული პარტიების მიერ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 32 დელეგატმა, რომლებიც წარმოად-

ჭენდნენ ბალკანეთის ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიას. კონფერენციის პირველი თავმჯდომარე იყო დ. ბლაგოევი, რომელმაც არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა „შემჭიდროებულ“ სოციალისტთა პოზიცია ეროვნულ საკითხზე ბალკანეთში და დაამკვიდრა ლოზუნგი ბალკანეთის ხალხების დემოკრატიული ფედერაციის შექმნის შესახებ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა ბალკანეთის ბურჟუაზიის შოვინიზმს.

ბლაბოევი, დიმიტრი (დიმიტრი ბლაგოევ ნიკოლოვი) „პაპა“ (1856—1924) მარქსიზმის პირველი გამავრცელებელი, ბულგარეთში მარქსისტული რევოლუციური პარტიის დამაარსებელი და ბელადი. დაიბადა კასტორიის ოკოლიის სოფელ ზაგორიჩენეში (ბერძნული მაკედონია), ღარიბი გლეხის ოჯახში. თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა რუსეთში — ჯერ ოდესაში, შემდეგ კი პეტერბურგში. დაუკავშირდა რევოლუციურ სტუდენტურ მოძრაობას. სწავლობდა კ. მარქსის „კაპიტალსა“ და სხვა სოციალისტურ თხზულებებს. 1883 წელს ჩამოაყალიბა რუსეთში პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელიც ცნობილია „ბლაგოევის ჯგუფის“ სახელით. გამოსცემდა გაზეთ „რაბოჩის“ და დაუკავშირდა გ. ვ. პლეხანოვს. რუსულ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააკავეს და გადაასახლეს.

ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ, ბლაგოევმა სათავე დაუდო სოციალისტურ პროპაგანდას თავის მიერ გამოცემულ ჟურნალში „სოვრემენნი პოკაზატელ“. დაწერა წიგნები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, პარტიისა და მისი ბრძოლის შესახებ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, კლასობრივი ბრძოლის თაობაზე; იბრძოდა კულტურულ ფრონტზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

მისი ხელმძღვანელობით დაარსებული მუშათა კლასის მარქსისტული პარტია ჩამოყალიბდა როგორც II ინტერნაციონალის ერთ-ერთი საუკეთესო მემარცხენე პარტია, რომელიც ახლოს იყო ბოლშევიზმთან.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ბლაგოევმა დაგმო სოციალ-შოვინიზმი და მხარი დაუჭირა ჯანსაღი სოციალისტური ძალების გაერთიანებას ახალ, II ინტერნაციონალში. პარტიაში ნერგავდა მხურვალე სიყვარულს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმისადმი. აღიარა ლენინიზმის თეორია და პრაქტიკა.

ბოტევი, ქრისტო (ქრისტო ბოტეევ პეტკოვი) (1846—1876) —ოტომანთა უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, რევოლუციონერ-დემოკრატი, პოეტი, ჟურნალისტი. ოდესის გიმნაზიაში სწავლის დროს იგი გაეცნო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბ. გ. ბელინსკის, ა. ი. გერცენის, ნ. გ. ჩერნიშევსკის და სხვათა ნაწარმოებებს. 1866 წლიდან მასწავლებლად მუშაობდა ჯერ ბესარაბიის ერთ სოფელში, შემდეგ კი ბულგარეთში. 1868 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1871 წელს ბრაილში (რუმინეთში) გამოსცემდა გაზეთს „დუმა ნა ბოლგარსკიტე ემიგრანტს“, რომლითაც მიესალმა პარიზის კომუნას; 1873 წელს — სატირულ გაზეთ „ბუდილნიკს“, 1874 წლის ბოლოდან კი — გაზეთ „ზნამიას“. თანამშრომლობდა რუმინეთში ბულგარული რევოლუციური ემიგრაციის ორგანოებში — გაზეთ „სვობოუდასა“ და „ნეზავისიმოსტში“. მის ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია ბალადა „პაჭი დიმიტრი“, რომელიც ჰიმნად იქცა ბულგარელ რევოლუციონერთა მრავალი თაობისათვის. 1876 წლის აპრილის აჯანყების დროს მეამბოხეთა რაზმის ხელმძღვანელი იყო და დაიღუპა ბალკანეთში, ვრაცის მახლობლად, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტი— ჩამოყალიბდა ვენაში 1923 წლის 15 ოქტომბერს ქვეყნის ცენტრალური კომიტეტის დასახმარებლად, სცემდა გაზეთს „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ", ურთიერთობა ჰქონდა კომიტეტთან, ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციასთან და კომუნისტურ პარტიებთან. 1924 წლის მარტში იგი გარდაიქმნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლობად, რომელმაც იარსება 1925 წლის ზაფხულამდე.

ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია — შეიქმნა 1891 წლის 20 ივლისს (აგვისტოს) და ეწოდა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაშინვე დაიწყო ბრძოლა ნაროდნიკების შეხედულებათა და ბულგარეთის სოციალისტურ მოძრაობაში მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ.

1894 წლიდან 1919 წლის ჩათვლით მას ეწოდებოდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1903 წლამდე მასში ორი მიმდინარეობა არსებობდა: „ტესნიაკების" რეფორმისტულ-მარქსისტული მიმდინარეობა, დ. ბლაგოევის ხელმძღვანელობით, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ და „გაშლილი" სოციალისტები („ობჩშედელცები"). 1903 წელს რეფორმისტებმა მარქსისტებმა პარტიის რიგებიდან გააძევეს ოპორტუნისტები, რომლებმაც შემდეგ ცალკე რეფორმისტული პარტია შექმნეს. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია III კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. 1919 წელს XXII ყრილობაზე პარტიამ მიიღო ახალი სახელწოდება—ბულგარეთის კომუნისტური პარტია.

ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირი — დემოკრატიული გლეხური პარტია. შეიქმნა 1899 წლის დეკემბრის ბოლოს, როგორც პროფესიული განმანათლებლური ორგანიზაცია. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირი პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა გლეხთა მასების ძლიერი უკმაყოფილების პირობებში, რომლებიც გამოდიოდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს საგადასახადო უღლისა და სავახშო კაპიტალის წინააღმდეგ. კავშირის VII ყრილობაზე (1905 წ.) მიღებულ იქნა ალექსანდრე სტამბოლიისკის მიერ შემუშავებული წოდებრივი პოლიტიკური პროგრამა.

სოფლად სოციალურმა განსხვავებამ, წინააღმდეგობამ და კლასობრივმა ბრძოლამ ასახვა პოვა კავშირშიც. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ჯანსაღი ძალები შეურიგებლად იბრძოდნენ მსხვილი კაპიტალისა და ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, მჩაგვრელების, მონარქიის წინააღმდეგ, რესპუბლიკისათვის. მიწათმოქმედებმა, ქვეყნის დამოუკიდებელი მმართველობის პერიოდში (1920—1923 წწ.) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით გაატარეს ბევრი დემოკრატიული გარდაქმნა მშრომელთა სასარგებლოდ. 1923 წელს, სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების დღეებში, კომუნისტებმა და მიწათმოქმედებმა, რომლებიც ერთად ღვრიდნენ სისხლს, საფუძველი ჩაუყარეს მებრძოლ კავშირს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირს შორის.

ბულგარეთში 1944 წლის 9 სექტემბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის წინაშე ახალი მიზნები და ამოცანები დააყენა. კავშირისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა 1948 წელს მისი უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირი მიიჩნია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ნამდვილ მოკავშირედ სოციალიზმის მშენებლობაში.

ბანევი, დიმიტრი (დიმიტრი განევ ვიბრანოვი) (1898—1964) — ბულგარელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. აქტიურად მონაწილეობდა 1923 წლის

სექტემბრის აჯანყების მომზადებაში, რისთვისაც დაიკირეს და სამუდამოდ ჩამოართვეს მასწავლებლის თანამდებობა. შემდეგში ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები პროფკავშირულ მოძრაობაში და მუშაობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში. 1929—1935 წლებში იყო დობრუჯანის რევოლუციური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ეს ორგანიზაცია რუმინეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა. 1934 წელს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სამდივნოს შემადგენლობაში ჩაირიცხა. 1935 წელს იგი დაიკირეს და გაასამართლეს.

1944 წლის 9 სექტემბრის სახალხო აჯანყების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ მთავარ რედაქტორად, შემდეგ კი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნად. 1954—1959 წლებში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია, ხოლო 1957 წლიდან — პოლიტბიუროს წევრი; 1958 წლიდან იგი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეა. მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

„ბაშლილი“ სოციალისტები — თავდაპირველად მიმდინარეობა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ავითარებდნენ ოპორტუნისტულ შეხედულებებს, „მარქსიზმის ფართო გაგების შესახებ“, პარტიის ფართოდ გაღებული კარების შესახებ სხვადასხვა ბურჟუაზიული და რეფორმისტული ელემენტებისათვის. მონაწილეობდნენ „ფართო“ წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკურ საქმიანობაში პროლეტარიატის წინააღმდეგ. 1900 წელს იწყეს გამოცემა ყოველკვირეულისა „ობშჩო დელო“, რომელშიც განაცხადეს კლასობრივი თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან. შეიარაღდნენ ე. ბერნშტეინის ანტიმარქსისტული თეორიით.

1903 წელს, პარტიიდან მათი განდევნის შემდეგ, ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი პარტია, რომელსაც უწოდეს სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ბენოვი, გავრილი (გავრილ გენოვ დიმიტროვი) (1892—1934) — ბულგარეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. 1912 წელს, პარტიის რიგებში შესვლისას, მასწავლებელი იყო. 1920—1923 წლებში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ვრაჩენის საოლქო კომიტეტის მდივანია. იგი ვრაჩენის ოლქში სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და მთავარი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრია ვ. კოლაროვსა და გ. დიმიტროვთან ერთად. მისი ხელმძღვანელობით ბევრი ბრძოლა იქნა მოგებული.

აჯანყების დამარცხების შემდეგ გადასახლდა ჯერ იუგოსლავიაში, შემდეგ კი სსრ კავშირში, სადაც დაამთავრა საერთაშორისო ლენინური სკოლა.

ბეორგიევი, გავრილი (გავრილ გეორგიევ ბოჟილოვი) (1870—1918) — ბულგარეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. დაიბადა ჭ. იზმაილში (ბესარაბიაში) ბულგარელი ემიგრანტების ოჯახში.

ბლაგოევთან ერთად რედაქტორობდა პირველ სოციალისტურ გამოცემებს. 1893 წელს აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელობაში და აქტიურად მონაწილეობდა ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მედგრად იცავდა პარტიის კლასობრივ პროლეტარულ ინტერესებს. 1901—1902 წწ. ბევრი სტატია დაწერა, რომლებშიც შეიმუშავა მარქსისტული პარტიის ორგანიზაციული პრინციპები.

ბეორგიევი, კიმონ (კიმონ გეორგიევ სტოიანოვი) (1882—1969) — ბულგარელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და, როგორც ოფიცერი, მონაწილეობდა ომებში 1912—1918 წლებში.

1926—1928 წლებში რკინიგზის, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრია, 1934

წლის მაისიდან 1935 წლის იანვრის ჩათვლით — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე იგი დაუპირისპირდა მეფეს, მეფის კარის გულისწყრომა დაიმსახურა და იძულებული გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო. თანდათანობით დადგა პროგრესულ დემოკრატიულ პოზიციებზე. 1943 წელს „ზეენო", რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, შეუერთა სამამულო ფრონტს, თვითონ კი სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის წევრი გახდა.

1944 წლის 9 სექტემბრის გამარჯვების შემდეგ სამამულო ფრონტის პირველი მთავრობის თავმჯდომარის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ელექტრიფიკაციისა და მელიორაციის მინისტრის, მშენებლობისა და არქიტექტურის კომიტეტის თავმჯდომარის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტები ეკავა. იყო სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრი და სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დაჯილდოებულია სოციალისტური შრომის გმირის წოდებით.

ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲕᲘ, გიორგი პირვანოვი (1892—1958) — ბულგარელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1912 წლიდან. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ოფიცერი ებმება ფართო ომისსაწინააღმდეგო მოღვაწეობაში. 1923 წ. სექტემბრის აჯანყების დროს ამბოხებულთა რაზმის ხელმძღვანელია. თავი გამოიჩინა ბრძოლებში ქ. ფერდინანდისათვის (ახლა მიხაილოვგრადი), რკინიგზის სადგურ ბიოჩინოკცებისათვის, კრიეოდოლის რაიონისა და სხვ.

ემიგრანტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია. გ. დიმიტროვსა და ვ. კოლაროვთან ერთად იბრძოდა მემარცხენე სექტანტობის წინააღმდეგ პარტიაში. 1935 წელს მიავლინეს ბულგარეთში პარტიის რიგებში ახალი, ლენინური კურსის გატარების მიზნით. საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროსა და კომინტერნის აპარატში.

1944 წლის 9 სექტემბრის აჯანყების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო Ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 1945 წელს Ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, 1946—1950 წლებში — სახალხო თავდაცვის მინისტრი. 1950 წელს აირჩიეს სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვა ორდენებით.

ᲓᲐᲡᲙᲐᲚᲝᲕᲘ, რაიკო ივანოვი (1886—1923) — პროგრესული გლეხური მოძრაობის მოღვაწე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა შეუიდა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირში და აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. 1915 წელს გაასამართლეს და 1918 წლის სექტემბრამდე ციხეში იჯდა. მეფე ფერდინანდმა ალ. სტამბოლიისკისთან ერთად გაანთავისუფლა და გაგზავნა ქ. რადომირსა და კიუსტენდილში ამბოხებულ ჯარისკაცებთან მოსალაპარაკებლად, რათა ეს უკანასკნელნი დაბრუნებულიყვნენ ფრონტზე. მაგრამ ამბოხებულ ჯარისკაცთა გავლენით, 1918 წლის 27 სექტემბერს ქ. რადომირში ბულგარეთი რესპუბლიკად — რადომირის რესპუბლიკად გამოაცხადა, ჯარისკაცებთან ერთად გაემგზავრა სოფიაში. 29 და 30 სექტემბრის ბრძოლების დროს დაიკრა სოფიის მახლობლად, მაგრამ მოასწრო სამხრეთში გამგზავრება.

1919—1923 წლებში ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის მთავრობაში მინისტრია, 1923 წლის თებერვლიდან — ბულგარეთის სრულუფლებიანი

ელჩი პრაღაში, სადაც 1923 წლის აგვისტოში მოკლეს ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის დამქაშებმა.

ᲓᲐᲩᲔᲕᲘ, სტეფანე (სტეფან დაჩევ ჟეკოვი) (1891—1941) — მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. 1926—1930 წლებში ცხოვრობდა პარიზში. ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ იურისტთა საერთაშორისო გაერთიანების ბულგარეთის სექციის მდივანია. 1933 წელს გაემგზავრა ლაიფციგში გიორგი დიმიტროვის ადვოკატად. სასამართლო დარბაზში დაიკირეს და გააძევეს გერმანიიდან. თანამშრომლობდა ბრალდებულთა დაცვის კომიტეტში საფრანგეთში, ლონდონსა და ბრიუსელში. მონაწილეობდა კრებებში ფაშიზმის ტუსაღების დასაცავად. ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ მუშაობა გააგრძელა პარტიის რიგებში.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲐ ლიუბა იოსეფის (1882—1933) — ბულგარეთის პროფკავშირული და ქალთა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწე. გ. დიმიტროვის მეუღლე 1906 წლიდან. დაიბადა ქ. კრაგუევაცში (იუგოსლავია). იგი, სპეციალობით მკერავი, ჩაება სერბიის პროფკავშირულ და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

ბულგარეთში ჩავიდა 1902 წელს და გახდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘ, სტეფანე-მარეკ (სტეფან დიმიტროვ ტოდოროვი) (1889—1944) — ბულგარეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1904 წლიდან. პედაგოგიური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა. აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ქმედით მონაწილეობას იღებდა ჯარისკაცთა ამბოხებაში.

1922 წლიდან პარტიის ლუპნიცას (ახლა სტეფანე დიმიტროვი) საოლქო კომიტეტის მდივანია, 1921 წლიდან კი — პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო კომისიის ინსტრუქტორი.

1923 წელს დააპატიმრეს, რამაც ხელი შეუშალა სექტემბრის ანტიფაშისტურ აჯანყებაში მონაწილეობაში. 1923 წლის ბოლოდან 1925 წლის ჩათვლით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია. 1924 წელს მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ვიტოშის არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც სექტემბრის ბირთვის გარშემო შეაკავშირა პარტიის ჯანსაღი ძალები. 1925 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირში. 1932 წლიდან მუშაობდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ბალკანეთის სამდივნოში.

1935—1937 წწ. არალეგალურად იმყოფებოდა ბულგარეთში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი, იგი პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც პლენუმი, რომელმაც ბულგარეთის პირობებს შეუფარდა კომინტერნის VII კონგრესის გეზი და გადაწყვეტილებანი.

1941 წლიდან 1944 წლამდე ხელმძღვანელობდა რადიოსადგურ „სახალხო ხმის“ გადაცემებს, რომელიც მუშაობდა ფაშისტური რადიოს ტალღებზე სოფიასა და სკოპლეში. ეს რადიოგადაცემები გარკვეულწილად ხელს უწყობდნენ ბულგარელ მშრომელთა სწორ ორიენტაციას და ანტიფაშისტური შეიარაღებული ბრძოლის გაშლას.

დაიღუპა 1944 წლის აგვისტოში ავიაკატასტროფის შედეგად.

ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ, ანტონი (ანტონ ივანოვ კოზინაროვი) (1884—1942) — ბულგარეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) წევრი 1904 წლიდან. 1907—1919 წლებში მელითონეთა კავშირის მდივანი, შემდეგ გახდა მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის პროფკავშირული კომიტეტის წევრი. ხელმძღვანელობდა რიგ გაფიცვებს. 1918 წელს მონაწილეობდა ჯარისკაცთა აჯანყებაში.

1910—1923 წწ. იგი არის სოფიის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, 1922 წლიდან — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა 1923 წლის სექტემბრის აჯანყების მომზადებაში. 1925 წელს გაემგზავრა ემიგრაციაში სსრ კავშირში, იყო პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წევრი, პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს წევრი. 1935—1938 წწ. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს აქტიურად მონაწილეობდა ინტერნაციონალური ბრიგადების ჩამოყალიბებაში. 1938 წლიდან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის მოადგილეა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში.

1940 წლის ბოლოდან ეწევა არალეგალურ მუშაობას ბულგარეთში. 1941 წელს აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. 1942 წლის აპრილში იგი ბულგარეთის ფაშისტურმა პოლიციამ დააპატიმრა, ხოლო 23 ივლისს დახვრიტა სოფიაში.

ისპროვი, პეტრე ხრისტოვი (1891—1938) — მემარცხენე სექტანტობის ერთ-ერთი წარმომადგენელი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. დაიბადა სოფიაში, ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1941 წლიდან. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იყო ბულგარეთის ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1926 წლის შემდეგ ემიგრანტია საბჭოთა კავშირში. 1923—1926 წწ. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, ხოლო 1925—1934 წწ. — ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს წევრი, მუშაობდა კომუნისტურ ინტერნაციონალშიც.

ძაბაკჩიევი, ქრისტო სტეფანოვი (1878—1940) — ბულგარეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1897 წლიდან, ხოლო 1905 წლიდან — პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა პარტიის აგიტაციურ-პროპაგანდისტულ მუშაობაში, კომუნისტური ინტერნაციონალის რიგი კონგრესების დელეგატია. 1920 წელს შეხვდა ვ. ი. ლენინს. 1923 წელს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

სექტემბრის აჯანყების წინ დააპატიმრეს. 1926 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა ვენაში, 1927 წელს — საბჭოთა კავშირში. იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლობის წევრი კომუნისტურ ინტერნაციონალში. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით მონაწილეობდა იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობის მუშაობაში 1921 წელს, ხოლო მასში მომხდარი განხეთქილების შემდეგ იყო მონაწილე იტალიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობისა.

მოსკოვში ყოფნისას ლექციებს კითხულობდა საერთაშორისო ლენინურ სკოლაში და კომუნისტურ უნივერსიტეტში. მიღებული ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

კირკოვი, გიორგი იორდანოვი (ოსტატი) (1867—1919) — ბულგარეთის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და მისი ხელმძღვანელი, ნიჭიერი პუბლიცისტი. დაიბადა პლევენში მასწავლებლის ოჯახში. საგიმნაზიო განათლება მიიღო რუსეთში, ქ. ნიკოლაევში (1879—1886 წწ.), სადაც გაეცნო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნაწარმოებებს. რუსეთშივე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ თანამშრომლობდა ბევრ რიგ გაზეთებსა და ჟურნალებში. 1892—1895 წწ. სწავლობდა კარტოგრაფიის საქმეს ვენაში, სადაც უშუალოდ მონაწილეობდა ვენის პროლეტარიატის ბრძოლაში. 1895 წელს შედის ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში. ჟურნალისტურ

მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარტიის ორგანიზაციულ-პროპაგანდისტულ მუშაობაში. 1898 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. გ. დიმიტროვთან ერთად ეწეოდა ბრძოლას ოპორტუნისტების წინააღმდეგ, პარტიის იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. მონაწილეობდა შემარცხენე ციმერვალდების სტოკჰოლმის კონფერენციაში. იყო ღიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე პროპაგანდისტი.

ᲙᲝᲚᲐᲠᲝᲕᲘ, ვასილ პეტროვი (1877—1950) — ბულგარეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პუბლიცისტი, აკადემიკოსი. დაიბადა ქ. შუმენში, ხელოსნის ოჯახში, ჯერ კიდევ ჭაბუკმა გაიზიარა სოციალიზმის იდეები, გაეცნო მარქსისტულ ლიტერატურას, ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია 1879 წლიდან.

მიიღო იურიდიული განათლება ჟენევაში (1897—1900 წწ.), სადაც ჩამოაყალიბა ინტერნაციონალური მარქსისტული წრე. ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა რევოლუციონერი მარქსისტების ბრძოლაში „ობშჩედელცების“ წინააღმდეგ დ. ბლაგოევის ხელმძღვანელობით.

1905 წელს ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის XII ყრილობაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. როგორც პარტიის დელეგატი, მონაწილეობდა შტუტგარტის, კოპენჰაგენის, ციმერვალდის, სტოკჰოლმის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციებში. მონაწილეობდა აგრეთვე ბალკანეთის პირველ და მეორე სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციებში. ყოველთვის მტკიცე პოზიცია ეკავა რევიზიონიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1921 წლიდან არის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ხოლო 1922 წელს აირჩიეს კომინტერნის გენერალურ მდივნად.

გ. დიმიტროვთან ერთად ხელმძღვანელობდა 1923 წლის სექტემბრის ანტიფაშისტურ მოძრაობას. აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, სადაც ცხოვრობდა 1945 წლამდე, ეწეოდა ბრძოლას შემარცხენე სექტანტობის წინააღმდეგ ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში.

ვ. კოლაროვი იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით მონაწილეობდა ყრილობათა მუშაობაში და დახმარებას უწევდა სხვადასხვა კომუნისტურ პარტიას. იყო საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტის დირექტორი და ჟურნალ „აგრარნიე პრობლემის“ რედაქტორი, რომელიც გამოდიოდა მოსკოვში. 1928—1929 წწ. განაგებდა კომუნისტური პარტიების სოფლად მუშაობის განყოფილებას კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში.

1945—1946 წწ. იყო სახალხო კრების თავმჯდომარე, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გახდა მისი დროებითი პრეზიდენტი. 1947—1949 წწ. იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 1949—1950 წწ. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲩᲔᲡᲙᲘ ᲖᲜᲐᲛᲔ“ — ყოველთვიური ბულგარული ჟურნალი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის თეორიული ორგანო (ითვლება ჟურნალ „ნოვო ვრემეს“ გაგრძელებად). გამოდიოდა 1926 წლის იანვრიდან 1934 წლის დეკემბრამდე. ჯერ იბეჭდებოდა ვენაში, 1928 წლიდან — ბერლინში, ხოლო 1930 წლიდან — საბჭოთა კავშირში. 1929 წლამდე ჟურნალის რედაქტორი იყო ვასილ კოლაროვი, შემდეგ ჟურნალი შემარცხენე სექტანტთა ხელში მოექცა. 1934 წელს

ჟურნალის რედაქტორობა ითავა პარტიის ლენინურმა ბირთვმა გ. დიმიტროვის ხელმძღვანელობით: ბულგარეთში შემოდიოდა არალეგალურად (პარიზიდან).

ᲙᲝᲡᲢᲝᲕᲘ, ტრაიჩო (ტრაიჩო კოსტოვ ჯუნევი) (1897—1949 წწ.) — ბულგარეთის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, დაიბადა სოფიაში მუშა-რკინიგზელის ოჯახში. კომკავშირის წევრია 1919 წლიდან, ხოლო 1920 წლიდან — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წევრი. იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მუშაობდა სტენოგრაფისტად სახალხო კრებაში და თანამშრომლობდა გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკში“.

1924 წელს არალეგალური ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმის მწარმოებელია, იმავე წელს — ვიტოშის არალეგალური პარტიული კონფერენციის მონაწილე. 1924 წლის მიწურულიდან 1929 წლამდე დაპატიმრებული იყო. ამნისტიის შემდეგ გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, მაგრამ შემდეგ წელსვე დაბრუნდა ბულგარეთში. 1931 წლიდან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

1932 წელს მუშაობდა კომინტერნის ბალკანეთის სამდივნოში. გ. დიმიტროვთან და სტანკა დიმიტროვ-მარეკთან ერთად იბრძოდა მემარცხენე სექტანტობის დაძლევისათვის. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს დავალებით ორჯერ გაემგზავრა არალეგალურად ბულგარეთში. 1942 წელს იგი იქ დააპატიმრეს და გასამართლეს.

1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრია, 1946 წლიდან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარე სამეურნეო და ფინანსურ საკითხებში. მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ᲚᲣᲙᲐᲜᲝᲕᲘ, ტოდორ სტანჩევი (1874—1946 წწ.) — მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. პლევენში მასწავლებლად მუშაობისას ავრცელებდა სოციალისტურ იდეებს, რისთვისაც განთავისუფლებულ იქნა. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო ჟენევაში.

1900 წელს დააარსა პარტიული ორგანიზაცია პლევენში. „ობშჩედელცების“ წინააღმდეგ იბრძოდა მარქსისტების მხარეზე. 1919 წლიდან — ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1922 წლიდან ცენტრალური კომიტეტის მდივანია ორგანიზაციულ საკითხებში. 9 ივნისის ფაშისტური გადატრიალების დროს იცავდა პარტიის ნეიტრალიტეტის მცდარ ტაქტიკას, შემდგომში კი გამოდიოდა შეიარაღებული აჯანყების მომზადების წინააღმდეგ. 1923 წლის სექტემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირში..

ᲚᲣᲚᲩᲔᲕᲘ, კოსტა ანდრეევი (1882—1965) — ბულგარელი პოლიტიკური მოღვაწე. მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება 1898 წლიდან. გადავიდა ოპორტუნისტების მხარეზე. 1924—1948 წწ. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1945 წ. იმყოფება სამამულო ფრონტის ოპოზიციაში, მოაწყო საბოტაჟი სახალხო ხელისუფლების მიმართ.

ᲛᲐᲜᲔᲕᲘ, ივან ტომოვი (1887—1925 წწ.) — მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. დაიბადა ქ. პანაგიურიშტეში. მეფის წინააღმდეგ სტუდენტთა გამოსვლაში მონაწილეობისათვის (1907 წ.) გარიცხეს უნივერსიტეტიდან. უმაღლესი განათლება (შეისწავლა სამართალი და ფილოსოფია) მიიღო შვეიცარიაში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა 1919 წელს.

მანევი იმყოფებოდა პროფკავშირულ სამუშაოზე და იბრძოდა პროფკავშირებში რეფორმისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ, მონაწილეობდა სექტემბრის ანტიფაშისტურ აჯანყებაში, მისი დამარცხების შემდეგ არჩეულ იქნა ცენტრალური კო-

მიტეტის წევრად. მონაწილეობდა ლიკვიდატორებისა და მემარცხენე გადახრების წინააღმდეგ პარტიაში. დაიღუპა პოლიციასთან შეტაკებისას.

მაქსიმოვი, ნიკოლა (ნიკოლა მაქსიმოვ ფრატევი) (1875—1940) — ბულგარეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე. დაიბადა ბურგასში. გამოამეღავნა პროგრესული შეხედულებანი ჯერ კიდევ პლოვდივის გიმნაზიაში სწავლისას. სწავლობდა ფილოსოფიას ჟენევაში, სადაც ხვდებოდა ვ. ი. ლენინსა და გ. ვ. პლეხანოვს. 1903—1906 წწ. სწავლობდა მედიცინას ბერლინსა და მიუნხენში. იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ბულგარეთში დაბრუნდა 1910 წელს და მაშინვე დაეკისრა ბურგასის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. 1919—1923 წწ. — პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი ბურგასში. 1920 წელს აირჩიეს კომინტერნის II კონგრესის დელეგატად ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან.

1923 წლის სექტემბრის აჯანყების წინ დაპატიმრეს. აჯანყების შემდეგ დაადგა ლიკვიდატორულ პოლიტიკას, რისთვისაც გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან. 1925 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა თურქეთში, მოგვიანებით — საბჭოთა კავშირში (ოდესაში), სადაც ექიმად მუშაობდა.

მოკავშირეთაშორისი ომი (მეორე ბალკანური ომი. 1913 წლის 16 ივნისი — 18 ივლისი) — ომი ბულგარეთსა და მის ყოფილ მოკავშირეებს (ბალკანეთის კავშირიდან) — სერბიას, საბერძნეთს, ჩერნოგორიას და მათთან შეერთებულ რუმინეთსა და თურქეთს შორის. იგი გამოწვეული იყო წინააღმდეგობათა გამწვავებით ყოფილ მოკავშირეთა ბანაკში, ბალკანეთის ბურჟუაზიულ-მონარქისტული წრეების მისწრაფებით ბალკანეთში ჰეგემონიისაკენ და იმპერიალისტთა ინტრიგებით. მოკავშირეთაშორისმა ომმა მიიყვანა ბულგარეთი პირველ ეროვნულ კატასტროფამდე.

„ნოვო ვრემე“ — საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი — ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეცნიერულ-თეორიული ორგანო, 1919 წლიდან კი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) ორგანო. დაარსდა 1897 წელს. მისი დამაარსებელი და უცვლელი მთავარი რედაქტორი 1923 წლის სექტემბრამდე (მის აკრძალვამდე) იყო დიმიტრი ბლაგოევი. ჟურნალის გამოცემა განახლდა 1947 წლის იანვარში.

ჟურნალის ისტორია განუყოფელია ბულგარეთის ბლაგოევ-დიმიტროვის პარტიის ისტორიისაგან. მასში განსახიერებულია პარტიის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები იმ პერიოდისა — შემტევი კლასობრივი, შეურიგებელი პოზიცია და მარქსისტული სულისკვეთება. შემდგომში იგი იქცა ერთ-ერთ ყველაზე თანმიმდევრულ ჟურნალად მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში.

„ობშჩედელცები“ — იხ. „გაშლილი“ სოციალისტები.

პავლოვი, ტოდორ დიმიტროვი (1890 წლის 14 თებერვალი) — გამოჩენილი ბულგარელი მარქსისტი ფილოსოფოსი, მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, აკადემიკოსი. 1919 წელს მიიღეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის რიგებში. პირველ არალეგალურ პარტიულ კონფერენციაზე 1924 წელს აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. განიცდიდა დევნას ფაშისტ ხელისუფალთა მხრივ, მრავალი წელი გაატარა ციხეში. 1932—1936 წწ. იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, სადაც დაწერა კაპიტალური შრომა „ასახვის თეორია“.

1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ — 1946 წლამდე ბულგარეთის სამ რეგენტთაგან ერთ-ერთი. იყო ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა საბჭოს თავმჯდომარე. 1947 წლიდან — ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, შემდეგ მისი საპატიო პრეზიდენტი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი და რიგი საზღვარგარეთის აკადემიების

წევრი. 1958 წლიდან — ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო პარტიის IX ყრილობის შემდეგ — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

მინიჭებული აქვს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება, დაჯილდოებულია მრავალი ორდენით.

პასტუხოვი, კრისტიუ ივანოვი (1874—1949 წწ.) — ბულგარელი პოლიტიკური მოღვაწე. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ, 1903 წელს, გადავიდა ოპორტუნისტების მხარეზე. 1919 წელს დანიშნა მინისტრად ტ. ტოდოროვის კაბინეტში, მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის („გაშლილი" სოციალისტებისა) წარმომადგენლად. შლიდა მუშათა გამოსვლებს და დემონსტრაციებს. მუშათა რევოლუციური და კომუნისტური მოძრაობის დაუძინებელი მტერი. მეორე მსოფლიო ომის დროს ადგა გერმანოფილურ პოზიციას.

პენევი, ნიკოლა (ნიკოლა პენევ ნიკოლოვი) (1879—1955 წწ.) — ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწე. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1896 წლიდან. ერთ-ერთი დამაარსებელი მუშათა საერთო სინდიკალური კავშირისა, რკინიგზელთა პროფკავშირებისა, სატრანსპორტო მუშაკთა კავშირისა. იყო სატრანსპორტო მუშაკთა დიდი გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1919—1920 წწ.). 1919—1923 წწ. — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების დროს დააპატიმრეს სოფიაში. გაათავისუფლეს 1925 წელს, რის შემდეგაც გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, დაბრუნდა ბულგარეთში 1934 წელს.

პეტკოვი, ნიკოლა დიმიტროვი (1889—1947 წწ.) — ბულგარელი პოლიტიკური მოღვაწე. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის წევრი 1930 წლიდან. მონაწილეობდა სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის შექმნაში 1943 წლის აგვისტოში.

1944 წლის 9 სექტემბრის გამარჯვების შემდეგ — მინისტრია სამამულო ფრონტის პირველ მთავრობაში. საბოტაჟს უწევდა სახალხო ხელისუფლების ღონისძიებებს და ხელმძღვანელობდა რეაქციულ ოპოზიციას ქვეყანაში. 1945 წლის ივლისში გამოვიდა მთავრობიდან.

პეტროვი, ტოდორ (ტოდორ პეტროვ ჯუკოვი) (1878—1924 წწ.) — ბულგარეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. 1898 წელს დააარსა პარტიული ორგანიზაცია ქ. ვიდინში. სოფიაში მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. თავისი წვლილი შეიტანა პარტიის წმენდაში „ობშჩედელცებისაგან" და პარტიის ფორმირებაში მუშათა კლასის რევოლუციურ ავანგარდად. 1921 წელს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის („შემკვიდროებული" სოციალისტებისა) III ყრილობაზე, აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. 9 ივნისის ფაშისტური გადატრიალების შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა დაგმო ცენტრალური კომიტეტის ნეიტრალიტეტი. მხარს უჭერდა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირთან ერთიანი ფრონტის შექმნას, მონაწილეობდა სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების მომზადებაში.

პოპოვი, ბლაგოი სემეონოვი (1902—1968 წწ.) — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწე. კომკავშირის წევრი 1919 წლიდან. პარტიის რიგებში შეიყვანა 1922 წელს. მალე აირჩიეს პარტიის საოლქო კომიტეტის წევრად ქ. ვიდენში. აქტიურად მონაწილეობდა 1927 წლის სექტემბრის აჯანყების მომზადებაში, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ გაემგზავრა ემიგრაციაში იუგოსლავიაში, აქედან საბჭოთა კავშირში.

მოსკოვში დაამთავრა კომუნისტური აკადემია. იმ პერიოდში იყო კომკავშირის

ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი; მოგვიანებით — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და პოლიტბიუროს წევრი. 1930—1931 წწ. აირჩიეს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. 1933 წელს ცნეს ერთ-ერთ ბრალდებულად რაიხსტაგის დაწვისათვის გამართულ პროცესზე.

ლაიფციგის პროცესის შემდეგ ბრუნდება მოსკოვში და მუშაობს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ანტიფაშისტური და ანტისამომარი კომისიის თავმჯდომარედ. ბულგარეთში დაბრუნდა 1954 წელს და დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა დიპლომატიურ ასპარეზზე.

ПРОМБРЕСИНСТЕБИ — ოპორტუნისტური ჯგუფი „შემჭიდროებული“ სოციალისტების პარტიაში 1907 წელს. იცავდნენ „ობშჩედელეცურ“ შეხედულებებს „პროფკავშირების ნეიტრალიტეტის“ შესახებ. პარტიიდან განდევნეს 1908 წლის ბოლოს.

ЖИВКОВИ, ტოდორ ხრისტოვი (დაიბადა 1911 წლის 7 სექტემბერს) — ბულგარეთის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა სოფიის ოლქის სოფელ პრაველეცში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბულგარეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წევრი 1928 წლიდან, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან. წლების მანძილზე (1934—1941 წწ.) ხელმძღვანელობდა ქ. სოფიის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს, იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საოლქო კომიტეტის წევრი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით 1942 წლის 31 დეკემბერს ქ. სოფიაში გამოსელა დაიწყო გაზეთმა „ოტეჩესტვენ ფრონტმა“. მთელი მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო პარტიის კურსთან საერთო-სახალხო შეიარაღებული ბრძოლის გაშლის თაობაზე ჰიტლერელებისა და მათი ბულგარელი ლაქიების წინააღმდეგ.

1943 წლიდან იგი არის პარტიის სოფიის საოლქო კომიტეტის რწმუნებული პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციის საქმეში პირველ (სოფიის) აჯანყებულ სამხედრო-ოპერატიულ ზონაში. საერთო-სახალხო ანტიფაშისტური აჯანყების დროს, 1944 წლის 9 სექტემბერს, ხელმძღვანელობდა სახალხო-განმათავისუფლებელ ნაწილებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ დედაქალაქში ფაშისტური დიქტატურის დამხობასა და სახალხო ხელისუფლების დამყარებაში.

1944 წლის 9 სექტემბრის აჯანყების შემდეგ იმყოფებოდა საპასუხისმგებლო პარტიულ და სახელმწიფო სამუშაოებზე: ხელმძღვანელობდა მილიციის ორგანიზაციას, იყო პარტიის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივანი, დედაქალაქის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე. 1945 წლის მარტიდან — წევრობის კანდიდატი, ხოლო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობის შემდეგ (1948 წ.) — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1950 წლიდან — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი, 1951 წლიდან—ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, 1954 წელს არჩეულ იქნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. 1962 წლის ნოემბრიდან — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1971 წელს, აირჩიეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. მინიჭებული აქვს უმაღლესი წოდება — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სხვა ორდენებით.

„რაბოტნიჩესკი ვესტნიკი“ — საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, დაარსებული ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის IV ყრილობის დადგენილებით 1897 წელს. იგი იყო „წმინდა მუშათა გაზეთი“ სოციალიზმის პროპაგანდისათვის მუშებს შორის. თავდაპირველად გამოდიოდა კონცენსიურ საწყისებზე, 1900 წლიდან მას პარტია გამოსცემდა, ხოლო 1904 წლიდან მისი ცენტრალური ორგანო გახდა. გაზეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის სიწმინდის, აგრეთვე ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლუციურ-მარქსისტული ხაზის გამომუშავების საქმეში.

გაზეთი დაიხურა 1923 წლის სექტემბრის აჯანყების შემდეგ და ამ წლიდან გამოდიოდა არალეგალურად ჯერ ვენაში, შემდეგ, 1924 წლის თებერვლიდან 1927 წლის 15 ნოემბრამდე, სოფიაში (ერთი ნომერი გამოვიდა სოფიაში 1939 წ.), როგორც არალეგალური გამოცემა, იგი გვეელინებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისტად, პარტიის ლოზუნგებისა და ამოცანების აგიტატორად ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„რადიოსადგური“ „ხრისტო ბოტევი“ — ბულგარეთის მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს რადიოგადამცემი, რომელიც არსებობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. რადიოგადაცემები დაიწყო 1941 წლის 23 ივლისს და გრძელდებოდა 1944 წლის 22 სექტემბრამდე. იგი მსმენელებს ინფორმაციას აწვდიდა სამხედრო მოქმედებათა შესახებ, აქეყნებდა საზღვარგარეთის ბიუროს დირექტივებს ჰიტლერელი ოკუპანტებისა და მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე. რადიოსადგურმა 1942 წლის 17 ივლისს გადასცა სამამულო ფრონტის პროგრამა.

რადოსლავოვი, ვასილ ხრისტოვი (1854—1929 წწ.) — ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე. სწავლობდა ჩეხეთში (დაამთავრა რეალური სასწავლებელი), უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო ჰაიდელბერგში (გერმანია). ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ლიბერალური ბურჟუაზიული პარტიის ლიდერი. რუსოფობი. 1884 წლიდან მრავალგზის იყო სხვადასხვა კაბინეტის მინისტრი, ხოლო 1913—1918 წწ. — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მეფე ფერდინანდთან ერთად ქვეყანა ჩაითრია პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში გერმანიის მხარეზე.

ჯარისკაცთა აჯანყების დროს, ხალხის სამართლიანი შურისგებით შეშინებული, გაიქცა გერმანიაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

სახალხო სახლი სოფიაში—1913 წლის ბოლოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიძინა შენობა შარენ ხიდის მოედანზე (ამჟამად — ლომების მოედანი). სახსრები შეგროვდა ნებაყოფლობით საწყისებზე საფონდო მარკის გავრცელებით, რომლის დევიზი იყო „აგური სახალხო სახლისათვის“. ამ შენობაში მოთავსდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მუშათა საერთო სინდიკალური კავშირი, გაერთიანებული საბჭო, პარტიული სოციალისტური წიგნის მაღაზია და სტამბა; გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკის“, ჟურნალ „ნოვო ერემეს“ და პროფკავშირული გაზეთების რედაქციები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამავე ადგილზე აშენდა ახალი დიდი შენობა.

სტამბოლიისკი, ალექსანდრე სტოიმენოვი — (1879—1923 წწ.) — გლეხთა პროგრესული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ბულგარეთში, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ხელმძღვანელი. 1900—1902 წწ. სწავლობდა აგრონომიას ჰალეში (გერმანია).

მონაწილეობდა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაში (1898 წ.). 1902 წლიდან რედაქტორობს კავშირის გა-

ზეთს — „ზემედელსკო ზნამე“. მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა პროგრამა, რომელიც მიიღო ბულგარეთის სამეწარმოქმედო სახალხო კავშირის VII ყრილობამ (1905 წ.). იგი ფაქტიურად პარტიის ხელმძღვანელი იყო. ბრძოლას აწარმოებდა მილიტარიზმისა და მონარქიზმის წინააღმდეგ. როდესაც 1918 წლის 27 სექტემბერს რადომირში აჯანყებულმა ჯარისკაცემა ბულგარეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს, მის პირველ პრეზიდენტად სტამბოლიისკი აირჩიეს.

1920 წლის 21 მაისიდან 1923 წლის 9 ივნისამდე ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელ საგლეხო მთავრობას და გაატარა რამდენიმე პროგრესული რეფორმა. საგარეო პოლიტიკაში ცდილობდა ურთიერთობა დაემყარებინა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსთან. 1923 წლის 9 ივნისის სამხედრო ფაშისტური გადატრიალების დროს სათაეში ჩაუდგა პაზარჯიკის ოლქის აჯანყებულ გლეხებს. იგი დაიჭირეს და სასტიკი წამების შემდეგ მოკლეს.

ტანევი, ვასილ კონსტანტინოვი (1897—1941 წწ.). — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწე. მუშა. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წევრი 1919 წლიდან. აქტიურად მონაწილეობდა 1923 წლის სექტემბრის აჯანყებისათვის მზადებაში. მისი დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში გაემგზავრა იუგოსლავიაში. ორჯერ დაბრუნდა ბულგარეთში არალეგალური პარტიული მუშაობისათვის. როცა 1933 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირიდან კვლავ ბულგარეთში მიემგზავრებოდა, გერმანიაში დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს მონაწილეობა რაიხსტაგის დაწვაში. განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა საბჭოთა კავშირში და მუშაობდა ადმინისტრაციულ და პარტიულ აპარატში.

„ტრუდი“ — ყოველკვირეული პროფკავშირული გაზეთი, დაარსდა 1923 წლის აგვისტოში გიორგი დიმიტროვის წინადადებით და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით. მეორე ნომრიდან ეწოდა „რაბოტნიჩესკო ედინსტვო“. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის („შემჭიდროებული“ სოციალისტებისა) ოფიციალური დათხოვნის შემდეგ კვლავ იწყო გამოსვლა, როგორც მუშათა საერთო სინდიკალური კავშირის ლეგალურმა გამოცემამ. გამოდიოდა ყოველდღიურად (1924 წლის აპრილიდან მაისამდე). გაზეთი იდევნებოდა ხელისუფლების მიერ და მალე დაიხურა.

ფერდინანდი (მაქსიმილიან კარლ-ლეოპოლდ-მარი, საქს-კობურგოტსკი (1861—1948 წწ.) — გერმანელი პრინცი, ბულგარელი თავადი (1887—1908 წწ.) და მეფე (1908—1918 წწ.). დაიბადა ვენაში. ბულგარეთის საგარეო პოლიტიკას უმორჩილებდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესებს, რამაც ქვეყანა ორ ეროვნულ კატასტროფამდე მიიყვანა.

ჯარისკაცთა აჯანყების დროს ტახტიდან გადადგა (1918 წლის 3 ოქტომბერს) შვილის სასარგებლოდ.

„შემჭიდროებული“ სოციალისტები („ტესნიაჩესტვო“) — ასე უწოდებდნენ რევოლუციონერ მარქსისტებს ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრაციულ პარტიაში დიმიტრი ბლაგოევის მეთაურობით. ისინი მხარს უჭერდნენ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკას. „ტესნიჩესტვოს“ მთავარი დადებითი თვისებები— მარქსიზმის, პროლეტარული სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება, კლასობრივი შეურიგებლობა ბურჟუაზიისა და რეფორმიზმისადმი, მუშათა კლასის ძალისა და მომავლის ურყევი რწმენა, შეგნებული რკინისებური დისციპლინა, პირადი ცხოვრების დაქვემდებარება საერთო ინტერესებისადმი.

პირთა საძიებელი*

აგინსკი ნ. 78, 270
ანტიკაინენი ტ. 149

ბაგრიანოვი ივ. 201, 270
ბაირონი 109
ბარბიუსი ა. 105, 108, 149
ბელინსკი ბ. გ. 271
ბიუნგერი 115—118, 120
ბლაგოევი დ. 8, 9, 13, 14, 16—18, 27, 30, 31, 41, 60, 148, 271, 273, 277, 279, 283
ბლიუმი ლ. 170
ბოტეევი ქ. 271
ბრიუნინგი 126

ბალაპერი ლ. 112
განევი დ. 206, 272
გარიმოვა მ. 125
გელერი 126
გელმერი 107, 125
გენოვი გ. 77—79, 273
გეორგიევი გ. 14, 16, 18, 273
გეორგიევი კ. 218, 273
გეორგიუ დეჟი გ. 214
გერინგი 120, 122, 124, 195
გერცენი ა. ი. 271
გოეთე 109, 119, 132
გორკი მ. 149
გოტვალდი კ. 9, 136, 163, 172, 175, 214

დამიანოვი 217
დანტე 109
დასკალოვი რ. 46, 274
დაჩევი ს. 112, 275
დიასი ხ. 9, 163
დიმიანოვი გ. 274
დიმიტროვა ლ. ი. 20, 179, 275
დიმიტროვა რ. ი. 178
დიმიტროვა პ. 11, 125
დიმიტროვი გ. 3—83, 85—113, 115—125, 128—133, 136—202, 206—246, 248—249, 252, 254, 256—259, 261, 262, 264, 265, 267, 269, 273, 274, 277, 278, 283
დიმიტროვი სტანკე 88, 169, 278
დიმიტროვი სტეფანე 275
დიუკლო ჟ. 105, 172
დოსევა პ. იხ. დიმიტროვა პ.

ელაზარი დ. 10
ენგელსი ფრ. 6, 13, 246, 267, 269

ვან დერ ლიუბე 107, 110, 112, 113, 115—117, 119—122, 125, 128, 131, 132
ვან მინი 163, 179
ვილარი მ. 112
ვრანგელი 66

იბარური დ. 164, 275
ივანოვი ა. 169, 275
ივოშევიჩი ლ. იხ. დიმიტროვა ლ.
ისკროვი პ. 102, 103

კაბაკჩიევი ქ. 18, 54, 59, 61, 63, 76, 276
კაბალერო ლ. 172
კაიტი ლ. 138
კარვანე 119
კაუცკი ე. 14
კაშენი მ. 105
კირკოვი გ. 8, 14, 16, 18, 19, 276
კოდოვოლია დ. 175
კოლაროვი ვ. 9, 33, 54, 59, 60, 63, 71, 76, 77, 79—84, 87—89, 102, 103, 108, 136, 163, 169, 217, 222, 273, 274, 277

* შეადგინა გ. სალიაშვილმა

კოპლენიგი ი. 9, 214
კოსტოვი ტრ. 173, 212, 217, 278
კუნი ბ. 103
კურელა ა. 138
კუტურიე პ. ვ. 105
კუუსინენი ო. 9, 136, 140, 150, 163, 175, 178, 185

ლანქევენი პ. 149
ლასი 140
ლებერმანი გ. 120
ლეგინი კ. 35—37
ლენინი ვ. ი. 3, 6, 14, 38, 39, 45, 43, 49, 61, 62, 73, 80, 81, 87, 136, 150, 156, 160—162, 199, 209, 228, 245, 246, 254, 256, 259, 262, 266, 267, 269, 276, 279
ლეშე 126
ლიბკნეხტი კ. 40
ლოზოვსკი ს. 172
ლუკიანოვი ტ. 69, 76, 77, 278
ლულჩევი კ. 212, 278
ლუქსემბურგი რ. 40

მადალენა მ. 140
მანევი ი. 88, 89, 278
მანი თ. 149
მანუილსკი დ. 9, 136, 140, 163, 178, 185, 191, 196, 198
მარტი ა. 163
მარქსი კ. 3, 6, 13, 14, 246, 267, 269, 271
მაქსიმოვი ნ. 59, 279
მიჩეევი დ. 10
მიხაილოვი დ. 11
მოლიერი 109
მონოვი დ. 31
მორო-ჯაფერი 112
მოსკვინი მ. 163
მუსოლინი 176

ოსტენი მ. 145

პავლოვი ტ. 237, 279
პანაიტოვი ლ. 10
პაპენი ფონ 105, 126
პარიზიუსი 127
პასტუხოვი კ. 280
პენევი ნ. 280
პეტერი ფრ. 104
პეტკოვი ნ. 212, 224, 280
პეტროვი ტ. 69, 77, 280
პიკი ვ. 9, 66, 136, 147, 163, 175, 178, 196, 213, 271, 279
პლეხანოვი გ. ვ. 14
პოლიტი ჰ. 9, 175, 177, 246
პონომარიოვი ბ. 266
პოპოვი ბ. 107, 112, 120, 133, 280
პრიტი დ. ნ. 114

ბიკოვი ტ. 6, 7, 230, 231, 243, 253, 257, 268, 281

რადენკოვა პ. 10
რადოსლავოვი ვ. 14, 15, 30, 40, 46, 282
როლანი რ. 149
რუზველტი 180

ხერვანტესი 109
სკოტი 109
სოფოკლე 109
სტალინი ი. ბ. 139
სტამბოლიისკი ა. 46, 58, 68, 272, 274, 282, 283
სტასოვა ე. 105

ტაიპერტი 112, 125
ტანევი ვ. 107, 108, 112, 133, 283
ტელმანი ე. 9, 105, 107, 112, 136, 140
ტოდოროვი ტ. 280
ტოლიატი პ. 9, 136, 163, 174, 178, 191, 192, 214
ტორგლერი ე. 107, 110, 120, 127, 128, 132
ტორეზი მ. 9, 136, 146, 163, 174, 214

ულბრიხტი ვ. 213, 214

ფერდინანდი (მეფე) 30, 40, 274, 282, 283
ფლორინი 163, 175
ფოგტი 108, 109, 110, 117
ფოიხტვანგერი ლ. 149
ფრანკო 173

შატცი 119
შექსპირი 109
შვერნიკი ნ. 105
შლაიხერი 105
შჩერბაკოვი 199

ჩერეტი ჯ. 192
ჩერნიშევსკი გ. ნ. 13, 145, 271
ჩიჩერინი 60

ცანკოვი 83, 89

ჯაკოვიჩი ჯ. 98

ჰაჯინიკოლოვი 10
ჰებელსი 123, 124
ჰინდერბურგი 106
ჰიტლერი 106, 107, 176
ჰომეროსი 109
ჰუპენბერგი 126

შინაარსი

შესავალი . 3

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. პროფკავშირული ხელმძღვანელი და მუშათა ტრიბუნი 11

1. რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი . . 11
2. ბულგარეთის რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის სათავეში 17
3. ინტერნაციონალური პროლეტარული მოვალეობისადმი ერთგულება 26

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ოქტომბრის მძლავრი ზეგავლენით 44

1. დიმიტროვის რევოლუციური აქტივობის ამაღლება 44
2. მწვავე კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში . . . 52
3. სექტემბრის შეიარაღებული აჯანყების (1923 წ.) ერთ-ერთი ხელ-მძღვანელთაგანი . 68

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე და ლაიფციგში ფაშიზმთან ბრძოლაში გამარჯვებული 83

1. ხელმძღვანელ სამუშაოზე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში 83
2. ხანძარი რაიხსტაგში და დიმიტროვი საბრალდებო სკამზე 106
3. ფაშიზმთან ბრძოლაში გამარჯვებული 114

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. კომინტერნის გენერალური მდივანი 134

1. ახალი კურსის ინიციატორი . . 134
2. მონაწილეობა კომინტერნის VII კონგრესის მოშზადებასა და მუშაობაში 149
3. აქტიური მოღვაწეობა ცხოვრებაში ახალი კურსის გასატარებლად 164
4. მეორე მსოფლიო ომის წლებში . 183

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. სოციალისტური ბულგარეთის მშენებელი . 203

1. სახალხო ხელისუფლების პირველი ღონისძიებების სელისჩამდგმელი 203
2. სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების სათავეში 215
3. პარტიისა და მთავრობის აღიარებული ლიდერი 223
4. სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისაკენ 238

დასკვნა 248

დიმიტროვის ანდერძის ერთგული.
განუხრელად ლენინური გზით 248

შენიშვნები 270

პირთა საძიებელი 284

Димитров Георгий. Биографический очерк

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1988

რედაქტორი ნ. ბერიძენიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდღაშვილი
კორექტორი ე. ხურცია

ᲒᲑ 1299.

გადაეცა წარმოებას 6.11.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.XII.87.
ქაღალდი ღრმა ბეჭდვა 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 18. სააღრ.-საგამომც. თაბახი 16,81.

ტირაჟი 1000. შეკვეთის № 370

ფასი 1 მან. 60 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.